სერგო დუმბაძე
ნიკოლოზ დუმბაძე

დაუვიწყარი პედაგოგი

ბათუმი – 2017

სერგო დუმბაძე, ნიკოლოზ დუმბაძე

დაუვიწყარი პედაგოგი

სკენდერ ბაჯელიძის ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2017

UDC(უაკ) 371.12.011.31-051(479.22)
დ-901

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი ეძღვნება სკენდერ ბაჯელიძის დაბადებიდან 95 წლისთავს

ნაშრომში გაშუქებულია ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის მკვიდრის, აჭარის დამსახურებული მასწავლებლის, მეორე მსოფლიო ომისა და შრომის ვეტერანის სკენდერ ბაჯელიძის ცხოვრება და პედაგოგიური მოღვაწეობა.

აქვე მოკლედ დახასიათებულია ხუცუბნის ისტორია, მისი დემოგრაფიული სურათი, გამოთქმულია ავტორთა მოსაზრება ბაჯელიძის გვარის წარმომავლობის, ეტიმოლოგიისა და გავრცელების გეოგრაფიის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის, პირველ რიგში, მშობლებისა და შვილებისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის.

ნაშრომი მომზადდა აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოების, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგთა საზოგადოების აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციისა და დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მოამაგის“ ეგიდით.

რედაქტორი: **ნოდარ ბასილაძე**
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: **1. თემურ გოგმაჩაძე**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
2. აკაკი ზოიძე
პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-462-43-6
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2017

სკენდერ ბაჯელიძე
აჭარის დამსახურებული მასწავლებელი,
ომისა და შრომის ვეტერანი
(1921-2005)

წინასიტყვაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონიერი კაცი იგივე წიგნია.
ილია

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებასა თუ, საერთოდ, მის წარმატებებზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფდით ორს: პირველი – მშობლები, ოჯახი, მეორე – მასწავლებელი, სკოლა. ეს ორი ფაქტორი, თავად აღზრდის სუბიექტთან ერთად, ყოველთვის მოქმედებს. ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით, მათი როლი მეტნაკლებად განსხვავებულია. მასწავლებლის, სკოლის როლი, მათი მიზანი და ამოცანები ვიგრძენით გასული საუკუნის შუა ხანებში, როცა სწავლა დავიწყეთ სკოლაში. ეს იყო დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი პერიოდი, 1945-1956 წლები. ქვეყანა მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა, დანგრეულს აღადგენდა. ფაშიზმზე გამარჯვებული ხალხი მშვიდობიანი მომავლის იმედით ცხოვრობდა და შრომობდა, იტანდა ათას გაჭირვებას, სჯეროდა ხვალინდელი დღისა.

უჭირდა სკოლასაც, მაგრამ მას ფარ-ხმალი არ დაუყრია, გრძნობდა დიდ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და ზნეობრივ მოვალეობას ერისა და ქვეყნის წინაშე; ენერგიის დაუზოგავად, უშურველად და ერთგულად ემსახურებოდა ქვეყანას, საზოგადოებას; სამშობლოს უზრდიდა ღირსეულ თაობებს, რომელთაც უნდა გაეგრძელებინათ მამა-პაპათა „საქმენი საგმირონი“.

სკოლები ფუნქციონირებდა, მასწავლებლები მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ, მაგრამ, ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო, მათ აკლდათ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფორმაციის ტექნიკური საშუალებები, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები. ტექნიკური და საკომუნიკაციო

საშუალებები მწირი იყო, ან თუ იყო, ისიც ცენტრებში. პერიფერიებში, მით უფრო მთიან სოფლებში, იშვიათობა იყო. იგი ფუნქციონირებდა რაიონულ, საუკეთესო შემთხვევაში, სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციულ ცენტრებში. იმ ხანებში ეს დიდ მიღწევად ითვლებოდა. ანალოგიური სურათი იყო რადიომომსახურებაშიც. ზამთრის პირობებში, დიდთოვლობის დროს, მწყობრიდან გამოდიოდა სატელეფონო თუ რადიოხაზები. მათი აღდგენა კი, დიდი თოვლისა და უგზოობის გამო, ჭიანურდებოდა. სატრანსპორტო საშუალებების არარსებობის გამო, რაიონული ცენტრიდან სოფლებში ფოსტას ეზიდებოდნენ ზურგით, საუკეთესო შემთხვევაში, ცხენით და ბევრჯერ დიდი დაგვიანებით. ერთი სიტყვით, ინფორმაციის გავრცელების ინტენსიური ისეთი საშუალებები, როგორიც დღესაა (ტელევიზორი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და ა.შ.) იმხანად არ იყო.

მაშინ ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის, ყოველგვარი ინფორმაციის საშუალება იყო სკოლა, მასწავლებელი. მასწავლებლის სიტყვა იყო პირველი წყარო, მისი პირველი მაგალითი – ზნეობრივი გაკვეთილი. ამიტომაც გვიყვარდა, გვჯეროდა და ვუსმენდით მას. მასწავლებლის სიტყვა ჩვენთვის იყო კანონი. პოეტი ამას მხატვრულ ფერებში დიდებულად გამოთქვამს:

„მასწავლებელი – გზა სამერმისო,
მასწავლებელი – იმედის ხიდი,
მასწავლებელი – სინათლის დედა
ქვეყნად მეგზური ყველაზე დიდი.“

ქართველი კლასიკოსი პოეტის, იოსებ ნონეშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქვეყნად ბელადიც არა ყოფილა, მასწავლებელი რომ არა ჰყოლოდა“. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ მშობლების შემდეგ, ცხოვრებაში ყველაზე დიდი ფიგურა მასწავლებელი, პედაგოგია, მისგან ბოძებული მარგალიტებით დაშთენილნი არიან თაობები. ცოდნის, სწავლა-განათლების ჩირაღდანი მასწავლებელია. იგი ცხოვრების განვითარების ყველა ეტაპზე საზოგადოებაში მონუმენტური ფიგურაა.

ჩვენი თაობის ვალია, კარგად გვახსოვდეს და არასდროს დავივიწყოთ ჩვენი მასწავლებლის, ოსტატის ღვაწლი და ამაგი, ჩვენზე ზრუნვაში თეთრად გათენებული ღამეები, დავაფასოთ მათი შრომა, დახარჯული ენერგია. რა თქმა უნდა, ამ შრომასა და ენერგიას ფულით ვერ გადავუხდით, თუ ჩვენ ბოლომდე გავყვებით მათ რჩევა-დარიგებებს, გავყვებით მათ ნათელ კვალს, ცხოვრებაში დავიკავებთ ღირსეულ ადგილს, კეთილსინდისიერად მოვემსახურებით ქვეყანას, სამშობლოს, საზოგადოებას, მაშინ ანაზღაურდება არა მარტო მშობლების, არამედ აღმზრდელ მასწავლებელთა შრომაც და ენერგიაც. მხოლოდ მაშინ ვიქნებით ჩვენ, მოსწავლეები, მშობლებისა და მასწავლებლების წინაშე და ქვეყნის წინაშეც ვალმოხდილნი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ესეც არ არის საკმარისი. საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დაკავებასთან ერთად, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს მასწავლებელთა კეთილი საქმეები და ნათელი სახელები.

ზეპირი გადაცემებით თუ წერილობითი ფორმით მათი წმინდა სახელები უნდა შემოვუნახოთ და გადავცეთ მომავალ თაობებს, როგორც ორიენტირი მათთვის რთული ცხოვრების ლაბირინთებში გზის გაკვალვისთვის.

ჭკვიან კაცს უთქვამს, ჩვენი ვალია, ახალ თაობებს საწვრთნელად გადავცეთ წინაპართა მემკვიდრეობა, რამეთუ მათ პირუთვნელი სიდიადე არა მარტო საამაყო საზომია ჩვენი ეროვნული დონისა, ხოლო ნაღვაწი ბაზისია იმისა, რაც თუ ჩვენამდე დღემდე მოსულა, არამედ მაგალითი, თუ როგორ თავდაუზოგავად ემსახურო ქვეყანას, რომ შეძლო განამტკიცო, განავრცო ბალავარი, რომელზეც უნდა დააშენო მისი მომავალი და საპატიო ადგილი დაიკავო ისტორიაში.

ეს სიტყვები ეხება ყველა ჩვენს დიდ წინაპარს და მათ შორის მასწავლებელს, რომლის თავდადებული შრომის მაგალითის გარეშე არავინ იზრდება, არც ერთი დარგის ჭეშმარიტი სპეციალისტი არ ყალიბდება. მაშასადამე, წინაპართა შორის ერთ-ერთი ყველაზე ღვაწლმოსილი პიროვნებაა მასწავლებელი, რომლის დაფასება ჩვენი მომავალი თაობების ვალია. ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ მასწავლებელთა შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, გაწეულ ჯაფას შედეგი გამოუღია. კიდევ ერთხელ მტკიცდება ჭეშმარიტება, რომ „რასაც დასთეს, მასვე მოიმკი“, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“, ან კიდევ „წარსული საძირკველია ნამყოსი, როგორც აწმყო მომავლისა.“

მიგვაჩნია, რომ ეს ცხოვრების აქსიომური ჭეშმარიტებაა და ჩვენ მისი ერთგული და მონა-მორჩილი გახლავართ. არამცთუ ზეპირად, არამედ შემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთი მიზანი და მიმართულება ჩვენთვის არის მასწავლებლების მიერ გაწეული ამაგის არდავიწყება, შეძლებისდაგვარად დაფასება. არაერთი საგაზეთო წერილი, საჟურნალო სტატია თუ ცალკე მონოგრაფია მივუძღვენით საზოგადოების მონუმენტურ ფიგურებს – მასწავლებლებს. აღვნიშნავთ მათ დაბადების დღეებს ოფიციალურად, დროდადრო ვიწვევთ სტუმრად, ან ვსტუმრობთ მათთან, ვამხნევებთ, საპასუხოდ გამოვხატავთ იმ სითბოსა და ყურადღებას, რის შედეგად ჩვენ დავფრთიანდით და ღირსეული ადგილი დავიკავეთ ცხოვრებაში. ღვაწლის აღნიშვნა ადამიანს სიცოცხლეს თუ ვერ უხანგრძლივებს, უხალისებს კი...

წინამდებარე ნაშრომს ვუძღვნით ჩვენ საყვარელ მასწავლებელთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულს, ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს (1954-1959 წწ.), აჭარის დამსახურებულ მასწავლებელს,

შრომისა და ომის ვეტერანს, ხუცუბნელ სკენდერ ხუსეინის ძე ბაჯელიძეს, ამასთან, ვასრულებთ მის „ანდერძს“.

მართალია, იგი დღეს ჩვენს შორის არ არის, ვალმოხდილი წავიდა და განისვენებს მშობლიურ ხუცუბანში, ბაჯელიძეთა საგვარულო სასაფლაოზე, მაგრამ ჩვენთან დარჩა მისი საამაყო სახელი და სანაქებო საქმე... ეს წიგნი მოგითხრობთ მის საინტერესო, ზოგჯერ მძიმე, საბოლოოდ, წარმატებულ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

მადლობას მოვახსენებთ მის ოჯახს, შვილებს, ძმასა და ძმების შვილებს, სანათესაო წრეს, მეზობლებს – ყველას, ვინც მხარში გვედგა ამ ნაშრომის შესაქმნელად.

თავს ბედნიერად ჩავთვლით და მიზანს მიღწეულად, თუ დაინტერესებული მკითხველი წინამდებარე ნაშრომს ისე მიიღებს და შეაფასებს, როგორც ამ ძნელ გზაზე მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობაში სიფრთხილით გადადგმულ ერთ პატარა, მაგრამ საჭირო და აუცილებელ ნაბიჯს.

პირველი განყოფილება

გეოგრაფიულ-სოციალური გარემო, გვარის გენეალოგია და ეტიმოლოგია

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი.
რაფიელ ერისთავი

§1. მისი სავანე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შავიზღვისპირეთი ცნობილია, როგორც კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული ზონა. ჩაისა და ციტრუსის უხვმოსავლიანი პლანტაციებით განთქმული ქობულეთის რაიონი თავისი მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურითა და კლიმატური პირობებით

ქობულეთის რაიონი

აღიარებულია ზღვისპირა კურორტად და ცნობილია მთელს ქვეყანაში, და არა მარტო აქ.

სამწუხაროდ, დღეს ამ უნიკალური დარგების პლანტაციები მწყობრიდან გამოსულია, ტყეებად და ეკალ-ბარდებად გადაქცეულია. ალბათ, ეს დროის ბრალია, გარდამავალ პერიოდს ახლავს ასეთი სიურპრიზები. დარწმუნებული ვართ, მალე დადგება დრო, როცა მეურნეობის ეს დარგები, საკურორტო და ტურისტული სფეროების განვითარების პარალელურად, კვლავ აღორძინდება და მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის წყარო გახდება. ამის ნათელი გამოხატულებაა, რომ უკვე დაიწყო და ხორციელდება აღმშენებლობის გრანდიოზული პროგრამები საქართველოში, მათ შორის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და, კერძოდ, ქობულეთის რაიონში.



ხუცუბნის თემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადმწვანე ქობულეთის რაიონის სოფლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ხუცუბანი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან, კერძოდ, ქ. ქობულეთიდან ორი კმ-თაა დაშორებული. იგი ქობულეთის დაბლობის გაგრძელებაზე, კინტრიშის ხეობაში, მდინარის ორივე მხარეზე გაშენებული და რაიონის ერთ-ერთი დიდი, ულამაზესი და თვალწარმტაცი სოფელია, რომლის ტერიტორია აღწევს სოფელ ქობულეთამდე. მაშასადამე, ხუცუბანი ორ ქობულეთს შორის მდებარეობს: აღმოსავლეთიდან სოფელი ქობულეთი ესაზღვრება, დასავლეთიდან – ქალაქი ქობულეთი, ჩრდილოეთიდან – სოფელი გვარა, სამხრეთიდან – სოფელი კვირიკე. ხუცუბნის ტერიტორია 14000 კვმ, მოსახლეობა შეადგენს 1655 კომლს 6350 მცხოვრებით, მათ შორის 55 ოჯახი ბაჯელიძეთა გვარისაა.

სოფელი ხუცუბანი სახელგანთქმული იყო არა მარტო მოსახლეობის შრომითი წარმატებებით, არამედ თავისი ისტორიული წარსულითაც.

როგორც ზემოთ ითქვა, ხუცუბნის ტერიტორია ისტორიული კოლხეთის შემადგენელი ზღვისპირა ნაწილია. იგი ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულს ჩამოყალიბდა. დიდი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული ნივთიერი მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ შავიზღვისპირეთი, მათ შორის ქობულეთი, ცივილიზაციის მნიშვნელოვანი და საინტერესო არეალია. ისტორიული წყაროებით, მეცნიერთა კვლევა-ძიებით, განსაკუთრებით, არქეოლოგიური გათხრებით დგინდება, რომ ხელსაყრელი გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობების გამო, კოლხეთის სამეფოს პერიოდში ხუცუბანი დასახლებული ყოფილა და ადგილობრივი მოსახლეობა ფლობდა ლითონის დამუშავების ხერხებს. ამასთან დაკავშირებით ცნობებს გვაწვდიან ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ხანის ბერძენი მწერლები.

ხუცუბანმა ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მე-19 საუკუნის

80-იანი წლებიდან. აქ კვლევა-ძიება ჩაუტარებიათ ექვთიმე თაყაიშვილს, გრიგოლ გურიელს, ფრანგ მეცნიერ-არქეოლოგ ჟან მურიეს.

ხუცუბნის ერთ-ერთი უბანი

ხუცუბნის ინტენსიური შესწავლა დაიწყო XX საუკუნის 20-იანი, კიდევ უფრო ინტენსიურად კი 40-იანი წლებიდან, კერძოდ, 1944 წელს, როცა ჯერ კიდევ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი დამთავრებული არ იყო. აქ ისტორიკოს ავთანდილ იოსელიანის ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. ნაპოვნი მასალებით გაკეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ კინტრიშის ხეობის, კერძოდ, ხუცუბნის მკვიდრნი, იმ დროს ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გარდამავალ პერიოდში იმყოფებოდნენ, რომ რკინა თანდათანობით ცვლიდა ბრინჯაოს იარაღს.[1]

[1] ავ. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

ხუცუბნის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მე-18 საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი.[1] აქ მდებარეობდა და მოქმედებდა მთელ ხეობაში განთქმული ეკლესია თეთროსანი,[2] რომელიც ქრისტიანული საეკლესიო კულტურის ცენტრი იყო.

ხუცუბნის ტერიტორიაზე ნაპოვნი მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალებით დაინტერესდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. მან ხუცუბნის ველი შეადარა „გადაშლილ წიგნს, რომელშიც ჩვენს წინაპრებს თავის თავგადასავალი ცხოვლად ჩაუწერიათ“.[3]

ცნობილია, რომ მთელი საქართველო, მათ შორის, აჭარა, განიცდიდა უცხო დამპყრობთა გამუდმებულ შემოსევებს. ამ მხრივ არც ხუცუბანი იყო გამონაკლისი. რუსეთ-თურქეთის ომების დროს და მანამდეც, ეს სოფელი, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი უბანი, გამოყენებული იყო მტრის წინააღმდეგ, თუ მტრების მიერ მისი დაკავების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის დასაპყრობად გაშლილი ბრძოლის პლაცდარმად. ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების მოვლენები.

ხუცუბნის შესახებ მცირე მოცულობის ნაშრომი გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შოთა ჯაფარიძემ.[4] მასში საუბარია ხუცუბნის ისტორიულ წარსულზე, მოსახლეობის შრომით მიღწევებზე, გასული საუკუნის 20-60-იანი წლებში. განსაკუთრებით წარმოჩენილია დიდი სამამულო ომისა და მისი შემდგომი პერიოდი, როცა სოფელს თავკაცობდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ორგზის დეპუტატი, ორდენოსანი ვლადიმერ ბაჯელიძე.

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოისა საქართველოსი, თბ., 1997.
[2] რ. სურმანიძე, თეთროსანი, გამომც. „ალიონი“, 2007.
[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990.
[4] შ. ჯაფარიძე, ორდენოსანი ხუცუბანი, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათ., 1969.

ხუცუბნის თემის ადმინისტრაციული შენობა

კინტრიშის ხეობის, მათ შორის, ხუცუბნის, მეცნიერული შესწავლა უფრო წარმატებული და ეფექტური გახდა 1958 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მრავალპროფილიანი ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების შემდეგ. მას სათავეში ჩაუდგა ქობულეთის მკვიდრი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ასლან ინაიშვილი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ხახუტაიშვილი – ცნობილი ისტორიკოსი და განთქმული არქეოლოგი. ინსტიტუტის კოლექტივმა ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დიდი მუშაობა გასწია აჭარისა და მისი მიმდებარე მხარეების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, სოციოლოგიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეკონომიკის შესასწავლად. ამ ინსტიტუტის კოლექტივის დიდი დამსახურებაა აჭარაში და განსაკუთრებით ფიჭვნარში გრანდიოზული არქეოლოგიური გათხრების ჩატარება (ხელ-ძღვანელები: დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე). ბოლო წლებში ფიჭვნარში არქეოლოგიური გათხრებით დაინტერესდნენ უცხოელი მკვლევრებიც – ინგლისელი და გერმანელი არქეოლოგები, რომლებიც, ქართველ მეცნიერებთან ერთად, კვლავაც აგრძელებენ აქ კვლევა-ძიებას. მათ ერთობლივად გამოსცეს არაერთი ნაშრომი.[1] არაფერს ვამბობთ ქართველ მკვლევართა მიერ გამოცემულ სხვა ნაშრომებზე.

ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებით უფრო გაფართოვდა მანამდე აჭარაში მომუშავე მეცნიერ-მკვლევარების (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და აჭარის სახელმწიფო მუზეუმის (ყოფილი დირექტორი ხ. ახვლედიანი) მეცნიერ-მუშაკთა მიერ დაწყებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ისტორიის კვლევა-ძიება. მათი დამსახურებაა ისიც, რომ დაიწერა და გამოიცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა – ოთხტომეული, რომლის პირველი ტომი (უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე) გამოქვეყნდა 2007 წელს, მეორე ტომი (V საუკუნე – 1877 წელი) – 2009 წელს, მესამე ტომი (ბათუმის ოლქი – 1877-1920) – 2008 წელს და, ბოლო, მეოთხე ტომი (1921-1990) – 2012 წელს.[2]

აღნიშნულ ნარკვევებში მდიდარი და საინტერესო მასალებია შეტანილი. აჭარის სხვა რეგიონებთან ერთად, სოფელ ხუცუბნის შესახებ დაინტერესებული მკითხველი ბევრ უნიკალურ მასალას ნახავს მასში.

[1] კახიძე ამირან, ვიკერსი მაიკლ, ფიჭვნარი 1 (კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში), ბათუმი-ოქსფორდი, 2004, გვ. 15, (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

[2] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ოთხტომეული, 1, 2, 3, 4, ბათუმი, 2007, 2009, 2008, 2012.

საინტერესოა ამ სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია. იბადება კითხვა: ვინ უწოდა მას ეს სახელი და როდის?

სოფელ ხუცუბნის თემის ცენტრი

ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც.

ჩვენი აზრით, ამ ტოპონიმის ახსნა, პირველ რიგში, უნდა ვეძებოთ თვით სოფელში, ხუცუბნელთა შორის. მოსახლეობაში შემორჩენილია გადმოცემა ამ ტოპონიმთან დაკავშირებით. ეს გადმოცემა ხუცუბნის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს ტიტე ფხაკაძესა და სკოლის დირექტორს ეთერ ბაჯელიძეს, სოფლის ისტორიის ჩანაწერებში აქვთ შეტანილი და ინახება აღნიშნული თემის საკრებულოში. ამ ლეგენდის მიხედვით და ხუცუბნის საკრებულოში, ქობულეთის რაიონული საკრებულოს ყოფილი რწმუნებუ-

ლის, ბატონ ზურაბ ბაჯელიძის გადმოცემით, ამ სოფელში (დღევანდელ ბაჯელიძეთა უბანში) უძველეს დროში აუშენებიათ ეკლესია, რომელსაც რქმევია წმინდა ელიას[1] ეკლესია. მღვდელმსახური ყოფილა გურიიდან მოსული პიროვნება, გვარად ნათიძე (სახელი უცნობია). ეს ორი გვარი დღესაც ცხოვრობს ხუცუბანში და ისინი ითვლებიან ძირძველ გვარებად.

ხუცუბნის (წმ. ელიას) ეკლესია

წმინდა ელიას ეკლესიის[2] მიდამოებში ცხოვრობდა მოსახლეობა. მათ შორის, ბევრი უხუცესი, ხანდაზმული პიროვნება ყოფილა. ამიტომ ამ დასახლებას უხუცესების, მოხუცების, ხუცების უბანი, ანუ „ხუცუბანი“ უწოდეს. ლეგენდა-გადმოცემის მიხედვით ისიც ირკვევა, რომ „ხუცი“ არ ნიშნავს „ხუცესს“, ანუ დღევანდელი გაგებით, მღვდელმსახურს (როგორც, მაგალითად, იყო იაკობ ხუცესი). აქ იგულისხმება ჭკუასაკითხავი პიროვნება, ბერი, მოხუცი (არა რელიგიური დატვირთვით, არამედ საერო შინაარსით). ლეგენდა რომ ტერმინის საერო დატვირთვის სასარგებლოდ მეტყველებს, შემდეგი გადმოცემიდან ჩანს: უხუცესთა შორის ყოფილა ერთი ხუცი, მოხუცი, მას ჰყოლია სამი ვაჟიშვილი. ოთხივენი შესანიშნავი მომღერლები, მგალობლები ყოფილან. მათ გარეშე არც ქორწილი ტარდებოდა და არც გლოვა სრულდებოდა, იცოდნენ სამხიარულო-საქორწილო და სამგლოვიარო-საზარო სიმღერებიც. განსაკუთრებით კარგად ასრულებდნენ „ხასანბეგურას“. ისინი სოფლის ერთერთ ლხინზე მიუწვევიათ. მამა – ხუცი, თავისი ბანით (მუსიკალური ხმით) განთქმული, შეუძლოდ ყოფილა, ვერ წასულა და შვილები გაუგზავნია. მათ იქ ბევრი სიმღერა შეუსრულებიათ. ბოლოს საზოგადოების თხოვნით „ხასანბეგურაც“ შემოუძახიათ, მაგრამ უხუცობა (ხუცის – მამის არყოფნა) დიდად დატყობია სიმღერას, განსაკუთრებით უფერულად

[1] მ. ქამადაძე, ტოპონიმია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, 1, ბათ., 2007, გვ. 63.

[2] წმინდა ელიას ეკლესია დანგრეულ იქნა უცხო ტომთა შემოსევების დროს, განსაკუთრებით რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. დარჩენილი იყო მისი ნანგრევები. სოფელმა ბოლო წლებში მოინდომა მისი აღდგენა, მაგრამ ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნდათ.

ქვეყანაში კეთილ ადამიანებს რა გამოლევს (ღმერთმა უფრო გაამრავლოს მათი რიცხვი, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს). სწორედ ასეთი ქველმოქმედი აღმოჩნდა თბილისელი ქალბატონი მერი სადრაძე. ის ხშირად სტუმრობს ხუცუბანში ბაჯელიძეთა ოჯახს. როცა დაინახა ამ ეკლესიის ნაშთები – ნანგრევები, დაინტერესდა ეკლესიის ისტორიით და ითავა მისი აღდგენა. საინტერესოა, რამ უკარნახა მას ეს ქველმოქმედება? რა მოტივაცია ჰქონდა ამ ქალბატონს? რა თქმა უნდა, ჩვენი აზრით, მისმა მაღალმა ზნეობამ, სიძველისადმი პატივისცემამ, სარწმუნოებისადმი ერთგულებამ, დიდბუნებოვნებამ, კეთილშობილებამ, ქართველი პატრიოტი მანდილოსნისათვის დამახასიათებელმა სისპეტაკემ, წინა და უფროსი თაობების ნაშრომ-ნაჯაფისადმი სიყვარულმა, ერთგულებამ, პატივისცემამ და მიმტევებლურმა ხასიათმა. საქმე ისაა, რომ მისი შვილი შემთხვევით შემოაკვდა ვიღაც პიროვნებას. დედამ არ იდავა და შეუნდო მკვლელს ჩადენილი ცოდვა (როგორ ჰგავს ეს „ვეფხისა და მოყმის“ ლეგენდას!), ძაძებში გახვეული დედა ეკლესიური, მიმტევებელი გახდა (აფერუმ, თქვენს ქალობას, რწმენას, დიდსულოვნებას, ქალბატონო მერი). მან ნახა სპონსორი (მაგრამ ვინ, არ ვიცით. ჩვენი აზრით, ესეც მათ დიდსულოვნებაზე, კეთილშობილებაზე, მაღალ სულიერებასა და ეროვნულობაზე მიუთითებს) და ასე, ამ გზით ძველ ფესვებზე აშენდა ახალი და რესტავრირებულ იქნა ეკლესია, სიძველის შენარჩუნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეჩვენათ სიმღერის ბანი. სიმღერის მოსმენის შემდეგ ვიღაცას გულისტკივილით უთქვამს: „ჰაიკიდი, ხუცის ბანიო“, ე.ი. ინატრეს მამის – ხუცის (მო-ხუც-ის) ბანი.

ცხადია, ლეგენდა შინაარსით საინტერესოა, მაგრამ ის ვერ ხსნის ეტიმოლოგიას. თუ ჩვენ ლეგენდას დავუჯერებთ და სოფლის სახელწოდება-კომპოზიტში მეორე ნაწილს **ბან**-ად მივიჩნევთ, მაშინ ავცდებით ჭეშმარიტებას. კომპოზიტის (ხუცუბანი) მეორე ნაწილია „უბანი“ და არა „ბანი“. ეს ორი სიტყვა ბგერათა შედგენილობით (ოთხი ასო) ერთნაირია. მაგრამ სხვადასხვა დატვირთვა და შინაარსი გააჩნიათ. „ბანი“ მუსიკალური, ხოლო უბანი – ზოგადი გეოგრაფიული სახელია. ბანის უბნად აღიარება თუ მიჩნევა, ჩვენი აზრით, უმართებულოა. გარდა ამისა, სოფლის სახელი გაცილებით ძველია, „ხასანბეგურას“ სიმღერა კი თურქების შემოსევების ისტორიას უკავშირდება. მაშასადამე, ქრონოლოგიური ფაქტორიც „ბანის“ წინააღმდეგ და „უბნის“ სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ამრიგად, ამ ლეგენდა-გადმოცემის მიხედვით, „ხუცუბნის“ ეტიმოლოგიური ახსნა, ანუ მისი „ბანთან“ დაკავშირება, გამორიცხულია.

სოფელში შემონახულია, აგრეთვე, ლეგენდა-გადმოცემის სხვა ვერსიაც. ხუცუბნის ერთ-ერთი მკვიდრის, ხასან ბაჯელიძის (89 წლის ასაკში გარდაიცვალა) გადმოცემით, აქ არაერთი ეკლესია არსებულა. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა ბაჯელიძეთა დასახლებაშიც. მასში ხუცები (მღვდელმსახურები) მოღვაწეობდნენ. ამიტომ სოფლის ამ უბანს და შემდეგ მთელ სოფელს დაერქვა „ხუცუბანი“ (ხუცების უბანი). ამ შემთხვევაში სიტყვა „ხუცები“, ხუცი საეკლესიო პირია და არა საერო ტერმინი. ტოპონიმში „ხუცების უბანი“ პირველი გამოყენებულია მრავლობით რიცხვში სიტყვა „ხუც-ებ-ი“, რომლიდანაც ამოვარდა მრავლობითობის (ებ) და სახელობითი ბრუნვის (ი) ნიშნები და დარჩა მისი ძირი. „ხუც“-ი. მას

შეუერთდა ტერმინი „უბანი“ და მიღებულია „ხუცუბანი“. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული, სადაც „ხუც“ მიღებულია „ხუცებიდან“, მსაზღვრელია „უბნისა“, რომ იგი ხუცებს ეკუთვნის და არა მომღერლებს, „უბანი“ კი საზღვრულია, განსაზღვრულია გეოგრაფიული ზოგადი სახელი. მათი შეერთება მოხდა ქართული გრამატიკის ერთობლივი კანონების საფუძველზე და მიღებულია სიტყვა „ხუცუბანი“.

ხასან ბაჯელიძის გადმოცემას რამდენადმე ამყარებს პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის თვალსაზრისი, რომელიც მან გამოთქვა თავის ნაშრომში „რა გქვია შენ?“ მეცნიერი ემყარება არა ლეგენდებსა და გადმოცემებს, არამედ მეცნიერმკვლევართა მიერ ქობულეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას ხუცუბანში მოძიებული მასალების ანალიზის შედეგებს. ის ამბობს: „არქეოლოგიური გათხრებით ირკვევა, რომ ამ ადგილას მოსახლეობა ყოფილა ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის VII-V საუკუნეებში (2500-2600 წლის წინ), როცა ჩვენი წინაპრები ბრინჯაოდან რკინის წარმოებაზე გადადიოდნენ. თავისთავად ცხადია, რომ სოფლის სახელი ასე ძველი არ შეიძლება იყოს, მაგრამ იგი არც მთლად ახალია. პირველად იქნებოდა ხუცის-უბანი, რაც ხუცესის (მღვდელის, ან გვარის უფროსის, მოხუცის) უბანს ნიშნავდა. აქედან მივიღეთ ხუცუბანი.“[1]

ფოლკლორული, გრამატიკული და არქეოლოგიური მასალების, მეცნიერული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ტოპონიმი „ხუცუბანი“ შედგება ორი სიტყვისაგან („ხუც“ და „უბანი“ და არა „ბანი“). მათი შეერთებით მიღებულია „ხუცუბანი“ (ხუცების უბანი), შინაარსობრივად დაკავშირებულია ეკლესიასთან, მღვდელმსახურებასთან, ხუცებთან, უმთავრესად მოიაზრება ბაჯელიძეთა უბანში არსებული წმინდა ელიას ეკლესია. პროფ. ზ. ჭუმბურიძე ამ მოსაზრების პარალელურად დასაშ-

[1] ზურაბ ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 174.

ვებად თვლის, რომ „ხუცი“ შეიძლება ხუცუბანსა და წარმართული თუ ქრისტიანობის დროინდელი პერიოდის რწმენა-წარმოდგენების გამომხატველ ტოპონიმთან (ელიაწმინდა, მარიამწმინდა) იყოს დაკავშირებული.

ელიას ციხესა და სხვათა შესახებ საუბარია ფუნდამენტურ ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები – აჭარას“ პირველ ტომში შეტანილ პროფესორ მიხეილ ქამადაძის სტატიაში „ტოპონიმია“[1] (და არა მარტო ამ სტატიაში). ნარკვევებში მითითებულია ქართულ მითოლოგიაში ცნობილ ლაზარეს ორეულ ელიაზე, რომელიც ღმერთმა ცისა და ღრუბლების წინამძღვრად, სეტყვისა და წვიმის გამგებლად დაადგინა. მისი მრავალი საკულტო ადგილია საქართველოში, მათ შორის აჭარაში. წმინდა ელიას ვინაობა აჭარაში დავიწყებულია, თუმცა შემონახულია ქობულეთის რაიონში, მათ შორის ხუცუბანში. აქვე ახსნილია ტოპონიმი „თეთროსანი“, რომელიც სოფლების გვარა-ხუცუბნის საზღვარზე, მდ. აჭყვის ნაპირასაა. „თეთროსანი“ წარმართული ხანის ტოპონიმად მიჩნეულია. იგი დაკავშირებულია თეთრი გიორგის კულტთან. ამ სახელის ძირეული ნაწილია „თეთრ“. -ოსან- სუფიქსია, რომელიც დაერთვის არსებით სახელს, აწარმოებს ზედსართავ სახელს და აღნიშნავს რაიმეს მქონებლობას: მანდილ-ოსანი, გვირგვინ-ოსანი, ორდენ-ოსანი.[2] ასეთივე წარმოების ტოპონიმად თვლის თეთროსანს პროფ. მ. ქამადაძე.[3] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რ. სურმანიძის ნაშრომი „თეთროსანი“.[4]

პროფესორი ზ. ჭუმბურიძე ხუცესად, გვარის უფროსადაც ვარაუდობს. ჩვენ მისი მოსაზრების პირველ ვარაუდს მხარს ვუჭერთ, მეორე კი საეჭვოდ გვეჩვენება, რადგანაც

[1] მ. ქამადაძე, ტოპონიმია, იქვე, 63.
[2] ბ. ჯორბენაძე, გ. კობახიძე, ნ. მესხიძე, ქართული ენის მორფემების და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, 1988, გვ. 353;
[3] მ. ქამადაძე, იქვე, გვ. 63.
[4] რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში შემონახული ლეგენდა-გადმოცემის მეორე ვერსიით ივარაუდება ხუც-ი საეკლესიო პირად, რაც ანგარიშგასაწევია. აქედან გამომდინარე საბოლოოდ ხუცუბანი უნდა მივიჩნიოთ საეკლესიო ტერმინად, ანდა, თუ „ხუცს“ გვარის უფროსად დავუშვებთ, საბოლოოდ შეიძლება იმის თქმაც, რომ გვარის უფროსი თუ ეკლესიის მღვდელმსახური ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო.

სოფელ ხუცუბანს მძიმე წარსული ჰქონდა. იგი ბევრჯერ უცხოელ მოძალადეთა შემოსევებისა და ბრძოლების ასპარეზი გამხდარა, ამიტომ მოსახლეობა დუხჭირად ცხოვრობდა. როცა საქართველო და, მათ შორის ხუცუბანი, ახალი ცხოვრების მშენებლობას შეუდგა, სურათი რამდენადმე შეიცვალა. ეს სოფელი დაადგა კოლექტივიზაციის გზას. გლეხობა თანდათანობით გაერთიანდა კოლმეურნეობაში. დაინერგა ტექნიკა, გაიხსნა სკოლები, კულტურის ცენტრები, მომზადდა ადგილობრივი კადრები. სოფელმა მოკლე დროში თავი დააღწია ეკონომიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობას. განვითარდა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მესაქონლეობა და სხვ. სოფელმა სახე იცვალა, ძველი ოდა-სახლები შეიცვალა ახალი კაპიტალური ორსართულიანი შენობებით. კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი, გაყვანილ იქნა გზები, გაშენდა სკვერები, აშენდა კაპიტალური საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, კლუბ-ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, ბავშვთა ბაგა-ბაღი, კინოდარბაზი და სხვა მრავალი.

სოფლის, ისე როგორც მთელი ქვეყნის, წინსვლა-განვითარება შეაფერხა გერმანია-საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების ომმა.

ხუცუბნელებმა თავი გამოიჩინეს ფაშიზმის წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლებში. ხუცუბნიდან ბევრი ფრონტზე წავიდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ასლან ბაჯელიძე, მი-

ხეილ ბაჟუნაშვილი, რიფათ ართმელაძე, ალექსანდრე (ალი) ბაჯელიძე, ალი ბერიძე, სკენდერ ბაჯელიძე, ოსმან ბაჯელიძე, პირველი აჭარელი ექიმი ქალი ხურიე მჟავანაძე, სულეიმან ხაბაზი, ილიას თხილაიშვილი, ხასან ბაჯელიძე, იუსუფ თხილაიშვილი, ხუსეინ ბლადაძე, სულეიმან გოგიტიძე, იუსუფ მოწყობილი, სულეიმან ბაჯელიძე და სხვები. ისინი გამარჯვებულები დაუბრუნდნენ მშობლიურ კუთხეს და შემოქმედებით მშვიდობიან შრომაში ჩაებნენ.

ჰიტლერულ ურდოებს თავს რისხვად დაატყდნენ ძმები მემედ და ახმედ ბაჯელიძეები, რეზო და ნური მოწყობილები, დურსუნ და ზია თხილაიშვილები, იუსუფ ბაჯელიძე, მაგრამ, ვაი, რომ ბრძოლის ველზე დაეცნენ გმირთა სიკვდილით და ოჯახებს ვერ დაუბრუნდნენ. ჩრდილო კავკასიის ფრონტზე დაიღუპა რიფათ ბაჯელიძე, თევრათ ხაბაზმა კი, რომელიც კრასნოდარის მისადგომებთან იცავდა სამშობლოს თავისუფლებას, ძმათა საფლაოზე დაიმკვიდრა ბინა... ბევრია შინმოუსვლელი, ყველას, წიგნის შეზღუდული მოცულობის გამო, ვერ დავასახელებთ. ისინი 55-მდე არიან. მათ სახელებს ოჯახები, ნათესავები, თანასოფლელები სათუთად ინახავენ და ყოველთვის პატივისცემით იხსენებენ. დღევანდელი ხუცუბნის წარმატებებში მათი დალოცვილი მარჯვენაც ურევია.

ომის შემდეგ, როგორც მთელმა ქვეყანამ, ხუცუბანმაც მოიშუშა ჭრილობები და სოფელში დაიწყო მეურნეობის აღმავლობა. ომისშემდგომ ათწლედში კოლმეურნეობა ჩადგა მილიონერთა რიგებში. ხუცუბნის კოლმეურნეობის საქვეყნოდ აღიარებული წარმატებები დაკავშირებულია სოფლის თავკაცის, სოფლის მეურნეობის საპატიო მუშაკის, საკავშირო უმაღლესი საბჭოს ორგზის დეპუტატის – ბატონ ვლადიმერ ბაჯელიძის სახელთან (მის შესახებ ვრცლად ქვემოთ).

ასე თანდათანობით გაიზარდა, გაფართოვდა და წინ წავიდა ხუცუბანი, როგორც ეკონომიკურად და კულტურულად, ისე დემოგრაფიულად. ასე, მაგალითად, გასული საუკუნის 20-იან წლებში ხუცუბანი (მაშინ გვარასთან იყო გაერთიანებული) წარმოდგენილი იყო 1500 კომლით და 4500 მაცხოვრებლით. სოფელი თავისი ფინანსური შესაძლებლობებით გახდა მილიონერი[1] კოლმეურნეობა. დღეს კი, მრავალი კატაკლიზმების გადატანის მიუხედავად, სოფელი ძალას იკრებს და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება; მართალია, ბევრია პრობლემაც, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მიერ სოფლის დახმარების პროგრამის ამოქმედებით სერიოზული ნაბიჯები იდგმება სოფლებში და მათ შორის სოფელ ხუცუბანში, სადაც დღეს, როგორც ზემოთ ითქვა, ცხოვრობს 1655 კომლი 6350 მცხოვრებით, რომელთა განკარგულებაშია 14 000 კვმ მიწის ფართობი.[2]

ამ სოფელს უმღეროდა სახელოვანი პოეტი, სულმნათი ჯემალ ქათამაძე ლექსით „ჩემი ხუცუბანი“. გთავაზობთ ზოგიერთ ადგილს ამ ლექსიდან:

ხუცუბანი, ხუცუბანი, ჩემი ხუცუბანი,
ალაგ ლურჯი, ალაგ მწვანე, გზები და უბანი...
ხინოს მთიდან გადმომდგარი მზე ვით კიბორჩხალა,
კინტრიშის პირს გადაშლილი ბაღები და ყანება.
მოქათქათე ტყემლების და ყვავილების წყება,
მოკრიალე ცის სარკეზე ვარსკვლავები წყდება...
მაგრამ ძველად აქ რა იყო – ეკალი და ბარდი,
იდგა შლამი და ჭაობი, ტკივილი და დარდი.

[1] გაზ. „ლენინელი“, (ქობულეთის რაიონული გაზეთი), №111, 19 სექტემბერი, 1970, გვ. 1,2.
[2] ხუცუბნის თემის სარეგისტრაციო წიგნი.

. . .

ახლა კი – ბაღებიდან, ყანებიდან მოვარდნილი „რერო“,
ამ ბედნიერ დღეებს, მზიანს, როგორ არ ვუმღერო,
ვით არ მივცე შრომის გუგუნს პოეტური ბანი
და როგორ არ შევიყვარო ჩემი ხუცუბანი.

§ 2. სოფლის ინტელიგენცია

„ინტელიგენცია“ ლათინური სიტყვაა. ლექსიკონში იგი ასეა განმარტებული: „საზოგადოების სოციალური ფენა, რომელიც შედგება გონებრივი შრომის მუშაკებისაგან, იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ განათლება და სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვდასხვა დარგში“.[1] ამის მიხედვით, არის სოფლის ინტელიგენცია, ქალაქის ინტელიგენცია, ტექნიკური ინტელიგენცია და სხვა.

სოფლად ოფიციალური ინტელიგენციის შესაფერისი სოციალური ფენის შექმნამდე მის ფუნქციას ასრულებდნენ გვარის, თემის, ტომის ბელადები და მათი გარემოცვა, შემდგომში – სოფლის გამოცდილი უხუცესები, ჭკვიანი, დაბრძენებული ადამიანები. ისინი თავიანთი გონიერებით განსაზღვრავდნენ გასაკეთებელ საქმეს, წყვეტდნენ საკითხებს, პრიმიტიულად, მაგრამ დროის შესაფერისად. მიუხედავად ამისა, ისინი იმ დროისთვის მაინც ინტელექტუალურ ფენას წარმოადგენდნენ. მაგალითად, ასეთები იყვნენ: ხელოსნები, დურგლები, ოსტატები, კალატოზები, მჭედლები, რაიმე დარგის ცოდნით შეიარაღებული პიროვნებები.

ძველად ოსტატს, რომელიც სახლს ააგებდა, არავითარი სპეციალური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ ის კარგად ერკ-

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1983, გვ. 250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეოდა სამშენებლო საქმეებში და ამისთვის საჭირო გეომეტრიულ, არითმეტიკულ და ყოფით საკითხებში, სხვებისგან განსხვავებული თავისი გონებითა და არაკვალიფიციური ინტელექტუალური უნარით ინტელიგენციის როლს ასრულებდა. ეს უნდა მივიჩნიოთ ტექნიკური ინტელიგენციის ჩანასახად.

სპეციალური ინტელიგენციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია განათლებისა და კულტურის კერების შექმნასთან, სადაც ადამიანები შესაბამის განათლებას ღებულობენ და გადადიან საზოგადოების იმ სოციალურ ფენაში, რომელსაც ინტელიგენცია (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ჰქვია. ამდენად ინტელიგენციის ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს შრომის დანაწილება და განათლების კერების შექმნა.

ამ ზოგადი მსჯელობიდან გამომდინარე, ხუცუბანში სოფლის ოფიციალური ინტელიგენციის ჩამოყალიბებამდე, მის ფუნქციას ასრულებდნენ სოფლის ის პიროვნებები, რომლებსაც, სხვებისგან განსხვავებით, შეეძლოთ მოსახლეობის მართვა, ჭკუის დარიგება, საქმის ორგანიზება, გონებრივი შრომის მუშაკების ფუნქციის შესრულება. სოფლის მოსახლეობა მათ აკისრებდა ამ საერთო-სახალხო საქმეს და ემორჩილებოდა კიდევაც.

ხუცუბნის ინტელიგენციის ცენტრი გახდა, უწინარეს ყოვლისა, სკოლა და პედაგოგიური კოლექტივი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სოფლის ახალგაზრდების სწავლა-აღზრდა-განთლებისა და სოფლის ინტელიგენციის, ადგილობრივი კადრების მომზადებაში.

როდის გაიხსნა პირველი სკოლა ხუცუბანში და ვინ იყო ინიციატორი? ამასთან დაკავშირებით, მოწონების ღირსია ხუცუბნელი სულეიმან ისმაილის ძე კაიკაციშვილის (გულო-აღა კაიკა-ციშვილის ძმისშვილი) ნარკვევი „მნიშვნელოვანი თარიღი“. მასში საუბარია ხუცუბანში პირველი ქართული სკოლის გახსნის შესახებ. ეს ნარკვევი-მოგონება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულო-აღა
კაიკაციშვილი

წინამდებარე წიგნის ავტორებს გადმოგვცა ჩვენმა მასწავლებელმა, აჭარის დამსახურებულმა პედაგოგმა, ხუცუბნის მკვიდრმა, სკენდერ ბაჯელიძემ. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ნარკვევში ვკითხულობთ: „გულო კაიკაციშვილის ძმისშვილი, 10 წლის სულეიმანი (1903-1983), რომელიც საზოგადოების ხარჯით თბილისში სწავლობდა, 1914 წელს გიორგი ყაზბეგმა საცხოვრებლად საკუთარ სახლში წაიყვანა. თავად ხელმოკლე გენერალი მზრუნველობას არ აკლებდა მისთვის ძალზე კარგად ნაცნობი მხარის შვილს და, ალბათ, კიდევ დიდხანს ეყოლებოდა, რომ არა საზოგადოების მდივნის დავით კარიჭაშვილის გადაწყვეტილება. დავითმა კარგად იცოდა, რომ გიორგი ყაზბეგს თავადაც უჭირდა, ამიტომ მოგვიანებით სულეიმან კაიკაციშვილი მან თავის სახლში გადაიყვანა. ასეთი მშობლიური მზურნველობით სულეიმანი განათლებულ ინტელიგენტად ჩამოყალიბდა და დიდხანს იღვაწა აჭარის სკოლებში. ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებში სულეიმანი მოგვითხრობს: 1914 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ მე და მურად გუნთაიშვილი გაგზავნილი ვიქენით თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ჩაგვწერეს შესაფერის კლასებში. ყველაზე სიამით მინდა მოვიგონო 1915 წლის 23 დეკემბერს თბილისიდან არდადეგებზე სოფელში ჩამოსვლა“.

ქობულეთში ჩამოსვლისთანავე, მურადი თავისიანებში წასულა, სულეიმანს კი ფეხით გაუწევია სახლისკენ (ხუცუბნისკენ – ავტ.), ამ დროს მას წამოწევია მგზავრებიანი ეტლი, რომელშიც, მეეტლესთან ერთად, მსხდარან სამი ცილინ-

სულეიმან
კაიკაციშვილი

დრიანი, სიმპათიური ადამიანი. მათგან ერთ-ერთს გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილი სულეიმანისთვის ქართულად უკითხავს: – სადაური ხარ, ყმაწვილო? მას უპასუხნია, რომ სოფელ სამებიდან (ხუცუბნის ერთ-ერთი ნაწილია – ავტ.) იყო. ეს ჭაღარა კაცი მისულა სულეიმანთან, აუღია მისი ხელბარგი და მეეტლისთვის მიუწოდებია, თავად სულეიმანი კი წინ დაუსვამთ და გამგზავრებულან. როცა გაუგიათ, რომ იგი კაიკაციშვილი იყო, მაღალ კაცს მისთვის უკითხავს, თუ ვისი შვილი იყო. სულეიმანის პასუხზე მას უთქვამს: „აბა, ჩვენი ისმაილის შვილი ხარ?“ როგორც შემდეგ გაირკვა, ჭაღარა კაცი იერემია გულისაშვილი ყოფილა, მაღალი კაცი – რეჯებ ნიჟარაძე, ხოლო მესამე – არსენ წითლიძე.

სულეიმანი მოგვითხრობს, თუ როგორ შეხვდნენ მისი თანდასწრებით სტუმრები ცენტრში მყოფთ, როგორ გააბეს მათთან ბაასი. მოითათბირეს და აუწყეს სოფელში პირველი ქართული სკოლის გახსნის განზრახვა.

ამას კარგად შეხვდნენ სოფლის მოწინავე ადამიანები: ახმედ და ასლან თამაზაშვილები, ძმები ახმედ, ხასან და ხუსეინ გოგიტიძეები, ისმაილ, ხუსეინ, ომერ, შუქრი, ხასან კაიკაციშვილები, ძმები რეჯებ და ოსმან მოწყობილები, ძმები ხუსეინ და სკენდერ მოწყობილები, დურსუნ და რამიზ თხილაიშვილები, ისინი ჩაებნენ საქმეში და მეზობელი ნინიძე შეითანხმეს სკოლისათვის მიწა მიეცა. შენობა იყიდეს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში, ურმებით გადმოიტანეს და დადგეს. ქვევით პირველი სართული ქვა გააკეთეს, მეორე

სართული ხის შენობა იყო. სკოლა გაიხსნა 1916 წლის მარტში.[1]

ამავე დღეს სკოლა გახსნეს ალამბარში, მანამდე მარტის პირველ რიცხვებში სოფელ ყოროლისთავში, ხოლო აჭარის დანარჩენ სოფლებში იმავე წლის მომდენო რიცხვებში.

ამგვარად, **ხუცუბანში პირველი სკოლის გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვის არსენ წითლიძეს, გულო-აღა და ისმაილ კაიკაციშვილებს, ერემია გულისაშვილს, რეჯებ ნიჟარაძეს, რომელთა ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით სოფელში ჩამოყალიბდა განათლებისა და კულტურის პირველი კერა**. სკოლა მუშაობას შეუდგა ხუსეინ მოწყობილის ბინაში, მოგვიანებით კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსახლეობამ შეიძინა ოთხოთახიანი სახლი ბახვში, გადმოიტანა და დადგა იგი სოფელში.

ხუცუბნის ქართული სკოლის მასწავლებლები იყვნენ: არსენ წითლიძე, მასთან ერთად თამარ დარეჯანაშვილი და ბაბო ბრეგვაძე. ახალგახსნილი სკოლები მუშაობდნენ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე.

მართალია, მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციითა და ეროვნული ცნობიერების განმტკიცებით სკოლამ ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ერთი ყვავილით გაზაფხული არ მოდის. დასახული დიდი ამოცანის გადასაწყვეტად ერთი ან ორი სკოლა საკმარისი არ იყო, საჭირო იყო მთელი ქვეყნის, მათ შორის, აჭარის მასშტაბით სკოლების გახსნა.

ეს ამოცანა ინტენსიურად და გლობალურად ხორციელდებოდა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა დაიწყო განათლების ახალი სისტემის ჩამოყალიბება აჭარის

[1] აბ. სურგულაძე, პირველი ქართული სკოლა ხუცუბანში, ბათუმი, 1969.

ყველა სოფელში, მათ შორის ქობულეთის რაიონში და კერძოდ, ხუცუბანში, ფართოდ ინერგებოდა სწავლა-განათლება. მოსახლეობამ თავისი შვილები – ჭაბუკები და ქალიშვილები ჩააბა სწავლებაში. მალე პირველ ოთხკლასდამთავრებულებს პირველი რვაკლასდამთავრებულებიც დაემატნენ, ბოლოს – პირველი საშუალოგანათლებული ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ. ადამიანთა შეგნების დონე იქამდე ამაღლდა (ამას ცხოვრებაც კარნახობდა და მოსახლეობაც ნათლად გრძნობდა), რომ საკმარისი არ იყო საშუალო სკოლის დამთავრება, საჭირო იყო უმაღლესი განათლების მიღება, ადგილობრივი მოსახლეობისგან სათანადო სრულყოფილი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამრიგად, **სოფლის სკოლა იყო ის ბრწყინვალე ჩირაღდანი, რომელმაც გზა გაუხსნა ახალგაზრდობას საშუალო სპეციალური თუ უმაღლესი განათლების მისაღებად, ინტელიგენციის რიგების გასაფართოებლად**.

ასე თანდათანობით სკოლამ ნიადაგი მოამზადა, ხუცუბნელი ახალგაზრდები შეაიარაღა საშუალო განათლებით, საშუალო-ტექნიკურმა სასწავლებლებმა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა (ამჟამად უნივერსიტეტი), შემდგომ თბილისის, ქუთაისისა და ბევრმა სხვა უმაღლესმა სასწავლებელმა საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდებისგან მოამზადეს ცალკეული დარგის სპეციალისტთა არმია. ამის შედეგი იყო სწორედ ის, რომ ხუცუბნელთა რიგებიდან აღიზარდნენ: პედაგოგები, ექიმები, აგრონომები, ზოოვეტექიმები, ტექნოლოგები, ინჟინრები, ეკონომისტები, იურისტები, სამხედრო სპეციალისტები, მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის დარგის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სახალხო მეურნეობის ცალკეულ სფეროში, განათლების, კულტურის, მეცნიერების სხვადასხვა დარგში, როგორც ადგილზე, ხუცუბანში, ქობულეთის რაიონული

მმართველობის აპარატის შემადგენლობაში, ისე ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ, სახე-ლმწიფო ორგანოებში თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. თავდაუზოგავი შრომით ბევრი მათგანი გასცდა აჭარის ფარგლებს, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქში.

რეჯებ ნიჟარაძე

აჭარაში პირველი უმაღლესგანათლებულები იყვნენ ალამბრელი რეჯებ ნიჟარაძე, ბობოყვათელი იუსუფ ცივაძე, ხუცუბნელი სულეიმან კაიკაციშვილი, ხუსეინ ნაკაიძე, ხუსეინ ბექირიშვილი. ისინი თავიანთი პირადი თვისებებითა და საზოგადოებრივ-ეროვნული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს და თვალსაჩინო როლი შეასრულეს აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების აღორძინება-განმტკიცებაში, კუთხის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათი მაგალითი გზას უნათებდა და სწავლა-განათლების წყურვილს უძლიერებდა მთელი კუთხის, ქობულეთის რაიონისა და სოფელ ხუცუბნის ახალგაზრდებსაც.

ხუცუბნელთათვის სტიმულის მიმცემი იყო ასლან იუსუფის ძე ბაჯელიძე (მასზე ქვემოთ).

გამოჩენილი მხედართუფროსი ასლან ბაჯელიძე ეკუთვნის იმ ქართველი საბჭოთა ოფიცრების პლეადას, რომელმაც მუშურ-გლეხურ არმიაში სამსახური საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაიწყო.

თბილისის სამხედრო მეთაურთა სკოლაში არაერთი ახლგაზრდა ჩაირიცხა ქობულეთის რაიონიდან. ესენი იყვნენ:

ასლან ბაჯელიძე, ხუსეინ ბეჟანიძე, დურსუნ შავიშვილი, იუსუფ მეგრელიძე, ახმედ ვერულიძე, სულეიმან ინაიშვილი.

ხუცუბანი ამაყობს თავისი ღირსეული და სახელოვანი შვილებით. აი ისინი: ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე თხილაიშვილი, სახელოვანი იურისტი ჯემალ ბაჯელიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე (ალი) ბაჯელიძე**, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატები **ხუსეინ და ირაკლი ნაკაიძეები,** ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ჯემალ მესხიძე,** ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თემურ გოგმაჩაძე,** მეცნიერ-მუშაკები: ილია ბაუჟაძე, აკაკი გოგოლიშვილი და სხვები.

ირაკლი ნაკაიძე



ჯემალ მესხიძე

თემურ გოგმაჩაძე

ვინ იყო ასლან ბაჯელიძე?

ასლან ბაჯელიძე იყო ხუცუბნელ ბაჯელიძეთა სახელოვანი წარმომადგენელი. იგი დაიბადა 1912 წელს ღირსებით სავსე პიროვნების იუსუფ ბაჯელიძის ოჯახში.

თერთმეტი წლის ასლან ბაჯელი-ძეს აუხდა ოცნება – ამიერკავკასიაში სამხედრო პოლკის სკოლაში ჩარიცხეს. ბეჯითად სწავლით იმთავითვე მიიპყრო აღმზრდელ-მასწავლებელთა ყურადღება. ამ სასწავლებელში მასთან ერთად

სწავლობდა საქართველოს კომპარტიის ც.კ-ის ყოფილი პირველი მდივანი ვასილ მუავანაძე.

პოლკოვნიკი
ასლან ბაჯელიძე
1912-1983

1926 წელს ახალი კურსდამთავრებული ასლანი უკვე ოცეულის მეთაურია ქ. ბათუმში, პირველი მსროლელი ქართული დივიზიის მეორე პოლკში. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა და უნარიანმა მეთაურმა. 1932 წელს კარგი მუშაობისთვის ასლანი იმავე პოლკის დაზვერვის ასეულის მეთაურად დააწინაურეს. მალე კაპიტნის ჩინით გადაიყვანეს სასწავლო ასეულის მეთაურად.

1936 წელს, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით, ასლანი მოსკოვში გაგზავნეს საქართველოს მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში. დელეგაცია ქვეყნის ხელმძღვანელებმა მიიღეს კრემლში. ოფიცრის პროფესიაზე შეყვარებული ა. ბაჯელიძის სიკოხტავით, აღნაგობით და შემართებით დიდად მოიხიბლნენ ი. სტალინი და კ. ვოროშილოვი. მათ გვერდით მიიხმეს ასლანი, შემდეგ კი სამახსოვრო სურათიც გადაიღეს. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი მაჩვენებელებისთვის ასლან ბაჯელიძე „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს.

1937 წელს ასლანი მოსკოვის ოფიცერთა სამხედრო სასწავლებლის კურსანტია, შემდეგ ერთ-ერთი სამხედრო შენაერთის მეთაური, პოლკის მეთაურთა სკოლის უფროსი, ბატალიონის მეთაური, პოლკის მეთაურის მოადგილე.

1939 წელს, როცა იაპონელები ვერაგულად თავს დაესხნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, იგი თავისი მამაცი მეომრებით მთელი 14 დღე-ღამის განმავლობაში გმირულად ებრძოდა იაპონელ სამურაებს, რომლებმაც არაერთხელ იგემეს ჩვენი მამაცი მებრძოლების ძლიერი დარტყმა. ომის დაწყების დღიდან, ასლანი მეთაურობდა სხვადასხვა პოლკს, შემდეგ 209-ე მსროლელი დივიზიის ერთ-ერთი პოლკის მეთაურად დანიშნეს და იაპონელთა დაჯგუფების მახლობლად გადაიყვანეს. მას დაავალეს დივიზიის პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადება. ფრონტისთვის რეზერვების უნარიანად მომზადებისთვის იგი სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

1943 წელს დეკემბერში ასლან ბაჯელიძე მე-17 არმიის 284-ე მსროლელი დივიზიის მეთაურად დააწინაურეს. დივიზიამ იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ისახელა თავი. 17 დღე-ღამეში ბრძოლებით გაიარა 1200 კმ, შეუძლებელი შეძლო და საბრძოლო დავალება ბრწყინვალედ შეასრულა, რისთვისაც უმაღლესი მთავარსარდლის – ი. სტალინის მადლობა დაიმსახურა, დივიზიას ხონგანსკის სახელი ეწოდა, ხოლო პოლკოვნიკი ასლან ბაჯელიძე წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

1946 წლის ივნისში, მძიმედ დაჭრილ ასლანს ოპერაცია გაუკეთეს, შემდეგ კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში გადმოიყვანეს. წლების მანძილზე იგი იყო ანაპის სახელობის 414-ე წითელდროშოვანი ქართული მსროლელი დივიზიის პოლკის მეთაური, სადაც დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობის საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

ამ დივიზიის ყოფილი მეთაურები, გენერლები – გიორგი ყუფარაძე, გიორგი ყურაშვილი და პეტრე ჩხობაძე, დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოფილი უფროსი, გადამდგარი პოლკოვნიკი ვარლამ ჯანელიძე ყოველთვის ამაყობდნენ ასლან ბაჯელიძით, რომელიც არავის პატიობდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმეში დაუდევრობას, ან უპასუხისმგებლობას. ის გონივრულად წარმართავდა არმიაში

პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა ადამიანებისადმი, მათი პიროვნებისადმი პატივისცემას. თავად ასლან ბაჯელიძე, და ეს გვარსაც ახასიათებს, ხომ კრისტალური სიწმინდისა და მაღალი ზნეობის განსახიერება იყო. იგი 1923 წლიდან 1954 წლამდე, 30 წელზე მეტი, უმწიკვლოდ ემსახურა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების განმტკიცებას. მან შეუბღალავად ატარა ოფიცრის ურთულესი პროფესია. ყოველთვის იყო ცხოვრებაში, საქმიანობასა და მეგობრობაში მაგალითის მიმცემი ადამიანი, რომლის სიტყვა საქმით იყო დამშვენებული.

ასლანმა დიდი სამამულო ომის ფრონტზე ნანახი და განცდილი გაჭირვება შეიძლება დაივიწყა, მაგრამ არ დავიწყებია ის, რაც ამ გაჭირვებამ ასწავლა.

პოლკოვნიკი ასლან ბაჯელიძე (მარცხნიდან პირველი) ნათესავ-ახლობლებთან ერთად

სანიმუშო მხედრული მოღვაწეობის, ფაშისტური გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ძლევამოსილ გამარჯვებაში შეტანილი წვლილისათვის, ასლან ბაჯელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოებული იყო 9 ორდენითა და 12 მედლით, რომ არაფერი ვთქვათ სტალინისგან მიღებულ სახელობით მადლობაზე.

აი, პატიოსანი ადამიანის, სამშობლოსადმი, საზოგადოებისადმი თავდადებული პიროვნების, მაღალმოქალაქეობრივი თვისებები: მოხდენილი ჩაცმულობა, სიფაქიზე, სიდარბაისლე, კეთილსინდისიერებით განვლილი და რწმენით აღსავსე ცხოვრების გზა დიდი მაგალითია, სიცოცხლისა და დროის ფაქტორის უწყვეტობის უტყუარი ფაქტორია, რაც თანაბრად მოქმედებს ყველა დროში, წარსულში, აწმყოში და მიმართულია უკეთესი მომავლის შექმნისათვის. სწორედ ბატონი ასლან ბაჯელიძის 30-წლიანი სამხედრო სამსახური, 70-წლიანი შინაარსიანი საქმით დატვირთული სიცოცხლე არის საუკეთესო ნიმუში ამისთვის.

ასლან ბაჯელიძე კრემლში (უკანა რიგში მარცხნიდან მეოთხე)

ომგამოვლილი, მძიმე წლებგადატანილი, სამშობლოსთვის უანგაროდ გაწეული სამსახურისთვის მოპოვებული ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ბატონი ას-

ლანი 71 წლის ასაკში, 1983 წელს გარდაიცვალა. განისვენებს ბაჯელიძეთა საგვარეულო სასაფლაოზე.

ასლან ბაჯელიძის მხედრულ ნიჭსა და მაღალ მოქალაქეობრივ თვისებებზე საუბრისას მეტად საინტერესო და უპრიანი იქნება მოვიშველიოთ რამდენიმე ამონარიდი პოლიტოლოგ არჩილ ტაკიძის მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის შესახებ დაწერილი მოგონებიდან.

გასული საუკუნის 50-70-იან წლებში, – წერს ა. ტაკიძე, – მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს პარტიის ქედის რაიონულ და აჭარის საოლქო კომიტეტში ვმუშაობდი, აქედან 19 წელი ვასილ მჟავანაძის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მაღალ პოსტზე მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა. რამდენჯერმე მქონდა ბედნიერება, პარტიულ მუშაკთა ვიწრო ჯგუფთან ერთად, პირადად შევხვედროდი და მესაუბრა მასთან. პარტიულ ღონისძიებებზე მრავალჯერ მომისმენია მისი მოხსენებები და გამოსვლები.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი შეხვედრა ვასილ მჟავანაძის დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ, 1984 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში სახელოვანი პოლკოვნიკის ასლან ბაჯელიძის ოჯახში შედგა. ვასილ მჟავანაძე და ასლან ბაჯელიძე უახლოესი მეგობრები იყვნენ, რასაც 1923-1925 წლებში თბილისის მსროლელთა სამხედრო სასწავლებელში ერთად სწავლის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. კურსანტები იმდენად დაუახლოვდნენ ერთმანეთს და დაძმაკაცდნენ, რომ ვ. მჟავანაძე ზაფხულის არდადეგებს ხშირად სოფელ ხუცუბანში, ასლან ბაჯელიძის ოჯახში ატარებდა. სამხედრო ცხოვრებამ შემდგომში მათი ცხოვრება გაჰყარა, მაგრამ ისინი მაინც მტკიცე მეგობრებად დარჩნენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობის პერიოდში ვასილ მჟავანაძე ხშირად ინტერესდებოდა ასლან ბაჯელიძის მდგომარეობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბატონ ასლანს ერთხელაც არ უცდია, დიდი მეგობრის პირადი ინტერესებისთვის გამოყენება, პირიქით, მან უარი თქვა ვასილ მჟავანაძის შეთავაზებულ არაერთ მაღალ თანამდებობაზე.

ასლან ბაჯელიძე 1983 წელს გარდაიცვალა. სხვადასხვა მიზეზის გამო მის დაკრძალვას ვასილ მჟავანაძე ვერ დაესწრო. ოჯახმა მისი ამაღელვებელი დეპეშა მიიღო მოსკოვიდან. მეორე წელს ვ. მჟავანაძე ქობულეთში იმყოფებოდა და მოისურვა ასლან ბაჯელიძის საფლავზე მისვლა. პენსიაში მყოფი ვასილ მჟავანაძე მაინც დიდი პიროვნება იყო და ბაჯელიძეთა საგვარულოსა და ხუცუბნის კოლმეურნეობის სახელოვანმა თავკაცმა ვლადიმერ ბაჯელიძემ პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივანს და აღმასკომის თავმჯდომარეს სთხოვა საპატიო სტუმართან შეხვედრა, მაგრამ

ვასილ მჟავანაძე მეგობრის, მეორე მსოფლიო ომის გმირის, პოლკოვნიკ ასლან ბაჯელიძის საფლავთან

მათ უარი უთხრეს: ჩვენ ამის გაკეთება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნებართვის გარეშე არ შეგვიძლიაო – განუცხადეს მას. ეს არაჯანსაღი დამოკიდებულება ადრე აღიარებული, შემდეგ წასული ხელმძღვანელ-

ისადმი, კომუნისტური რეჟიმის შედეგი გვეგონა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგაც ასე გაგრძელდა და, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება. ხელმძღვანელი ყოველთვის უნდა დაფასდეს, ხელმძღვანელობაშიც და წასვლის შემდეგაც. საუბარია ჭეშმარიტ ხელმძღვანელზე (ავტ.). შეწუხებული ვლადიმერ ბაჯელიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში ჩამოვიდა და მითხრა, მირჩიე, როგორ მოვიქცეო. მე მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობდი და მას ვკითხე: ჩემი დახვედრა საკმარისი თუ იქნება-მეთქი. მან კმაყოფილება გამოთქვა. მეორე დღეს **ვასილ მჟავანაძის** ერთ-ერთ თავგადაკლულ თაყვანისმცემელთან, აჭარის განათლების მინისტრ **ვახტანგ წულუკიძესთან** ერთად, ძვირფას სტუმარს ასლან ბაჯელიძის საფლავთან დავხვდით. მალე ვასილ მჟავანაძე მოვიდა, დიდი გვირგვინი მოიტანა და კარგა ხანს მდუმარედ დასცქეროდა მეგობრის საფლავს. შემდეგ მოკლედ, შთამბეჭდავად ილაპარაკა ასლან ბაჯელიძის პიროვნებაზე, მის კაცურკაცობაზე, საბრძოლო დამსახურებაზე, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მის დიდ როლს უძლეველად მიჩნეული იაპონელთა კვანტუნის არმიის განადგურებაში. მრავალ ორდენსა და მედალს შორის გამოყო უმაღლესი მთავარსარდლის ი.ბ. სტალინის სახელობითი მადლობა, რომელიც საქართველოში 18-მა, ხოლო აჭარიდან მხოლოდ ორმა მებრძოლმა მიიღო.

შემდეგ მასპინძლებმა ასლან ბაჯელიძის სახლში მიგვიპატიჟეს. ბატონი ვასილი ყველაფერს დიდი ინტერესით ათვალიერებდა. გაიხსენა, რომ ასლანის მშობლებს 20-იანი წლების დასაწყისში პატარა ფიცრული ოდა-სახლი ჰქონდათ. „მე და ასლანი მეორე სართულზე, სასტუმრო ოთახში, ვცხოვრობდით, დღეს ყველაფერი შეცვლილი და გალამაზებულია. მაშინ ასეთი დიდი სასახლეები ვის ჰქონდა. ბატონმა ვლადიმერმა მოახსენა, რომ სოფელმა თქვენი ხელმძღვანელობის დროს მოითქვა სული. ეს დიდებული სახლები თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ააშენეს. დიდებულ სკოლას, კულტურის სახლს, ბიბლიოთეკას, კინოდარბაზს და სხვა სიკეთეს გლეხები თქვენ გიმადლიან, ბატონო ვასილ“.

ძვირფასო მკითხველო, პატივცემულნო, სკენდერ მასწავლებლის მოგვარეებო და თანასოფლელო ხუცუბნელებო, ვფიქრობთ, მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ბატონ ასლან ბაჯელიძის დამსახურების უკეთეს შეფასებას ისე ვერავინ შეძლებს, როგორც ვასილ მჟავანაძემ წარმოადგინა,[1] – წერს ბატონი არჩილ ტაკიძე.

შესაძლოა, ვინმემ თქვას, წიგნი ეძღვნება სკენდერ ბაჯელიძეს და ასლან ბაჯელიძეზე ამდენი ლაპარაკი რა საჭირო იყოო. ეს მოუზომავი თანაფარდობა მათზე საუბრისას ხომ არ ჩრდილავს წიგნის მთავარ გმირს? ჩვენ კი ვუპასუხებთ ასეთ ოპონენტს (თუ კი იქნება ვინმე), რომ პოლკოვნიკ ასლან ბაჯელიძეზე რამდენიც ვილაპარკოთ (თუმცა ზომაზე მეტი არაფერი რა ვარგა), სკენდერ ბაჯელიძის პიროვნებას ჩრდილს კი არ აყენებს, პირიქით, მის ავტორიტეტს უფრო ამაღლებს. ბატონი ასლანი ხომ სკენდერ მასწავლებლის არა მარტო მოგვარე, არამედ მისი ბიძაცაა, თანასოფლელია, ხუცუბნელია და არა უცხო. თუ ჩვენ ხუცუბნის, ამ სახელგანთქმული სოფლის საქვეყნოდ აღიარებას აღვნიშნავთ, მის წარსულს, უფროს თაობას ვიხსენებთ, ვსაუბრობთ მის ინტელიგენციაზე, რომლის ფესვებიდან ერთ-ერთი პირველი და სხვებისათვის ტონის მიმცემი ხომ ბატონი ასლანი ბრძანდებოდა. სკენდერ მასწავლებელი (და არა მარტო ის) ამ ინტელიგენციის რიგებში გაიზარდა და ასლან ბაჯელიძე, ესოდენ სახელგანთქმული, სამშობლოსთვის დახარჯული კაცი მისი მკვიდრი იყო და ამაყობდა მისი სახელითა და ავტორიტეტით. ბატონი ასლანი თავისი პიროვნული ღირსებებით დიდი ფიგურა იყო, არა მარტო მშობლიურ კუთხეში, სა-

[1] ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ.), ბათუმი, 2005, გვ. 46-49.

ქართველოში, არამედ მთელი კავშირის მასშტაბით. ის მარტო თავის თავს კი არ ეკუთვნოდა, არამედ სამშობლოს სახელოვანი, საამაყო შვილი იყო. ამდენად, დაგვეთანხმებით, საამაყო და საყოველთაოდ საყვარელი და, მით უმეტეს, ნათესავიც თუა, მასზე ლაპარკი არასდროს ვინმეს ჩრდილად არ გადაიქცევა. მისი სახელისა და ავტორიტეტის მადლი ყველა კაიკაცის დარაჯად და მფარველ ანგელოზად მოევლინება. ასე, რომ კარგი წრის წევრთა ავტორიტეტი მაღლა სწევს თითოეული წევრის ავტორიტეტსაც.

ბატონი ასლან ბაჯელიძე არა მარტო ბაჯელიძეებში, ან ხუცუბანში, ქობულეთში, არამედ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ აღიარებულ მხედართმთავრად დარჩება. მისი სახელი და განვლილი ცხოვრება ლამპარივით გზას გაუნათებს ახალგაზრდობას მომავლის შენებაში.

ვლადიმერ ბაჯელიძე

სოფელ ხუცუბანს ალამაზებენ სხვა ბაჯელიძეებიც, ომის ფრონტზე საბრძოლო შემართებით თუ შრომის ველზე მიღწეული წარმატებებით, რაზედაც ზემოთ აღინიშნა.

პოლკოვნიკ ასლან ბაჯელიძის შემდეგ გამოვყოფდით მის ძმისშვილს, ბატონ **ვლადიმერ ხუსეინის ძე ბაჯელიძეს,** რომლის სახელთანაა დაკავშირებული ხუცუბნის თვალსაჩინო და საკავშიროდ აღიარებული მიღწევები. თავისი მოქალაქეობრივი ღირსებებით, სიდინჯით, თავდაჭერილობით, პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, მშრომელი ადამიანებისადმი მზრუნველობით, სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მმართველობის უნარ-ჩვევებით ხუცუბნელთა და (არა მარტო ხუცუბნელთა) რიგებს ამშვენებდა ვლადიმერ ხუსეინის ძე ბაჯელიძე. ის ამ წიგნის მთავარი გმირის, სკენდერ ბაჯელიძის მომდევნო ძმა გახლდათ. იყო აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკთა გვარდიის ღირსეული წარმომადგენელი, შესანიშნავი სპეციალისტი, გამორჩეული ორგანიზატორი, საკავშირო სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, საკავშირო უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი, იმ დროს აღიარებული სახელმწიფოს უმაღლესი ჯილოდების, ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი.

შრომით მოპოვებული ჯილდოები

ვლადიმერ ბაჯელიძე დაიბადა 1923 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში. შრომითი საქმიანობა სრულიად ახალგაზრდამ 1947 წელს დაიწყო ჩაქვში უბნის აგრონომად და მას შემდეგ ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეს. ვლადიმერი იყო აჭარის მცენარეთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკი, რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მეციტრუსეობის დარგის აგრონომი, ხუცუბნის კოლმეურნეობის უბნის აგრონომი, გვარას კოლმეურნეობის ჯერ მთავარი აგრონომი, შემდგომ თავმჯდომარე.

1962 წელს ბატონი ვლადიმერი აირჩიეს მშობლიური სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. სწორედ მისი ხელმძღვანელობით სრულად იცვალა სოფელმა სახე. შრომის ახალი მეთოდების ფართოდ დანერგვით, მშრომელთა ინიციატივის სტიმულირება-წახალისებით, მისთვის ეკონომიკური ბერკეტების მოქნილად გამოყენებით სოფელი ხუცუბანი გაიყვანა მთელი ქვეყნის მასშტაბით მოწინავეთა რიგებში. ვლადიმერ ბაჯელიძის ხელმძღვანელობით, სოფელი იღებდა ჩაისა და ციტრუსის სარეკორდო მოსავალს, რისთვისაც მთავრობის არაერთი ჯილდო დაიმსახურა. მისი თაოსნობით ჩატარდა რესპუბლიკური ყრილობა სოფლად სანიმუშო წესრიგსა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, რამაც ფართო გამოხმაურება პოვა საქართველოს ყველა რეგიონში.

ვლადიმერ ბაჯელიძეს პენსიაში გასვლის შემდეგაც არ შეწყვეტია აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა. მისი გამოცდილებით არაერთი საზოგადოებრივი საკითხი მოგვარებელა ქობულეთის რაიონში.

1998 წელს წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ორგანიზატორი, გულისხმიერი, თავმდაბალი, სამშობლოზე, ოჯახზე, ხალხზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, დატოვა აღიარებული სახელი და დაუვიწყარი საქმეები. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება არა მარტო მეგობრების, კოლეგების, ახლობლების, ხუცუბნელების, ბაჯელიძეთა გვარის, არამედ ხეობის ისტორიაში, – აღნიშნულია ვლადიმერ ბაჯელიძის შესახებ აჭარის სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მიერ მომზადებულ ნეკროლოგში (მასზე საუბარი ქვემოთ).[1]

ვლადიმერ ბაჯელიძის მადლიანი გზა და ტრადიციები გააგრძელა გიორგი ბაჯელიძემ.

ხუცუბნელ ბაჯელიძეთა გვარის 50 ოჯახს შორის ერთ-ერთი **ქემალ ხუსეინის ძე ბაჯელიძის** (1893-1963) (მეუღლე

[1] ვლადიმერ ბაჯელიძე (ნეკროლოგი), გაზ. „აჭარა“, 4 ნომერი, 1998, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენზილე ხასანის ასული ხაბაზი, 1895-1979 წწ.) ოჯახი გახლავთ. მათი შვილები არიან: **სევერიანე, ალექსანდრე, გიორგი.**

სევერიანე დაიბადა 1912 წელს. მან ჯერ საფინანსო-ეკონომიკური კურსები, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა. ცხოვრობდა ბათუმში, მონაწილეობდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ომის შემდეგ მუშაობდა ხუცუბნის კოლმეურნეობის ბუხჰალტრად, 1950 წლიდან – აჭარის სახალხო კონტროლის კომიტეტში, იყო აჭარის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე. ბოლოს აჭარის ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო საკონტროლო ჯგუფის უფროსი. ომგამოვლილი ვეტერანი 1982 წელს, 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. დასაფლავებულია ხუცუბანში ბაჯელიძეთა საგვარეულო საფლავზე.

ალექსანდრე ბაჯელიძე

სევერიანის მომდევნო ძმა იყო **ალექსანდრე** (ალი) (1923-1985 წწ.) დაამთავრა ხუცუბნის საშუალო სკოლა. როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, 1941 წელს უგამოცოდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების გამო, სწავლა ვეღარ განაგრძო და ოჯახში დაბრუნდა. როგორც ფრიადოსანი, დანიშნეს წყავროკის შვიდწლიანი სკოლის ფიზიკა-მა-თემატიკის მასწავლებლად. 1942 წლის მაისში გაიწვიეს ფრონტზე. მონაწილეობდა მრავალ საბრძოლო ოპერაციაში, მათ შორის, იბრძოდა ბერლინთან. 1945 წლის ბოლოს, ომგადახდილი მეომარი, ორდენებით და მედლებით მკერდდამშვენებული, დემობილიზებულ იქნა. 1946 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ არა იურიდიულ, არამედ ეკონომიკურ ფა-

კულტეტზე. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იქვე დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო და სადოქ-ტორო დისერტაციები და გახდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქ-ტორი, პროფესორი. გამოქვეყნებული ჰქონდა 56 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 4 მონოგრაფია. სპეციალისტთა დიდი ყურადღება დაიმსახურა მისმა არაერთმა ნაშრომმა, განსაკუთრებით კი „აჭარის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის აქტუალურმა საკითხებმა“.

ალექსანდრე ბაჯელიძემ დიდი როლი შეასრულა პოლიტიკური ეკონომიკის სახელმძღვანელოს შექმნაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიის შესწავლაში. მან ამ თემაზე არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა. მათგან აღსანიშნავია მონოგრაფიები, რომლებშიც შესწავლილია აჭარის ეკონომიკის ისტორია 1878-1921 წლებში (რუს. ენაზე), სოციალისტური ეკონომიკის წარმოშობა და დამკვიდრება აჭარაში (1921-1940 წწ), აჭარის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები[1] და სხვ. სამეცნიერო მოღვაწეობასა და საზოგადოებრივ საქ-მიანობაში მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ომში მამაცობისათვის მიღებული ჰქონდა რამდენიმე ჯილდო, მათ შორის მედალი „მამაცობისათვის“. ალექსანდრე ნაყოფიერი და პერსპექტიული მეცნიერი იყო. მაგრამ ავტოკატასტროფაში მოხვედრამ შეარყია მისი ჯანმრთელობა. გარდაიცვალა

გიორგი ბაჯელიძე

[1] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ., IV, ბათუმი, 2012, გვ. 539.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1985 წელს. დასაფლავებულია მშობლიურ სოფელში, ბაჯელიძეთა საგვარეულო სასაფლაოზე.

ალექსანდრე ბაჯელიძემ და მისმა მეუღლემ, თინა მალანიამ, სამშობლოს გაუზარდეს ორი შვილი – ციური და გურამი, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში და აგრძელებენ ოჯახისა და გვარის ტრადიციებს.

ქემალ ბაჯელიძის მესამე ვაჟიშვილმა **გიორგიმ** (დაიბადა 1931 წელს) 1956 წელს დაამთავრა ხუცუბნის საშუალო სკოლა, ერთხანს მუშაობდა სოფლის კლუბის გამგედ, შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, დაამთავრა კაუნასის სახელმწიფო საოფიცრო სკოლა და 1954 წელს დაასრულა სამხედრო სამსახური თადარიგის ოფიცრის ჩინით. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ იგი მუშაობდა ხუცუბნის კოლმეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1955 წელს ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამე-ურნეო ინსტიტუტში, ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტზე (დაუსწრებლად); 1961 წელს დაამთავრა აღნიშნული უმაღ-ლესი სასწავლებელი აგრონომის სპეციალობით. 1957 წლიდან მუშაობდა უმცროს აგრონომად, მცენარეთა დაცვის აგრონომად, მთავარ აგრონომად. იყო საკოლმეურნეო პარტიული კომიტეტის მდივანი, 1983-1993 წლებში კი ამავე კოლმეურნეობის თავკაცი. არის დამსახურებული ეკონომისტი, არჩეულია ქ. ქობულეთის საპატიო მოქალაქედ. ჰყავს მეუღლე ნაზი გოგმაჩაძე, რომელიც ამჟამად პენსიონერია. მათ გაზარდეს შვილები: ირინა, ლევანი და ილია. სამივე უმაღლესი განათლებითაა. ირინა ნიჟარაძეების რძალია, ცხოვრობს ქ. ქობულეთში, ლევანი ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, ხოლო ილია – ქობულეთის სამხედრო კომისარიატში.

გიორგიმ, როგორც სოფლის თავკაცმა, როგორც ზემოთ ითქვა, ღირსეულად გააგრძელა წინამორბედის, ვლადიმერ ბაჯელიძის სახელოვანი ტრადიციები და კარგი სახელი დატოვა სოფლის მოსახლეობასა და რაიონის ხელმძღვანე-

ლობაში. დღეს გიორგი პენსიონერია და ოჯახში საქმიანობს, თავს ირთობს შვილიშვილებზე ფერებით და მათი წარმატებებით ხარობს.

რეზო ბაჯელიძის ოჯახი. მეუღლე რუსუდანი, შვილები: მზია და დავითი

რეზო ბაჯელიძე სკენდერ მასწავლებლის ბიძაშვილია. დაიბადა 1926 წელს ხუცუბანში. დაამთავრა საშუალო სკოლა, მწვანე კონცხის ტექნიკუმი. მუშაობდა საბუღალტრო აღრიცხვის ხაზით სხვადასხვა დაწესებულებაში.

1968 წელს დაუსწრებლად დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. მუშაობდა ხუცუბნის მილიონერ კოლმეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო გვარას უბნის უფროსი აგრონომი, საიდანაც გავიდა პენსიაში.

დატოვა კარგი ოჯახი – მეუღლე რუსუდანი, შვილები: ნანა, მზია, დათო. ყველა უმაღლესი განათლებით. რეზო გახდა ბაბუაც. გარდაიცვალა 2010 წლის 15 აგვისტოს. განისვენებს საგვარეულო სასაფლაოზე.

ხუცუბნელთა საამაყოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოფლის მკვიდრნი დაწინაურდნენ არა მარტო ქობულეთის რაიონულ, არამედ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანოებში. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელად, აჭარელ მკვიდრთაგან პირველად დაწინაურებულ დავით მამულაძის[1] (რომელმაც

[1] ს. დუმბაძე, ვლ. მამულაძე, ხიხანის საარწივოდან, ბათუმი, 1998.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაამართლა ხალხის, ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების ნდობა და იმედები, გაალღო აჭარისა და აჭარლებისადმი უნდობლობის ყინული), შემდეგ აირჩიეს ხუცუბნის მკვიდრი,

ალექსანდრე თხილაიშვილი

იმ დროს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსანდრე თხილაიშვილი**, იგი თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე უნარიანად მართავდა აჭარას, აგრძელებდა წინამორბედთა სახელოვან ტრადიციებს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ ალექსანდრე თხილაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას პროფესორმა შოთა ჯაფარიძემ მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი.[1] ამიტომ აქ მოკლედ ხაზს ვუსვამთ მის დიდ დამსახურებას არა მარტო ხუცუბნელების, არამედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრთა წინაშე. ამიტომ მათზე საუბარს ამით დავასრულებთ.

ჯემალ ბაჯელიძე

ხუცუბნელ ბაჯელიძეთა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო **ჯემალ ბაჯელიძეც** (დ. 1926 წ.). ჯემალმა აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიიღო იურისტის სპეციალობა. 1949-1952 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში, საგამოძიებო განყოფილების პროკურორად, 1952 წელს სრულიად ახალგაზრდა დააწინაურეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ. 1953 წელს მას

[1] შ. ჯაფარიძე, ხალხის სამსახურში, ბათუმი, 2003.

ირჩევენ აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ და იმავე წელს – აჭარის იუსტიციის მინისტრად. იყო აჭარის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აჭარის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი (1961-1962 წწ.) აჭარის პროკურორი (1963-1974 წწ.), შემდგომ ისევ იუსტიციის მინისტრი (1975-1989 წწ.), საიდანაც გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. ბოლო წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. იგი იყო ერუდირებული პიროვნება და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. იურისტი, უაღრესად პატიოსანი, პრინციპული და მართლმსაჯულების ერთგული მსახური. ჯემალ ბაჯელიძე თანაბარი ობიექტურობით წყვეტდა როგორც ადამიანთა უფლებების, ასევე, სახელმწიფო ინტერესების დაცვის საკითხებს. სამართლებრივ ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობით, მან დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდასა და დაოსტატებაში. მისი პროფესიონალიზმი, სახელმწიფოსადმი დამსახურება, მოქალაქეობრივი ღირსებები, გაწეული საქმიანობა დაფასდა სახელმწფო ჯილდოებით, იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. იგი 70 წელს გადაცილებული, გარდაიცვალა, განისვენებს მშობლურ სოფელში, ბაჯელიძეთა საგარეულო სასაფლაოზე.[1]

ლევან ბაჯელიძე

ხუცუბნის მკვიდრია **ლევან ბაჯელიძე**, რომელიც დაიბადა 1934 წლის 15 აგვისტოს. დაამთავრა: ხუცუბნის საშუალო სკოლა (1953 წ.) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი სწავლული აგრონომის დიპლომით (1962 წ.), ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა (1972წ.) დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სოხუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტში, მიენიჭა სოფლის მეურნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმსახურა ჯარში, მუშაობდა სამკურნალო მცენარეთა საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალურ საცდელ სადგურში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1988-2006 წწ.) ამავე სადგურის დირექტორი იყო. გამოცემული აქვს 41 სამეცნიერო ნაშრომი. მიღებული აქვს ორი საავტორო მოწმობა ისეთი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში, როგორიცაა: ვენბლასტინი და ლივიტოზონი, რომლებიც გამოიყენება ლეიკემიის სამკურნალოდ.

ჯუმბერ ბაჯელიძე

ჯუმბერ ბაჯელიძე, დაბადებული 1932 წლის 19 თებერვალს, ხუცუბანში. 1951 წელს დაამთავრა ხუცუბნის საშუალო სკოლა, 1960 წელს – ბათუმის სუბტროპიკული ტექნიკუმი და მუშაობდა კვირიკეს მეურნეობაში აგრონომად. პარალელურად, დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (1968 წ.). სხვადასხვა დროს იყო ხუცუბნის კოლმეურნეობაში არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 1992 წლიდან პენსიონერია. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

საერთოდ, ყველა ქართველისათვის, განსაკუთრებით, ხუცუბნელთათვის საამაყოა ის ფაქტიც, რომ მათი რიგებიდან ორი ნიჭიერი ახალგაზრდა დაეწაფა ხელოვნებისა და კულტურის ისეთ დარგს, როგორიცაა თეატრი. საქართველოს სახალხო არტისტები – **იუსუფ კობალაძე** და **მერაბ ხინიკაძე**, თბილისში უმაღლესი თეატრალური განათლების მიღების შემდეგ, მოღვაწეობდნენ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ნაყოფიერი მოღვაწეობით, სამსახიობო არტისტიზმით, შესრულების

[1] ჯემალ ბაჯელიძე (ნეკროლოგი), გაზ. „აჭარა“, 18 ივნისი, 1997.

იუსუფ კობალაძე – საქართველოს სახალხო არტისტი

მერაბ ხინიკაძე – საქართველოს სახალხო არტისტი

ორიგინალური მანერებითა და გარდასახვის ვირტუოზული ნიჭით, მაყურებელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. თეატრალური ხელოვნებისა და საქართველოს ისტორიაში მათი სახელები უკვდავია. დაუვიწყარია იუსუფ კობალაძის მიერ შექმნილი სახეები – ოიდიპოს მეფე, ოტელო, ბაგრატიონი, ბექირ გურჯიძე, არსენა. აგრეთვე, დაუვიწყარია მერაბ ხინიკაძის მიერ შესრულებული როლები: კიკვიძე, ნაპოლეონი, ურიელ აკოსტა, ნეზმანოვი, იაგო, ერეკლე მეფე, კარტაშოვი, გიუა, სელიმ ხიმშიაშვილი, პაპა ონისე, თევრათი და სხვა მრავალი. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობით დაკავებულნი იყვნენ, არ ივიწყებდნენ მშობლურ სოფელს, ზრუნავდნენ მასზე, მონაწილეობდნენ სოფლის ყველა ღონისძიებაში, ახარებდნენ თანასოფლელებს, შნოსა და ლაზათს მატებდნენ ხეობის ღონისძიებებს.

რაკი ხუცუბნელთა ხელოვნებაზე ვლაპარკობთ, აქვე შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი ხელოვანი ამ სოფლიდან, რომელსაც, მართალია, კლასიკური თუ სპეციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი ვირტუოზულად უკრავდა ჩონგურზე, ჭიბონზე და კარგადაც ამღერებდა ძველ და ახალ სიმღერებს. ბევრ სიმღერას თავად ქმნიდა ხოლმე. მას არა მარტო ხუცუბანსა და ქობულეთის რაიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც იცნობდნენ, როგორც მეჩონგურე თუ მეჭიბონე ხუსია ბაჯელიძეს (მის შესახებ იხ. ვრცლად ქვემოთ).

ხუცუბნელთა შორის ბევრი სახელოვანი და ქებული ადამიანია. მივესალმებით ყველას თითოეულად, ცალ-ცალკე, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს გაერთიანებულ, გამთლიანებულ, გამდიდრებულ, ყველა ადამიანით დასაქმებულ, ყველა საოჯახო ყულაბაგადიდებულ, ბოლომდე გადემოკრატებულ საქართველოში. ბოდიშს ვიხდით იმ ხუცუბნელთა წინაშე, რომლებზეც წერას ვერ ვახერხებთ, წიგნის მოცულობის, საგამომცემლო საქმიანობის წესებით შეზღუდლობის გამო, და გთხოვთ, მოგვიტეოთ.

წარმოდგენილი წიგნის წაკითხვას ვანდობთ თითოეულ ხუცუბნელს. მართალია, წიგნი შემოიფარგლება ბაჯელიძეებზე საუბრით, მაგრამ თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა, ძვირფასო ხუცუბნელებო, ამ სტრიქონებსაც გამოვაყოლეთ.

§3. ბაჯელიძეთა გვარის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის შესახებ

როგორც ზემოთ ვთქვით, სოფელი ხუცუბანი საინტერესოა არა მარტო თავისი გეოგრაფიულ-რელიეფური მდებარეობით, კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობებით, მრავალფეროვანი ფლორა-ფაუნით, ისტორიული წარსულით თუ გა-

დატანილი ბრძოლებით, არამედ საყურადღებოა აგრეთვე საკუთარი დემოგრაფიული სურათითაც.

ხუცუბანში ცხოვრობენ ძირძველი, მეტად ცნობილი და აღიარებული გვარები: ანთაძეები, ბაბულაძეები, ბაჟუნაიშვილები, ბაუჟაძეები, ბაჯელიძეები, ბლადაძეები, გოგიტიძეები, გოგმაჩაძეები, გორგილაძეები, დუმბაძეები, ემირიძეები, თხილაიშვილები, კაიკაციშვილები, კობალაძეები, კონცელიძეები, მეგრელიძეები, მოწყობილები, მჟავანაძეები, ნაკაიძეები, ნემსაძეები, ოქროპირიძეები, სტამბოლიშვილები, ქათამაძეები, შუბალიძეები, ცეცხლაძეები, ხინიკაძეები.

სოფელი თანდათანობით იზრდებოდა აჭარის მთიანი რაიონებიდან ჩასახლებული თუ საქართველოს სხვა რეგიონებიდან, ან კიდევ ქობულეთის სხვა სოფლებიდან განსახლებულების ხარჯზე. ამიტომ აქ მცხოვრებ ძირძველ გვარებს შორის გაჩნდა ახალი გვარები: ართმელაძეები, ბათნიძეები, ბერიძეები, ბოლქვაძეები, დავითაძეები, დიასამიძეები, ვაშაყმაძეები, ვასაძეები, კახაძეები, მიქელაძეები, ლომიძეები, მგელაძეები, სოლომონიძეები, სურმანიძეები, კოჩალიძეები, შავაძეები, შაინიძეები, ცივაძეები, ხახუტაიშვილები, ხოზრევანიძეები და სხვ.

სკენდერ ბაჯელიძის ბიძაშვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დავინახეთ ჩამოთვლილ გვარების შორის ერთ-ერთი ძირძველი, ცნობილი ბაჯელიძეთა გვარია.

გვარ-სახელებზე საუბრისას ზოგადად მაინც უნდა ვიცოდეთ ორი მთავარი მომენტი: პირველი, გვარ-სახელების წარმომავლობის თეორია და, მეორე, გვარის ისტორია. ზოგადი მონაცემების საფუძველზე კი უნდა მოხდეს საკვლევად აღებული გვარის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის გაანალიზება. ამგვარად, გვარ-სახელების პრობლემის გარკვევისთვის საჭირო თეორიული ბაზა, რაც სხვადასხვა კუთხით შემუშავებულია ქართველ მეციერ-მკვლევართა შრომებში. ყველაზე დიდი როლი შეასრულეს ლექსიკოგრაფებმა და ლექსიკოლოგებმა. ამ საქმეს საქართველოში ფუძე დაუდო სულხან-საბა ორბელიანმა. მან შექმნა „სიტყვის კონა“, რომელიც არის ლექსიკონი ს. იორამიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით (თბ., 1948). ეს საშვილიშვილო საქმე განაგრძო თედო ჟორდანიამ, რომელმაც შექმნა „ქრონიკების“ სამტომეული. მასში, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, განხილულია არაერთი გვარ-სახელი. ამას მოჰყვა 1924 წელს ს. კაკაბაძის „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, 1961 წელს - ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“ (ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით); 1964 წელს – ალ. ღლონტის „ქართული ლექსიკონი, ქართული გვარსახელები“; ზურაბ ჭუმბურიძის „რა გქვია შენ?“ (1971 წ.), ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1975 წ.), ტბეთის სულთა მატიანე, რომელიც გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ (1977 წ.); ილია მაისურაძის „ქართული გვარსახელები“ (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები (1981 წ.); კონა გიგინეშვილის მიერ გამოცემული „ბერძნული და რომანული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსკონი“ (1985 წ.); ალ. ღლონტის „საკუთარი სახელები: ქართველური სახელები“ (1986 წ.); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული (1986

წ.) და მრავალტომეული; როლანდ თოფჩიშვილის „XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერა საქართველოში," ჟურ. „მნათობი", №12 (1981 წ.); ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის „გვარ-სახელები საქართველოში" (1997 წ.), იაკობ ახუაშვილის „ქართული გვარ-სახელები საქართველოში", ხუთტომეული, IV, (2004 წ.) უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შედგენილი მ. ჭაბაშვილის მიერ, მეორე გამოცემა (1989 წ.); არაფერს ვამბობთ საქართველოს ისტორიის დიდ კორიფეებზე (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა და სხვა მრავალი), რომელთა ცალკეულ ნაშრომებში განხილულია ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხები.

ერის, ქვეყნის, მისი შემადგენელი ნაწილების, რეგიონების, ოლქების, ხეობების, სოფლებისა თუ ქალაქების ისტორიის სრულყოფილად შესწავლა მოითხოვს გვარების ისტორიის შესწავლასაც. ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრება-საქმიანობა – მოღვაწეობის მონოგრაფული გამოკვლევისთვის საჭიროა მისი წინაპრების ვინაობის გარკვევა. წინაპრების აღსანიშანვად კი უძველესი დროიდან გაჩნდა ადამიანთა სახელები და გვარები. სახელი ერთი პიროვნების საკუთარი სახელია, ამდენად ყველა პიროვნებას თავისი, საკუთარი სახელი აქვს. საკუთარი სახელი კი გაჩნდა ადამიანის აზროვნების დაწყების დროიდან, ერთიმეორისგან ადამიანების გასარჩევად. ამისათვის ადრე სახელი საკმარისი იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში ადამიანების ერთმანეთისაგან – თავისი სეხნიასგან გასარჩევად-საჭირო დარჩა დამატებითი სახელი, ანუ გვარი, რომელიც აერთიანებდა სისხლით ნათესავებს, გვაროვნულ, ტომობრივ გაერთიანებებს. ამდენად პირველად გაჩნდა სახელი, ხოლო შემდეგ გვარი, რამაც გაადვილა საზოგადოების წევრთა ურთიერთობა.

საინტერესოა ისიც, რომ თითქმის ყველა ხალხში სახელი ანსხვავებს კაცსა და ქალს. ბევრ ენაში (რუსული, თურქული), სქესის გარდა სახელითა და გვარით გამოკვეთილია ნათესაობაც. ამასთან, არის კაცისა და ქალის საზიარო სახელებიც, მაგალითად, გიული, სულიკო, გუგული, დოდო, ია და სხვა მრავალი. სახელი „გიული" საქართველოში 3548 ქალს ჰქვია და 606 მამაკაცს, „დოდო" – 6530 ქალს და 163 მამაკაცს, „სულიკო" – 3803 ქალს და 4680 მამაკაცს, „ია" – 13215 ქალს და 148 მამაკაცს და ა.შ.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარ-სახელი ისეთი ფენომენია, რომლის შესასწავლად არსებობს არაერთი მეცნიერება, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით იკვლევენ გვარ-სახელთა საკითხებს.

გვარ-სახელების ისტორიაზე წარმოდგენა რომ გვქონდეს, საჭიროა ვერკვეოდეთ ისეთ ტერმინებში, როგორიცაა ონომასიოლოგია და ონომასტიკა.

ონომასიოლოგია (ონომატოლოგია), ბერძნული სიტყვაა და ერთი გაგებით ნიშნავს ამა თუ იმ ენაში არსებულ საკუთარ სახელთა ერთობლიობას, მეორე გაგებით – ენათმეცნიერების ნაწილია, რომელიც საკუთარ სახელებს სწავლობს.

ონომასტიკა (ონომასტიკონი) იგივე ონომასიოლოგიაა, მისი პირველი გაგებით. მაშასადმე, ონომასტიკა (ონომასტიკონი) ნიშნავს საკუთარ სახელთა ერთობლიობას, ხოლო ონომასიოლოგია (ონომატიოლოგია) გულისხმობს საკუთარ სახელთა შეწავლას, კვლევას.

გარდა აღნიშნულებისა, არსებობს კიდევ სხვა ტერმინები: ანთროპონიმიკა და ანთროპონიმია. პროფესორი ალექსანდრე ღლონტი თავის ნაშრომში „ქართული საკუთარი სახელები"[2] განმარტავს, რომ პირველი ტერმინი – ანთროპონიმიკა (ბერძ.) ონომატოლოგიის ნაწილია, რომელიც ადამიანთა საკუთარი სახელების სისტემას სწავლობს. მეორე ტერმინი – ანთროპონიმია იკვლევს, სწავლობს ადამიანთა საკუთარ სახელებს. ონომასტიკონში ერთიანდება სხვადა-

[1] ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.
[2] ალ. ღლონტი, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1964, გვ.

სხვა ტერმინები: ანთროპონიმები (ადამიანთა საკუთარი სახელები), ეთნონიმები (ტომთა და ხალხთა სახელები), ზოონიმები (ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა სახელები), ტოპონიმები (ადგილის სახელები), ჰიდრონიმები (მდინარეთა, ტბათა, ზღვათა სახელები).

თანამედროვე ანთროპონიმიკა თუ ონომასტიოლოგია საკუთარ სახელებს ორი ასპექტით იკვლევს: 1. დესკრიპტულად (ე.ი. დღევანდელი ვითარების მიხედვით) და 2. დიაქრონულად (ე.ი. განვითარების ისტორიის ჩვენებით). ჩვენ კი უნდა ვიცოდეთ, რომ გვარის ისტორიის შესწავლისათვის საჭიროა ორივე ასპექტის (დესკრიპტული და დიაქრონული) მიხედვით მსჯელობა.

ქართველ მეცნიერთა და ლექსიკოლოგთა ნაშრომების მომარჯვებით შეიძლება ნებისმიერი გვარის წარმომავლობაზე მსჯელობა.

ქართული გვარები მეტად მრავალფეროვანია წინაპრების თვალსაზრისით. რაკი გვარი გრძელდება მამის ხაზით, ამიტომ უმთავრესად გავრცელდა და განივრცო მამაკაცთა სახელები და არა ქალთა.[1]

პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის განმარტებით, მამის სახელი გვარის ფუძედ იქცა, ჩადგა ნათესაობით ბრუნვაში, ე.ი. დაემატა „ის“ ფონემა (ბრუნვის ნიშანი), აგრეთვე „ძე“ (დასავლეთ საქართველოში) და „შვილი“ (აღმოსავლეთ საქართველოში). ამ გზით მივიღეთ შვილისა და მომდევნო მის მემკვიდრეთა შტოს გვარი. დროთა განმავლობაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი **ს** დაიკარგა, მაგრამ იგი დაცულია ძველ თხზულებებსა და დოკუმენტებში წარმოდგენილ ისეთ გვარებში, როგორიცაა: საბანისძე, აბუსერისძე, ჩოლოყასშვილი, ქავთარასშვილი და სხვა.

[1] ზ. ჭუმბურიძე, ლექსიკონი, რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 43-44; ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, ხუთტომეული, ტ. IV, თბ., გვ. 1052-1059.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა **ძე** და **შვილისა** ქართულ გვარებს აწარმოებს აგრეთვე **ია, უა(ვა)**. ამათგან **ელ** და **ურ (ულ)** სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსებია. მეგრულ გვარებში გავრცელებულია **ვა** და **ია** სუფიქსები, რომლებიც **უან/იან** დაბოლოებისგან უნდა იყოს მიღებული.

საინტერესოა ქართული გვარების მაწარმოებელ ცალკეულ ფორმატთა რაოდენობა საქართველოში:

1. ძე – 1 649 222;
2. შვილი – 1 303 723;
3. ია – 494 224;
4. ავა – 200 642;
5. იანი – 129 206;
6. ური – 76 044;
7. უა – 74 817;
8. ელი – 55 017;
9. ული – 25 729;
10. ში – 7 263;
11. სკირი – 2 375;
12. ჭვირი – 1 831;
13. ყვა – 1 023.[1]

ქართული გვარი მყარია თავისი ბუნებით. იგი აერთიანებს სისხლით ნათესაობას და იცავს მისი წევრების ღირსებას. მათში ადამიანის საკუთარი სახელის ტაბუირების ტრადიციაც ყოფილა, ზოგან დღესაც კი შემიჩნევა ეს პროცესი. ცოლს არ შეეძლო ქმრის სახელის ხსენება და, პირიქით, ქმარს - ცოლისა. ეს იყო ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთისადმი მოკრძალების გამოხატულება და ტრადიციად ქცეული ტაბუ. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „ფშაველი ქმარი და მისი ცოლი ისე დაჰბერდებიან, რომ ერთმანეთს სახელს არ დაუძახებენ – ეს უნამუსობად, სირცხვილად მიაჩნდათ“.[2] ასეთ შემთხვევაში ცოლი ქმარს მოუძებნიდა, ქმარი - ცოლს ერთმანეთზე მიმართვისათვის დამატებით, არაოფიციალურ, ამასთან მოფერებით, საიდუმლო სახელს.

საქართველოში გვარები ძირითადად VI საუკუნიდან გაჩნდა. დღევანდელი გვარების უმრავლესობა კი XIV-XV

[1] ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.
[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ., V, თბ., 1961, გვ. 10.

საუკუნეებიდან მომდინარეობს. თანდათანობით ვითარდებოდა გვარი, ხდებოდა მისი განშტოება, განტოტვა. ამ გზით ჩნდებოდა მონათესავე გვარები.

გაჩნდა მოსაზრება, რომ ქართული გვარი ძველი წელთაღრიცხვის სიღრმეში მიდის. ასე, მაგალითად: ფიფია, თურია, თარია, შარია, გახარია, მალია, ფაია, ხარია, ფაცია და მრავალი სხვა.[1]

გვარ-სახელების შესახებ ზოგადი თეორიული და ისტორიული ექსკურსის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ უშუალოდ საიკთხზე, რომელიც განსახილველი თემის შემადგენელი ნაწილია. მხედველობაში გვაქვს ხუცუბნის ერთ-ერთი აღიარებული ბაჯელიძეთა გვარი.

ისმის კითხვა: როგორია ამ გვარის წარმომავლობა, ან რა ეტიმოლოგიური ახსნა მოეძებნება მას?

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად მოვიძიეთ გვარ-სახელების შესახებ არსებული არცთუ ისე მწირი ლიტერატურა. ბაჯელიძეთა გვარის შესახებ მსჯელობას წავაწყდი პროფესორ იაკობ ახუაშვილის ნაშრომში „ქართული გვარსახელები“.[2] ავტორის ვარაუდით, გვარი „ბაჯელიძე“ წარმომდგარია „ბაჯი“-დან. რა არის ბაჯი? ქართულ ენციკლოპედიაში „ბაჯი“ განმარტებულია, როგორც სოფელი ამბროლაურის რაიონში (დადიშის სასოფლო საბჭო), რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირას, ზღვის დონიდან 620 მ, ამბროლაურის რაიონული ცენტრიდან 22 კმ მანძილზე.[3] პროფესორი ი. ახუაშვილი წერს, რომ სიტყვა „ბაჯი“ იხმარება ორი ასპექტით: პირველი, როგორც გეოგრაფიული სახელი და მეორე – როგორც თურქული სიტყვა (მოისმინა თურუქლად მოლაპარაკეთა

[1] ს. გოგიტიძე, ქაშქა-აბეშლა: აფხაზურ (აფსუა)-ადიღეური თუ ქართველური მოდგმა? ბათუმი, 2010, გვ. 513.

[2] იაკობ ახუაშვილი (ალგეთელი), ქართული გვარ-სახელები, ხუთტომეული, ტ. IV, თბ., 2004, გვ. 1052-1059.

[3] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1977, გვ. 257.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველებაში), ნახა თურქულ ლექსიკონში და გაიგო, რომ „ბაჯი“ თურქული სიტყვაა და იხმარება რამდენიმე მნიშვნელობით: 1. თავანი, სხვენი, 2. სალიტერატურო თურქულ ენაში – სარკმელი, სახურავში სინათლისა და ჰაერისათვის გამოჭრილი სარკმელი, 3. და, დეიდა, 4. ბაჯანადი – ქვისლი. ჩვენ დავამატებთ მის მეხუთე მნიშვნელობას – ბაჯი-ბაჯა, რაც ნიშნავს კედელსაც, სახლის სხვენსაც (ქსე), მაღალ ადგილსაც.

პროფ. იაკობ ახუაშვილი იმასაც ამბობს, რომ ძნელია იმის თქმა, რომ გვარ-სახელი „ბაჯელიძე“ ამ ტერმინიდან „ბაჯი“ – მომდინარეობს, მაგრამ საეჭვო არ უნდა იყოს მისი ამ გვარის გურიის სოფელ „ბაჯ“-თან დაკავშირება, რომლიდანაც წარმოქმნილად მიიჩნევა, ანუ ტოპონიმად თვლიან. მკვლევარი იმასაც ამბობს, რომ თუ დავაფიქსირებთ, რომ ბაჯელიძე „ბაჯიდან“ მომდინარეობს, ტოპონიმიკურად არსებობს ამნაირი წარმოშობის გვარები; მაგალითად, ასეა მიღებული ცურტავ-ელ-ი ცურტავიდან, რუსთავ-ელ-ი – რუსთავიდან, მაჩაბ-ელ-ი მაჩაბიდან, წერეთ-ელ-ი – წერეთიდან, ჯავ-ელ-ი-ძე – ჯავიდან, მუსხ-ელ-ი-შვილი – მუსხიდან, ჯაყელ-ი – ჯაყიდან, ხულ-ელ-ი-ძე, ხულადან (ყაზბეგის რაიონში სოფელია ხულა, ხულელიძეებიც ბევრია), ხიხა-ძე – ხიხა-დან (ხიხანიდან, ხიხაძირიდან) და სხვა მრავალი.

ბატონ იაკობ ახუაშვილს ვეთანხმებით, რომ ბაჯ-ი-დან მომდინარეობს გვარი „ბაჯელიძე“, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია „ბაჯის“ ახსნა თურქული ენის ბაზაზე, ან მისი დაკავშირება გურიის ბაჯთან (გურიაში ასეთი სოფელი არაა დაფიქსირებული). გურიაში ბაჯელიძეები ცხოვრობენ ოზურგეთის რაიონის სოფლებში ბახვში, მერიაში და ნატანებში. პირველ შემთხვევაში ბაჯი გეოგრაფიული სახელია, ესე იგი ტოპონიმია, მეორე შემთხვევაში მას სულ სხვა გაგება აქვს, ნათესაობას გამოხატავს. გეოგრაფიული „ბაჯის“ ნათესაობის აღმნიშვნელ თურქულ „ბაჯთან“ დაკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება არაფრით არ შეიძლება, რადგან ქართული „ბაჯი“ და თურქული „ბაჯი“ ომონიმებია, ფორმით მექანიკურად ჰგავს ერთმანეთს, საქართველოში არსებული ტოპონიმების ახსნა უპირველესად უნდა ვეძიოთ მშობლიურ ენაში და თუ საკმარისი არ აღმოჩნდა ეს, მაშინ მივმართოთ სხვა ენას. ჩვენ გვეჩვენება, რომ ბაჯელიძის ძირიდან აღებული „ბაჯი“-ს ახსნა, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვეძიოთ რაჭაში. რაკი რაჭა, კოლხეთთან შედარებით, მაღალი ადგილია, შესაძლებელია „ბაჯი“ თუ „ბაჯა“ მაღალ ადგილსაც ნიშნავდეს. ჩვენი მოსაზრებით, „ბაჯი“ არის ქართული სიტყვა „ბაჯ-ბაჯი“ (დათვი ბაჯ-ბაჯით დადიოდა) ან კიდევ ზანტად, ნელა მოსიარულე ადამიანზე იტყვიან „ბაჯბაჯით დადისო“. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ბაჯელიძის ძირი „ბაჯი“-ს ახსნა უნდა ვეძიოთ ქართულ ენაში, მის რაჭველურ კილოკავში.

მკვლევარი მიუთითებს იმასაც, რომ აჭარაში ბაჯელიძეთა პირველი ადგილსამყოფელი ქობულეთის რაიონის სოფელი ხუცუბანია. გადმოცემით, აქედან ნაწილი ქედის რაიონში, სოფელ (ალიქოღლებში) – ოქტომბერში (ქედის რ-ნი) გადასულა საცხოვრებლად. შემდეგ მოხდა მათი განტოტვა. ახლა არიან ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოში, ანგისაში, ქ. ბათუმში, ქობულეთში, მაჭახლის ხეობის სოფელ ცხემლნარაში კი იყვნენ ბაჯიშვილები. ბაჯელიძეები ცხოვრობენ აგრეთვე სოფელ ახალშენში (ხელვაჩაურის რ-ნი – ავტ.). აქვე ბატონი ი. ახუაშვილი იმოწმებს ოქტომბრელ ზებურ ბაჯელიძის (ბათუმის სატრანსპორტო პოლიციის ყოფილი უფროსის) მონათხრობს: „ჩემი წინაპრებიდან ვიცი, რომ გურიიდან გადმოსულან ხუცუბანში, ხოლო იქიდან ასულან ოქტომბერში. გვაქვს მიმოსვლა ხუცუბნელ და გურულ ბაჯელიძეებთან. ვიცით, რომ ერთი მოდგმისანი ვართ. აქ აჭარაში გვარი არ შეგვიცვლია. ამას ადასტურებს 1912 წელის არჩევნებთან დაკავშირებით შედგენილი სია, რომ-

ლშიც მოხსენიებული არიან იუსუფ ბაჯელიძე და ქობულეთელი ცნობილი ბრმა მეჩონგურე ხუსეინ ბაჯელიძე, რომელიც ტკბილი ხმით ასრულებდა ძველ და ახალ სიმღერებს.“[1]

თუ სოფელში არსებულ გადმოცემებს, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, და ბატონ ი. ახუაშვილის მოსაზრებებს შევაჯერებთ, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ბაჯელიძეთა გვარი (როგორც თავად ბაჯელიძეები ამბობენ), რაჭიდან მოსულან ხუცუბანში, ხოლო (ალიქოღლებელ) ზებურ ბაჯელიძის თქმით, გურიიდან მოსულან ხუცუბანში. ამ ორივე მოსაზრების და იმის გათვალისწინებით, რომ „ბაჯი“ გეოგრაფიული სახელია (რაჭაში), შეიძლება გავაკეთოთ სავარაუდო დასკვნა ბაჯელიძეთა გვარის წარმომავლობისა და მათი მოძრაობის მარშრუტის, ანუ გავრცელების გეოგრაფიის შესახებ, რომ ეს გვარი ჩამოყალიბდა რაჭაში, ამბროლაურის რაიონში, შემდეგ ჩამოვიდნენ ბარად, კოლხეთის დაბლობზე, გურიაში (ოზურგეთის რ-ნი), თუ აჭარაში, ხუცუბანში (ქობულეთის რ-ნი). ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხუცუბნიდან გადავიდნენ ოზურგეთში, ან, პირიქით. ამას გვავარაუდებინებს ამ გვარის საქართველოში განსახლების გეოგრაფიული სურათი. საქართველოს სამოქალაქო რეესტრის 2011 წლის მონაცემებით, ბაჯელიძეები ცხოვრობენ: თბილისში 89 (კაცი – 47, ქალი – 42); გურიაში, კერძოდ, ოზურგეთში – 247 (კაცი – 118, ქალი – 129); ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში თითო სული (და ისიც ქალი); აჭარაში 461 (კაცი – 220, ქალი – 241), აქედან ქობულეთის რაიონში 187 (კაცი – 99, ქალი – 88), ბათუმში 121 (კაცი – 57, ქალი – 64); ხელვაჩაურის რაიონში 115 (კაცი – 48, ქალი – 67); ქედაში 38 (კაცი – 16, ქალი – 28); რუსთავში 4 (კაცი – 2, ქალი – 2). თითო-ოროლა სული (გათხოვილი

[1] ი. ახუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1052-1059.

ქალი) ცხოვრობს ბოლნისში, გულრიფშში, გურჯაანში, ოჩამჩირეში.[1]

ჩვენი ვარაუდის მიხედვით, ამ გვარის მოძრაობის მარშრუტიც ასე გვესახება:



პირველ შემთხვევაში გეოგრაფიული ტერმინი „ბაჯი“ ადგილის აღმნიშვნელი ტოპონიმია, მეორე შემთხვევაში ის არც გეოგრაფიული და არც ტოპონიმიკური ტერმინია. იგი აღნიშნავს საცხოვრებელი სახლის გარკვეული ფუნქციის მატარებელ ნაწილს (საკვამლე მილი, ან სარკმელი). ჩვენ ვეთანხმებით პატივცემულ პროფესორს, რომ ეს „ბაჯი“ არის ტოპონიმი და გვარი ბაჯელიძეც წარმოდგენილია ამ სიტყვიდან. მაგრამ როგორ?

ვაჯამებთ რა მსჯელობას ბაჯელიძეთა გვართან დაკავშირებით და მის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის შესახებ, გამოვთქვამთ ჩვენს ვარაუდს.

ჩვენი აზრით, „ბაჯელიძე“ უკავშირდება ამბოლაურის რაიონის სოფელ „ბაჯ“-ის გეოგრაფიულ ტოპონიმს. ეს კარგად ჩანს ამ სიტყვის შემადგენელ ნაწილებად – ფონემებად დაშლით: ბაჯ-ი, ბაჯ-ელ-ი, ბაჯ-ელ-ის-ძე (ბაჯ-ელ-ი-ძე). აქ „ბაჯი“ არის გეოგრაფიული პუნქტი, სადაც ამ გვარის პირველი პირი დასახლდა. -ელ – იქ დასახლებული პირის სადაურობაზე მიმანიშნებელი სუფიქსია, -ის – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, -ძე – პირველად დასახლებული პიროვნების, მისი შთამომავალთა შვილია, რაც სპეციფიკურია ქართული გვარებისათვის, უმთავრესად დასავლეთ საქართველოში. დროთა განმავლობაში ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი „ს“ დაიკარგა, საბოლოოდ მივიღეთ გვარი „ბაჯელიძე“. თუ კარგად დავუკვირდებით, ამ გვარის ეტიმოლოგიურ განვითარებაში შეინიშნება რამდენიმე ეტაპი: 1) ბაჯი, 2) ბაჯ-ელ-ი, 3) ბაჯ-ელ-ის-ძე და 4) ბაჯელიძე.

ამგვარად, ბაჯელიძეთა გვარმა ეტიმოლოგიურად ასეთი გზა გამოიარა და საბოლოოდ მიიღო დადგენილი ფორმა. საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი ამ გვართან დაკავშირებით. ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ რაიმე დოკუმენტი, ან თუნდაც ზეპირსიტყვიერი გადმოცემა იმის შესახებ, თუ როდის მომხდარა რაჭიდან ბაჯელიძეთა მიგრაცია კოლხეთის დაბლობზე, აჭარა-გურიაში თუ გურია-აჭარში. გვარის განვითარების ეტაპების და მიგრაციის ქრონოლოგიის დადგენა მომავალი კვლევის საკითხია. ამათან, საინტერესოა ისიც, რომ რაკი „ბაჯი“ ქართული გეოგრაფიული ტოპონიმია და აქედან ბაჯ-ელ-ი კი სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა, იგულისხმება, რომ ბაჯიდან სხვაგან წასული ყველა ადამიანი ბაჯელად იწერება და აქედან განვითარდა საბოლოოდ დღევანდელი, ჩვენთვის საინტერესო გვარი ბაჯელიძე. აქვე შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ ბაჯელიძეებს, ვიდრე ბაჯში ცხოვრობდნენ, შესაძლებელია სხვა გვარი (?) ჰქონდათ და შეიძლება ისიც, რომ ისინი ახლაც ცხოვრობენ რაჭაში ძველი გვარით. ვინც კი წამოვიდა იქიდან, ბაჯელიძეებად (სოფლის სახელი შეინარჩუნეს) დაიწერეს, მოხდა გვარის

[1] საქართველოს სამოქალაქო რეესტრი, www.cra.gov.ge, 2011 წ.

განშტოება, გენეალოგიურად კი ის მათ (ადგილზე დარჩენილთ) და წამოსულ ბაჯელიძეებს ერთი საერთო ნათესაური კოდი აქვთ. როცა ჩვენ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ვამბობთ, რომ ბაჯელიძეები დღეს რაჭაში არ ფიქსირდება, ეს შემთხვევითი არაა, ვინაიდან ეს გეოგრაფიული ტერმინი ბაჯი-დან წამომდგარი სადაურობის აღმნიშვნელი ბაჯელიძე სწორად მიუთითებს იქ მცხოვრებთა ბაჯიდან სხვაგან წასვლაზე. აქ საძიებელია ბაჯელიძეთა გენეალოგიური წარსული გვარი (თუ კი იქნება, გურიაში, დღევანდელ ბახვში).

ზემოთ მოტანილი სტატისტიკური მონაცემბიდან ჩანს, რომ რაჭაში, ამბროლაურის რაიონში, რომელსაც ბაჯელიძეთა გვარის წარმომავლობის საწყისად ვთვლით, ამჟამად ამ გვარიდის არავინ ცხოვრობს. ან თუ არიან, ძველი, შესაძლოა სხვა გვარისანი არიან. ეს ხომ არ გამორიცხავს ბაჯელიძეთა რაჭიდან წარმომავლობის ფაქტს? თუ ამ აზრს დავეთანხმებით, მაშინ საფიქრებელია, რატომ მიუთითებს ხუცუბნის ბაჯელიძეების (ამ გვარის ყველაზე მრავალრიცხოვან კომპაქტურ დასახლებაში) გადმოცემით მათი რაჭიდან წარმომავლობის შესახებ? ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბაჯელიძეების გვარი არ ფიქსირდება რაჭაში, ბაჯელიძეთა გვარის რაჭიდან წარმომავლობის საკითხი საეჭვო არ უნდა იყოს, რადგან „ელ“ სუფიქსიანი გვარი წარსულ მოსახლეობაზე მიუთითებს.

რაჭა, მართალია, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა, მაგრამ ისტორიის ქარტეხილების დროს მტრის მუდმივი თავდასხმების ობიექტი იყო, ამასთან, უგზოობის გამო, ცხოვრების მძიმე პირობებიც ართულებდა და მოსახლეობა ნაწილ-ნაწილ ჩამოდიოდა ბარში. სწორედ ამ მოტივით უნდა ავხსნათ ბაჯელიძეთა გვარის რაჭიდან ბარად, კოლხეთის დაბლობში ჩამოსახლება. ის კი დაუდგენელია, სად დასახლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ და სოფლის სახელი გვარად აქციეს (ბაჯელიძე) პარალელურად აჭარაში (ხუცუბანში) თუ გურიაში (ოზურგეთში).

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ სტატისტიკას, ჩანს, რომ ბაჯელიძეები ყველაზე მეტი აჭარაში არიან (461 სული), რომ ბაჯელიძეები აჭარიდან გურიაში (247 სული) და ამ ორი რეგიონიდან თბილისში თუ საქართველოს სხვა რეგიონებში (შეიძლება, უცხოეთშიც) გადავიდნენ.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ გურიაში სოფელი „ბაჯი“ არ ფიქსირდება და ყოველივე ამას არგუმენტად მივიღებთ, შეიძლება ვიფიქროთ იმაზეც, რომ ბაჯელიძეები რაჭიდან ჩამოსახლდნენ აჭარაში (ხუცუბანში), იქედან კი აჭარის სოფლებსა და გურიაში სხვადასხვა მიზეზით, არ გამოვრიცხავთ რელიგიურ აღმსარებლობასაც. თუ რელიგიურ ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, მაშინ გამოდის, რომ რაჭიდან ბაჯელიძეთა მიგრაცია აჭარაში მოხდებოდა ოსმალთა ბატონობის დაწყებამდე. ვინც მაჰმადიანობა მიიღო მშობლიური ენის შენარჩუნების მიზნით, დარჩა აჭარაში, ხოლო ვინც ვერ შეეგუა და არ მიიღო სხვა სარწმუნოება, გადავიდა საქართველოს ქრისტიანულ ტერიტორიაზე – გურიაში და ახლაც ცხოვრობენ, შესაბამისად, გურიაში – ბახვსა და ნატანებში.

მ ე ო რ ე გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

სკენდერ ბაჯელიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

§1. მშობლები

მშობლის სიყვარული ყველა
სათნოების საფუძველია.
ციცერონი

ბევრი დათესეთ, ბევრიც მოიმკეთ,
სიყვარული და პატივისცემა,
თქვენგან ვისწავლეთ და შთავიგონეთ
კაცურკაცობა, სინდისი, შრომა.
ვანო გაბაიძე

შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ქობულეთის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ხუცუბანში დაიბადა სკენდერ ხუსეინის ძე ბაჯელიძე. ეს იყო 1921 წლის 27 აპრილი. აპრილი ხომ ბუნების მაცოცხლებელი, გაზაფხულის ულამაზესი თვეა. იმ წლებში ხუსეინ ბაჯელიძის ოჯახისთვის აპრილის ყველაზე გამორჩეული დღე 27 რიცხვი იყო. ის პირველი შვილის, პირველი თოფის გავარდნის, ოჯახის სიხარულისა და ბედნიერების მაუწყებელი დასამახსოვრებელი დღე გახდა. გახარებული მშობლები – თავს ევლებოდნენ პირველ პირმშოს. პატარას სკენდერი დაარქვეს.

კარგი მშობლები ჰყავდა სკენდერს. დედის მხრივ იგი წულუკიძეთა გვარს ენათესავებოდა. დედა, ოჯახის წევრებისა და მეზობლების დახასიათებით, გამოირჩეოდა სათნოებით, შრომისმოყვარეობით, თავაზიანობით, სტუმართმოყვარეობით, ტრადიციებისადმი ერთგულებით. კარგი გვარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, კარგ ოჯახში დაბადებული და გაზრდილი **მერიემ ხუსეინის ასული წულუკიძე** ქართველი მანდილოსნის ღირსებით აღსავსე ქალბატონი ყოფილა. იმ დროს, როცა მერიემს სწავლის ასაკი შეუსრულდა, სოფელში სკოლა არ ყოფილა. სწავლის წყურვილი ვერ მოიკლა, ოცნებად დარჩა, თუმცა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში („ლიკბეზი“) ისწავლა წერა-კითხვა. სკოლების მასობრივად გახსნამდე ასეთი სკოლები არსებობდა XX ს. 20-30-იან წლებში. დიდი სურვილის მიუხედავად, სკოლაში ბოლომდე ვერ ისწავლა, რადგან გათხოვდა. 1919 წელს თანასოფლელ, დარბასიელი აღნაგობის ახალგაზრდასთან, ხუსეინ ბაჯელიძესთან შექმნა ოჯახი. მათ 60 წელი ერთად ზიდეს მძიმე, მაგრამ ტკბილი ცხოვრების უღელი და ასე გაატარეს თავიანთი შინაარსიანი, პატიოსანი და შრომით დატვირთული ცხოვრება. ქალბატონი მერიემი დიდი რუდუნებით ჩაება საოჯახო საქმიანობაში, რაც მეუღლის სამსახურსა და ექვსი შვილის აღზრდას მოანდომა. ბედნიერი დედა მოესწრო შვილების დაქორწინება-დაოჯახებას. იგი იყო, არა მარტო ბედნიერი დედა, არამედ შვილიშვილების მზრუნველი ბებია და შვილთაშვილების – დიდი ბებიაც. მან დიდი სიყვარული დაიმსახურა და ავტორიტეტი მოიხვეჭა, არა მარტო კარგი რძლობითა და დედობით, არამედ აგრეთვე კარგი დიასახლისობითა და სტუმართმოყვარეობით. იგი გაჭირვებულებისა და ქვრივ-ობლებისადმი ყურადღებით გამოირჩეოდა სოფელში – მეზობლებში, ნათესაობაში. ამიტომ უფრო მეტად უნდოდა სიცოცხლე, რათა დამტკბარიყო თავისი ნაშრომ-ნაამაგარით, შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულით, მაგრამ ცხოვრება მუხთალია, როდის დაგიდებს კვანტს და დაგიცურდება ფეხი, არ იცი. 1992 წელს 92 წლის ასაკში, ქალბატონი მერიემი გარდაიცვალა, განისვენებს ხუცუბნის მაღლიან მიწაში ბაჯელიძეთა საგვარეულო სასაფლაოზე.

სკენდერ ბაჯელიძის მშობლები:
დედა – მერიემ წულუკიძე (1900-1992),
მამა – ხუსეინ ბაჯელიძე (1880-1980)

ქალბატონ მერიემის მაღალმოქალაქეობრივი თვისებები არა მარტო სახელოვანი მშობლების (ეს მთავარი ფაქტორია კარგი რძლობისთვის) კარგი აღზრდის შედეგი იყო და გენეტიკური კოდით მომდინარეობდა, არამედ ამას აღრმავებდა, აძლიერებდა და ემატებოდა აგრეთვე ქმრის, ბატონი ხუსეინისადმი ერთგულება, დაფასება, ყურადღება და მეგობრული დამოკიდებულება. სწორედ ამაზე იტყვიან: კაცი ქალით კაცობს, ქალი კაცით ქალობსო.

ნათქვამიდან ჩანს, რომ სკენდერ ბაჯელიძეს ჰყავდა არა მარტო კარგი დედა, არამედ კარგი, ყურადღებიანი მამა. ისინი სითბოს და მზრუნველობას არ აკლებდნენ ერთმანეთს და ოჯახს.

სკენდერ ბაჯელიძის მამა – **ხუსეინი, მემედ ბაჯელიძის** ოჯახში უფროსი შვილი ყოფილა. იგი დაიბადა 1880 წელს სოფელ ხუცუბანში. ბავშვობა თანატოლ ბიძაშვილებსა და ნათესავ-მეზობლებთან ერთად გაატარა. მძიმე ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ მზრუნველი მშობლების ხელშეწყობით სწავ-

ლას დაეწაფა. რაკი მაშინ სოფელში ქართული სკოლა არ ყოფილა, ისწავლა ქობულეთის რუსულ დაწყებით სკოლაში, სადაც ასწავლეს რუსული წერა-კითხვა, ხოლო ქართული წერა-კითხვა თავად ისწავლა, დამოუკიდებლად. „როცა ქართულად დავწერდი, – იხსენებდა შვილებთან და შვილიშვილებთან საუბარში ბატონი ხუსეინი, – მასწავლე-ბელი სახაზავით გაგვწკეპლავდა – რატომ წერ ქართულა-დო.“ ასე იყო საქართველოში მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის დროს, რუსიფიკატორული პოლიტიკის პერიოდში. გასული საუკუნის 20-იან წლებამდე იგი ვაჭრობით იყო გატაცებული. შემდგომ კი საკოლმეურნეო ცხოვრებაში ჩაება. ხუსეინი გამრჯე, წელგამართული მეურნე, შრომისმოყვარე და კეთილი კაცი ყოფილა.

ბატონმა ხუსეინმა ოჯახი, როგორც ზემოთ ითქვა, თანასოფელელ ხუსეინ წულუკიძის ადიარებულ ოჯახში გაზრდილ მერიემ წულუკიძესთან შექმნა და 60 წელი ერთად ჭიმეს ცხოვრების ჭაპანი. ექვსი შვილი აღზარდეს და ცხოვრების გზაზე დააყენეს. მათ ჰქონდათ შეხმატკბილებული ცხოვრება, ნახეს გაჭირვებაც, დალხინებაც, მაგრამ ურთიერთპატივისცემით იოლად ლახავდნენ ცხოვრების დაბრკოლებებს. ასეთ პირობებში გაზარდეს ბავშვები: **სკენდერი, ვლადიმერი, შუქრი, ზია, ფათუშა და ქესკინი**. ფათუშა და ზია ადრეულ ასაკში გამოეთხოვნენ სააქაოს და ზეციური საქართველოს მკვიდრნი გახდნენ, დანარჩენები გაიზარდნენ, დავაჟკაცდნენ, დაოჯახდნენ და მშობლების გული გაახარეს, თავადაც კარგი ცხოვრება შექმნეს.

მართალია, ხუსეინ ბაჯელიძეს კლასიკური განათლება არ მიუღია, მაგრამ თვითგანათლების გზით იმდენს მიაღწია, რომ სოფელში (და არამარტო სოფელში) ერთ-ერთი ადიარებული პიროვნება იყო: დინჯი, სიტყვაძვირი, თავდაჭერილი, ჭკუასაკითხავი, კეთილშობილი, მოყვასის ერთგული, უფროსების მომსმენი და დამჯერი, უმცროსებზე მზრუნველი

და დამრიგებელი, გაჭირვებულებზე, ქვრივ-ობლებზე თუ მეზობლებზე უხმაუროდ და უანგაროდ ხელისგამწოდებელი, შრომისმოყვარე პიროვნება. ასეთ კაცზე არსებობს კარგი შინაარსით დატვირთული ტერმინი „კარგი ბერიაო.“ ქობულეთში კი იტყვიან კარგი ხუცია, მოხუცი, თუ უხუცესიაო. სხვათა შორის, სოფლის სახელსაც ადგილზე შემორჩენილი ძველი ფოლკლორული გადმოცემის მიხედვით, ხუცუბნელთა ერთი ნაწილი უკავშირებს „ხუცებს“ – უხუცესებს და მიღებულია „ხუცუბანი.“ რა თქმა უნდა, აქ, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ტერმინის სასულიერო აზრი, არამედ ხანდაზმულ და ჭკვიან კაცზე იტყვიან, რომელიც გამოირჩევა სიტყვაძვირობით, ჭკუით, ბრძნული აზრებით, მამაშვილური დარიგებებით, კაცი, რომელსაც ყველა უსმენს და უჯერებს.

დიდი შრომა-ჯაფა გამოვლილი, საუკუნის ასაკს მიღწეული, ხუსეინ ბაბუ გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, 1980 წელს. განისვენებს მშობლიურ სოფელში, საგვარეულო სასაფალაოზე, მეუღლის გვერდით.

ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი ხუსეინ ბაბუაზე საუბრისას მოვიგონოთ ერთი საინტერესო ეპიზოდი.

აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში პრესის მასალების დამუშავებისას გაზეთ „აჭარის“ ერთ-ერთ ნომერში წავაწყდით წერილს სათაურით: „მეჭიბონე ხუსეინ ბაჯელიძე“.

მართალი გითხრათ, გაგვეხარდა, სკენდერ მასწავლებლის მამა მეჭიბონე, ხელოვნების კაცი ყოფილაო (მისი მამაც ხომ ხუსეინია). დავინტერესდით, გვეჩქარებოდა მასწავლებელთან შეხვედრა ამ საკითხის დაზუსტებისათვის (სხვათა შორის, სისტემატურად ვხვდებოდით მასწავლებელს, ან ის გვეწვეოდა ოჯახებში). მალე კიდევაც შევხვდით. საუბარი ჩამოვაგდეთ მშობლებზე, მოვიგონეთ პრესაში „აღმოჩენილი“ „მეჭიბონე ხუსეინ ბაჯელიძე“, გვაინტერესებდა ეს ხელოვანი კაცი მისი მამა იყო, თუ უბრალოდ, სახელ-გვარის დამთხვევა მოხდა. მამამისზე ჩვენ მანამდე არაფერი ვიცოდით და არც მას უთქვამს მის საქმიანობაზე თუ ხელოვნებაზე.

ჩვენი საუბარი მასწავლებელს ესიამოვნა, რომ ჩვენ, მისმა მოწაფეებმა, მის მამაზე ყურადღება გავამახვილეთ. „დღევანდელი ზოგიერთი ახალგაზრდა მოსწავლე თუ სტუდენტი, სამწუხაროდ, მასწავლებლის თუ ლექტორის სახელ-გვარს ერთად ვერ დაგვისახელებს, – გაკვირვებით, უფრო სწორად, გაოგნებული, თითქმის საყვედურშერეული ტონით, ოდნავ მაღალი ხმითა და ღიმილნარევი სახით მოგვმართა სკენდერ მასწავლებელმა, – მასწავლებლის მშობლებზე საუბარი რა ენაზე მოსატანია. თქვენ კი მასწავლებლები ყველა გახსოვთ და მასწვლებლის მშობლებითაც ინტერესდებით. დიდი მადლობა ამისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ, მართლაც, გულწრფელები ხართ მასწავლებელთა მიმართ, რამ „გაგაგიჟათ“, რით „მოიწამლეთ“ ასე მაგრად. რა გაგიკეთეთ ასეთი?!“ სიხარულგამოხატული გაკვირვებით, ოდნავ აწეული ხმით, წარმოთქვა ნასიამოვნებმა მასწავლებელმა ჩვენი ემოციური საუბრის შემდეგ. ერთხანს შეწყდა საუბარი, შეჩერდა, პაუზა გაკეთდა, სახეზე წითელი ალმური მოედო. ცუდად ხომ არ ხართ, სკენდერ მასწავლებელო? – შეწუხებულნი გაცხარებით მივმართეთ მას. პაუზის შემდეგ უხმაუროდ, ზევით აწეული ხელით გვანიშნა, არა, კარგად ვარო. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ის რაღაცას გვიმალავდა. ნათქვამია, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო. თვალებში ცრემლები რომ შევამჩნიეთ, მაშინ მივხვდით, რომ დიდად გახარებულს, ომის მძიმე წლებგამოვლილს, გრძნობებმა უღალატაო. ვერ ვიტყვით, არ ვიქნებით მართალი. მან გრძნობის კარნახით გადმოვარდნილი ცრემლებით გამოხატა ჩვენდამი მადლიერება და კმაყოფილება იმ დამოკიდებულებისა და ყურადღებისთვის, სითბოსა და დაფასებისთვის, რასაც ჩვენში ხედავდა – მასწავლებლის მიმართ რომ ვავლენდით (სხვათა შორის, მშობლის შემდეგ მასწავლებელი ჩვენთვის

იყო ყველაფერი, პირველ ინფორმაციას სკოლაში მისგან ვისმენდით). დამშვიდდა, ამოისუნთქა, კიდევ ერთხელ თბილი სიტყვებით მადლობა გამოხატა, ჩაგვეხუტა, გულზე მიგვიკრა, მოგვეფერა საკუთარი შვილებივით და განაგრძო საუბარი ჩვენს მიერ დასმული თუ დასაზუსტებელი კითხვის პასუხად თავიდან ფეხის ტერფამდე კმაყოფილმა მასწავლებელმა. ეს ისეთი საინტერესო ეპიზოდი იყო და ასეთი დიდაქტიკური სცენა გათამაშდა, ჩვენდა უნებურად, ამას ნამდვილად არ ველოდით. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, ენა ვერ ამოვიღეთ მასწავლებლის ამ მიმიკაზე. მის თვალებში ჩამდგარმა ცრემლებმა ჩვენც დაგვატყვევა და, ალბათ, უბრალო მკითხველისთვის ძნელად წარმოსადგენია ეს მომენტი. ჩვენც ცრემლები ჩაგვიდგა თვალებში. – „დიდი მადლობა, ახალგაზრდებო!“ – გაიმეორა მასწავლებელმა, მიხარია და იმედი მაქვს, თუ გაიზრდება ასეთი თაობა (და უნდა გაიზარდოს), როგორიც თქვენ ხართ, დარწმუნებული ვარ, საქართველო მარად იქნება...

როგორც იქნა, ემოციური გრძნობები მოვთოკეთ მასწავლებელმაც და მისმა მოსწავლეებმაც. ჩვენმა დიდოსტატმა განაგრძო საუბარი: „ბიჭებო, მთავარი სათქმელი, რამაც მე ამაფორიაქა, დაგვრჩა. ახლა დავუბრუნეთ „მეჭიბონე ხუსეინ ბაჯელიძეს“ – თქვენი წაკითხული წერილი მამაჩემს არ ეხება. ის არ იყო ჩემი მამა. მეჭიბონე ხუსეინი ჩემი ბიძა იყო. ეს სახელების უბრალო დამთხვევაა. მამაჩემის ბიძაშვილი მე ბიძად მხვდება. ის იყო ხუშუტის ძე, მამაჩემი მემედის ძე. ისე კი ის ვირტუოზულად, ორიგინალურად უკრავდა ჭიბონზეც და სხვა ინსტრუმენტებზეც. სიმღერასაც აყოლებდა. ჩვენში აღიარებული მეჭიბონე იყო. უყვარდა ხელოვნება. თქვენი კი არ მიკვირს, ბევრი სხვაც მეკითხებოდა ამის თაობაზე. რა თქმა უნდა, კარგი კაცი იყო, უყვარდა ხალხს, პატივს სცემდა მას. ხელოვნებათმცოდნეები ბევრჯერ წერდნენ მის შესახებაც. აქვე დაგვისახელა გუგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბისონიას წიგნი „საგუნდო ხელოვნების მოამაგენი“ (ბათუმი, 1974). წიგნის მე-19-20 გვერდები მასზეა დათმობილი. აწი დაიმახსოვრეთ მისი (ე.ი. მამის) ბიძაშვილი ჩემი ბიძაც იყო და აღიარებული, არა მარტო ბიძაშვილებში, ბაჯელიძეებში, არამედ მთელ სოფელში, ქობულეთში. ხელოვნების მუშაკთა შორისაც. რაკი ჩემს შინაურ პიროვნებას ასეთი ყურადღებით მოეკიდეთ, არა აქვს მნიშვნელობა, ჩემი ბიძა იყო თუ მამის ბიძაშვილი, მე მადლობას მოგახსენებთ ხელოვანისა და ხელოვნებისადმი ასეთი გატაცებული სიყვარულისათვის...“

ხუსია (ხუსეინ) ბაჯელიძე პოპულარული პიროვნება ყოფილა არა მარტო ბაჯელიძეებში თუ ხუცუბანში, არამედ ქობულეთში და აჭარის ფარგლებს გარეთაც. ამაზე მეტყველებს მასზე შექმნილი ლექსი „ხალხური მეჩონგურე“.

„ბაჯელიძეს ვინ არ იცნობს, სახელად ჰქვია ხუსია,
ხელში ჩონგური უჭირავს, ყველაზე უკეთესია,
ისე ხუცდება მგოსანი, ცუდი არ დაუთესია.
მელექსეობს მაღალი ხმით, მეჩონგურეთა წესია,
ბაჯელიძე, თქვენ იცოცხლეთ, ჩვენ ვიქნებით მოხარული,
ნამეტანი კარგი რომ ხარ, ამხანაგის მოყვარული“.

ცნობილი პატრიოტის, ხალხური მთქმელის – **ხასან თხილაიშვილის** ლექსში ვკითხულობთ:

„ქობულეთში საამაყო ხუსია ბაჯელიძეა,
გვიცოცხლოს ღმერთმა, ზრდილობით კარგი კაცი,
ორგულების მიმართ კი მეტად სერთი“ (მკაცრი – ავტ.).

ხუსეინ ბაჯელიძე ლექსებს თავადაც იგონებდა და ამღერებდა კიდევაც (სამწუხაროდ, მისი ყველა ლექსი და სიმღერა ჩვენამდე მოღწეული არაა).

მიუხედავად იმისა, რომ იგი ბრმა იყო, ვერ ხედავდა, ხუცუბანში აღიარებული ხალხური მთქმელი და მეჭიბონე – მეჩონგურე კაცი, იმედნად საყვარელი ადამიანი იყო, რომ ხალხში ზედმეტად „ბრმა ხუსია“-ს სახელით არავინ მიმართავდა, ყველა დაგისახელებდა, როგორც „მეჩონგურე“ ან „მეჭიბონე“ ხუსიას.

კიდევ ერთი, მაგრამ, ჩვენი აზრით, დაუჯერებელი ფაქტი ამ ქებული ადამიანის შესახებ. 1938 წელს თბილისში გამოცემულ ა. ხინთიბიძის წიგნში „გურული ფირალები“ ჩამოთვლილია კოწია ცეცხლაძე, პროკოფი ჭყონია, გოგა ლომჯარია, ხუსეინ (ხუსია) ბაჯელიძე და სხვები.

ვის გაუგონია ბრმა კაცი და ფირალი? ამას ხომ კომენტარი არ სჭირდება, ანდა, ხელოვან კაცს რა აფირალებდა?

აი, როგორი დედ-მამა, ნათესაობა ჰყავდა სკენდერ ბაჯელიძეს. გასაგებია ისიც, თუ როგორ გაიზრდებოდა იგი ასეთი მზურნველი და სწავლამოწყურებული, მაგრამ ამ მხრივ ოცნებააუხდენებელი მშობლების ხელში. რა თქმა უნდა, მშობლებმა, დიდი სურვილის მიუხედავად, სკოლის არარსებობა და ცხოვრების მძიმე პირობების გამო, ვერ ისწავლეს, მაგრამ ამით გული არ აუცრუებიათ. სამაგიეროდ, მთელი ენერგია, შრომა და ჯაფა მოანდომეს შვილების ნორმალურად აღზრდა-განათლებას, ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ამაში ხედავდნენ ისინი შვილების კარგ მომავალსა და ბედნიერებას. ეს იქნებოდა მათი სიცოცხლის გაგრძელებაც და თავსითავად მათი (მშობლების) გახარებაც.

სწავლა-განათლებით დაინტერესებული, მეტად მოწადინებული დაუოკებელი სურვილით გაჟღენთილი მშობლების ხელში გაატარა ოჯახის პირველმა სიხარულმა, პატარა სკენდერმა თავისი ბავშვობა. მისი ბავშვობა დაემთხვა ახალი ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების ხანას, როცა ჯერ კიდევ ახლად იმსხვრეოდა ძველი ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივი, მოძველებული, დახავსებული ყოფა და ადათ-წესები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვიდრდებოდა ახალი ურთიერთობები. გარდამავალი პერიოდის ასეთ მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება მოსახლეობას.

მიუხედავად სიძნელეებისა, იხსნებოდა სკოლები, ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები, იქმნებოდა განათლების სისტემა, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის, უგზოობის, უტრანსპორტობის გამო, ყველას ხელი არ მიუწვდებოდა სწავლა-განათლების მიღებაზე და ბევრი ნიჭიერი, სწავლამოწყურებული ახალგაზრდის ცხოვრება შემოიფარგლებოდა მხოლოდ დაწყებითი, საუკეთესო შემთხვევაში, შვიდწლიანი სკოლის დამთავრებით. ცოტათი შეძლებულები ახერხებდნენ ტექნიკუმებში შესვლას, ან სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას, რადგან, 1935 წლამდე ბათუმში უმაღლესი სასწავლებელი, ინსტიტუტი არ არსებობდა, მანამდე მის ფუნქციას ასრულებდა პედაგოგიური სასწავლებელი, რომელსაც მასზე დაკისრებული ფუნქციის გამო, ეწოდებოდა აჭარისტანის პედაგოგიური სასწავლებელი. 1935 წელს მის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი, უმაღლესი განათლების პირველი კერა აჭარაში.

პატარა სკენდერი ლაღად იზრდებოდა დედის „იავნანათი“ და მამის ალერსითა და მზრუნველობით.

§2. ბავშვობა

დღე-დღეზე იზრდებოდა პატარა, ოჯახის იმედი, ნუგეში და მომავალი – ქვეყნად მოვლენილი სკენდერი. მშობლებს დიდად ახარებდა ჩვილის თავისებური მეტყველება – ბურღღუნი, ხელების ქნევა, ღიმილი, ზოგჯერ მშობლების, განსაკუთრებით დედის გამაფრთხილებელი, ლამაზი ტირილი – მომხედეთ, მომეფერეთო. შინაგანად უხაროდა დედ-მამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერს ვამბობთ, და წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდნენ მერიემ ბებია და ხუსეინ ბაბუა, რომელთა სიყვარული შვილებისადმი გაიზარდა, გაძლიერდა შვილიშვილებისადმი სიყვარულითაც. პირველი შვილი, პირველი შვილიშვილი ხომ მართლაც ენით უთქმელი სიხარულია, წარმოუდგენლად, უზადო სიყვარულია ოჯახში, განა მარტო იმიტომ, რომ ახალი წევრი შეემატა ოჯახს, სოფელს, რაიონს, კუთხეს, ქვეყანას, თუნდაც პლანეტას, არამედ, აგრეთვე, იმითაც, რომ ოჯახში ახალი ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ახალი ლექსიკაც გაჩნდა: „დედა“, „მამა“, „ბებია“, „ბაბუა“, „ძმისშვილი“, „დისშვილი“, „ბიძაშვილი“, „დეიდაშვილი“ და ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენი რამ.

აი, რაოდენ სიხარული, სიუხვე, სიმდიდრე და ბედნიერება თან მოაქვს „სააქაოში“ ახალმოსულს თითოეულ ოჯახში (ღმერთმა არავის მოაკლოს ეს სიხარული და ბედნიერება საკუთარ ოჯახში). შვილის, განსაკუთრებით, პირველი შვილის და, თუ ვინიცობაა, გვარის გამგრძელებელია, მით უფრო, დღესასწაულია, არა მარტო ოჯახში, მთელ გვარშიც. ახალშობილი ყველას უხარია, მაგრამ ბევრჯერ გაუცნობიერებელია ამ სიხარულის თუ სიყვარულის არსი და შინაარსი, თუმცა, ყველა შემთხვევაში (ცნობიერია თუ გაუცნობიერებელი) ეს მომენტი მუდამ სიხარულის მომგვრელია. თუ შვილი ნორმალურად გაიზრდება და წინაპართა შთამომავლობაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს, ასეთი შვილის დაბადება მართლაც აუწერელი ბედნიერებაა თავიდან ბოლომდე, მაგრამ თუ, ცუდი აღზრდის შედეგად, შვილი გზას აცდა, არ გაჰვყა მამა-პაპათა ნათელ კვალს, მაშინ ასეთი შვილის დაბადებით გამოწვეული სიხარული დღენაკლია, მალე უბედურებად შეიცვლება. გზასაცდენილი შვილი მშობლებს მის სიცოცხლეში კლავს თავისი ავი ზრახვებით თუ ბოროტი საქციელით. ასეთზე იტყვიან „შენს ნაცვლად ქვა გაჩენილიყო, ხომ აჯობებდა, ღობეს გავაკეთებ-

დიო.“ ღმერთმა ყველა მშობელი დაიფაროს ასეთი უბედურებისგან. რატომ ხდება ასე? ასეთ უბედურებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ეს სხვა სასაუბრო თემაა, მაგრამ რაკი მშობლებზე ჩამოვარდა საუბარი, ერთს ვიტყვით, რომ, ჩვენი აზრით, ამ უბედურების უპირველესი მიზეზი ცუდი, ზომიერებას მოკლებული აღზრდაა.

ამიტომ ასეთ მშობლებს გვინდა ვურჩიოთ, რომ შვილის აღზრდაში და საერთოდ ცხოვრებაში მთავარია ზ ო მ ი ე რ ე ბ ა. ბერძენი ფილოსოფოსები ცოდნათა შორის ყველაზე დიდ ცოდნად სწორედ ზომიერების გრძნობას მიიჩნევდნენ, რაც სავსებით სწორია და გასათვალისწინებელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავისი საქმიანობის ყველა სფეროში, ყოველნაირ მოქმედებაში. აქედან გამომდინარე, შეგახსენებთ, სპარსულ-ტაჯიკურ-არაბული ლიტერატურის კლასიკოსი პოეტის მ. საადის რჩევას ჩვენი პერიფრაზით, რომ **ზედმეტი სიმკაცრე, რისხვა შვილებისადმი შიშს იწვევს, უზომოდ ზემდეტი ფერება კი შვილის თვალში შენდამი პატივისცემას ამცირებს. ნუ იქნები იმდენად მკაცრი, რომ ყველას თავი მოაბეზრო და იმდენად ლმობიერი, რომ გეთავხედონ**.

ჩვენი აზრით, **ვინც შვილს ამ შეგონების გათვალისწინებით გაზრდის, გვერწმუნეთ, უბედურებას თავიდან აიცილებს და ბოლომდე ბედნიერი იქნება მშობელ-შვილურ ურთიერთობაში**.

კარგი მშობლების – ქალბატონი მერიემის და ბატონი ხუსეინის – ოჯახში პატარა სკენდერი და მომდევნო 5 შვილი სწორედაც ამ ზომიერებით იზრდებოდა. ისინი ქართული ტრადიციების, სამშობლოს ერთგულებისა და მშობლებისადმი პატივისცემის, უფროს-უმცროსობის აღიარებული წესების დაცვის სულისკვეთებით ზრდიდნენ შვილებს, რაზედაც მიუთითებს თითოეული მათგანის გავლილი გზა, მათი ღირსეული ოჯახები. ასეთ თბილ გარემოში პატარა სკენდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე-დღეზე იზრდებოდა, მალე ენა ამოიდგა, თამაში დაიწყო თანატოლ გოგო-ბიჭებთან. აი, როგორ იგონებს სკენდერის ბავშვობის წლებს მისი ბიძაშვილი ხასან დურსუნის ძე ბაჯელიძე: „მამა ადრე გარდამეცვალა. მე ხშირად ხუსეინ ბიძიას ოჯახში ვიყავი, სკენდერთან ერთად ვთამაშობდი. ბავშვობა ერთად გავატარეთ. ბიძაშვილებიდან ყველაზე ახლოს ვიყავი სკენდერთან. იგი იყო მეტად წესიერი, თავაზიანი, დინჯი, მშობლების მოყვარული და დამჯერი. არასდროს არ წაგეჩხუბებოდა, ყოველთვის მხარში მედგა. სკოლაშიც პირველ კლასში ერთად მივედით და ჯარშიც ერთად გაგვიწვიეს. ჯარიდან დაბრუნების შემდეგაც ერთმანეთთან ახლოს ვიყავით. მართალია, ის მასწავლებელი იყო და მუშაობდა ხულოს რაიონში, მაგრამ როცა ჩამოვიდოდა მშობლებთან ოჯახში, აუცილებლად შევხვდებოდით. ბავშვობის სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ბოლომდე გამოჰყვა," – ასე დაახასიათა ბიძაშვილმა თანატოლი სკენდერი, როცა იგონებდა მასთან ერთად გატარებული ბავშვობის წლებს.

§3. სწავლის წლები

მშობლების მზრუნველობით, ბაბუა-ბებიას ალერსითა და ნათესავ-ახლობლების მოფერებით, სკენდერის ბავშვობა მალე გავიდა. დადგა სკოლაში შესვლის დრო.

1928 წლის პირველი სექტემბერია. შვიდი წლის სკენდერს დედამ ჩააცვა, დაახურა, მოამზადა პირველ კლასში წასასვლელად, მამამ კი დიდი სიხარულითა და სიამაყით მიიყვანა სკოლაში. პატარა სკენდერი მშობლიური, დაწყებითი სკოლის პირველი კლასის მოსწავლედ ჩარიცხეს. მალე შეეჩვია იგი სკოლას, ამხანაგებს, მასწავლებლებს. შეიყვარა წიგნი, სკოლა, მასწავლებელი, დავალებებს დროულად ასრულებდა, თამაშსაც ასწრებდა. გაიარა წინასაომარი პერიოდი, ეზიარა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" სითბოსა და ხიბლს. მაშინ, რა თქმა უნდა, ვერ აცნობიერებდა, ვინ იყო დიდი იაკობი, მაგრამ უხაროდა, რომ მისი წიგნით ისწავლა ქართულ, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა. პატარა ბიჭუნას სწავლა არ უჭირდა, კლასიდან კლასში გადადიოდა დაუბრკოლებლად. „ფრიადოსანი არ ვიყავი, მაგრამ სწავლა არ მიჭირდაო", - იგონებდა იგი ჩვენთან საუბარში.

ხუცუბანი დიდი სოფელი იყო. დაწყებითი სკოლის ბაზაზე გაიხსნა ჯერ შვიდწლიანი, შემდეგ საშუალო სკოლა და სკენდერმაც აქვე ბოლომდე გააგრძელა სწავლა.

1938 წელს სკენდერმა დაამთავრა ხუცუბნის საშუალო სკოლა და იმავე წელს მოეწყო ბათუმის №1 პედაგოგიურ სასწავლებელში, რომლის ბაზაზე 1935 წელს შეიქმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი. 1945 წელს იგი გადაკეთდა ოთხწლიან სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად, 1990 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტად. მოგვიანებით, სახელწოდებიდან ქალაქის დასახელება ამოიღეს და ეწოდა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (გაუგებარია, რა გამართლება ჰქონდა სასწავლებლის სახელწოდებიდან ქალაქის სახელის ანულირებას?) ეს შეცდომა გასწორდა, მაგრამ ბოლომდე არა. ეს სასწავლებელი რუსთაველმა კი არ შექმნა, არამედ მისი სახელობისაა. ამიტომ უნდა იყოს შოთა რუსთაველის **სახელობის** (ავტ.) ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორად იმ დროს მუშაობდა ცნობილი პედაგოგი და აღიარებული ორგანიზატორი ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, რომელიც, სამწუხაროდ, 1937 წლის რეპრესიებმა შეიწირა. სკენდერს სასწავლებელში ასწავლიდნენ მცოდნე, კვალიფიციური, სამშობლოსათვის თავდადებული პედგოგები: ალექსანდრე ჩიმაკაძე, ვუკოლ

იაშვილი, ილია ღლონტი, ნადიმ ნიჟარაძე, ნადია ჯიბუტი, სტრატონ თოთიბაძე, ნატალია ჟორდანია, ირაკლი ნაკაიძე, ილია გოგიტიძე, ქეთევან ალასანია, ზინა გოგოლიშვილი, მელიტონ კუხიანიძე, დავით ჭეიშვილი, გივი ნიორაძე და სხვები. მასთან ერთად სასწავლებელში სწავლობდნენ თანატოლები: ოთარ და ჰაიდარ ფაღავები, გუგული ბერიძე, რესულ გოგიტიძე, ემინე მახარაძე, გრიშა ცხოიძე და ბევრი სხვა.

ბატონი სკენდერი დიდი მადლიერებით იგონებდა ამ სასწავლებელში სწავლის წლებს, კმაყოფილებას გამოთქვამდა მასწავლებლების მიმართ. მოხიბლული იყო დირექტორის პიროვნებით და დიდი რიდიც ჰქონდა მის მიმართ.

1941 წლის 18 ივნისს დაამთავრა პედაგოგიური სასწავლებელი და მიიღო დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია. ფიქრობდა ერთხანს სკოლაში მუშაობას, შეიძენდა შრომით გამოცდილებას, დააგროვებდა ცოტაოდენ ფულსაც, რაც ოჯახს გამოადგებოდა, მამას დაეხმარებოდა, შემდეგ კი სურდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში და კვალიფიკაციის ამაღლება.

სკენდერის ჩანაფიქრი გონივრული იყო, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ მისი ცხოვრების გზაც შეცვალა.

1941 წლის 21 ივნისს სასწავლებლის კურსდამთავრებულებს გამოშვების საღამო ჰქონდათ, რომელსაც ესწრებოდნენ სასწავლებლის დირექტორი, პედაგოგები, მშობლები, კურსდამთავრებულები. ისმებოდა სადღეგრძელოები, მადლობას ეუბნებოდნენ აღმზრდელ-პედაგოგებს, მშობლებს, ადიდეს სამშობლო, რომლის სამსახურს მალე შეუდგებოდნენ. უხაროდათ ახალგაზრდებს სასწავლებლის დამთავრება, დიპლომებით ახალი ცხოვრების დაწყების მოლოდინში რომ იყვნენ. ცოტა დრო გავიდა, დაილია არაერთი სასმისი, ღვინომ თავისი თქვა. ამას მოჰყვა სიმღერები, ცეკვები, საღამომ ზეიმის ხასიათი მიიღო. შეხვედრა გვიან დამემდე გაგრძელდა. შემდეგ დაემშვიდობეს და გააცილეს მასწავლებლები, მერე ერთმანეთს დაემშვიდობნენ, დაულოცეს გზები და თვალცრემლიანნი დაბრუნდნენ ოჯახებში. მაგრამ ეს ცრემლები იყო სიხარულის, დაშორებით გამოწვეული სინანულის და არა უბედურების ან რაიმე მწუხარების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე გათენდა 22 ივნისი – მეტად მძიმე და შემზარავი ამბის ინფორმაციით. ამ დღეს ფაშისტური გერმანია მუხანათურად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა. დაიწყო დიდი სამამულო ომი.

§4. ცხოვრების მძიმე წლები

ფაშისტურ გერმანიას წინ აღუდგა მთელი საბჭოთა ხალხი იოსებ სტალინის მეთაურობით. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო-სავალდებულო მობილიზცია. ქუდზე კაცი ფეხზე დადგა. საარქივო მასალებიდან, პრესის ფურცლებიდან, სათანადო წიგნებიდან ცნობილია, რომ საყოველთაო მობილიზაციის ოფიციალურად გამოცხადებამდე, ბევრ რაიონში ახალგაზრდობა ცხადდებოდა სამხედრო კომისარიატებში და ეწერებოდა მოხალისეთა რიგებში. ამ მხრივ არც ქობულეთის რაიონი იყო გამონაკლისი. მობილიზაციის ოფიციალურად გამოცხადებისთანავე 100-მდე ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი მოხალისედ წასვლაზე.[1] როგორც ზემოთ ითქვა, დიდ სამამულო ომის წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა ქობულეთის რაიონიდან 5800 კაცი, მათგან დაბრუნდა 1550 მებრძოლი. ამ რაიონიდან ჩაქვის შემდეგ ყველაზე მეტი ხუცუბნის სასოფლო საბჭოდან 1289 მოქა-

[1] საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 1676, ფურც. 42.

ლაქე წავიდა ფრონტზე მტერთან საბრძოლველად.[1] მათ შორის იყო სკენდერ ბაჯელიძეც. 1942 წლის 26 იანვარს იგი, სხვა თანატოლებთან ერთად, ბათუმის სამხედრო კომისარიატიდან გააცილეს ჯარში. სკენდერი ქ. მოსკოვში ჩავიდა, მერე გაგზავნეს ქ. პოდოლსკში და ჩარიცხეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეცდანიშნულების შენაერთში, რომელიც პოდოლსკის სამხედრო საჭურვლის დამამზადებელ ქარხანას იცავდა, იქიდან – ჩრდილო კავკასიაში, შემდეგ სტავროპოლში გადაიყვანეს. მასთან ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ ბათუმელი ვალიკო უჩანეიშვილი, მიშა ჯანაშვილი, ხაბურზანია, გაბელია, მიშა ხუნდაძე; მანგლისიდან: ჯმუხაძე, თექეთაშვილი, თაქთაქიშვილი, წიკლაური და სხვები.

1942 წლის 3 აგვისტოს გერმანელი ფაშისტები სტავროპოლში შეიჭრნენ. პირველ ბრძოლებში აქტიური მოქმედებისა და გამბედაობისთვის სკენდერ ბაჯელიძემ ორდენიც კი დაიმსახურა (ორდენის მიღებამდე ნაწილი, რომელშიც სკენდერი ირიცხებოდა, ალყაში მოხვდა და იგი ტყვედ აიყვანეს, მაგრამ ორდენის გადაცემა მოხდა ომის დამთავრების შემდეგ). აი, როგორ აღწერს ამ პროცესს ომგადახდილი:

„ერთ-ერთ ბრძოლაში მტერმა ჩვენი პოზიციები დაბომბა და დიდი ძალით შემოგვიტია. ჭირდა გამკლავება. ამასობაში ტყვია-წამალიც შემოგველია, მაშველი ძალაც არ ჩანდა. პოლკის მეთაური დაიღუპა. მისი მაგივრობა ახალგაზრდა უფროსმა ლეიტენანტმა იკისრა. – უკან უნდა დავიხიოთ, სხვა გამოსავალი არ არის, მტერს არავინ დანებდეს! – მოგვმართა მან. მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, რადგან მტერს უკვე ალყაში მოექცია ის ნაწილი, რომელშიც იბრძოდა სკენდერ ბაჯელიძე.

[1] რ. ართმელაძე, სამშობლოს სახელოვანი შვილები, ბათუმი, 1972, გვ. 213 (რუს. ენაზე).

ასე შეიცვალა სამშობლოს დასაცავად წასული სკენდერ ბაჯელიძისა და სხვათა ცხოვრების მძიმე გზა. იყო ტყვეობა, შიში, შიმშილი, გაჭირვება, სამშობლოზე ფიქრი, ტყვეობიდან თავის დასაწღევად გაქცევის რამდენიმე ცდა, გაქცევა და ისევ ჩავარდნა. აი, იქიდან დაიწყო მისი ცხოვრების ტრაგიკული პერიოდი, სულიერი და ფიზიკური წამების გაჭიანურებული წლები. ბედუკუღმართობამ მას არგუნა დონის როსტოვის, ბატაისკის, ტაგანროგის, მარიუპოლის, დნეპროპეტროვსკის ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში ყოფნა. „ყოველივე ამის მიუხედავად, არასდროს მიფიქრია სამშობლოს ღალატი, ყოველთვის იმედი მქონდა, რომ მტერი დამარცხდებოდა. ამ იმედით ვიტანდით ათას გასაჭირს, ტანჯვასა და წვალებას“, – იგონებდა ვეტერანი.

ტყვეობაში სკენდერი შეხვდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ მიხეილ ჯაშს, მეზობლებს ხუცუბნიდან – ზია მემედის ძე თხილაიშვილსა და სულეიმან ახმედის ძე ოქროპირიძეს. გერმანელები ტყვეებს ამუშავებდნენ რკინიგზის ხაზებისა და დანგრეული ხიდების აღდგენაზე. ისინი რამდენიმე ათასნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნიდან.

1942 წლის ბოლოს საბჭოთა ტყვეები გადაიყვანეს მარიუპოლში, შემდეგ დნეპროპეტროვსკში. 1943 წლის შემოდგომაზე მოხვდნენ პრუსიასა და პოლონეთში. აქ ბანაკში მათ ავსტრიელი, ინგლისელი და ფრანგი ტყვეებიც შეუერთეს. შემდეგ აქედან ისინი დანიისკენ წაიყვანეს. „ერთ-ერთ ნავსადგურში გაქცევა ვცადეთ, – იგონებს ტყვედყოფილი, – მაგრამ მეტად მკაცრი კონტროლის პირობებში ვერ მოვახერხეთ.“ ერთ ნავსადგურში გემი გაჩერდა. დაიწყეს გერმანელების კატერებით ტყვეების ნაპირზე გადაყვანა. სკენდერმა როგორღაც მოახერხა კატერზე ასვლა და ამხანაგებთან ერთად ნაპირზე გადავიდა. ეს იყო დანიის ახლოს კუნძულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედბუზეზე, მაგრამ ამას მოჰყვა ისევ საკონცენტრაციო ბანკი, ისევ ტანჯვა და წამება.

შემდეგ სკენდერი გადაიყვანეს ქ. ოდენზეში, სადაც საბჭოთა ტყვეების შემკრები პუნქტი იყო. რა თქმა უნდა, მას ტყვეობაში აქაც ბევრი წვალება და წამება გადახდა თავს. ამასთან, გამოჩნდნენ კეთილი დანიელი ადამიანები, რომლებიც ტყვეებს დახმარების ხელს უწვდიდნენ, აპურებდნენ, ხანდახან ტანსაცმლითაც მოსავდნენ. ყოველივე ამ მოწყალებას ბატონი სკენდერი შიშით და ეჭვით უყურებდა, მაგრამ ტყვეთა ბედი აიძულებდა ზოგჯერ უარი არ ეთქვა მოწყალებაზე. ასეთ კეთილ ადამიანად მას ბოლომდე ახსოვდა ლუის უგე, რომელიც დიდი ჰუმანურობით ეპყრობოდა ტყვეებს და მატერიალურადაც ეხმარებოდა მათ.

„1945 წლის მაისში, – ჰყვება ვეტერანი, – ჩვენთან მოვიდნენ იატაკქვეშელი დანიელი პატრიოტები და ომის წარმატებით დამთავრება გვახარეს. ამ დროს იქ ქართველთაგან არავინ იყო, არც საქართველოზე ვიცოდი არაფერი. გავიგე, რომ მკაცრ პასუხს სთხოვდნენ ყოფილ ტყვეებს, მაგრამ ჩვენ ხომ სამშობლოსთვის არ გვიღალატია.“

და მაინც, რა ბედი ელოდათ სამშობლოში დაბრუნებულთ, არავინ იცოდა. მათ (ტყვეებს) სთავაზობდნენ უცხოეთში დარჩენას. „ნეტა, რას არ გვპირდებოდნენ? როგორ მოვქცეულიყავი, დავრჩენილიყავი უცხოეთში? – ხშირად ასეთ კითხვას ვუსვამდი თავის თავს, – ამბობს ტყვეობაგამოვილილი ვეტერანი. – არა! იყო მკაცრი პასუხი გულში. საკუთარი ქვეყნის, სამშობლოს სიყვარული არ მასვენებდა, უცხოეთში დარჩენილი სულ ტყვეობაში, უსამშობლოდ უნდა ვყოფილიყავი, დაბრუნებული კი...“ ყველაფრის მიუხედავად, ბატონმა სკენდერმა მაინც თავის მამულში ყოფნა ირჩია. გულში იდუმალად იმეორებდა რაფიელ ერისთავის სტრიქონებს და მტკიცედ სწამდა, რომ:

სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,

ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის, ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა..“

პოეტის გულში ჩამწვდომი პატრიოტული სტრიქონები სკენდერ მასწავლებლისთვის ფიცი გახდა.

„მჯეროდა, რომ მართალ კაცს არ გამწირავდნენ“, – ამბობდა იგი და ასეც მოხდა სინამდვილეში.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა საზღვართან სპეციალურ ტყვეთა შემკრებ პუნქტში სკენდერმა გაიარა მკაცრი „საფილტრაციო შემოწმება“. ამის შემდეგ იგი ჩარიცხეს საბჭოთა არმიის რიგებში. სამხედრო სამსახური გააგრძელა ომის შემდეგაც.

მთელს ხუცუბანში იცოდნენ, რომ სკენდერი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ფრონტზე. დაიტირეს კიდეც. მშობლები, ნათესავები, ახლობლები გულს იჯერებდნენ იმით, რომ მათი შვილი თუ ნათესავი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა, მაგრამ ეს რა შეღავათი იყო მშობლისთვის...

მადლობა ღმერთს, ეს ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდა. 1946 წელს სკენდერ ბაჯელიძე მოულოდნელად დაბრუნდა ოჯახში. ეს იყო სასწაულებრივი ცის გახსნა მშობლებისათვის, ნათესავ-ახლობლებისათვის. გაიხარეს. მოისიყვარულეს. ყველა პატივს სცემდა. ერთხანს დაისვენა კიდეც, მალე მომჯობინდა, ტყვეობის სტრესი უნელდებოდა, მაგრამ არ ეხსნებოდა...

§5. ცხოვრების კარნახით გზა უმაღლესისკენ

ომი დამთავრდა. ხალხმა ამოისუნთქა. ქვეყანა შეუდგა ომით გამოწვეული კოლოსალური ზარალის აღსადგენად თუ მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად მშვიდობიან შრომას.

ფრონტიდან დაბრუნებულმა სკენდერმა მცირე ხანს დაისვენა, შერყეული ჯანმრთელობა გაიუმჯობესა, მაგრამ ომის მძიმე წლების საშინელებათა მოგონება არ ასვენებდა.

ბატონ სკენდერს, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილს, საკმაო პროფესიულ განათლებამიღებულს ომის შემდეგ შეეძლო დაეწყო მუშაობა დაწყებითი კლასების მასწავლებლად, მშობლიურ სოფელში თუ არა რაიონის ახლომახლო რომელიმე სოფელში მაინც. ამაში, ცხადია, არავინ და არაფერი უშლიდა ხელს. მშობლებს კი უხაროდათ, რომ განათლებით პედაგოგი შვილი ჰყავდათ, მუშაობას დაიწყებს და ოჯახს გარკვეულად დაეხმარებაო. ეს სურვილი აკი მასაც ჰქონდა პედსასწავლებლის დამთავრების შემდეგ და რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ განაგრძობდა სწავლას უმაღლეს სასწავლებელში.

მაგრამ ამჯერად იფიქრა, ბარემ უმაღლეს განათლებას მივიღებ და მერე დავიწყებ მუშაობასო. მშობლებიც დეთანხმნენ ომგადახდილ შვილს, ვინ იცის, შემდეგ რა მოხდებაო. ამ გადაწყვეტილებით შეუდგა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებელი გამოცდებისთვის მომზადებას, პარალელურად მამას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში.

1948 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახდა. ინსტიტუტში ლექციებს უკითხავდნენ ცნობილი ლექტორ-მასწავლებლები: გეოგრაფიის კათედრის გამგე ნადიმ ნიჟარაძე, წევრები: ალექსანდრე ჯავახიშვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვიროსი კვასხვაძე, ნადია ჯიბუტი, გიორგი ჩხაიძე, პლატონ მგალობლიშვილი, ვლადიმერ ქემხაძე, ვლადიმერ ნორაკიძე, ქეთევან ალასანია, მემედ სტამბოლოშვილი, ვუკოლ იაშვილი, გრიგოლ ბაბილოძე, პარმენ პატარაია, ვლადიმერ ჭანტურია, ზინა გოგოლიშვილი, ჯემალ ნოღაიდელი და სხვები. სკენდერი გეოგრაფიას ინტერესით სწავლობდა, რამდენადაც ბევრი ქვეყანა მოვლილი ჰქონდა და მისთვის ბევრი რამ ნაცნობი იყო, რაც ინტერესს სწავლისადმი უფრო აღუძრავდა და უძლიერებდა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის 1952 წ. კურსდამთავრებულთა საიუბილეო შეხვედრა 30 წლისთავზე (1982 წ. 28 ივნისი)

სურათზე: სკენდერ ბაჯელიძე - უკანა რიგში მარჯვნიდან პირველი, ზის (შუაში) – ლექტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნადია ჯიბუტი

სკენდერთან ერთად სწავლობდნენ ზურაბ კომახიძე, ემინე მახარაძე, მიხეილ ჯაში და სხვები.

დურიე ვერულიძე

1948 წელი სკენდერ ბაჯელიძისათვის ფეხბედნიერი იყო. ჯერ ერთი, ამ წელს სტუდენტი გახდა. მეორე, სტუდენტობის მომდევნო წელს ოჯახი შექმნა – თავისი ბედი დაუკავშირა და მომავალი ცხოვრების უღალატო მეგობრად აირჩია თანასოფლელი, ცნობილი პიროვნების დურსუნ ვერულიძის ქალიშვილი **დურიკო**. მალე ქორწილიც გადაიხადეს. ასე შეიქმნა ახალი პატარა ოჯახი ხუსეინ ბაჯელიძის დიდ, ფუძე ოჯახში. მესამეც ის იყო, რომ სტუდენტობის დროს, 1950 წელს ახალშექმნილ ოჯახში ქალიშვილი გაჩნდა. მას ჟუჟუნა დაარქვეს შემდგომ პირველ შვილს მეორე – ეთერი და მესამე – ლიანა მოჰყვნენ. ასე განედლდა დიდი თუ პატარა ოჯახი.

მართალია, სწავლა და ოჯახი – ორივე ცალ-ცალკე მძიმე ტვირთია, ერთად აღებული კი წარმოუდგენლად უმძიმესი. კარგი მეუღლის თანადგომით, მზრუნველი მშობლების ხელშეწყობით სკენდერს სწავლაში ხელი არ შეშლია. 1952 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, აიმაღლა პროფესიული ოსტატობა და გახდა საშუალო სკოლის გეოგრაფიის დიპლომიანი მასწავლებელი. ჰა, ბურთი და მოედანი, სადაც გინდა იმუშავე, მით უფრო აჭარა, განსაკუთრებით მისი მთიანი რაიონები, მასწავლებელთა კადრების ნაკლებობას განიცდიდნენ.

ამრიგად, 1948-1952 წლები ახალბედა, დამწყები, უკვე დიპლომიანი, მასწავლებლის ცხოვრებაში უაღრესად ღირსშესანიშნავი პერიოდი იყო: სტუდენტობა, ბედნიერების მომტანი ოჯახის შექმნა, შვილები, მათით გამოწვეული ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარული, უმაღლესი განათლების მიღება, დიპლომი და პედაგოგიური საქმიანობის დაწყება – ყველფერი ის, რასაც ნატრობდა ახალგაზრდა, ომგადახდილი სკენდერი, ყველაფერი კარგად, წარმატებით აუხდა. მომავალ ცხოვრებაში მწვანე შუქი აენთო.

§6. მუშაობა აჭარის „უცნობ“ მთიანეთში

როგორც ითქვა, ბატონმა სკენდერმა 1952 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტი და გახდა გეოგრაფიის მასწავლებელი. კურსდამთავრებულთა გამანაწილებელმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ ინსტიტუტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აჭარის განათლების მინისტრი, ქ. ბათუმისა და აჭარის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები, სკენდერ ბაჯელიძე გაანაწილა აჭარის მთიანეთში, მისთვის ჯერ კიდევ უცნობ ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლაში. გაფორმდა მინისტრის ბრძანება (№ 85,1952, 26 აგვისტო), რომლითაც დაინიშნა აღნიშნული სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად.

მძიმე პირობები იყო მაშინ, ქვეყანა ომის ჭრილობებს იშუშებდა. ჯერ კიდევ იყო სიძნელეები, უგზოობა, უტრანსპორტობა. ავტობუსი დადიოდა ქ. ბათუმიდან მხოლოდ ხულოს რაიონულ ცენტრამდე, ზამლეთიდან ხიხაძირამდე კი 35 კმ ფეხით უნდა ევლოთ. შემთხვევით თუ შეგხვდებოდა რაიმე სატვირთო მანქანა, დიდი ბედნიერება იყო.

„რესპუბლიკური სააავადმყოფოს იქით გზა საით მიდიოდა, არ ვიცოდი. საბჭოთა კავშირისა და ევროპის დიდი ნაწილი მოვიარე, ომი გადავიტანე და აჭარისწყლის ხეობაში არ ვყოფილვარ, არ ვიცოდი, სად მივდიოდი, ვინ დამხვდებოდა, სასტუმრო, ბინა საფიქრალი მქონდა. პრობლემა ხომ

არ შემექმნება-მეთქი, – სულ ამაზე ვფიქრობდი“, – დიდი განცდით ამბობს გამოცდილი მასწავლებელი თავისი მუშაობის დაწყების პერიოდზე, პირველი მგზავრობის შთაბეჭდილებებზე. მოგვიანებით, ხიხაძირში დიდხანს ნაყოფიერად მუშაობის შემდეგ, ხიხაძირსა და სხალთა-ხიხანის სტუმართმოყვარე მოსახლეობაზე, მათგან განცდილ სითბოსა და სიყვარულზე ყოველთვის დიდი სიამაყით საუბრობდა ამაგდარი მასწავლებელი, ბატონი სკენდერი (ამის შესახებ ნახავთ ქვემოთ).

ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე პედაგოგი პირველი დაემშვიდობა მშობლებს, ოჯახს, ჩავიდა ბათუმში, შეიძინა სამგზავრო ბილეთი და გასწია მისთვის ჯერ კიდევ უცნობი მხარისკენ. კარგ კაცს ღმერთი არ გასწირავსო, – ნათქვამია და ბატონ სკენდერს ავტოსადგურში, ავტობუსის გასვლამდე შეხვდა ერთი ნაცნობი თუ ახლობელი პიროვნება, რომელმაც იცოდა ხულოც და ხიხაძირიც. მან თავისი დამაიმედებელი საუბრით გაამხიარულა, დაამშვიდა. მგზავრობა ძნელია, ტრანსპორტის ნაკლებობის გამო, მაგრამ, სამაგიეროდ, იქ კარგი ხალხია, გადაგყვებიან, სტუმარი უყვართ. შენ, მით უმეტეს, მიდიხარ სახელმწიფო მივლინებით, უნდა ემსახურო, მათ შვილებს უნდა ასწავლო. შენ თავდაჯერებული, თავმდაბალი იყავი და ისინი მიგიღებენ, როგორც შინაურს. ახვალ თუ არა ხიხაძირში, მაშინვე დარწმუნდები ამაშიო, – გაამხნევა თანამოსაუბრემ. ბოლოს კი დაატანა, იქ ცხოვრობს ერთი მეტად კარგი კაცი, **სერგო ჯაიანი**, ისიც მასწავლებელია, მოიკითხე და ყველაფერში დაგეხმარებაო. ახალბედა სკენდერ მასწავლებელს ცოტათი გულზე მოეშვა, კარგი კაცი ეგულება სოფელში, სადაც თვითონ მიდის, ღამეს გაათევინებს, მეორე დღეს სკოლაში რომ მივა, დირექტორი დაუდგება გვერდში. ამ იმედით მადლობა უთხრა თანამოსაუბრეს, მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა იმანაც, დაულოცა სამსახურიც და დაშორდნენ. ღრმად ჩაფიქრებული სკენდერ მასწავლებელი, სხვა უამრავ მგზავრთან ერთად, ჩაჯდა ავტობუსში, დაიძრა უსულო „რაში“, ახალბედა მასწავლებელი გაუდგა გზას ხიხაძირისკენ. ის ზამლეთში უნდა ჩამოსულიყო და ხელმარჯვნივ უნდა გაჰყოლოდა სხალთის ხეობისკენ, სოფელ ხიხაძირის გზას, მაგრამ, რადგან პირველად მგზავრობდა ამ მხარეს, ზამლეთში ჩამოსვლის ნაცვლად, ხულოს რაიონულ ცენტრში აღმოჩნდა. სხვა რა გზა ჰქონდა. მოიკითხა განათლების განყოფილება და განყოფილების გამგეს – ლევან ბერიძეს წარუდგინა თავისი საგზური, მინისტის ბრძანება.

გამგემ ყურაღდებით მიიღო ახალი მასწავლებელი, გაეცნო და ბოლოს უთხრა: – დღეს გვიანაა, ხიხაძირში ვერ ააღწევ, აქ სასტუმრო არის, ღამის გათევა არ გაგიჭირდება, ხვალ დილით კი ავტობუსს გაჰყევი ზამლეთამდე და იქიდან წახვალ ხიხაძირშიო, – ურჩია გამგემ.

მეორე დღეს, დილით, ბატონი სკენდერი გაუდგა გზას რაიონული ცენტრიდან ხიხაძირისკენ. ზამლეთიდან იგი, რამდენიმე სხვა მასწავლებელთან ერთად, ფეხით გაუდგა 35 კმ-იან გზას. გაიარეს ფურტიო, სხალთა, კვატია, ფუშრუკაული და ბოლოს მივიდნენ „ნანატრ“ ხიხაძირში. უკვე მოსაღამოებულიყო, ბინდდებოდა. სოფლის ცენტრში, „ხიდისთავზე“, რამდენიმე კაცი იყო. გაუხარდა სოფლის ახალ, თუ პირველ სტუმარს. მიესალმა, – რას შვრებით, როგორ ხართ, მეგობრებო? – ძველი ნაცნობივით გამოკითხა და დაუწყო ტკბილი საუბარი საკმაოდ გრძელ გზაგამოვლილმა და საკმარისზე მეტად დაღლილმა სტუმარმა. საინტერესო საუბარი გაიმართა სტუმარსა და მასპინძლებს შორის. ეს ხომ საზღვრისპირა სასოფლო საბჭოს ცენტრი იყო. იქვე ახლოს მესაზღვრეთა სამხედრო ნაწილი – კომენდატურა ფუნციონირებდა. მოსახლეობა ძალიან ფხიზლობდა, როგორც უსამხრეებო მესაზღვრენი, მით უმეტეს, მოსული სტუმარი, მართალია, თბილად და ტკბილად ლაპარკობდა, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ არავისთვის ნაცნობი არ იყო. მასპინძლებიც თბილად შეხვდნენ მათთვის უცნობ კაცს, ტაქტიანად გამოკითხეს ვინაობა, რა საქმეზე და ვისთან იყო მოსული. – ჩვენ ხომ ვერ დაგეხმარებითო, შეაშველეს თბილი სიტყვა. როცა გაიგეს, ხიხაძირის საშუალო სკოლაში მასწავლებლად იყო გამოგზავნილი, – დაინტერესდნენ, შინაურად ჩათვალეს, – ახლა დადამდა, სკოლაში არავინაა, სკოლის დირექტორი ხვალ იქნებაო და ღამის გასათევად ყველა ეპატიჟებოდა უკვე გაცნობილ და საპატიო სტუმარს საკუთარ ოჯახში. ყველას მადლობა უთხრა ამ გულთბილად მიღებისთვის და მაინც ირჩია **სერგო ჯაიანის** ნახვა. ცხადია, მასპინძლებმა არ აწყენინეს სტუმარს და მიიყვანეს სერგო ჯაიანის ოჯახში. სერგო ჯაიანი ხომ ცნობილი იყო არა მარტო სოფელში, არამედ სხალთა-ხიხანის ხეობასა და მთელ რაიონში. **იგი ხევისბერი კაცი იყო ხეობაში,** პედაგოგი-ინტელიგენტი, რაიონული აქტივის წევრი. ის კარგად შეხვდა სტუმარს. მისი ხიხაძირში განაწილების შესახებ მან სკოლის დირექტორის ინფორმაციით უკვე იცოდა. გული გულს შეხვდება და ორივეს გაეხარდებაო, ნათქვამია. ამ გამოთქმისა არ იყოს, ორივე პედაგოგი იყო. მათ მალე გამონახეს სასაუბრო თემა. კიდევ მეტი, სერგოს მეუღლემ – ქალბატონმა ნათელამაც სტუმარი ძმასავით მიიღო და ქართველი ქალის კდემამოსილებით, დიასახლისის მარიფათებით გაუმასპინძლდა. რა თქმა უნდა, დალოცეს სტუმარი და მისი პირველი სტუმრობა ხიხანის ხეობაში, სოფელ ხიხაძირში, ამ ოჯახში, ხიხაძირის სკოლის მასწავლებლად დანიშვნა და წარმატებები უსურვეს პედაგოგიურ ფრონტზე. სკენდერ მასწავლებელმა გულთბილად მიღებისთვის დიდი მადლობა უთხრა მასპინძლებს, აღუთქვა,

სერგო ჯაიანი

რომ ამ სოფელში და ოჯახში პირველი სტუმრობა სამუდამოდ დაუვიწყარი იქნებოდა მისთვის (და მართლაც, ასე იყო ბოლომდე – ავტ.)

მეორე დილით, საუზმის შემდეგ, სტუმარი და მასპინძელი ერთად წავიდნენ სკოლაში. ასე დასრულდა ახალდანიშნული სკენდერ ბაჯელიძის პირველი მგზავრობა ბათუმიდან ხიხაძირის საშუალო სკოლამდე. პირველი სექტემბრიდან კი დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

როგორც ბატონი სკენდერი იგონებს, იმხანად მთის სოფელი ცუდ დღეში იყო. ყველაფერს ომის კვალი აჩნდა, ცხოვრება ჭირდა. სკოლაში ადგილობრივი მასწავლებლები მხოლოდ დაწყებით კლასებში იყვნენ საშუალო განათლებით, ან ხულოს პედაგოგიური სასწავლებელდამთავრებულნი. სკოლა დაკომპლექტებული იყო ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებული ახალგაზრდა პედაგოგებით, რომელსაც პირველ ხანებში ახალგაზრდა დირექტორი თავკაცობდა. სკოლაში სახარბიელო მდგომარეობა არ იყო. მასწავლებლებს მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა.

1953 წლის სექტემბრიდან სკოლას დიმიტრი ხოზრევანიძე ჩაუყენეს სათავეში. „გადმოცემით ვიცოდი, – იგონებდა ბატონი სკენდერი, – რომ დიმიტრი ხოზრევანიძე მკაცრი ხელმძღვანელი იყო. შემდგომში გაირკვა, რომ იგი სიმკაცრესთან ერთად, მეტად სამართლიანი და მომთხოვნი ხელმძღვანელი გახლდათ. უწინარეს ყოვლისა, მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი და შემდეგ სკოლის კოლექტივისადმი. უყვარდა წესრიგი, დისციპლინა, შრომა. ფუტკარივით მუშა კაცი იყო. ბევრს სმენია და ბევრიც დაწერილა ხიხაძირის საშუალო სკოლის წარსულში აღიარებულ წარმატებებზე, მისი დირექტორის, აჭარის დამსახურებული მასწავლებლის – **დიმიტრი ხოზრევანიძის** დამსახურებაზე, არა მარტო ამ კუთხის ახალგაზრდობის საშუალო და უმა-

დიმიტრი ხოზრევანიძე (1916-1964) – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი, ხიხაძირის საშუალო სკოლის დირექტორი 1953-1959 წლებში

ღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფაში, არამედ ამ ხეობის კულტურული დაწინაურების საშვილიშვილო საქმეშიც.

უდავო ჭეშმარიტებაა, მარტო ის რად ღირს, რომ სწორედ აწ განსვენებული დიმიტრი ხოზრევანიძის ხელმძღვანელობით, ხიხაძირის საშუალო სკოლა გადაიქცა საქართველოს რესპუბლიკის სკოლებს შორის ერთ-ერთ მოწინავე სკოლად. ახალგაზრდობა მასობრივად დაეწაფა სწავლას არა მარტო სკოლაში, არამედ უმაღლეს სასწავლებლებში. მისი აქ მუშაობის პერიოდში 12 ახალგაზრდამ სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედლებზე დაამთავრა. ბევრმა უმაღლესი განათლებაც მიიღო. სწავლის „კულტი“ შეიქმნა. ახალგაზრდობას ისე შეუყვარდა უმაღლესი განათლება, როგორც ნავარდით დაღლილ ირემს – წყარო ანკარა. **ყოველივე მიღწეული დ. ხოზრევანიძემ შეაჯამა და განაზოგადა თავის წიგნში „სკოლა მთაში“ (ბათუმი, 1958). წიგნში, სხვებთან ერთად, განზოგადებულია სკენდერ ბაჯელიძის პედაგოგიური მოღვაწეობა. ამ სკოლაში ყოველივე სასიკეთო საქმიანობაზე, დირექტორთან ერთად, დიდი დამსახურება სწორედ სკენდერ ბაჯელიძეს მიუძღვის.**

შემთხვევითი როდი იყო ის ფაქტი, რომ სასწავლო ნაწილის გამგე ალ. მიქელაძე სამუშაოდ სხვა რაიონში გადაიყვანეს. **ამ თანამდებობაზე ბევრმა გამოთქვა მუშაობის სურვილი, მაგრამ სკოლის დირექტორმა არჩევანი ბატონ სკენდერ ბაჯელიძეზე შეაჩერა.** იგი სკოლაში მუშაობის ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის შემდეგ დააწინაურეს სასწავლო ნაწილის გამგედ და 6 წლის განმავლობაში, დირექტორთან ერთად, მთელი მონდომებით ზრუნავდა, როგორც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისთვის, ასევე ახალგაზრდა, ენერგიული პედაგოგიური კადრების დაინტერესებისა და დახელოვნებისათვის. ისინი ერთობლივად სამშობლოს უზრდიდნენ ღირსეულ პატრიოტებს. ამდენად, სკენდერი დირექტორის მარჯვენა ხელი იყო. „ზოგიერთ ჩვენებურს ვაუბატონებს რომ ჰკითხო, – წერდა დიდი პედაგოგი და ჰუმანისტი იაკობ გოგებაშვილი, – ყოველ ადამიანს მუცლითგანვე თან გამოაქვს მამულიშვილობაო, რადგანაც სამშობლო ქვეყნის სიყვარული ყველას ბუნებითვე თანა ჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა რა საჭიროაო...“ – აკრიტიკებს რა ასეთ ვაუბატონებს, გოგებაშვილი განაგრძობს: „პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზედ...“

სკენდერ მასწავლებელი ყოველ აღსაზრდელს უნერგავდა მშობლიური ხალხისა და ქვეყნის სიყვარულს, პატივისცემას ყოველივე იმისადმი, რაც, მიუხედავად ისტორიის ბედუკუღმართობისა, ჩვენი კუთხის ქართველობამ სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა: მოყვასის გატანა, სხვისი ჭირის თავისად მიჩნევა, ნამუსის ქუდის ტარება, უფროს-უმცროსობის დაფასება, უანგარო სამსახური სამშობლოსადმი.

მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ იმ ორმოცდაათიან წლებში, როცა მთის სკოლებში ჭირდა გოგონების სწავლებაში ჩაბმა, ეს პრობლემა ხიხაძირში უკვე აღარ არსებობდა, რადგან აქაურ მოსახლეობას სჯეროდა, რომ იქ, სადაც სკოლის დირექტორი **დიმიტრი ხოზრევანიძეა,** სასწავლო ნაწილის გამგე – **სკენდერ ბაჯელიძე** და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობას მტკიცედ შეკრული, ერთსულოვანი და **მაღალკვალიფიციური პედგოგიური კოლექტივი** ახორცე-

ლებს, მათ შვილებს არაფერი მოუვიდოდათ. ყველა მასწავ-
ლებელი საკუთარი შვილივით ზრუნავდა მოსწავლეზე.

ხიხაძირის საშუალო სკოლის პედკოლექტივი.
სხედან, მარცხნიდან მარჯვნივ: მესამე დიმიტრი ხოზრევანიძე (დირექტორი), მეხუთე სკენდერ ბაჯელიძე (სასწ. ნაწილის გამგე)

აქვე, სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად, ჯეროვანი შეფასება უნდა მიეცეს იმ დიდ შრომისმოყვარე, საერთო საქმისთვის თავდადებული პედგოგიური კოლექტივის საქმიანობას, რომელშიც ბატონი სკენდერი მოღვაწეობდა. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავი არიან საქართველოსა და აჭარის დამსახურებული მასწავლებლები: სერგო ჯაიანი, როლანდ ბოლქვაძე, ანა ალფაიძე, გიორგი სირაბიძე, არჩილ იშხნელიძე, დავით ღლონტი, მუსტო მიქელაძე, ემინე და დურსუნ გაბაიძეები, მოგვიანებით უფროსი მასწავ-
ლებლები: გივი თოდრია, ევგენია კუზმინა, ლამარა მახარა-
ძე, ახალგაზრდა მასწავლებლები: ასლან ხახუტაიშვილი, რევაზ ბერაძე, იოსებ აბაშიძე (სამივე პედაგოგი – ასლანი, რევაზი და იოსები შემდეგ ბათუმის პედინსტიტუტში მიიწ-
ვიეს, დისერტაცია დაიცვეს და იქ განაგრძეს მუშაობა),

ოთარ ოჩიგავა, თალიკო რუსეიშვილი, დავით გოგოძე, ლია-
ნა ბარამიძე, ფოლად ცეცხლაძე, ბეჟან და ასლან მიქელაძ-
ეები, იოსებ მამულაძე, მზევინარ ჯაიანი, ნესპიე გაბაიძე, ზურაბ ბერიძე და სხვები. ეს სკოლა შემდ-გომშიც აგრძე-
ლებდა და ტრადიციებს არ ღალატობდა. სწორედ სკოლის ხელმძღვანელთა და მთლიანად პედაგოგიური კოლექტივის ნაყოფიერი შრომის შედეგია, რომ ხიხაძირის საშუალო სკო-
ლა მაშინ და მომდევნო წლებშიც, როცა მას დიდხანს აჭა-
რის დამსახურებული მასწავლებელი **არჩილ იშხნელიძე**

ხიხაძირის საშუალო სკოლის პედკოლექტივი.
ხიხაძირი, 1953 წ.

ხელმძღვანელობდა, ასობით ახალგაზრდამ დაამთავრა, მათგან 28-მ ოქროსა და ვერცხლის მედალზე, 600-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა მიიღო უმაღლესი განათლება, რო-
მელთაგან 30-ზე მეტი მეცნიერ-მუშაკია, (მეცნიერებათა დოქ-
ტორი, მეცნიერებათა კანდიდატი თუ აკადემიური დოქტორი).

ჩვენ, ამ წიგნის ავტორებს, გვქონდა ბედნიერება და ამ სკოლაში სწორედ მისი აღზევების პერიოდში, 1953-1956 წლებში, ვსწავლობდით. ვცხოვრობდით სასკოლო ინტერნატ-
ში, სადაც აღმზრდელ-მასწავლებელთა და სკოლის ხელ-

მძღვანელობის მუდმივი ყურადღების, ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ ვიყავით. ხშირად ღამეები გვითენდებოდა წიგნზე მუშაობასა თუ თემების დამუშავებაში. კარგად სწავლისათვის იმ დროის შესაბამისად სათანადო პირობები იყო შექმნილი. დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ხშირად მოდიოდნენ საღამოობით სასკოლო ინტერნატში, ზოგჯერ მოულოდნელად და გვამოწმებდნენ, გვეხმარებოდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ რამეში ხელი არ შეგვშლოდა და კარგად გვესწავლა.

მარჯვნიდან მარცხნივ: სკენდერ ბაჯელიძე, შოთა აბაშიძე, არჩილ იშხნელიძე. ბათუმი, 1980

სკენდერ მასწავლებელი გეოგრაფიას გვასწავლიდა. უყვარდა რუკა. ჯერ საჭირო პუნქტებს ზეპირად ჩამოგვათვლევინებდა რუკასთან ზურგშექცევით, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილ ადგილებს რუკაზე შემოგვახაზვინებდა. იყო ძალიან მომთხოვნი, უწინარეს ყოვლისა, თავისთავისადმი და მოსწავლეებისგანაც მკაცრად ითხოვდა ცოდნას. გამოირჩეოდა ობიექტურობით, პრინციპულობით, სამართლიანობით. ვერ ეგუებოდა მოსწავლეთა ცბიერებას. თუ შეამჩნევდა, არ აპატიებდა. ცდილობდა, ასეთ მოსწავლეებში უარყოფითი თვისებების აღმოფხვრას. ბევრ შემთხვევაში მიზანს აღწევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც. ძალიან ფხიზელი თვალი ჰქონდა, ვერაფერს გამოპარებდი. ნიშნებს იოლად არ წერდა, ე.ი. არ უყვარდა ზერელობა. ჩვენი კლასი გამორჩეული იყო სკოლაში, როგორც სწავლაში, ისე დისციპლინის მხრივ, მაგრამ არ იქნა და ხუთოსნებმა ერთხანს ვერ მივიღეთ „ხუთები“ გეოგრაფიაში. პირველი „ფრიადი“ დაიმსახურა თანაკლასელმა ეგნატე დუმბაძემ. გაკვეთილის გამართულად მოყოლის შემდეგ, რუკის ცოდანში თავიც გამოიჩნა, გასამეორებელი და არა მარტო ეს, განვლილი მასალების ცოდნით გაახარა პედაგოგი, რის შემდეგ მას დაუწერა ნიშანი „ფრიადი“ და თან დაამატა: „ყოჩაღ, ეგნატე, დიდად მასიამოვნე. ასე უნდა გაგრძელო. შენ სხვა დუმბაძეებს აჯობე. კარგი იქნება, თუ შენი ბიძაშვილები მოგბაძავენ შენ“-ო. ოდნავ ღიმილნარევი სიტყვებით, თითქოსდა მკაცრი ტონით და სპეტაკი გულით დაასრულა საუბარი. ეგნატემდე გამოძახებულთაგან ერთს „ორიანი“, მეორეს „სამიანი“ დაუწერა. რა თქმა უნდა, ქებული ეგნატეს „ფრიადმა“ (იმ მეოთხედში მთელ კლასში პირველი „ფრიადი“ იყო ამ საგანში) ვიზუალურად ჩანდა და ჩვენც ვგრძნობდით, რომ მასწავლებელი გაახარა, გაახალისა, გაამხიარულა, ალბათ, მანამდე შინაგანად ფიქრობდა – „ჩემი ნაკლი ხომ არაა, მოსწავლეები ფრიადებს რომ ვერ ღებულობენო“ (კარგი მასწავლებელი დაბალი მოსწრების მიზეზებს მოსწავლეებში კი არა, თავისთავში ეძებს) და ამ ტალღაზე მყოფ მასწავლებელს მეტი არავინ გამოუძახებია. დიდი ხალისით ახსნა ახალი მასალა. ეს ისეთი რთული, საოცარი და შთამბეჭდავი სცენა იყო, კლასი გაოგნებული დარჩა. ეს ამბავი სამსაწავლებლოშიც ითქვა, დირექტორსაც მოახსენა, შენს „ხუთოსნებს“ ეგნატემ აჯობა, პირველი „ხუთიანი“ მან მიიღო კლასშიო. ეს ეპიზოდი ე.წ. „ჩეპე“ გავრცელდა მთელს სკოლაში. აი, როგორი მკაცრი და მომთხოვნი იყო სკენდერ მასწავლებელი. მართალია, ის მკაცრი პედაგოგი იყო, მაგრამ ჩვენ გვიყვარდა, რადგან სამართლია-

ნიც იყო. ნიშნებს ყოველთვის ობიექტურად წერდა. მასწავ-
ლებელმა ეგნატე შეაქო და ეს ჩვენთვისაც სტიმული იყო,
რომ პირველი „ფრიადი“ კლასში დაიმსახურა დუმბაძემ და
რა უფლება გვქონდა, არ მიგვებაძა მისთვის, ანდა, დირექ-
ტორი თუ კლასის ხელმძღვანელი (ოთარ ოჩიგავა) გაპატი-
ებდნენ ზერელობას სწავლაში? რა თქმა უნდა, მალე ჩვენც
ავმაღლდით ბიძაშვილ ეგნატემდე გეოგრაფიის შესწავლაში.

აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თავად ეგნატე
დუმბაძე: „მე განსაკუთრებით მიყვარდა გეოგრაფია, მთელი
გულისყურით ვეკიდებოდი რუკის ცოდნას, ეს სიყვარული
მე-5 კლასიდან (თხილვანის მაშინ 8-წლიან, შემდგომში საშ-
უალო და ამჟამად საჯარო სკოლაში გეოგრაფიის მასწავ-
ლებლის ლევთერ ბჟალავას და შემდგომ ნაზი ხარაზის
მიერ დანერგილი მქონდა. ისინი როცა გაკვეთილს გვიხს-
ნიდნენ, რუკაზე საჭირო ადგილს ისე შემოხაზავდნენ საჩვე-
ნებელი ჯოხით, რომ რუკისკენ არც შეიხედავდნენ, თითქოს
„ზურგზე თვალები ჰქონდათ“ და რუკას ხედავდნენ. მათი ეს
მანერა ძალიან მომწონდა და მამაჩემს რუკა (მაშინ არც თუ
ისე იოლი სანახავი იყო) ვაყიდვინე და შინ დიდხანს ვვარ-
ჯიშობდი რუკაზე მოხაზვის ამ მანერის გამოსამუშავებლად.
ისინი მოსწავლეებისგან ყველა გაკვეთილზე დეტალურად
ითხოვდნენ შესწავლილი ქვეყნების სწორად ჩვენებას რუ-
კაზე, მათი ფართობის, მოსახლეობის მონაცემების ცოდნასა
და დედაქალაქების დამახსოვრებას. ეს, როგორც წესი, უნდა
სცოდნოდა ნებისმიერ მოსწავლეს. მე ამ მომენტს განსაკუთ-
რებულ ყურადღებას ვაქცევდი გეოგრაფიაში გაკვეთილის
სწავლის დროს. ამ საქმეში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით სკო-
ლაში მიმავალი თანაკლასელები (სკოლამდე მანძილი 3-4 კმ
იყო ყოველდღიურად სავალი). როცა ხიხაძირის საშუალო
სკოლაში განვაგრძეთ სწავლა, აქ მოთხოვნები კიდევ უფრო
მეტი იყო. ამან ჩემზე უარყოფითად კი არა, პირიქით, დადე-
ბითად იმოქმედა, უფრო მეტი სტიმული მომეცა, წამაქეზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტს ვმეცადინეობდი, ფრიადოსანი არ ვყოფილვარ,
მაგრამ იმას კი მივაღწიე, რომ გეოგრაფიაში ყველას ვა-
ჯობე და პირველი „ფრიადი“ მივიღე. სკენდერ მასწავლებ-
ლის პედაგოგიურმა ტაქტმა, მისი მანერებისა და საგნისამდი
უზადო სიყვარულმა საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი მომავალი
პროფესია – პედაგოგობა და სპეციალობა – გეოგრაფიის
მასწავლებლობა. დავამთავრე გეოგრაფია-ბიოლოგიის ფა-
კულტეტი და რამდენიმე წელიწადი პედაგო-გიურ მოღვაწეო-
ბასაც ვეწეოდი ჩემს მშობლიურ თხილვანის საშუალო სკო-
ლაში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, ბატონი
სკენდერი ჩემი საფიცარი და საყვარელი მასწავლებელი
იყო“, – ასე დაასრულა ეგნატემ თავისი მემუარული საუ-
ბარი სკენდერ მასწავლებელზე, მის გაკვეთილზე და გახ-
მაურებულ და საინტერესო ეპიზოდებზე.

სკენდერ მასწავლებელი ითხოვდა არა მხოლოდ ახსნი-
ლი გაკვეთილის, არამედ განვლილი მასალის ცოდნასაც.
ახალ მასალასთან ერთად, გასამეორებლად მოგვცემდა განვ-
ლილ მასალას არა პარაგრაფების თანმიმდევრობით, არამედ
თემატური ნიშნით. ეს ხერხი ძალიან გვეხმარებოდა სხვადა-
სხვა გაკვეთილზე მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავ-
შირება-დამახსოვრებაში. გამოძახებული მოსწავლე მოყვე-
ბოდა წინა გაკვეთილზე ახსნილ მასალას, გასამეორებლად
მიცემული მასალის ძირითად საკითხებს და შემდეგ მასწავ-
ლებელი განსაკუთრებულად მოითხოვდა განვლილი მასა-
ლის მთავარ, ყოველთვის დასამახსოვრებელ მომენტებს (გე-
ოგრაფიული პუნქტების ჩვენება რუკაზე, თუ თეორიული სა-
კითხები, ქვეყნების ფართობები, მოსახლეობა, სახელმწიფო-
თა დედაქალაქები და ა.შ.). გეოგრაფიის გაკვთილი ამავე
დროს გამოცდაც იყო. ამის შემდეგ მასწავლებელი შეაჯა-
მებდა მოსწავლის შრომას, სათანადო კომენტარებით და
დაუწერდა ნიშანს. იმდენად ობიექტურად წერდა ნიშანს,
რომ არც ერთ მოსწავლეს არ უჩნდებოდა პრეტენზიის სა-

ფუძველი. ამრიგად, სკენდერ მასწავლებელი განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა მუშაობის ეპიზოდურ ხასიათს, რაც გამოიხატებოდა მოსწავლის ნიშნის მისაღებად და არა ცოდნის შესაძენად სწავლაში. ის კი მკაცრად ითხოვდა მოსწავლისაგან სისტემატურ ცოდნას (სწავლა ცოდნის შესაძენად და არა მხოლოდ ნიშნის მისაღებად), სისტემატურობის მოთხოვნა, როგორც სწავლების ერთ-ერთი ასპექტი, სკენდერ მასწავლებლისათვის განსაკუთრებული აუცილებლობა იყო. პირველად ვერ ავუღეთ ალღო, მაღალ ნიშნებს საერთოდ არ წერსო, ვფიქრობდით, მაგრამ ერთჯერ ჩვენს გასახარად, იყო ასეთი მომენტიც, საუბარში ისიც თქვა, რომ ერთმა ადამიანმა, როგორი დიდი განათლებაც ჰქონდეს, არ შეიძლება ყველაფერი იცოდესო. ამიტომ არსებობს ლექსიკონები, ენციკლოპედიები და ა.შ. ყველაფერი არც მე ვიცი, მაგრამ ის მთავარი, რაც უმაღლესი სასწავლებლის პროგრამით გათვალისწინებულია, აუცილებლად უნდა იცოდეს ნებისმიერმა მასწავლებელმა, რომ შეძლოს ასწავლოს სხვას. თქვენც მასწავლებლის დონეზე კი ვერ ისწავლით გეოგრაფიას, მაგრამ სასკოლო პროგრამის ფარგლებში აუცილებლად უნდა დაეუფლოთ მთავარ საკითხებს, არა ეპიზოდურად, არამედ სისტემატურად და უნდა შეძლოთ საკითხების ერთმანეთთან დაკავშირება, შეძენილი ცოდნის ლოგიკურად, თანმიმდევრულად გადმოცემა მსმენელისათვის გასაგებად. ასეთ შემთხვევაში მე მზად ვარ ნებისმიერ მოსწავლეს დავუწერო არა მარტო დადებითი, არამედ მაღალი ნიშნებიც. მასწავლებლის ამ ღია და გულწრფელმა საუბარმა ჩვენზე დიდი გავლენა მოახდინა. კიდევ უფრო შეგვაყვარა სენდერ მასწავლებელი. გავიგეთ მისი მანერები და მუღამი. გაკვეთილების მომზადების შემდეგ ინტერნატში მცხოვრები მოსწავლეები ვეჯიბრებოდით, შეკითხვებს ვუსვამდით ერთმანეთს განვლილი მასალიდან, არა მარტო გეოგრაფიაში, არამედ ყველა საგანში. ამით ბოლოს და ბოლოს გავუგეთ მასწავლებელს, ავყევ-

ვით მას. ჩვენც მოვიგეთ და მასწავლებელიც კმაყოფილი დარჩა ჩვენი სწავლის შედეგებით. უმაღლეს სასწავლებლებში, ვისაც გამოცდის ჩაბარება მოუწია გეოგრაფიაში, ან ამ სპეციალობაზე მოეწყო, სწავლა არ გაჭირვებია. ყოველთვის კმაყოფილებით აღნიშნავდნენ სკენდერ მასწავლებლის დამსახურებას, მის პედაგოგიურ ოსტატობას.

ბატონი სკენდერი ორიგინალური თვისებების მქონე პედაგოგი იყო. თუ მოსწავლეთა შორის სკოლაში მკაცრი სახე ჰქონდა, ხშირად შეგვიმჩნევია, რომ მასწავლებელთა კოლექტივში მას ხუმრობა სცოდნია, იცოდა ანეკდოტების საინტერესოდ მოყოლა (ეს ხომ ხელოვნებაა, ყველას არ გამოსდის). სხვებს გააცინებდა ყურებამდე, თვითონ კი იშვიათად გაიცინებდა. იყო დინჯი, სიტყვაძვირი, თავდაჭერილი, განსაკურებით გაკვეთილების დროს. სკენდერ მასწავლებლის ამ თვისებას ვგებულობდით სხვა მასწავლებლებისგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ნიშანდობლივი მომენტიც. პირველად მასწავლებლები ცხოვრობდნენ დაქირავებულ ბინებში, ცალკე ოჯახებში. დიმიტრი ხოზრევანიძემ შეძლო მასწავლებლებისთვის საერთო საცხოვრებლის აშენება, რის შემდეგ ყველა მასწავლებელი გადავიდა ამ საცხვორებელში. ამან პედაგოგიური კოლექტივი უფრო შეამჭიდროვა, მონოლითური და მეგობრული გახადა. მართლაც, მასწავლებელთა მეგობრული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მთავარი მომენტია სასკოლო ცხოვრებში. ეს უკანასკნელი კი მთავარი ფაქტორია სასწავლო-აღმზრდელობით თუ სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში არა მარტო სკოლაში, სასწავლო დაწესებულებაში, არამედ მოსახლეობაში, მშობელთა შორის მუშაობაშიც. აქედან იქმნება პედკოლექტივის თუ სკოლის საერთო ავტორიტეტი. ხიხაძირის საშუალო სკოლა, სკენდერ მასწავლებლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამის საუკეთესო ნიმუში იყო საქართველოს სოფლის სკოლებს შორის.

სკენდერ მაწავლებელი მაღალი აღნაგობის, მომხიბლავი გარეგნობის კაცი იყო, ჰქონდა თეთრი სახე, შავი თვალწარბი, კოხტა ულვაშები, ლამაზად გადავარცხნილი ქოჩორი. გარეგნულად იყო პირქუში, ძალიან მოწყენილი, თითქოს ვიღაცაზე თუ რაღაცაზე გაბრაზებული, მაგრამ ადამიანებისადმი მეტად გულთბილი და ყურადღებიანი იყო. მოსწავლეები ზოგჯერ ასეთ მდგომარეობაში რომ შევამჩნევდით მის მოწყენილ სახეს, ერთმანეთში ვიტყოდით: ნეტა, სკენდერ მასწავლებელს რა აწუხებს? ავად ხომ არ არის? სულ არ იცინის, მუდამ ჩაფიქრებულია, – ხშირად გვიფიქრია და კიდევაც გვითქვამს ერთმანეთში მოსწავლე-ინტერნატელებს. ჩვენ გვიჩნდებოდა მასწავლებლის შეცოდების გრძნობა: ნეტა რა უჭირს? ჩვენგან შველას ხომ არ ითხოვს? ან ჩვენ რა შეგვეძლო, გარდა შენიშნული განცდისა? ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს მართლაც შველას ითხოვდა გარშემომყოფთაგან. ჩვენ, მოსწავლეები, ხომ ვერ ვკითხავდით მის გასაჭირზე. ამიტომ ვცდილობდით, კარგად გვესწავლა გაკვეთილები და ამით მაინც გაგვეხარებინა ჩვენი საყვარელი მასწავლებელი. სხვათა შორის, მისი მოწყენილობის მიზეზი ჩვენთვის ერთ ხანს საიდუმლოდ რჩებოდა. დიდი ხნის შემდგე, ბათუმში რომ დავიწყეთ მუშაობა, მხოლოდ მაშინ გავიგეთ ჩვენთვის გაუცნობიერებელი, მაგრამ განცდილი მომენტი. იგი ხშირად ჩამობრძანდებოდა თავისი „რაშით“, მსუბუქი ავტომანანა „მოსკვიჩით“ ბათუმში, აუცილებლად გვინახულებდა, ძალიან დავუახლოვდით მას. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ოსტატსა და შეგირდს შორის ურთიერთობის ზნებორივი სუბორდინაციის შენარჩუნებით დამყარდა მეგობრული ურიერთობა ჩვენს შორის. ხშირად ვიხსენებდით ხიხაძირის საშუალო სკოლაში ჩვენი სწავლისა და მისი მუშაობის ეპიზოდებს. სწორედ მაშინ დავუსვით კითხვა დიდი მობოდიშებით: – სკენდერ მასწავლებელო, ყოველთვის ჩაფიქრებული იყავით, ვიცოდით, გქონდათ ახალი კოსტიუმი, მაგრამ იშვიათად იცვამდით, რა გქონდათ მაშინ საფიქრალი? მოსწავლეებს გვაღელვებდა თქვენი ასეთი განცდები და დაღვრემილობა, ცოტათი გათამამებულებმა გავუბედეთ ასეთი კითხვა.

– ახ, ახალგაზრდებო, რა ბედნიერები ხართ! თქვენ არ იცით, რა არის ომი და ისიც ასეთი გრანდიოზული, დამანგრეველი მეორე მსოფლიო ომი. მისი საშინელება, განსაკუთრებით ტყვეობაში გატარებული ჩემი მძიმე წლები. მართალია, ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ გავიარე ე. წ. „პოლიტიკური ფილტრაცია“, ჯარშიც დამაბრუნეს და ერთი წელი ომის შემდეგ კიდევ ვიმსახურე, მგრამ სულ მეშინოდა, ხომ არ დამიჭერენ, როგორც ყოფილ ტყვეს-მეთქი. სკოლაში უშიშროების მუშაკის გამოჩენის შიშით გულში ვამბობდი – ჩემს წასაყვანად ხომ არ მოსულა-მეთქი. ასე ვიყავი წლების განმავლობაში. ჩაცმა-დახურვაზე ვინ ფიქრობდა, ან რა მეკოსტუმებოდა, ან რა გამაცინებდა. ბიჭები ზოგჯერ საღამოობით ან დასვენების დღეებში სადღესასწაულოდ (თუ ოჯახებში, მშობლებთან ვერ წავიდოდით) ჩამოვჯდებოდით, ცოტა ღვინითაც შევიქცევდით თავს, მაშინ გულზე მომეშვებოდა (რა ძალა აქვს დალოცვილ ღვინოს, ოღონდ ზომიერების დაცვით): გავხალისდებოდით, მეც გავიცინებდი, ანეკდოტებსაც მოვყვებოდით, ომის ეპიზოდებსაც ვიხსენებდით, იშვითად, მაგრამ მაინც ვხუმრობდით კიდეც. აბა, ზამთრის გრძელ ღამეებში რა უნდა გაგვეკეთებინა, სულ წიგნის კითხვა ხომ არ შეიძლება, დასვენება და გართობაც საჭიროა. დახარჯული ენერგია უნდა აღადგინო. 1956 წელს, როცა რეპრესირებულთა რეაბილიტაცია დაიწყო, შვებით ამოვისუნთქე, – აგვისხნა ჩვენმა მასწავლებელმა მისი მდგომარეობით შეწუხებულ და დიდხანს ამაზე ჩაფიქრებულ მოსწავლეებს. არ ვიცით, რამდენად დაგვიჯერებთ, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენც მასწავლებლის შეცოდების გრძნობა მაშინ მოგვეხსნა.

სკენდერ მასწავლებელი (პირველ რიგში მარცხნიდან მეხუთე) ხიხაძირელ მეგობრებთან

სკენდერ მასწავლებელი ყოველთვის მოწესრიგებული იყო. იგი უყვარდა ყველას, პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლე ახალგაზრდობას. კარგი ავტორიტეტი დაიმსახურა სოფლის მოსახლეობაში, მშობლებში, განათლების სისტემის მესვეურთა შორისაც. სკოლის ინსპექტირების დროს (ზოგჯერ ეს მთელ კვირას გრძელდებოდა) სკენდერ მასწავლებელი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი აკადემიური, განმავითარებელი გაკვეთილებით. ამიტომ იგი ცნობილი იყო როგორც მოწინავე მასწავლებელი და გამოცდილი სასწავლო ნაწილის გამგე. ასე ახასიათებდნენ მას ინსპექტირების შესახებ წარდგენილ მოხსენებებში და გაფორმებულ ბრძანებებში.

სკენდერ ბაჯელიძე (შუაში) ყოფილ მოსწავლეებთან – ეგნატე და სერგო დუმბაძეებთან ერთად

როცა ხიხაძირში პედაგოგიური მოღვაწეობა დაასრულა და სამუშაოდ მშობლიურ რაიონში, ქობულეთში გადავიდა, ხიხაძირის სკოლის პედკოლექტივმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, სოფლის მოსახლეობამ დიდი კმაყოფლებით გააცილეს იმის თხოვნით, რომ კვლავ სტუმრებოდა ხიხაძირს. მისი წასვლით გამოწვეული სინანულის ცრემლებიც კი გააყოლეს ქობულეთში პედაგოგსა და საყვარელ პიროვნებას. აი, რას ნიშნავს, კაცური კაცობა. სწორედ არის ნათქვამი, კარგი ქენი ქვაზე დადე, გაირე წინ დაგხვდებაო. სიკეთე ადამიანის სიმაღლით კი არ იზომება, არამედ გაკეთებული საქმით, ნაშრომ-ნაჯაფარით, დამსახურებული ღვაწლით. ვიცით ისიც, რომ სხვა კი არ გამოგაჩენს, შენი საქმე გამოგავლენს. ჩვენ კი მისი ყოფილი მოსწავლეები, წინამდებარე წიგნის ავტორები, მთელი ხეობის მოსახლე-ობის სახელით გამოვხ-

ატავთ დიდ მადლიერებას სკენდერ მასწავლებლის პიროვ-ნების მიმართ. მართალია, დღეს ის არ არის ჩვენს შორის, განისვენებს ზეციურ საქართველოში, ნათელში მყოფ მის სულს მივმართავთ – სკენდერ მასწავ-ლებელო, ხალხისგან პატივი შენ თავად დაიმსახურე ღირსეულად, ჩვენ კი გვახ-სოვხართ, არ დაგივიწყებთ, სანამ სუნთქვა შეგვიძლია!

ხიხაძირში მისი შვიდწლიანი მოღვაწეობის შედეგი გა-ნიხილა სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ და სათანადო წერი-ლობითი დახასიათებაც კი მისცა.

„სკენდერ ხუსეინის ძე ბაჯელიძე, დაბადებული 1921 წელს, უმაღლესი განათლებით, 1952-53 სასწავლო წლიდან მუშაობდა ხიხაძირის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწა-ვლებლად. 1954 წლის 20 აგვისტოდან დაწინაურებულ იქნა ხიხაძირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

მოვალეობას ასრულებდა მაღალი პასუხისმგებლობით, იბრძოდა კლასში სასწავლო მუშაობის სათანადო სიმაღლე-ზე დაყენებისათვის, არის დინჯი და თავდაჭერილი ამხანა-გი. კარგად ფლობს სასწავლო პროცესის ორგანიზაციას და მისი მართვის ხერხებს.

სარგებლობს კარგი ავტორიტეტით.

ხიხაძირის საშუალო სკოლის დირექტორი დიმიტრი ხოზრევანიძე.

2. 02. 1959 წ.“

ასეთი მაღალი ღირსებით დატვირთული და შემკობილი პედაგოგი ტოვებს ხიხაძირს და სამუშაოდ უბრუნდება მშობ-ლიურ რაიონს, მაგრამ სიყვარული ხიხაძირის, სხალთის ხეობისა და მისი სტუმართმოყვარე მოსახლეობისადმი თან გაჰყვა მას სიცოცხლის ბოლომდე.

§7. პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელება მშობლიურ რაიონში

საკმაოდ დიდხანს იმოღვაწა ბატონმა სკენდერმა ხიხა-ძირის საშუალო სკოლაში. გამოჩნდნენ ხიხაძირელი ახალ-გაზრდა სპეციალისტები სხვადასხვა საგანში და მათ შორის გეოგრაფიაშიც. ამასთან, სკენდერ მასწავლებელი ოჯახიდან მოწყვეტილი იყო. ომის მძიმე წლებგამოვლილი ვეტერანი საკმაო ასაკშიც შევიდა. მან საჭიროდ ჩათვალა მშობლიურ რაიონში გადასვლა. განცხადებით მიმართა ამის თაობაზე აჭარის განათლების მინისტრს, ბატონ დავით თებიძეს. მინ-ისტრმა უყოყმანოდ დააკმაყოფილა დამსახურებული პედა-გოგის დროული და სავსებით მისაღები მოთხოვნა და ამას მოჰყვა სათანადო ბრძანება (№644, 1959 წლის 17 ნოემბერი), სადაც ვკითხულობთ:

„ბაჯელიძე სკენდერ ხუსეინის ძე ხულოს რაიონის ხიხ-აძირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და გეოგრაფიის მასწავლებელი 1959 წლის 20 ოქტომბრიდან გადაყვანილ იქნას ქობულეთის რაიონის **ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის** აღმზრდელ-მასწავლებლად, მისი განცხადების საფუძველზე.

აჭარის განათლების მინისტრი დ. თებიძე.“

ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის პედაგოგთა ერთი ნაწილი: მარცხნიდან – შუქრი ონაშვილი (სკოლა-ინტერნატის თანამშრომელი), ასლან ყურშუბაძე, რეზო ფოცხიშვილი, ვაჟა (ნიაზ) ყურშუბაძე (დირექტორი), სკენდერ ბაჯელიძე

ასე დამკვიდრდა სკენდერ მასწავლებელი მშობლიურ რაიონში, მაგრამ გული თავისი სოფლისაკენ მიუწევდა, სურდა უფრო ახლოს ყოფილიყო საკუთარ ოჯახთან, მშობლებთან. მაგრამ ამჯერად ეს არ მოხერხდა, ცოტა ხნით მაინც. სკენდერ მასწავლებელს აქაც შეხვდა შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივი, რომელსაც დამსახურებული პედაგოგი, სასკოლო ცხოვრების კარგი ორგანიზატორი ნიაზ ყურშუბაძე ხელმძღვანელობდა. მას გვერდში ამოუდგნენ გამოცდილი პედაგოგები: ივერი მელაძე, თინა ლორია, შოთა ვაშაყმაძე, ამირან ერქომაიშვილი, გივი გოგიჩაიშვილი, ქსენია ყურშუბაძე, გივი ჯაში და სხვები. აქაც ბევრი ნიჭიერი მოსწავლე ეზიარა სკენდერ მასწავლებლის ზრუნვასა და ყურადღებას. მისი აქაური ბეჯითი და საამაყო მოსწავლეები იყვნენ: **როსტომ ჯაფარიძე** – აჭარის ყოფილი პროკურორი, აჭარის ა.რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, ღირსების ორდენოსანი, **როსტომ გუნ-**

როსტომ ჯაფარიძე

როსტომ გუნთაიშვილი

ეთერ ყურშუბაძე

თაიშვილი – იურისტი, იყო აჭარის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში, იუსტიციის საბჭოს მდივანი, ბათუმის სამოქალაქო დავათა არბიტრაჟის თავმჯდომარე, ბსუ-ს პროფესორი, პედაგოგი **ეთერ ყურშუბაძე** – ოქროს მედალოსანი. მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად ჩაისუბნის სკოლაში. შემდეგ – ბათუმის №1 (ამჟამად №2) სკოლის პედაგოგია. იყო სასწავლო ნაწილის გამგე და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ხიხაძირისა და ჩაისუბნის სკოლებში 15 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ, 1967 წლის 10 მარტს, გაფორმდა აჭარის განათლების მინისტრის კიდევ ერთი ბრძანება №209, რომელშიც ვკითხულობთ: „ბაჯელიძე სკენდერ ხუსეინის ძე, ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი და გეოგრაფიის მასწავლებელი, 1967 წლის 15 მარტიდან გადაყვანილ იქნას ხუცუბნის საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობით მუშაობის დარგში ორგანიზატორად დირექტორის მოადგილის უფლებით.

საფუძველი: ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგის 1967 წლის 10 მარტის №2 10/35 მომართვა.

აჭარის ასსრ განათლების მინისტრი – ვ. წულუკიძე.“

როცა მისი მოსწავლის ერთ-ერთი მშობელი ჩაისუბანში შეხვდა სკენდერ მასწავლებელს, მან აუწყა, რომ სამუშაოდ გადავიდა მშობლიურ სოფელში. შეწუხებულმა მშობელმა გულისწუხილი ასე გამოხატა: „თქვენ კი მოიგეთ, ოჯახს დაუბრუნდით, მაგრამ ჩვენ, მოსწავლეებმა და მშობლებმა დიდად წავაგეთო“. ეს სიტყვები კარგად გამოხატავს სკენდერ მასწავლებლის პიროვნების, როგორც პედაგოგის, როლს, მის ავტორიტეტსა და დამსახურებას სკოლაში.

ხუცუბნის საშუალო სკოლა.
სკოლის დირექტორი, აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ჯემალ მეგრელიძე პედკოლექტივთან ერთად. 1980 წ.

სკენდერ მასწავლებელმა, ხანდაზმულობის მიუხედავად, ხუცუბნის საშუალო სკოლაში კიდევ უფრო ახალი მონდომებით, დიდი პასუხისმგებლობით განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა. მას აქაც კარგ პედაგოგიურ კოლექტივში მოუწია მუშაობა. სკოლის დირექტორი **ჯემალ მეგრელიძე** დიდი ავტორიტეტიანი, მცოდნე მასწავლებელი, კარგი ხელმძღვანელი იყო; ტიტე აფხაზავა, კლარა ცინცაძე, სულეიმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრელიძე, ასლან ქათამაძე, ავთანდილ ზოიძე, რამიზ მახარაძე, ქსენია ჩხაიძე და სხვები ერთსულოვნებითა და მხარდაჭერით ხელს უწყობდნენ სკენდერ მასწავლებელს კეთილშობილურ საქმიანობაში, თანაც სიამოვნებით იზიარებდნენ მის მდიდარ გამოცდილებას. ხიხაძირელებსა და ჩაისუბნელებზე ნაკლები სიყვარულითა და პატივისცემით როდი იგონებენ სკენდერ ბაჯელიძის ამაგსა და ღვაწლს ხუცუბნელი აღზრდილები – რომან მოწყობილი, ვაჟა ბერიძე, გია თამაზაშილი, როსტომ გუნთაიშვილი, თამარ ბათნიძე, ეთერ ბაუჟაძე, ვაჟა ხინიკაძე, ოთარ, ლევან, ვაჟა ბაჯელიძეები და სხვები.

ხუცუბნის საჯარო სკოლა,
სადაც მუშაობდა სკენდერ ბაჯელიძე

ბატონი სკენდერი არა მარტო გამორჩეული პედაგოგი, არამედ დიდბუნებოვანი ჰუმანტისტი ადამიანიც იყო. იგი ყოველთვის გაჭირვებულთა პირველი ქომაგი და ქველმოქმედი გახლდათ. ბევრ თანასოფლელს ახსოვს, ალბათ, ხიხაძირში ორ ობოლ ახალგაზრდას ბატონი სკენდერის ინიციატივით და მასწავლებელთა ხარჯებით როგორ გადაუხდეს ქორწილი, რომელიც მთელი სოფლის ზეიმად გადაიქცა.

ნოდარ კეკელიძე

სკენდერ მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობა მარტო სკოლით რადი შემოიფარგლებოდა. იგი ყოველთვის დაინტერესებული იყო კურსდამთავრებულთა შემდგომი ბედით, სწავლითა და ცხოვრებით. 46 წელი გავიდა ხიხაძირიდან მშობლიურ რაიონში გადასვლის შემდეგ, მაგრამ მას არასდროს გაუწყვეტია კავშირი ამ ხეობის მასწავლებლებთან, მშობლებთან, ყოფილ მოსწავლესთან. იგი ხიხაძირელთა ჭირ-ვარამის მონაწილე, ყველას მრჩეველი და ქომაგი იყო. იგი სპეციალურად ჩამოდიოდა ქობულეთიდან ბათუმში, მოისიყვარულებდა თავის ყოფილ მოსწავლეს, სარეცელზე მიჯაჭვულ **ნოდარ კეკელიძეს,** ანუგეშებდა, დააიმედებდა და ამით უმსუბუქებდა მას გამწარებულ სიცოცხლეს. დიდი მადლობა ამისათვის თქვენ, სკენდერ მასწავლებლო! – მაშინ ასე მივმართავდით ნოდარის მეუღლე ქალბატონი სურიე და ჩვენ, ნოდარის თანაკლასელები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტი. მთელი საქართველო შეძრა 1989 წლის 19 აპრილს ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში, ჩანჩურიხევის უბანში, დატრიალებულმა ტრაგედიამ, როცა სოლგომანის გორა მოსკდა. გეოლოგების სავარაუდო აზრით, დაახლოებით ერთი მილიონი კუბ. მეტრი მიწის მასამ ჩახერგა მდ. სხალთისწყლის კალაპოტი, ამოავსო მისი მარცხენა შენაკადის, პატარა ყიშლისწყლის ხევი, დაანგრია საცხოვრებელი სახლები, დაფარა, დაასამარა ამ პატარა ხევში მოქმედი ხე-ტყის სახერხი ქარხანა და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. მეწყერმა შთანთქა 23 ადამიანის სიცოცხლეც (ამ ტრაგედიის სიმბოლოდ აღმართულია მემორიალი).

სტიქიის შედეგად დაღუპულთა მემორიალი (ჩანჩურიხევი, 1989 წლის 19 აპრილი)

ამ შემზარავმა მოვლენამ შეძრა მთელი სოფელი, წაბლანა, სხალთა, ხიხანის ხეობა, რაიონი, აჭარა, სრულიად საქართველო, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ფეხზე დადგა.

შემთხვევის ადგილი მოინახულეს საქართველოსა და აჭარის ხელმძღვანელებმა. წაბლანას ეწვია და დაღუპულთა ოჯახებს, აჭარისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობას, მომხდარი ტრაგედიის გამო სამძიმარი უთხრა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. მან დაზარალებულთ მოთმინებისკენ, ხოლო ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას, მათთვის დახმარების ხელის გაწოდებისკენ მოუწოდა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეს მოწოდება მთელმა საქართველომ (და არა მარტო საქართველომ) გულთან მიიტანა. დაზარალებულ ოჯახებს ბათუმში დროებით თავშესაფარი მიუჩინეს, შემდეგ ბინებში შეასახლეს, გაუწიეს სათანადო საჭირო მატერიალური დახმარება.

ამ შემზარავმა მოვლენამ ააფორიაქა სკენდერ მასწავლებელიც. იგი მეორე დღესვე ავტობუსით ავიდა შემთხვევის ადგილას – ჩანჩურისხევში, გაიგო მომხდარი ამბავი და ისიც, რომ მისი ყოფილი მოსწავლეები – ყიშლის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი **დავით შაინიძე,** მისი ბიძაშვილი **ოთარ შაინიძე**, კიდევ 21 მოქალაქესთან ერთად,

დავით შაინიძე

ოთარ შაინიძე

მეწყერს მიწაში ჩაეტანა და დამწუხრებული მოსახლეობა დაეძებდა დაღუპულებს. სკენდერ მასწავლებელიც მათ შეუერთდა. როცა დაღუპულები იპოვეს, მაშინ გენახათ ბატონი სკენდერის ცრემლები და ტკივილი. ამას მხოლოდ დიდსულოვანი ადამიანი გააკეთებდა, მხოლოდ სკენდერ ბაჯელიძის მოდგმის კაცი მოიმოქმედებდა. კიდევ მეტი, ის ამ ტრაგედიას სპეციალური სამძიმრის დეპეშითაც გამოეხმაურა, რომელიც გაზეთში მოთავსდა.

„გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციას:

დიდად შემაძრწუნა და დამამწუხრა იმ ამბავმა, რომ სტიქიის შედეგად ხულოს რაიონის სოფელ წაბლანის ბევრი მცხოვრები დაიღუპა.

ჩემი მწუხარება მით უფრო მწარეა, რომ ამ უბედურებას შეეწირნენ ჩემი ყოფილი მოსწავლეები – დავით და ოთარ შაინიძეები.

მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით ღრმა სამძიმარი გადავცე დაღუპულთა ოჯახებს, მათს ახლობლებს და აღვუთქვა, რომ მათთან ვარ.

სკენდერ ბაჯელიძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, სოფელი ხუცუბანი“.[1]

ვინც სკენდერ ბაჯელიძეს ერთჯერ მაინც შეხვედრია და მისი საუბარი მოუსმენია, არასდროს დაავიწყდება იგი, მისი გულის სითბო, კეთილშობილება, მოკრძალებულობა, მაღალზნეობრიობა. იგი სულით ხორცამდე სიკეთისა და კაცურკაცობის განსახიერება იყო. მაღალი მოქალაქეობრივი თვისებები მისი პიროვნების სამკაული და ჰუმანურობისა და კეთილშობილების გამოხატულებას წარმოადგენდა. ამიტომ დიდი სითბო, სიკეთე, სახელი და ავტორიტეტი დატოვა ყველგან, სადაც კი უცხოვრია და უმოღვაწია. მისგან გაცემული ეს სიკეთე მასვე უბრუნდებოდა საზოგადოებისგან ანალოგიური სიკეთით.

§8. დამსახურებულ პენსიაზე

სხვადახვა რაიონში და არაერთ სკოლაში ხანგრძლივი, მუხლჩაუხრელი პედაგოგიური მოღვაწეობა საერთოდ ომგადახდილი პიროვნებისათვის, განსაკუთრებით ტყვეობაგამოვლილი კაცისთვის, მეტად დამღლელი და დამქანცველია. ასეთი მძიმე წლების შემდეგ ენერგიის დაუზოგავად შრომამ მხცოვანი მასწავლებლის – სკენდერ ბაჯელიძის ჯანმრთელობაზე გავლენა იქონია. ამიტომ მან განცხადებით მიმართა სკოლის დირექტორს, ჯ. მეგრელიძეს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, პენსიაში გასვლასთან დაკავშირებით სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ. სკოლის დირექტორმა ამასთან დაკავშირებით აცნობა ქობულეთის რაიონის განათლების განოფილების გამგეს, ბატონ ლევან მესხიძეს.

[1] გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 3 მაისი, 1989 წ.

განათლების რაიონულმა განყოფილებამ დააკმაყოფილა დამსახურებული, ღვაწლმოსილი პედაგოგის თხოვნა და 1981 წლის 20 ოქტომბერს დაუშვა სათანადო ბრძანება №671, რომელშიც ნათქვამია:

„ხუცუბნის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი სკენდერ ხუსეინის ძე ბაჯელიძე 1981 წლის 8 ოქტომბრიდან გათავისუფლდეს სამუშაოდან პენსიაში გასვლასთან დაკავშირებით.

საფუძველი: სკოლის მომართვა.

ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ლ. მესხიძე“ (მაშინ ბრძანებებს განათლების განყოფილება აფორმებდა).

სამუშაოდან გათავისუფლების წინ სკოლის დირექტორმა სკენდერ მასწავლებელს ასეთი დახასიათება მისცა: „სკენდერ ბაჯელიძე, დაბადებული 1921 წელს, უპარტიო, შრომის სტაჟი 31 წელი, ამჟამად მუშაობს ხუცუბნის სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. კარგად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. იცნობს საბუნებისმეტყველო დარგის საგნების მეცნიერულ მიღწევებს და საჭიროების მიხედვით უკავშირებს გაკვეთილებს. პასუხისმგებლობით ეკიდება, ემზადება და მეთოდურად გამართულ გაკვეთილებს ატარებს. იყენებს არსებულ თვალსაჩინოებებს და ტექნიკურ საშუალებებს. მტკიცე მოთხოვნებს უყენებს მოსწავლეებს დავალების შესრულებაში, სწავლებაში კარგ შედეგებს აღწევს. მუშაობს თავისთავზე, ეხმარება დამწყებ მასწავლებლებს, თავის გამოცდილებას უზიარებს მათ. აქტიურად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, კეთილსინდისიერად ასრულებს დავალებებს, ვერ ეგუება ნაკლოვანებებს. ხშირად საკითხს აყენებს პედსაბჭოს სხდომებზე და იბრძვის მათ აღმოსაფხვრელად.

ავტორიტეტით სარგებლობს სკოლის პედკოლექტივში, მოსწავლე ახალგაზრდობაში და სოფლის მოსახლეობაში.

ხუცუბნის სკოლის დირექტორი ჯ. მეგრელიძე“.

ცოტას დავისვენებ, მივხედავ ოჯახს, ჯანმრთელობასაც და შვილიშვილებსაც მოვეფერებიო, – ფიქრობდა ვეტერანი პედაგოგი.

პენსია ფსიქოლიგიურად ძნელად შესაგუებელი ფაქტორია. ადამიანი ძირითად საქმიანობას რომ წყდება, ფიქრობს, სიცოცხლე მთავრდება, სიკვდილი დაჩქარდებაო და ყოველთვის ამ უბედურების ბურუსში თუ მოლოდინში უღამუთენდება. თუ ჯანმრთელობაც შერყეული აქვს და ყურადღება, ოჯახური სითბო აკლია, ეს პროცესი კიდევ უფრო მტკივნეული და ძნელად ასატანია.

ძალიან მოძრავი კაცი იყო სკენდერ ბაჯელიძე, უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა (ეს მოხუცებულობის, ასაკის დაავადებაა, როგორც ჩანს). გამონახა გასართობი, დროის მოსაკლავი, ამავე დროს ჯანმრთელობისა და ოჯახისთვის სასარგებლო საქმე. ნათქვამია, სიბერეში სიქაჩლეო, ჯერ კიდევ პენსიაში გასვლამდე 1976 წელს დაამთავრა ავტოსკოლა, აიღო მანქანის მართვის მოწმობა, იყიდა მსუბუქი მარკის ავტომანქანა „მოსკვიჩი“ და ამ „ბედაურით“ ხშირად სტუმრობდა ქალიშვილებს, ძმებს, ძმისშვილებს, ნათესავებს, მეგობრებს, ყოფილ მოსწავლეებს. ჩამოდიოდა ბათუმშიც, საოჯახო საქმეებსაც აგვარებდა და ახლობლებსა და შინაურებსაც ნახულობდა.

ასე კლავდა დროს. ეს იყო მისი „დასვენება-გართობა“. კიდევ მეტი, სკენდერ მასწავლებელი, როგორც პენსიონერი, ომისა და შრომის ვეტერანი, სარგებლობდა ვეტერანისათვის დაწესებული საგზურებით და პერიოდულად დადიოდა კურორტებზე, ისვენებდა და იკაჟებდა ჯანმრთელობას (საგზურით ამარაგებდა მისი ყოფილი მოსწავლე გივი გაბაიძე, რომელიც მუშაობდა სოცუზრუნველყოფის სამინისტროში). არაერთხელ ყოფილა საირმეში, კისლოვოდსკში, ბორჯომში, წყალტუბოში, სადაც ბევრი მეგობარი გაიჩინა, მათთან გად-

აღებული სამახსოვრო სუ-რათები ალამაზებენ მის საოჯახო ალბომს და ინახავს მათ მეგობრობას. კურორტ **„საირმეში“** იგი ისვენებდა თავის მეგობარ-კოლეგასთან, აღიარებულ პედაგოგთან, ცნობილ ფილოლოგთან და სამშობლოს ერთგულ პიროვნებასთან, ბატონ **ივერი მელაძესთან** ერთად. ისინი იმდენად აფასებდნენ და უყვარდათ ერთმანეთი, რომ სკენდერ მასწავლებელი, ბათუმში ჩამოსული, ბატონ ივერის უნახავი უკან არ ბრუნდებოდა. მათი ეს დამოკიდებულება ივერი მელაძემ გადმოსცა სკენდერ ბაჯელიძის დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე მისასალმებელ წერილში, რომელიც მოთავსებულია ამ წიგნის მომდევნო განყოფილებაში.

კურორტ „საირმეში“
მარცხნიდან: ივერი მელაძე,
სკენდერ ბაჯელიძე

ასეთ თბილ ოჯახურ და მეგობრულ გარემოში უხდებოდა ცხოვრება პენსიაში გასვლის შემდეგ სკენდერ ბაჯელიძეს. მეტს რას ინატრებდა ომის მძიმე წლების შემდეგ მშვიდობიანი ცხოვრებით დალხინებული, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობით ხელდამშვენებული, პენსიაში გასვლით თითქოს რამდენადმე შრომაშემსუბუქებული ადამიანი. ხარობდა ოჯახის მამა და დედმამიშვილობაში უფროსი ძმა სკენდერ მასწავლებელი თავისი გავლილი შინაარსიანი ცხოვრების გზით. პენსიაში გასვლის შემდეგ იგი დროის დიდ ნაწილს ოჯახში, მეგობრებთან, და-ძმებთან ატარებდა. ამით ივსებდა იმ „სიცარიელეს“, რაც გამოწვეული იყო

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, შემდეგ სტუდენტობისა თუ შორეულ რაიონში პედაგოგიური მოღვაწეობის წლებში, ოჯახისაგან შორს ყოფნით.

როგორც ზემოთ ითქვა, სკენდერი დედმამიშვილებს შორის უფროსი იყო. მის შემდეგ ხუსეინ და მერიემ ბაჯელიძეების ოჯახში გაჩნდნენ **ვლადიმერი, შუქრი, ზია, ფათუშა და ქესკინი**. როგორც ზემოთ ითქვა, სამწუხაროდ, ზია და ფათუშა ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ. მათ ოჯახები არ შეუქმნიათ. დარჩენილი ძმები გაიზარდნენ, შესაფერისად ისწავლეს და ოჯახში თუ ცხოვრებაში დაიკავეს კუთვნილი ადგილები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვლადიმერმა მიიღო უმაღლესი აგრონომიული განათლება, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოფელ ხუცუბანს, რომელიც მილიონერი კოლმეურნეობა გახდა.

ის, როგორც სოფლის გამორჩეული თავკაცი, საკავშირო უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი გახლდათ. უფროს ძმას სკენდერს თუ ორდენები ჰქონდა ფაშიზმის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისა და თავდადებული ბრძოლისათვის, ბატონ ვლადიმერის გულმკერდს შრომის ფრონტზე მიღწეული წარმატებებისათვის მინიჭებული ორდენები და მედლები ამშვენებდა (მის შესახებ ვრცლად ითქვა ზემოთ).

სკენდერის შემდეგი ძმაა **შუქრი,** ტექნიკის მოყვარული. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაეუფლა მექანიზატორის სპეციალობას, კოლმეურნეობის დაშლამდე მუშაობდა სოფელში, ჩაის ფაბრიკებში. შუქრის მეუღლეა ანია არშევსკაია. მათ ჰყავთ ორი შვილი: მალხაზი და ტარიელი. ისინი აგრძელებენ მამის საქმეს და ემსახურებიან, თავს ევლებიან დედას.

ძმები შუქრი და სკენდერ ბაჯელიძეები
კიევი, 1951 წლის 4 ივლისი

სკენდერის უმცროსი ძმაა **ქესკინი**. მან სკოლა დაამთავრა, მუშაობდა კოლმეურეობაში, იმსახურა ჯარში, საზენიტო არტილერიაში, აქვე დაეუფლა მძღოლის სპეციალობას. ჯარის შემდეგ კოლმეურნეობის დაშლამდე მუშაობდა ჩაის საკრეფ კომბაინზე მექანიზატორად. მისი მეუღლეა ქალბატონი ნინო, სახელოვანი მეჩაიე, არჩეული იყო საკავშირო უმაღლესი საბჭოს ბოლო მოწვევის დეპუტატად. მათ სამშობლოს მისცეს სამი შვილი: **კახა, ქეთინო, მირზა**. სამწუხაროდ, კახამ ნაადრევად გამოიცვალა სამყარო – სააქაო სააქაოდ, ქეთინო სოფელ კონდიდში გათხოვდა, მეუღლე – გია შაქარიშვილი. ჰყავთ ორი შვილი: **ლევანი და ნინი**. მირზა კი ემსახურება მშობლებს და აგრძელებს ბაჯელიძეთა ტრადიციებს.

ქესკინ ბაჯელიძე მეუღლე ნინოსთან ერთად

ქესკინი ამჟამად ხუსეინ ბაჯელიძის ფუძე ოჯახში ყველაზე უხუცესია, არის პენსიონერი, აგრძელებს მამის ტრადიციებს, იცავს გვარის ღირსებას, მრჩევლად თუ დამრიგებლად სათავეში უდგას შვილებს, ძმების შვილებს, შვილიშვილებს, ერთობა საოჯახო საქმეებით და პატარებზე ზრუნვით, ხარობს მათზე ცქერით, უყვება წინაპართა ღირსეულ ტრადიციებზე და მოუწოდებს მათ, დაიცვან, გაამრავლონ და სახელოვნად გააგრძელონ საქმენი მათი საგმირონი, კარგი სწავლით, შრომით, სულიერი სიწმინდით და ზნეობრივი სისპეტაკით ბაჯელიძეთა დარად ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ სოფელში, რაიონში, საზოგადოებაში, ქვეყანაში, ცხოვრებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, 2014 წლამდე, სოფელ ხუცუბანს თავკაცობდა სკენდერ მასწავლებლის მომდევნო ძმის, ვლადიმერის შვილი – **ზურაბ ბაჯელიძე**. იგი ზრუნავდა და ზრუნავს სოფლის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

ქესკინი (უკანა რიგში შუაში) და ზურაბი (მარჯვნივ) ოჯახების წევრებთან ერთად

მამის მსგავსად, იგი კარგი კაცია, ტკბილმოუბარი, ყურადღებიანი, მაღალი კულტურის, ადამიანის დამფასებელი, თანამშრომლებთან ტაქტიანი, თბილი, მათზე მზრუნველი, მრჩეველი და დამრიგებელი, სამსახურეობრივი მოვალეობისა და მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებელი. ზურაბი მოქალაქეობრივი თვისებებით, გარეგნობით, ხმის ტემბრით, მეტყველების მაღალი კულტურით, დიქციით, მოკრძალებით, უბრალოებით, ზომიერებით, სტუმარმასპინძლობის სურვილითა და უნარით მამის ორეულია. ვინც მის მამას იცნობდა და ბატონ ზურაბის საუბარს მოისმენს, პირველივე წუთებიდან თვალწინ

ზურაბ ბაჯელიძე და წიგნის ავტორი სერგო დუმბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის სახით მამის სილუეტი წარმოუდგება. ხალხური ნათქვამია, კარგი დედა შვილს მამას დაამსგავსებსო. ღმერთმა აცხონოს დედ-მამა, ღმერთმა დაიცვას შვილი ზურაბი, რომელიც კაცურკაცობით აგრძელებს მშობლების, გვარის, სოფლის ღირსეულ ტრადიციებს, აფერუმ, ასეთ შვილს ყველა ოჯახში.

თოფან (თეიმურაზ) მელაძე აჭარის კულტურის დამსახურებული მოღვაწე

აღსანიშნავია ზურაბ ბაჯელიძის თანადგომა წინამდებარე წიგნის მასალების შეგროვება-მომზადებაში.

ბატონი ზურაბი დაწინაურდა. ამჟამად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახლად შექმნილ განყოფილებაში სოფლის განვითარების სამსახურის უფროსია, ერთგულად და გულმოდგინედ ემსახურება მინდობილ საქმეს.

ზურაბი არა მარტო სახელოვანი მამის შვილი, მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელია, არამედ შესანიშნავი ოჯახის პატრონიცაა. მისი მეუღლეა ქალბატონი **მაია მელაძე**, ქორეოგრაფის, აჭარის კულტურის დამსახურებული მოღვაწის **თოფან** (თეიმურაზ) **მელაძის** შვილია, მუშაობდა ქობულეთის რაიონულ არქივში. ამჟამად აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აგრძელებს საქმიანობას. მათ გაზარდეს სამი ვაჟკაცი. ყველამ მიიღო უმაღლესი განათლება: არჩილი ეკონომისტია, მისდევს ბიზნესს, გიორგი ინჟინერია, მუშაობს შპს „გზა“-ში, იმედა მეზღვაურის სპეციალობის დაუფლების შემდეგ ცურავს შორეული ნაოსნობის სისტემაში. ბატონ ვლადიმერ ბაჯელიძის შთამომავლობა ღირსეულად აგრძელებს ოჯახისა და გვარის ტრადიციებს.

ბატონ ზურაბს ჰყავს ძმა, **გენადი,** ინჟინერ-მშენებელი, მუშაობს ქობულეთის ინფრასტრუქტურაში. მისი მეუღლე – ქალბატონი ხათუნა დიასახლისია, ჰყავთ ორი შვილი – გიორგი და ნინო.

გენადი ბაჯელიძე მეუღლესთან – ხათუნასთან და შვილებთან – ნინოსთან და გიორგისთან ერთად

სკენდერ მასწავლებელი ხარობდა, ამაყობდა არა მარტო საკუთარი ოჯახითა და მრავალრიცხოვანი, სისხლით ნათესაური წრით, არამედ დამოყვრებით დანათესავებული გარემოებითაც.

სამი ქალიშვილის მამას, ბატონ სკენდერს სამ ოჯახთან ჰქონდა მოყვრობა. აი, ისინიც: სოფელ ქობულეთიდან დამსახურებული პიროვნება **მემედ ბასილიძე** (მეუღლე **სურიე ინაიშვილი**), ქ. ქობულეთიდან **ახმედ ნაკაიძე** (მეუღლე **სურიე ცეცხლაძე**) და ქ. ბათუმიდან **აკაკი ევგენიძე** (მეუღლე **ქეთო ჭანტურიშვილი**). მათთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა, სტუმრობა და მასპინძლობა. როცა მოყვრებზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ბატონი სკენდერი ხშირად იმარჯ-

სკენდერ ბაჯელიძის რძლები – მარეხი, ნინო და მაია

ვებდა და იმეორებდა დიდი ქართველი მგოსნის, ხმაწკრიალა პოეტის – აკაკი წერეთლის სიტყვებს:

„ჭირშიც და ლხინშიც
საჭიროა მოყვარე,
რომ შენს გულში ნადები
მასაც გაუზიარო“-ო.

სკენდერის უფროსი ქალიშვილი ჟუჟუნა შვილთან უჩასთან და მეუღლესთან – ნოდარ ბასილიძესთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკენდერ ბაჯელიძის შვილებიდან უფროსმა ქალიშვილმა **ჟუჟუნამ** გაახარა მემედ ბასილიძის ოჯახი. მან ხელი მისცა ნოდარ ბასილიძეს. იგი შესახედავად მომხიბლავი, დარბაისელი, სტუმართმოყვარე, მეგობრული, თანამდგომი, გამგებიანი პიროვნებაა. ჟუჟუნამ და ნოდარმა სამი შვილი გაუზარდეს სამშობლოს - **ირმა, ინგა და უჩა**. ინგამ ოჯახი შექმნა პროფესორ რამაზ სურმანიძის ვაჟიშვილთან, ფრიდონთან. გაუჩნდათ შვილი თორნიკე. მათ მიიღეს დედ-მამის ტიტული, ხოლო ბატონი სკენდერი გახდა დიდი ბაბუა. იგი

სკენდერის შვილიშვილი ინგა ბასილიძე-სურმანიძისა მეუღლესთან ფრიდონ სურმანიძესთან და შვილთან თორნიკესთან ერთად

ძალიან ამაყობდა ბატონ რამაზ სურმანიძის მოყვრობითა და ინგას ოჯახით. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ სკენდერ მასწავლებლისადმი მიძღვნილ ყოველ ღონისძიებას ესწრებოდა ბატონი რამაზი და თბილი სიტყვებითაც მიესალმებოდა მას. გრძელდებოდა ბედნიერი მოყვრობა... სამწუხაროდ, ფრიდონს უკურნებელი სენი შეეყარა. სად არ ჰყავდათ, რით არ უმკურნალეს, როგორც იტყვიან, ქვა წამლად აქციეს, მაგრამ ვერაფერმა უშველა. ოჯახს უბედურება დაატყდა თავს. 45 წლის, წარმატებული და პერსპექტიული

ახალგაზრდა კაცი, 2011 წლის 28 ოქტომბერს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქ. ბათუმში, ფერიის სასაფლაოზე. ფრიდონის გარდაცვალებამ ბევრი დაამწუხრა. ამ ტრაგედიამ ძაძები ჩააცვა დედას, ქალბატონ ნაზის, უღლის ცალად დატოვა მეუღლე ინგა, ობლად – შვილი თორნიკე, დაამწუხრა აგრეთვე მამა, მოყვრები, ნათესაობა, ახლობლები, მეგობრები, კოლეგები. ცხოვრებას თავისი წესები აქვს, უძლური ვართ მის წინაშე. დაგვრჩენია ერთი რამ – მოთმინება და ჯანმრთელობა ვუსურვოთ ქალბატონ ინგას, შვილის – თორნიკეს კარგად აღზრდითა და ცხოვრებაში კარგ გზაზე დაყენებით თავადაც გაეხარებინოს ოჯახი, გვარი და ფრიდონის სულიც, ახლობლები, ნათესავები. ინგას უფროსი და – ირმა კარგი ვაჟკაცისა და შესანიშნავი ოჯახისშვილის, ჯამბულ სურმანიძის მეუღლეა. ჰყავთ ვაჟი – ამირანი. დაოჯახებულია ჟუჟუნასა და ნოდარის ვაჟიშვილი – უჩაც, ჰყავს მეუღლე – ნატო და შვილი ნიკოლოზი. სწორედ მათთან საუბრით, შვილიშვილების მოსიყვარულებითა და ალერსით იმსუბუქებენ ბებია და ბაბუა (ეს თუ შესაძლებელია) თავიანთ მწუხარებას.

ბატონი სკენდერის მეორე ქალიშვილია **ეთერი**. უფროსი დის, ჟუჟუნას მსგავსად, მან დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი და მუშაობდა მედდის სპეციალობით ქობულეთის სანატორიუმში „საქართველო“.

ეთერი ცნობილი გვარის ნაკაიძეების რძალი გახდა. მან შექმნა ოჯახი როსტომ ახმედის ძე ნაკაიძესთან, რომელიც აჭარის განათლების ყოფილი მინისტრის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორის, ირაკლი ნაკაიძის ნათესავია. გაზარდეს ორი შვილი: სულხანი და ჯიმშერი. ხარობდა ოჯახი და ცხოვრობდა მომავლის რწმენით.

სკენდერის შვილიშვილი ირმა ბასილიძე მეუღლესთან – ჯამბულ სურმანიძესთან და ვაჟიშვილთან – ამირანთან ერთად

სკენდერის ქალიშვილი ეთერ ბაჯელიძე-ნაკაიძისა, შვილებთან – სულხანთან, ჯიმშერთან და შვილიშვილთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, ეთერს ბოლომდე არ გაუმართლა ცხოვრებამ. 1996 წლის 12 დეკემბერს გარდაეცვალა მეუღლე როსტომი და ერთადერთ იმედად შვილები დარჩნენ.

ლიანა სკენდერ ბაჯელიძის ნაბოლარა შვილია. მან, დებისგან განსხვავებით, სხვა გზა აირჩია. 1986 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი) ქიმიის ფაკულტეტი. ერთხანს მუშაობდა აჭარის განათლების სამინისტროსთან არსებულ ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ქიმიის მეთოდური კაბინეტის მეთოდისტად.

სკენდერის ქალიშვილი ლიანა ბაჯელიძე და სიძე ნოდარ ევგენიძე, შვილთან, გიორგისთან ერთად

ლიანა ცოლად გაჰყვა ბათუმელ ნოდარ აკაკის ძე ევგენიძეს, შექმნეს კარგი ოჯახი. ჯერჯერობით ჰყავთ ერთი შვილი – გიორგი.

პენსიონერი მასწავლებელი ამ დიდ ოჯახურ გარემოში, ახლო ნათესავებში, მოყვარეებში, კოლეგებთან, მეგობრობის

რანგში აყვანილ ყოფილ მოსწავლეებთან შეხვედრებით „იკლავდა“ დროს. ყოველთვის გრძნობდა მათგან სითბოს, ყურადღებას, მოკრძალებას, ერთგულებას, უზიარებდა მათ თავის გამოცდილებას, მოუთხრობდა განვლილი წლების ავ-კარგზე; იყო ოპტიმისტი, ყოველთვის სწამდა უკეთესი მომავლის. კარგი შვილები არ იზრდებიან კარგი გარემოსა და ღირსეული ტრადიციების გარეშე. ხუსეინ და მერიემ ბაჯელიძეების ერთგულებით, წინაპართა დაფასებით, მოყვრებისადმი ყურადღებიანობით გამორჩეულ ოჯახში შვილებიც ღირსეულნი გაიზარდნენ. ისინი კარგი სახელით სარგებლობდნენ ყველგან, სადაც უმსახურიათ.

ასე გრძელდებოდა ბაჯელიძეთა ტრადიციული ოჯახისა და სკენდერ მასწავლებლის ცხოვრება...

თუმცა იყო უსიამოვნო მოულოდნელობებიც. სკენდერ ბაჯელიძეს ორჯერ ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ მეუღლის, ქალბატონ დურიკოს ყურადღებით, შვილების (ჟუჟუნას, ეთერის, ლიანას), სიძეების (ნოდარ ბასილიძის, როსტომ ნაკაიძის, ნოდარ ევგენიძის), ძმების (ვლადიმერის, ქესკინის), შვილიშვილების (ირმას, ინგას, უჩას, სულხანის, ჯიმშერის), ნათესავ-ახლობლების მზრუნველობით, გამოვიდა მდგომარეობიდან. უხაროდა, – აწი რა მინდა, ვიქნები კარგადო. შევხედავ ოჯახს, მოვეფერები შვილებს, შვილიშვილებს, ბაბუას მეტი რა სჭირდება ამქვეყნადო, – იმეორებდა ხოლმე.

ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... 1986 წელს გარდაეცვალა უძვირფასესი პიროვნება, სილამაზით, სათნოებით და მომხიბვლელობით გამორჩეული ქალბატონი დურიკო – ერთგული მეუღლე და სულიერი მეგობარი.

უღლისცალად დარჩა სკენდერ მასწავლებელი... ნათქვამია, თავს ზემოთ ძალა არ არისო, უნდა შეეგუოს ადამიანი, თუნდაც ასეთ უმძიმეს მდგომარეობას. სკენდერ მასწავლებელიც „ეგუებოდა“ თავის ბედს, თავს დამტყდარ უბედურებას. მართალია, უყურადღებოდ არასდროს დარჩენილა – შვილები, შვილიშვილები, ძმები, მათი ოჯახები, ნათესავები, მოყვრები, მეზობლები თავს ევლებოდნენ, გვერდიდან არ შორდებოდნენ, მარტოდ არ ტოვებდნენ, მდგომარეობა შევუმსუბუქოთო, მაგრამ ასეთი მდგომარება სკენდერ ბაჯელიძისთანა მორიდებული კაცისათვის მძიმე გადასატანია, ძნელად შესაგუებელი.. ეს ენაუთქმელი კაცი მაშინაც ძალიან წუხდა, როცა თავისი მდგომარეობით სხვებს აწუხებდა, თუნდაც შვილებს.

§ 9. ღვაწლი დაუფასდა

მიუხედავად დიდი გვარიშვილობისა, მრავალრიცხოვანი ნათესავებისა, მოყვრებისა, ახლობელ-მეზობლებისა და მათ მიერ შექმნილი თბილი გარემოსი, მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ სულიერ ტკივილს ვერაფერი ცვლიდა. ამას ამჩნევდნენ არა მარტო შინაურები, არამედ ჩვენც, მისი ყოფილი მოსწავლეები. ამიტომ მისმა აღზრდილებმა, ხიხაძირის საშუალო სკოლადამთავრებულებმა, ამაგდარი მასწავლებლის დაბადებიდან 75-ე წლისთავის საზეიმოდ აღ-

ნიშვნა გადავწყვიტეთ. ამით გვსურდა ამაგი დაგვეფასებინა და მომავალი თაობებისათვის გვეჩვენებინა მისი დამსახურება და ისიც, რომ, ვისაც სურს ამქვეყნად სახელი დატოვოს, უნდა აკეთოს სიკეთე, თესოს სიყვარული და სითბო, რასაც სამაგალითოდ ასრულებდა ჩვენი სკენდერ მასწავლებელი. გარდა ამისა, ჩვენი მიზანი იყო ამ ფორმით შეგვემსუბუქებინა მისთვის ცხოვრებით მიყენებული ტკივილი, ღვაწლის დაფასებით გაგვეხარებინა, გაგვეხალისებინა მისი სიცოცხლე. ამ მიზნით საინიციატივო ჯგუფმა შეაგროვა სხვადასხვა დროს მის შესახებ გამოქყვენებული მასალები, მოგონებები, იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსურათები, ვიდეომასალა და მოეწყო საინტერესო გამოფენა, რომელსაც ამშვენებდა ალექსანდრე ბეგაშვილის ლამაზი სტრიქონები:

„მასწავლებელი მზეა პირბადრი,
ირგვლივ ბავშვები ვარსკვლავებია,
სულის სიწმინდე, გულის სიმდიდრე
სულ მასწავლებლის ნასწავლებია“.

1996 წლის 6 დეკემბერს, აჭარის განათლებისა და კულტურის ახლად დაარსებული მუზეუმის დარბაზში შეიკრიბნენ სკენდერ ბაჯელიძის თანაკლასელები, თანაკურსელები, ომისდროინდელი თანამებრძოლები, კოლეგები, მისი აღზრდილები.

დანიშნულ დროზე დარბაზი შეივსო მოწვეული სტუმრებით. ღონისძიების მესვეურებმა, საორგანიზაციო ჯგუფის წევრებმა, დაიკავეს ადგილები პრეზიდიუმში, იუბილარი კი სპეციალურად გამზადებულ და თვალსაჩინოდ დადგმულ სავარძელში დაბრძანდა.

დარბაზს, სადაც ღონისძიება გაიმართა, ამშვენებდა კარგად გაფორმებული ლოზუნგი ასეთი ტექსტით: *„საყვარელო სკენდერ მასწავლებლო, მხურვალედ მოგესალმებით და გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 75-ე წლისთავს!“*

სკენდერ ბაჯელიძის დაბადებიდან 75 წლისთავის საიუბილეო შეხვედრაზე. სურათზე: იუბილარის კოლეგები, ახლობლები და აღზრდილები (ბათუმი, 1996 წლის 6 დეკემბერი)

სკენდერ ბაჯელიძის საიუბილეო საღამოზე.
მარცხნიდან: ნიკოლოზ დუმბაძე, ვლადიმერ ბაჯელიძე (სკენდერის ძმა), ამირან მამულაძე, იუბილარი სკენდერ ბაჯელიძე, მისი მოსწავლეები – ლამარა ჯაიანი-დუმბაძისა, მისი მეუღლე სერგო დუმბაძე, შვილიშვილი ნინო და ეგნატე დუმბაძე

მარცხნიდან: ოთარ ბაჯელიძე (ბიძაშვილი), ვლადიმერ ბაჯელიძე (ძმა), სკენდერ ბაჯელიძე, რამაზ სურმანიძე (მოყვარე), ნოდარ ბასილიძე (სიძე), ჯამბულ სურმანიძე (სიძე)

ყოფილმა მოსწავლეებმა – ლამარა ჯაიანმა, ეგნატე დუმბაძემ, ალექსანდრე მამულაძემ, ყოფილი კოლეგის, უკვე გარდაცვლილი ასლან ხახუტაიშვილის მეუღლემ, პედაგოგმა ვარდო ხაბაძემ, შვილებმა, შვილიშვილებმა, მეგობრებმა იუბილარს მიართვეს თაიგულები, მასთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა არჩილ იშხნელიძემ.

შეკრებილთა წინაშე საინტერესო მოხსენებით წარსდგა ხიხაძირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი, იმჟამად აჭარის მრეწველობის დეპარტამენტის განყოფილების უფროსი **ნიკოლოზ დუმბაძე**. მან შეკრებილთ გააცნო იუბილარის ბიოგრაფია, მისი ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის საინტერესო ეპიზოდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განყოფილების უფროსი **ნოდარ ქათამაძე**, რომელმაც იუბილარს გადასცა სამახსოვრო სიგელი; აჭარის კულტურის მინისტრი თეიმურაზ კომახიძე; აჭარის დამსახურებული მასწავლებელი **ივერი მელაძე**; იუბილარის ყოფილი მოსწავლე, ხიხაძირის საშუალო სკოლადამთავრებული, პირველი ოქროს მდალოსანი, იმჟამად აჭარის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი,

სკენდერ ბაჯელიძე კოლეგებთან ერთად

ნოდარ ცეცხლაძე; ქობულეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლის დირექტორი, **მანანა აბაშიძე**; ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ყოფილი მოსწავლე და იუბილარის მკურნალი ექიმი, **ამირან ჯაიანი**; ქ. ბათუმის პროკურორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიტატი **ვანო გაბაიძე**, რომელმაც, მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, იუბილარისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა; საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, აჭარის განათლების ყოფილი მინისტრი, **ვახტანგ წულუკიძე**; ბათუმის კოოპერაციული ვაჭრობის დირექტორი (ყოფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლე), **ამირან მამულაძე**; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის პირველი მოადგილე, დავით მამულაძის საქველმოქმედო საზოგადოება „მოამაგე“-ს ვიცე-პრეზიდენტი **ვლადიმერ მამულაძე**, რომელმაც იუბილარს გადასცა სამახსოვრო ადრესი; იუბილარის ყოფილი მოსწავლის, ნოდარ კეკელიძის მეუღლე **სურიე წულუკიძე**; ხულოს რაიონის სოფელ ვერნების საშუალო სკოლის დირექტორი (ყოფილი მოსწავლე) **რეზო სურმანიძე**; პენსიონერი, იუბილარის ძმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, ხუცუბნის აღიარებული თავკაცი **ვლადიმერ ბაჯელიძე**; იუბილარის ყოფილი მოსწავლე, იმხანად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, დოცენტი, ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სერგო დუმბაძე**, რომელმაც აღმზრდელ-მასწავლებელს აჩუქა საკუთარი წიგნი „წარუშლელი ფურცელი“ (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ომის წლებში), სადაც, სხვა თანამემამულეებთან ერთად, გადმოცემულია სკენდერ ბაჯელიძის საბრძოლო ეპიზოდები.

ბოლოს ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა იუბილარმა, ბატონმა **სკენდერ ბაჯელიძემ**. მან მადლობა გადაუხადა შეკრებილთ, იუბილეს მოწყობის ინიციატორ-ორგანიზატორებს. „თვითონაც მწამდა, ახლა კიდევ ერთხელ დავრწუნდი, რომ მასწავლებლობაზე დიდი არაფერი არ არსებობს. ადამიანის სულს აყალიბებს პედაგოგი. რა შესანიშნავად ბრძანა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა: „ქვეყნად ბელადიც არა ყოფილა, მასწავლებელი რომ არა ჰყოლოდა.“ რამდენი შესანიშნავი ადამიანის ჩამოყალიბებაში მიდევს წილი. ამაზე მეტი სიმდიდრე არც არსებობს, ალბათ, ქვეყნად. კიდევ

ერთხელ მადლობა ყველაფრისთვის“, – ასე დაამთავრა სათქმელი იუბილარმა ვეტერანმა.[1]

საზეიმო განწყობას კიდევ უფრო მეტ ელფერს აძლევდა მასწავლებლისადმი მიძღვნილი ლექსები, რომელსაც კითხულობდნენ მოსწავლეები, გზადაგზა სრულდებოდა კარგად მომზადებული და მოხდენილად ჩართული მხატვრული ნომრები.

იუბილარი დალოცეს, მადლობა უთხრეს, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვეს და კვლავ მოეფერნენ მის **სახელზე გაშლილ სუფრასთან**, რომელსაც უსხდნენ: სკენდერ ბაჯელიძე (იუბილარი), ნიკოლოზ დუმბაძე (თამადა), ნადია ჯიბუტი, (იუბილარის ლექტორი), ვლადიმერ ბაჯელიძე (იუბილარის ძმა), არჩილ ტაკიძე (პოლიტოლოგი), აკაკი სურმანიძე (დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), შოთა ბოლქვაძე (თხილვანის საშუალო სკოლის დირექტორი), ვახტანგ წულუკიძე (განათლების ყოფილი მინისტრი), რამაზ სურმანიძე (იუბილარის მოყვარე, პროფესორი), მანანა აბაშიძე (ხუცუბნის საშუალო სკოლის დირექტორი), ცისკარა კაიკაციშვილი (ხუცუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი), არჩილ იშხნელიძე (დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, კოლეგა), ზურაბ კომახიძე (იუბილარის თანაკურსელი), ანზორ ცეცხლაძე (აჭარის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი), ნოდარ ბასილიძე (იუბილარის უფროსი სიძე), ივერი მელაძე (იუბილარის უახლოესი მეგობარი, კოლეგა), გივი ხარაბაძე (მრეწველობის სამინისტროს თანამშრომელი), სერგო ჯაიანი (იუბილარის კოლეგა, მისი პირველი მასპინძელი ხიხაძირში), თემურ გოგმაჩაძე (იუბილარის თანასოფლელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), ოთარ ბაჯელიძე (იუბილარის ბიძაშვილი), შაქრო ფალავანდიშვილი (ბსუ გეოგრაფიის კათედრის გამგე, პროფესორი), თამაზ ხოზრევანიძე (სკოლის დირექტო-

[1] გაზ. „აჭარა“, 14 ივნისი, 1997 წ. გვ. 2.

რის – დიმიტრი ხოზრევანიძის შვილი), თემურ ხოზრევანიძე (ყოფილი მოსწავლის – ხუსეინის შვილი), ბესარიონ გაბაიძე (ყოფილი კოლეგის – ლევანის შვილი), ნოდარ ცეცხლაძე, გივი გაბაიძე, ლევან გაბაიძე, ამირან გაბაიძე, ბესო გაბაიძე, ვანო გაბაიძე, აკაკი გაბაიძე, აკაკი სურმანიძე, ეგნატე დუმბაძე, ლევან სურმანიძე (სტომატოლოგი), ამირან მამულაძე, ლამარა ჯაიანი, სერგო დუმბაძე, ვლადიმერ ხალვაში (ყოფილი მოსწავლეები ხიხაძირის საშუალო სკოლიდან).

საიუბილეო მისალოცი სუფრა დიდხანს გაგრძელდა, დაილია იუბილარის, მის მიერ განვლილი გზის, სამშობლოსაქართველოს სადიდებელი, მშობლების, მასწავლებლების, მეგობრების, სიყვარულის, კაცურკაცობის, მასწავლებლ-მოსწავლეთა ურთიერთობის სადღეგრძელოები. პარალელურად, გზადაგზა ისმოდა ეროვნულ-პატრიოტული სიმღერები, იმართებოდა ცეკვები, ოხუნჯობანი. სუფრა გვიანობამდე გაგრძელდა და დიდი კმაყოფილებით დასრულდა. გამხიარულებული იუბილარი და დაფასებული მასწავლებელი ხვევნა-ფერებით ბინამდე გავაცილეთ, შემდეგ ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ყველანი გავეშურეთ სახლებისკენ. საზეიმო ღონისძიება, მისი დამამშვენებელი და დამაგვირგვინებელი საღამო-ვახშამი საინტერესო და დაუვიწყარ დღედ იქცა, რაც მასწავლებელ-მოსწავლეთა ურთიერთობაში შთამბეჭდავ და ისტორიულ ფურცლად დარჩება თითოეული მათგანის ხსოვნაში.

მკითხველს ვთხოვთ, ეს წიგნი დამსახურებულ აღმზრდელ-მასწავლებელზე არ ჩათვალოს მოსწავლეთა მიერ მასწავლებლის უბრალო ქებად. ბატონი სკენდერი ნამდვილად იმსახურებდა ამგვარ დამოკიდებულებას, საიუბილეო საღამოზე გამომსვლელთა კონტინგენტი, დიდი პათოსითა და სიყვარულით სავსე მისალმებები, მისი ამაგის დამფასებლებით გაჭედილი დარბაზი აშკარად მეტყველებდა იუბილარის მადალ ღირსებასა და დამსახურებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით, სკენდერ ხუსეინის ძე ბაჯელიძეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, ხოლო დაბადებიდან 75-ე წლისთავთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა. აი ისიც:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ს. ხ. ბაჯელიძის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადებიდან 75-ე წლისთავთან დაკავშირებით, პენსიონერი, აჭარის დამსახურებული მასწავლებელი
სკენდერ ხუსეინის ძე ბაჯელიძე
დაჯილდოვდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. აბაშიძე.

ქ. ბათუმი, 1997 წლის 27 მაისი“.

ომის ვეტერან სკენდერ ბაჯელიძეს ყურადღება არ მოკლებია ფაშიზმზე გამარჯვების საიუბილეო დღეებში, კერძოდ, 30-ე, 50-ე, მე-60 წლისთავების საზეიმო დღეებში ის დაჯილდოვეს საიუბილეო მედლებით, სამგზის (1971, 1973, 1975 წწ.) არჩეული იყო ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს დეპუტატად. ხალხის რჩეული იყო, უყვარდათ და აფასებდნენ მას პატიოსანი, სამართლიანი და საქ-

მიანი თვისებების გამო. თავად ხალხის სიყვარული ყველაზე დიდ ჯილდოდ მიაჩნდა.

სახალხო დეპუტატის მოწმობა

ისტორიაში ცნობილი პიროვნების ნაპოლეონ ბონაპარტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების, სარდლის თუ უბრალო მეთაურისაგან მიღებული ჯილდო მისი მატერიალური შინაარსით კი არ იზომება, არამედ ის გამოხატავს სხვადასხვა დონეზე ხელისუფალის, ხელმძღვანელის თუ მეთაურის ყურადღებას და შენი ღვაწლის დაფასებაადიარებას ოფიციალურად. ვფიქრობთ, გამგებისათვის კომენტარი ზედმეტი იქნება!

სკენდერ ბაჯელიძის დახასიათება მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის მასალებში, მინისტრის ბრძანებებში, ხულოსა და ქობულეთის რაიონების განათლების განყოფილებების საბჭოების სხდომების მასალებსა და გამგეების ბრძანებებში, მასზე საუბარია არაერთ გამოცემულ წიგნში.[1] არაფერს ვამბობთ საგაზეთო წერილებზე, რომელშიც ასახულია სკენდერ ბეჯელიძის ღვაწლი.

[1] დ. ხოზრევანიძე, სკოლა მთაში, ბათუმი, 1958; ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ), ბათუმი, 2005; ნ. დუმბაძე, ს. დუმბაძე, ხიხანელი ხევისბერი, თბ., 2006; ს. დუმბაძე, სახელოვანი ხიხანელი, თბ., 2008; ი. ხალვაში, სკოლა ხიხანის ძირში, ბათუმი, 2006.

ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, არის ღვაწლმოსილი პედაგოგის, აჭარის დამსახურებული მასწავლებლის, ომისა და შრომის ვეტერანის სახელისა და საქმის უკვდავყოფა, მისი ხელთუქმნელი ძეგლი.

აჭარის ამაგდარი მასწავლებლის, ბატონი სკენდერ ბაჯელიძის ღვაწლი და პედაგოგიური მოღვაწეობის მოკლე ანონსი მოცემულია მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის და საზოგადოება „მოამაგის“ გამგეობის მიერ მომზადებულ ადრესებში, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე წიგნის მეოთხე განყოფილებაში.

§ 10. უკანასკნელი შეხვედრა ვეტერან მასწავლებელთან

ამირან ჯაიანი
ექიმი, კარდიოლოგი
მედიცინის მეცნიერებათა
კანდიდატი

პენსიაში გასვლის შემდეგ სკენდერ მასწავლებელი ხშირად ჩამოდიოდა ქ. ბათუმში თავისი ქალიშვილის – ჟუჟუნას ოჯახში. დროის დიდ ნაწილს აქ ატარებდა. ამასთან, პერიოდულად დადიოდა კონსულტაციებზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატთან, **ამირან ჯაიანთან,** რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიურ განყოფილებაში. ექიმი მისი მოსწავლე იყო ხიხაძირის საშუალო სკოლაში. ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანს უყვარდა თავისი აღმზრდელი მასწავლებელი და დიდ პატივს სცემდა მას. იგი ზრუნავდა მასწავლებლის ჯანმრთელობაზე არა მარტო თავისი კონსულტაციებითა და მედიკამენტებით, არამედ ენითაც, ტკბილი სიტყვითა და ყურადღებით.

ომისა და შრომის ვეტერანი სკენდერ ბაჯელიძე

ჩვენ, მისი მოსწავლეები, სისტემატიურად ვურეკავდით სიძის – ნოდარ ბასილიძის ბინაში ტელეფონზე, მოვიკითხავდით მასწავლებლის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ზოგჯერ კი ვაკითხავდით პირადადაც. ჩვენთან საუბარი მხნეობას მატებდა. იმხანად თვალის ოპერაცია გაიკეთა და მხედველობა დროებით დაქვეითებული ჰქონდა, ვერ გვცნობდა, გვარჩევდა ხმით. მადლობას გვეტყოდა და დავემშვიდობებოდით. ბევრჯერ ქალიშვილი და სიძე დაგვიდგამდნენ მაგიდაზე სასმელს, დალოცეთ მასწავლებელიო, – გვეტყოდნენ. ისე თბილად, ტკბილად და ტაქტიანად, რომ უარის თქმა მოგერიდებოდა, მასწავლებელი კი უხერხულობის მოსახსნელად დაგვავალებდა. რას ვიზამდით, დავემორჩილებოდით, შევექცეოდით წარსულზე, ომზე, ქვეყანაზე, სკოლაზე საუბრით. ბოლოს, კეთილი სურვილებით დავემშვიდობებოდით და წავიდოდით.

სკენდერ მასწავლებელს არც ექიმების, არც შვილების, სიძეების თუ შვილიშვილების, ნათესავების თუ მოყვრების ყურადღება არ აკლდა. თანდათანობით ჯანმრთელობა გაუუმჯობესდა, მხედველობა მოემატა, ფეხზეც წამოდგა, მაგრამ ქუჩაში მარტოდ გამოსვლას თავს არიდებდა, მოძრაობა უჭირდა. ეს ის დრო იყო, როცა ქვეყანა ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებოდა. მისმა მოწაფეებმა გადავწყვიტეთ, ომის ვეტერანი მასწავლებლის კიდევ ერთხელ გახსენება დიდი საიუბილეო დღეების წინ. დავურეკეთ ტელეფონზე, მოვიკითხეთ ჯანმრთელობა, თუ შეძლებდა ქალაქში გამოსვლას, ცოტათი გავისეირნოთ-თქო. ესიამოვნა. შევთანხმდით. დანიშნულ დროზე მივაკითხეთ მსუბუქი ავტომანქანით. კოხტად ჩაცმულ-დახურული, თავისი სიბერის ორიგინალური ჯოხით გამოსულიყო ეზოში – არ ვალოდინოო, იჯდა და გველოდა (გამოირჩეოდა პუნქტუალობითა და აკურატულობით). ეს იყო 2005 წლის 9 მაისი. გავედით ქალაქში, რევოლუციის (ამჟამად ხელოვნების) მუზეუმის სკვერში. ფოტოგრაფიც მოვიყვანეთ და გადავიღეთ სურათი ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავის აღსანიშნავად. გაუხარდა, გახალისდა ვეტერანი, ალაპარაკდა

უკანასკნელი შეხვედრა ვეტერან მასწავლებელთან. მარცხნიდან: სერგო დუმბაძე, სკენდერ ბაჯელიძე, ნიკოლოზ დუმბაძე, ეგნატე დუმბაძე

ჩვენი დინჯი და სიტყვაძვირი საყვარელი მასწავლებელი. მორიდებით შევაპარეთ, სკენდერ მასწავლებელო, ამ სამახსოვრო სურათს, გამარჯვების 60 წლისთავის იუბილეს მოუხდება სასმისებით დალოცვა, რომ ძალა ჰქონდეს ჩვენს შეხვედრასო, – გავეხუმრეთ. ამასთან, ვეჭვობდით, უარს გვეტყოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ჩვენდა გასახარად, დავითანხმეთ. იქვე ახლოს, სერგო ბოლქვაძის კაფებარში ჩამოვჯექით. დავლოცეთ გამარჯვების 60 წლისთავი, ვეტერანები; ჩვენი მასწავლებლის თამადობით, მოვიგონეთ ომში დაღუპულები, ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვეთ მას. ასე სახელდახელოდ აღვნიშნეთ ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავი ვეტერან მასწავლებელთან ერთად. ეს აღმოჩნდა ჩვენი ბოლო შეხვედრა საყვარელ პედაგოგთან. ერთი წლის შემდეგ, გამარჯვების 61-ე წელი, მის გარეშე აღვნიშნეთ, სამაგიეროდ, მის მოსაგონებლად გაზეთ „აჭარის“ 2006 წლის 9 მაისის ნომერში მოვათავსეთ წერილი „უკანასკნელი შეხვედრა ვეტერან მასწავლებელთან“ წინა წელს მასთან ერთად გადაღებული სურათით.

შეხვედრა 60 წლისთავზე, ბათუმი, 2005 წ. 9 მაისი
ამირან გაბაიძე, სკენდერ ბაჯელიძე, ეგნატე დუმბაძე

„ზუსტად ერთი წლის წინათ, 2005 წლის 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების მესამოცე წლისთავს ყოფილი თანაკლასელები, მეგობრები: ამირან გაბაიძე, ნიკოლოზ, ეგნატე და სერგო დუმბაძეები შევხვდით ჩვენს აღმზრდელ პედაგოგს, ომის ვეტერანს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს სკენდერ ბაჯელიძეს. გამარჯვების საიუბილეო წლის აღსანიშნავად, სურათებიც კი გადავიღეთ და ვაჩუქეთ მას. მიუხედავად ხანდაზმულობისა და შეუძლოდ ყოფნისა, ბატონი სკენდერი ჩვენთან ერთად სუფრასთან დაჯდა. ცოტა ღვინოსაც შეეპარა, გახალისდა, მოიგონა თავისი ბავშვობა, სწავლის წლები, ამაგდარი პედაგოგები, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს გამოვლილი მძიმე დღეები. სკენდერ ბაჯელიძე ომის დაწყების დღიდანვე მამაცურად ებრძოდა მტერს. ორდენები და მედლები დაიმსახურა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბედმა ომის დროს ტყვეობაც არგუნა – პრუსიის, პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკებში. ტყვეობიდან თავდახსნის შემდეგ, ე. წ. „საფილტრაციო ბანაკში“ დაკითხეს, შეამოწმეს და კვლავ გაამწესეს ჯარში სამსახურისთვის. იგი დემობილიზებულ იქნა 1946 წელს.

მან სიხარულით მოიგონა ომის შემდგომ უმაღლეს სასწავლებელში გატარებული პერიოდი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლაში, სადაც 1952 წლიდან 1959 წლამდე იღვაწა. შემდეგ ქობულეთის რაიონის სკოლებში, ჯერ ჩაისუბანში და ბოლოს მშობლიურ ხუცუბანში მუშაობდა.

სუფრასთან მან სიამაყით ისიც გვითხრა, რომ ყველაზე დიდ ჯილდოდ, ჩემი 75-ე წლისთავის გამო, 1996 წელს, ბათუმში თქვენი, ჩემი მადლიერი აღზრდილების მიერ მოწყობილი შეხვედრა მიმაჩნიაო.

ჩვენ, მის ყოფილ მოსწავლეებს, კარგად გვახსოვს ისიც, რომ მაშინ, მას, სხვებთან ერთად, საკუთარი ლექსით

მიესალმა ყოფილი მოსწავლე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვანო გაბაიძე:

„ღმერთმა გაცოცხლოთ, ბატონო სკენდერ,
კარგად შეგვარგეთ გამთბარი გრძნობა“.

(ლექსის სრული ტექსტი იხილეთ შემდეგ განყოფილებაში)

ვემზადებოდით მასწავლებლის 85-ე წლისთავის აღსანიშნავადაც, მაგრამ... ფაშიმზზე გამარჯვების 60 წლისთავის აღნიშვნა, მასთნ ყოფნა და საუბარი, სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა.

წავიდა ჩვენგან სამშობლოსათვის თავდადებული, შრომითა და საქმით გამორჩეული, საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული მამულიშვილი.

რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ დღეს, ფაშიზმზე გამარჯვების სამოცდამეერთე წლისთავს ჩვენ სკენდერ ბაჯელიძესთან ერთად ვერ ვხვდებით, თუმცა მისი სიცოცხლე და საქმე დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის, მისი აღზრდილებისათვის.

თქვენი ომახიანი ხმა, დინჯი, დამაჯერებელი და თბილი საუბარი, ლოგიკური მსჯელობა, აზრთა წყობა ანთებულ ლამპრად დარჩება აღზრდილთა მეხსიერებაში, ძვირფასო სკენდერ მასწავლებელო!

მოსწავლეთა ჯგუფი“

(გაზ. „აჭარა“, № 83, სამშაბათი, 9 მაისი, 2006. გვ. 9).

§11. ვეტერანი მასწავლებელი ემზადებოდა 85 წლისთავის აღსანიშნავად, მაგრამ...

ადამიანის ცხოვრება იყოფა ორ პერიოდად: აღმავალი (სიცოცხლის პირველი ნახევარი) და დაღმავალი (სიცოცხლის მეორე ნახევარი). პერიოდებს კონკრეტული წლების დასახელებით ვერ განვსაზღვრავთ, ეს ადამიანის სიცოცხლის დასრულებამდე შეუძლებელია. წლებით განსაზღვრა თუ დადგენა ხდება კონკრეტულ პიროვნებებზე მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ.

ასეა ყველა ადამიანის და მათ შორის, სკენდერ ბაჯელიძის მიმართაც.

სკენდერ მასწავლებლის ცხოვრებაც გრძელდებოდა, მის დღეებს ემატებოდა დღეები, კვირებს – კვირები, წლებს – წლები. ეს იყო მისი სიცოცხლის აღმავალი ხანა. შემდეგ დადგა მეორე, დაღმავალი პერიოდი, როცა მის სიცოცხლეს აკლდებოდა წლები, თვეები... ჩვენ, მის ირგვლივ თუ გარშემო მყოფნი, შინაური თუ გარეშენი, ვგრძნობდით ამას, ვამხნევებდით, ხან იუბილის აღნიშვნით, ხან სიგელით, ხიხაძირში კურსდამთავრებულთა არაერთ შეხვედრაზე მოწვევით, საგაზეთო წერილებით, მის შესახებ წიგნებში წერით, სხვა ჯილდოებით, მასთან შეხვედრებით, ტკბილი საუბრებით, წარსულის გახსენებით... ვეტერანს განსაკუთრებით აინტერესებდა და ემზადებოდა კიდევაც დაბადებიდან 85 და ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავების აღსანიშნავად. ჩვენც, ყოფილი მოწაფეები, ამჟამად მეგობრები, ოჯახი, შინაურები საიუბილეო თადარიგს ვიჭერდით, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ადამიანებმა კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ სიცოცხლე სიკვდილით მთავრდება და ფასდება იმის მიხედვით, თუ რა კვალი დატოვა საიქიოსკენ მიმავალმა სააქაოში, ამქვეყანაზე.

დიდი ილია ბრძანებდა, „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასარჩენი, მეორე კი თან წასაყოლიო“. ილიას ამ ბრძნულ სენტენციას აგრძელებს დიდი ქართველი მწერალი და ჰუმანისტი ნოდარ დუმბაძე, როდესაც ამბობს, რომ „ის მეორე, თანწასაყოლი სახელი ჩვენმა მადლიერმა შვილებმა უნდა დაგვაწერონ საფლავის ქვაზე, ოღონდ ის სახელი ჭეშმარიტი უნდა იყოს, რადგან მოგონილი სახელი კაცს არც იქ და არც აქ არ გამოადგება.“[1] ადამიანი სიკვდილის შემდეგ ფიზიკურად კვდება, გადაინაცვლებს ამქვეყნიდან იმქვეყნად, რომელსაც ქართველმა კაცმა, „მუდმივი სასუფეველი“ უწოდა და თუ წასაყოლი სახელი ჭეშმარიტია, ასეთ კაცზე „მოკვდა“-ს ნაცვლად იტყვიან – „გარდაიცვალა“-ო. ეს სიტყვა იხმარება ადამიანის კეთილშობილებისა და მისდამი საზოგადოების პატივისცემის გამოსახატავად. ადამიანი იმდენად უნდა გაისარჯოს, რომ ამაღლდეს „გარდაცვალების“ დონეზე. ამ გამოთქმებში განსხვავებული შინაარსია ჩაქსოვილი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სიკვდილის შემდეგ ავი, ბოროტი ადამიანის აუგად მოხსენებისთვის იტყვიან: „სასიკვდილე იყო, ან „ღმერთმა მიასიკვდილაო“. კეთილშობილ, ღირსეულ პიროვნებაზე კი იტყვიან: „საწყალი, გარდაიცვალა“, „ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული“ და ა. შ.

სკენდერ მასწავლებელი იყო სწორედ კეთილშობილი პიროვნება, ღირსეული მოქალაქე. მთელი თავისი ცხოვრება უანგაროდ ემსახურა სამშობლოს, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქვეყნო საქმეს, მისი სიტყვებით თუ ვიტყვით, „ადამიანების პიროვნებად ჩამოყალიბებას“. დიდი და ნათელი კვალი დატოვა ამ ქვეყანაში: ლამაზი ოჯახი, კარგად გაზრდილი შვილები და შვილშვილები, ჰყავდა გამორჩეული, კაცთმოყვარე ძმები, დედ-მამისშვილები, მოყვრები,

[1] ნ. დუმბაძე, შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები, თბ., 1984, გვ. 102.

ნათესაობა, ასეულობით პიროვნებად ჩამოყალიბებული მოწაფე. მის აღზრდილთა შორის არიან პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები, იურისტები, ეკონომისტები, ტექნოლოგები, ჟურნალისტები, პოეტები, მწერლები. მეუღლის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას იმსუბუქებდა (თუ ეს შეიძლება საერთოდ) ახლობლების თანადგომით, თავისი ნაამაგარით, მიღწეული შედეგებით, დანატოვარი მემკვიდრეობით, აღზრდილებით.

სიცოცხლის ბოლო დღეებში მოულოდნელად სთხოვა ქალიშვილს და სიძეს – ჟუჟუნას და ნოდარს – ბათუმიდან ქობულეთში წაეყვანათ, მეორე ქალიშვილთან, ეთერთან (როგორც ჩანს, თავად გრძნობდა თავის აღსასრულს და უნდოდა მშობლიურ სოფელში ყოფნა). ეს სურვილი შეუსრუ-ლეს შვილებმა, ნათესაობამ.

ქალბატონი ეთერი თავს ევლებოდა მამას, ექიმი და წამალი არ დაუკლიათ მისთვის შვილებს, შვილიშვილებს და ნათესაობას, მაგრამ უშედეგოდ. ის მთლიანად დაიხარჯა, მისი სიცოცხლის აღსასრულის წუთები დადგა.

§12. ყველამ გულით დაიტირა იგი

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.
შოთა რუსთაველი

2005 წლის 28 ივლისს გარდაიცვალა შვილების საყვარელი მამა, შვილიშვილების მოსიყვარულე ბაბუა, ნათესაობის საუკეთესო წარმომადგენელი, აჭარის დამსახურებული მასწავლებელი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ღვაწლმოსილი პედაგოგი სკენდერ ხუსეინის ძე ბაჯელიძე. ორი სახელი ჰქონდა სკენდერ მასწავლებელს. ერთი სახელი თან გაჰყვა საიქიოში – „კეთილშობილი“, „კარგი კაცი“, მეორე,

ნოდარ დუმბაძის თქმით, ჭეშმარიტი სახელი კი აქ, სააქაოში, ამქვეყნად დარჩა. სკენდერ ბაჯელიძის კაიკაცობა, მისდამი უზომო სიყვარული ნათლად გამოჩნდა მასთან გამოთხოვების დღეებში. დიდებულ ადამიანს მისტიროდნენ არა მარტო ოჯახი, ნათესაობა, ხუცუბანი და ქობულეთი, არამედ აჭარის რაიონები, სხვადასხვა ქალაქიდან – თბილისიდან, გორიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან მოსული მეგობრები, მოსწავლეები, ნაცნობები, სტუმრები. დიდი ხალხმრავლობა იყო, დადგა უკანასკნელ გზაზე გაცილების ჟამი. საცხოვრებელი სახლის წინ, ფართო ეზოში მოეწყო მისი დაკრძალვისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი. უკანასკნელი გზა დაულოცეს მართლაც დალოცვილ კაცს და ნათელში ყოფნა უსურვეს მუდმივ სასუფეველში.

მიტინგის დასრულების შემდეგ, ხალხმრავალი სამგლოვიარო პროცესია გაემართა ბაჯელიძეთა საგვარეულო სასაფლაოსკენ, სადაც საკუთარი ხელით მომზადებული ორიგინალური საფლავი დახვდა მეუღლე დურიკოს გვერდით. იქვე ახლოს განისვენებენ სკენდერ ბაჯელიძის მშობლები – ქალბატონი მერიემი და ბატონი ხუსეინი, საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ძმა, ყველასთვის საყვარელი და სათაყვანებელი პიროვნება ვლადიმერ ბაჯელიძე, სკენდერ მასწავლებლის ბიძა ასლან ბაჯელიძე, ბიძაშვილი ალი (ალექსანდრე) ბაჯელიძე და ბაჯელიძეთა გვარის სხვა წარმომადგენლები.

ღმერთმა გაცხონოს, სკენდერ მასწავლებელო, ჩვენო საყვარელო აღმზრდელო!

ჩვენ, სანამ სული გვიდგას, არ დაგივიწყებთ, მოვალთ საფლავთან, მოგეფერებით, ყვავილებს გაჩუქებთ...

ბაჯელიძეთა საგვარეულო სასაფლაო

სკენდერ და დურიე ბაჯელიძეების საფლავი

ეს საფლავი, შენი შთამომავლობა, დატოვებული ჭეშმარიტი სახელი, გაკეთებული რეალური საქმე, და ეს წიგნი – შენი ძეგლი იქნება აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, სკენდერ მასწავლებლო. შენმა აღზრდილებმა, რაც შევძელით, გავაკეთეთ თქვენდა გასახარად. თუ რაიმე დაგაკელით, გვჯერა, შენი დიდი სული გვაპატიებს. საბოლოოდ გპირდებით: მადლიერებით მოგიგონებთ ყოველთვის, სანამ სული გვიდგას. თქვენი და სხვა მასწავლებლების ნათელი ხსოვნა წარუშლელი იქნება ჩვენს გულებში.

სკენდერ ბაჯელიძის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია-განცხადებები და ნეკროლოგები გამოქვეყნდა სხვადასხვა გაზეთში.

* * *

სკენდერ ბაჯელიძე

(ნეკროლოგი)

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი სკენდერ ხუსეინის ძე ბაჯელიძე.

დაიბადა 1921 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში.

1938 წელს დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა. ბათუმის №1 პედაგოგიური სასწავლებლის დასრულებისთანავე, ქვეყანა სამამულო ომის ქარცეცხლში გაეხვია და ისიც სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

ბედმა ომის წლებში ტყვეობა არგუნა – პრუსიის, პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკებში, შემდეგ მოხვდა დანიის კუნძულ რედბუზეზე, ქალაქ ოდენზეში. ტყვეობიდან თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახსნილს მოუწია ე. წ. „საფილტრაციო“ ბანაკში დაკითხვა-შემოწმება და კვლავ დააბრუნეს საბჭოთა არმიის რიგებში, საიდანაც მხოლოდ 1946 წელს დაბრუნდა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1952 წელს, სამუშაოდ ხულოს რაიონის საზღვრისპირა სოფელ ხიხაძირის საშუალო სკოლაში გაამწესეს.

ახალგაზრდა პედაგოგმა იმთავითვე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა პედაგოგიურ კოლექტივში, მოსწავლე ახალგაზრდობაში, მალე დააწინაურეს კიდეც სასწავლო ნაწილის გამგედ.

1959 წელს სამუშაოდ გადავიდა თავისსავე რაიონში. ჯერ მოღვაწეობდა ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატში, შემდეგ, 1976 წლიდან, ხუცუბნის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად და ორგანიზატორად.

სკენდერ ბაჯელიძეს დაუფასდა ღვაწლი: მას 1973 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო საბრძოლო დიდების ორდენით, მედლებითა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

იგი ჩვეული სიამაყით შეხვდა ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავს და დაღუპულთა შესანდობარი წარმოთქვა.

1996 წლის 6 დეკემბერს, ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა, დავით მამულაძის საქველმოქმედო საზოგადოება „მოამაგემ“ და ხიხაძირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა პატივი მიაგეს სკენდერ მასწავლებელს – აჭარის განათლებისა და კულტურის მუზეუმში საზეიმოდ აღნიშნეს მისი დაბადებიდან 75 წლისთავი.

წავიდა ჩვენგან სამშობლოსათვის თავდადებული, შრომითა და საქმით გამორჩეული, საუკეთესო ადამიანური თვისებებით შემკული მამულიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკენდერ ბაჯელიძის სახე და სახელი დაუვიწყარი იქნება კოლეგების, ნათესავ-მეგობრებისა და აღზრდილთა ხსოვნაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
აჭარის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო;
დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მოამაგე“.
გაზ. „აჭარა“ 1.08.2005 წ.

* * *

ნეკროლოგის ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთ „ხულოს“ ფურცლებზეც. ნეკროლოგს ხელს აწერენ: ხულოს რაიონის გამგეობა; დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მოამაგე“; ხულოს განათლების, კულტურისა და სპორტის განყოფილება, ხიხაძირის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა.

გაზ. „ხულო“, 26-27, 8.08.2005.

* * *

გაზეთ „ბათუმელებში“ ყოფილი მოსწავლეების სახელით გამოქვეყნდა სამძიმრის განცხადება.

სკენდერ ბაჯელიძე

ღრმა მწუხარება დაგვეუფლა ჩვენი აღმზრდელ-მასწავლებლის, ომის და შრომის ვეტერანის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, ბატონ სკენდერ ბაჯელიძის გარდაცვალების გამო.

დიდია ბატონ სკენდერის ამაგი ხიხაძირელი ახალგაზრდების მიმართ, ამიტომაც მშობელივით გვიყვარდა იგი, ყოველთვის გვიხაროდა მასთან შეხვედრა და მისი ალერსი, ამიტომაც ცხარე ცრემლებით დავტირით მის გარდაცვალებას.

ნიკოლოზ დუმბაძე, სერგო დუმბაძე.
გაზ. „ბათუმელები“, №26, 6-13 ივლისი, 2005 წ. გვ. 8

• • •

ბატონი სკენდერ ბაჯელიძის გარდაცვალების გამო გაზეთების მეშვეობით ოჯახს სამძიმარი გამოუცხადეს ახლობლებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა, ქობულეთისა და ხულოს რაიონების ხელმძღვანელობამ.

ასე დასრულდა სკენდერ მასწავლებლის სააქაო ცხოვრება და დაიწყო მუდმივი, საიქიო ცხოვრების პერიოდი.

მშვიდად იძინეთ სასუფეველში, ბატონო სკენდერ.

მესამე განყოფილება

ხიხაძირს რა დამავიწყებს

სამშობლოს და ხალხის
სიყვარული უბერებელია

„თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც მე 1959 წელს დავემშვიდობე ხიხაძირის საშუალო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობასა და გულალალ მოსახლეობას, მაგრამ აქ გატარებული შრომისა და ცხოვრების წლები სამუდამოდ შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

ხიხაძირის საშუალო სკოლის განახლებული შენობა

საკმაოდ მძიმე და ფათერაკებით აღსავსე იყო ჩემი ცხოვრების გზა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემს ოჯახს უჭირდა მაშინ, როცა მე ვიზრდებოდი. დავამთავრე ხუცუბნის საშუალო სკოლა და ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი, მაგრამ შემდეგ დიდი ტანჯვა და წამება გადამხდა სამამულო ომში ბრძოლის დროს. ბედმა გატანჯულს ტყვეობაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგუნა და მოვხვდი პრუსიასა და პოლონეთში, საიდანაც გადმომიყვანეს დანიის კუნძულ რედბუზეზე, ქალაქ ოდენზეში... ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ე. წ. „საფილტრაციო“ ბანაკში გავიარე დაკითხვა-შემოწმება და შემდეგ კვლავ ჩამრიცხეს საბჭოთა არმიის რიგებში, საიდანაც მხოლოდ 1946 წელს ვიქენი დემობილიზებული. ცოტაოდენი დასვენების, სულიერი სიმშვიდის დაუფლების შემდეგ, მისაღები გამოცდები ჩავაბარე და 1948 წელს ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტი) გეოგრაფიის ფაკულტეტზე. 1952 წელს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, სამუშაოდ ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლაში გამამწესეს. ეს ჩემთვის ძნელი საქმე იყო, საგონებელში ჩავვარდი, როგორ მემუშავა ჩემთვის უცნობ ადგილას, ანდა, განა მქონდა საამისოდ შინაგანი ხალისი თუ განწყობა? მაგრამ კვლავაც იმძლავრა ჩემში პატრიოტულმა გრძნობამ, პედაგოგის მოწოდებამ: ემსახურე შენს ხალხს, შენს ქვეყანასო. როგორც ჩავედი ამ საზღვრისპირა სოფელში, მაშინათვე ვიგრძენი ცხოვრების სიძნელე – საპასპორტო რეჟიმი, მესაზღვრეთა კონტროლი, რაც მზარავდა ტყვეობაში ნამყოფ კაცს. სოფელსაც ომის მძიმე კვალი აჩნდა, ჭირდა ცხოვრება. სკოლაში ადგილობრივი მასწავლებლები მხოლოდ დაწყებით კლასებში იყვნენ, ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებული ახალბედა მასწავლებლები მუშაობდნენ, რომელთაც მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა.

ხიხაძირში მისვლისთანავე ვიგრძენი მთავარი, რაც ჩემთვის ესოდენ გამამხნევებელი და საჭირო იყო: მოსახლეობის ყურადღება, სითბო და სიყვარული. საცხოვრებელი ბინაც უკეთილშობილესი ადამიანის, გულიანი კაცის ოსმან გაბაიძის სახლში დავიდე.

ჩემი მუშაობის პერიოდში, დირექტორის ძალისხმევით, შეიქმნა პროფესიონალი სპეციალისტების ერთად შეკრული პედაგოგიური კოლექტივი, რომელშიც შერწყმული იყო ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტების ინტერესები. მთავარი ყურადღება გადატანილი გვქონდა სასწავლო-საადმზრდელო პროცესის სწორად წარმართვაზე, პედაგოგთა ცოდნის, გამოცდილების მიზნობრივად გამოყენებაზე, მასწავლებელთა შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნაზე.

ამ სკოლის ისტორიაზე, იმის როლისა და მნიშვნელობის გაშუქებაზე, ვფიქრობ, ფართოდ იქნება სხვათა მოგონებებში, ამიტომ მე მხოლოდ ზოგიერთ შტრიხზე გავამახვილებ ყურადღებას.

მაინც რას გამოვყოფდი ხიხაძირის საშულო სკოლაში ჩემი მუშაობის პერიოდიდან?

პირველი. მოსახლეობის, მშობელთა ინტერესი და ყურადღება სწავლისადმი და, ამდენად, თანადგომა და ზრუნვა მოზარდთა სწავლა-აღზრდისადმი, მასწავლებლის ღირსებისა და ავტორიტეტის დაცვისადმი.

მეორე. მოსწავლე-ახალგაზრდობის ხალასი ნიჭიერება, მონდომება და სწრაფვა ცოდნის, განათლების მისაღებად. ამ მდგომარეობას ისიც აძლიერებდა, რომ რაიონში ბევრი არ იყო საშუალო სკოლა. პირველ ხანებში ხიხაძირის საშუალო სკოლა ერთადერთი იყო სხალთა-ხიხანის ხეობაში, შუახევის რაიონში კი ახალად იხსნებოდა საშუალო სკოლები. ამიტომ აქ სასწავლებლად მოდიოდნენ შუახევის რაიონის მარეთის, საკუთრივ სხალთა-ხიხანის ხეობების რვაკლასდამთავრებული მოსწავლეები. 1953 წელს მეცხრე კლასში თითქმის 60-ზე მეტი მოსწავლე ჩაირიცხა და ამიტომ ორი პარალელური მეცხრე კლასი შეიქმნა.

მარცხნიდან:
სკენდერ ბაჯელიძე, ოთარ ოჩიგავა, გივი თოდრია

მესამე. სკოლაში შეიქმნა მართლაც სანიმუშო, მაღალკვალიფიციური, დიდი პასუხისმგებლობის მქონე პედაგოგთა ერთიანი ოჯახი, რომლის უპირველესი მიზანი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა, ნამდვილ მოქალაქეებად ჩამოყალიბება იყო. თავიანთი აკადემიური დონე, მუშაობის დიდი გამოცდილება გამოიყენეს ჩემმა კოლეგებმა, რომლებმაც შემდგომში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონსა და ქალაქშიც ნაყოფიერად იღვაწეს. აბა, ვის დაავიწყდება ხიხაძირში გამობრძმედილი სახელოვანი პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: როლანდ ბოლქვაძე, ევგენია კუზმინა, გიორგი სირაბიძე, ოთარ ოჩიგავა, თალიკო რუსიეშვილი, დავით ღლონტი, ლიანა ბარამიძე, გივი თოდრია, ანა ალფაიძე, დავით გოგოძე, რევაზ ბერაძე, ასლან ხახუტაიშვილი, არჩილ იშხნელიძე, სერგო ჯაიანი, იოსებ აბაშიძე და სხვები. საგულისხმოა, რომ ბევრმა მათგანმა (ასლან ხახუტაიშვილი, რევაზ ბერაძე, იოსებ აბაშიძე) შემდგომში სამეცნიერო ხარისხი მოიპოვეს და მეცნიერულ მოღვაწეობას შეუდგნენ, უმრავლესობას საქართველოს და აჭარის დამსახურებული პედაგოგის საპატიო წოდებები მიენიჭათ (ს. ჯაიანი, ა. იშხნელიძე, ა. ალფაიძე, რ. ბოლქვაძე, დ. ღლონტი, გ. სირაბიძე, გ. თოდრია).

მჯერა, რომ ხიხაძირი არ დაივიწყებს ამ პედაგოგთა და სხვათა უმწიკვლო, პატიოსან შრომას და დიდ ამაგს თავის მკვიდრთა წინაშე.

მეოთხე. ჩვენ, ხიხაძირელი პედაგოგები, ვგრძნობდით რესპუბლიკის, რაიონის ხელმძღვანელობის მუდმივ ყურადღებას, ჩვენი მუშაობის სათანადოდ დაფასებასა და აღიარებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თითოეული ჩვენგანისათვის.

მეხუთე და მთავარი ის იყო, რომ სკოლას ჰყავდა გამოცდილი, თავის საქმეზე შეყვარებული პედაგოგი, დაუღალავი და ენერგიული, დიდი პასუხისმგებლობის მქონე დირექტორი დიმიტრი ხოზრევანიძე. მისი ხელმძღვანელობით ყოველწლიურად უმჯობესდებოდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, სკოლის, სასკოლო ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იგი დიდ დახმარებას უწევდა ახალბედა პედაგოგებს დაოსტატებაში, შეუდარებელი უნარი და ტაქტი გააჩნდა მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობაში, სოფლის აქტივთან თანამშრომლობაში. ამიტომაც იყო, რომ ბევრჯერ განათლების სამინისტროს, რაიონის განყოფილებას სკოლის მუშაობის შესწავლის შედეგები განუზოგადოებიათ და დადებითი შეფასება მიუციათ ყოველთვის. დავსძენ, რომ ხიხაძირში ჩემი შვიდწლიანი მოღვაწეობის შემდეგ სხვადასხვა სკოლაში მომიხდა მუშაობა, მაგრამ მათი შედარებაც არ შეიძლება ხიხაძირის საშუალო სკოლასთან.

დავით მამულაძე – აჭარის პირველი ადგილობრივი ხელმძღვანელი (1910-1981)

ჩემი ხიხაძირში მუშაობა მინდა გავიხსენო სხვა მხრივაც. ჩვენი სკოლა, აჭარის მაშინდელი თავკაცის, დიდი პიროვნების **დავით მამულაძის** მუდმივი ყურადღების ქვეშ იყო. მას ახარებდა ჩვენი სკოლის წარმატებები, ხშირადაც გვსტუმრობდა, ეცნობოდა ჩვენს მუშაობას. ერთ-ერთი სტუმრობის დროს იგი სკოლაში მოვიდა

ხულოს რაიკომის პირველი მდივნის ალექსანდრე ქონიაძისა და რაიაღმასკომის თავმჯდომარის სიმონ ბერიძის თანხლებით. ბატონი დავითი შეხვდა პედკოლექტივს, შეგვაქო კარგი მუშაობისთვის, მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორს, პედგოგებს წარმატებითი მუშაობისთვის და გვესაუბრა სამომავლო ამოცანებზე. წასვლისას ბატონმა დავითმა ჰკითხა სკოლის დირექტორს რაიმე დახმარება ხომ არ გჭირდებათო.

სკენდერ ბაჯელიძის საცხოვრებელი სახლი სოფელ ხუცუბანში

ამ დროს მამაჩემი სოფელ ხუცუბანში ჩემთვის საცხოვრებელ სახლს აშენებდა. ჭირდა სამშენებლო მასალების, განსაკუთრებით, ცემენტის შეძენა. დირექტორს გამოვუტყდი და ვუთხარი: რა იქნება, ბატონ დავითს ვთხოვოთ დახმარება ცემენტის გამოყოფაში-მეთქი, სწორედ დამშვიდობებისას სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ბატონ დავითს და თანაც უთხრა: – ჩემს მოადგილეს, ომის მონაწილეს სკენდერ ბაჯელიძეს საცხოვრებლი სახლის ასაშენებლად ცემენტი ესაჭიროება და დახმარებასაც მხოლოდ ამ საკითხის მოგვარებაში გთხოვთო. მან სიამოვნებით გამომართვა განცხადება, ჩაიდო ჯიბეში და შეგვპირდა დახმარებას.



ვლადიმერ ბაჯელიძის საცხოვრებელი სახლი
სოფელ ხუცუბანში

ქესკინ ბაჯელიძის საცხოვრებელი სახლი
სოფელ ხუცუბანში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე გამომიძახეს აჭარკოოპკავშირში და გამომიყვეს საჭირო რაოდენობის ცემენტი და საზაფხულო არდადეგების პერიოდში მოვახერხე საცხოვრებელი სახლის აშენება და მსურს აქვე დიდი კმაყოფილებით მადლობა ვუთხრა ჩემთვის გაწეული დახმარებისათვის ამ უაღრესად ჰუმანურ ადამიანებს.

ბევრი რამის გახსენება შემიძლია ხიხაძირის საშუალო სკოლის შესახებ. დაე, ბევრი სხვებმაც თქვან, მაგრამ, მაინც მთავარი – მსურს გამოვხატო დიდი მადლობა ჩემი ხიხა-

ხიხაძირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შეხვედრა
30 წლის შემდეგ

ძირელების მიმართ. ამას რომ ვამბობ, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს მაშინდელი სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლები: ვერნები, რაქვთა, ფუშრუკაული, კალოთა, სკვანა, თხილვანა, ბაკო, საკუთრივ ხიხაძირი, მისი მცხოვრებლები და ახალგაზრდები. დღესაც თვალწინ მიდგანან ხიხაძირელი ხევისბერები: ბათალ იშხნელიძე, ესკერ, თუფან გაბაიძეები, ფილიპე მამულაძე, ავთანდილ ჯაიანი, შუქრი, მიხეილ დუმ-

ბაძეები, ოსმან, ვიქტორ ცეცხლაძეები, იროდიონ, ვალერი, გენადი ხალვაშები, ვეზირ აბაშიძე, რეჯებალი გაბაიძე, არჩილ აბაშიძე, მახმუდ მამულაძე, სიმონ ვარდოსანიძე, ხასან სურმანიძე და სხვები, რომლებიც ჩემთვის სიდარბაისლის, კუთხის პატრიოტობის, კაცურკაცობის განსახიერებანი იყვნენ.

როგორ შეიძლება არ გახსოვდეს საქართველოს დამსახურებული პედაგოგი სერგო ჯაიანი, მისი სტუმართმოყვარეობა, თანადგომა და დახმარება (ჩემი – ხიხაძირში პირველად ჩასული სტუმრის პირველი მასპინძელი სწორედ მისი ოჯახი იყო), დამსახურებული პედაგოგის არჩილ იშხნელიძის, მუსტო მიქელაძის, ემინე, ნესპიე და დურსუნ გაბაიძეების, მზევინარ ჯაიანის, ზურაბ ბერიძის ღვაწლი; ხაშიმ ხალვაშის, ფოლად ჯაიანის დიდი შრომა, სკოლის მუშაკების – ოსმან, ხუსეინ გაბაიძეების, ყურშუმ, შადიე ხალვაშების მიერ დათესილი სითბო და სიყვარული.

არ დამავიწყდება ასეთი შემთხვევაც. გასული საუკუნის 70-იანი წლები იყო. ქობულეთიდან ჩამოსულმა საკოლმეურნეო ბაზარში შევიარე. როცა სავაჭრო დახლებთან ჩავიარე, უმალვე შევიგრძენ ერთ-ერთ დახლთან მდგომი კაცის ღიმილიანი მზერა და მისკენ შევბრუნდი. მან კი მითხრა: – თქვენ ხომ სკენდერ მასწავლებელი ხართო, კი-მეთქი, ვუთხარი, საიდან მიცნობთ-მეთქი. როგორ არ გიცნობთ, მთელი ხიხაძირი სათუთად ინახავს თქვენს სახელს, სწორედ თქვენისთანების სისპეტაკე, სინდის-ნამუსი იყო, რომ მშობლები სიამოვნებით, დამშვიდებულნი ვაგზავნიდით თქვენთან სასწავლებლად ჩვენს ქალიშვილებსო. სიხარულით გადავეხვიე იმ კაცს და სამაგიერო მადლობა ვუთხარი. იგი სოფელ ვერნებიდან აღმოჩნდა.

მეამაყება, რომ ხიხაძირში ჩემი მუშაობა ალალად შეირგეს ჩემმა მოსწავლეებმა, რომლებმაც მასახელეს შემდგომშიც. თავიანთი სწავლა-მოღვაწეობით, და დღესაც, როცა მე

85 წელს ვუახლოვდები, ჩემი ღირსეული მოსწავლეები ჩემთან არიან ჭირსა და ლხინში, თავს მევლებიან, მაფასებენ და პატივს მომაგებენ, როგორც შეუძლიათ. ამ მხრივ მადლობის მეტი რა მეთქმის. ერთი ათად ავმღლდი საკუთარ თავში, ჩემი ნათესავების, ახლობლების წინაშე, როცა 1996 წლის 6 დეკემბერს ჩემმა ყოფილმა ხიხაძირელმა მოსწავლეებმა 75 წლის იუბილე გადამიხადეს ქ. ბათუმში, განათლებისა და კულტურის მუზეუმში. განა მარტო მოსწავლეები, მთელი ხიხაძირი აქ იყო, ყველა განათებული სახით, დიდი სიყვარულით მეფერებოდა და სიხარულის ცრემლს მაფრქვევინებდნენ. თავი რესპუბლიკის განათლების ორგანოების ამგადარებმაც შეიწუხეს, შემაქეს და ჯანმრთელობა მისურვეს. დიდი საწყენი კი ის იყო, რომ ამ დროს უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ დავით მამულაძე, ალექსანდრე ქონიაძე და დიმიტრი ხოზრევანიძე.

არ შემიძლია არ გავიხსენო ის მოსწავლეებიც და მშობლიური მადლობა არ ვუთხრა ჩემს ყოფილ მოსწავლეებს, ჩემი მცირედი ამაგის დიდად დამფასებლებს, როგორებიც არიან: ნოდარ ცეცხლაძე, ეგნატე, ნიკოლოზ, სერგო დუმბაძეები, ონისე, ლევან სურმანიძეები, ამირან მამულაძე, ამირან და ალექსანდრე ჯაიანები, მამია ხალვაში, ალექსანდრე და ჯამბულ მამულაძეები, ამირან, ვანო, გივი, იოსებ, შოთა, ნოდარ, ევგენი გაბაიძეები, ლამარა ჯაიანი, ჯემალ ბერიძე, გურამ ბარათაშვილი, ბესარიონ შაინიძე, მზია, დარიკო, ვლადიმერ ხალვაშები, ნოდარ კეკელიძე, თამარ ცეცხლაძე, თამაზ მამულაძე, სოლომონ თურაძე, შოთა ქამაშიძე, მრავალი და მრავალი სხვა. რაოდენ საწყენია, რომ ამათგან ზოგი უკვე აღარ არის ჩვენს რიგებში, რომელთადმი სიყვარული ჩემს გულში არ შენელებულა.

მახსენდება ხიხაძირში რამდენჯერმე მოწყობილი შეხვედრები კურსდამთავრებულებთან, სადაც გვიწვევდნენ ჩვენც, მასწავლებლებსაც. განსაკუთრებით დამამახსოვრდა

1956 წლის კურსდამთავრებულთა შეხვედრები 1976 და 1986 წლებში, რითაც მოგვეცა დიდი საშუალება დაგვეთვალიერებინა ჩემი დავაჟკაცების ადგილები, კიდევ ერთხელ მივსულიყავი ჩემი დირექტორის, კოლეგისა და მეგობრის საფლავთან, კიდევაც დავმტკბარიყავი ჩემი ხიხაძირელი კოლეგების, მეგობრების, საპატივცემულო ადამიანების ხილვით და ერთად პურის გატეხვით. ვინატრებდი, კვლავაც მეხილოს სიამოვნების ასეთი დღეები, თუკი ჯანმრთელობა მომცემს ამის საშუალებას.

კვლავაც ჩირაღდანივით ანათებდეს ხიხაძირის სკოლა, კვლავაც გაეზარდოს ღირსეულები და ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინოს მათი ნიჭი ამ ისტორიული კუთხის შვილებს.

მეამაყება, რომ ხიხაძირის საშუალო სკოლაში ვმუშაობდი“.

სკენდერ ბაჯელიძე,
ხიხაძირის საშუალო სკოლის
სასწავლო ნაწილის გამგე (1954-1959 წწ),
ომისა და შრომის ვეტერანი,
აჭარის დამსახურებული პედაგოგი.
სოფელი ხუცუბანი, 2004 წლის სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრისტალური სიწმინდის და მაღალი ზნეობის განსახიერება იყო...

სკენდერ ბაჯელიძის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოზე (1996 წლის 16 დეკემბერი) წარმოთქმული მისალმებები და მოგონებები

მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი

მისალმება – მოფერება, სითბოს გამოხატვაა.

არჩილ იშხნელიძე
აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების
ინსტიტუტის დირექტორი,
აჭარის სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

ბატონო სკენდერ!

ხუთი ათეული წელია, რაც ცხოვრების შუაგულში ტრიალებთ, მამულის, ქვეყნის, ადამიანების, სიკეთის სამსახურში იღვწით და მოზარდების ცხოვრების გზას ოსტატის ხელით ჩარხავთ.

ძნელია სტრიქონებში ჩაატიო ის დიდი ღვაწლი და ამაგი, რაც თქვენ სახალხო განათლების განვითარებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში მიგიძღვით. თქვენ განვლეთ რთული, მაგრამ ლამაზი შემოქმედებითი ცხოვრების გზა.

უკეთიშობილესი პროფესია – პედაგოგობა აირჩიეთ, მაგრამ სასწავლებლის კურსდამთავრებულს ჟურნალის ნაცვლად შაშხანის აღება მოგიხდათ ხელში.

ხუთი წელი ვაუკაცური შემართებით, რაინდულად იარეთ ომის ცეცხლოვან გზაზე. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილმა კი მოზარდი თაობის აღზრდის სამსახურში ჩადექით და უდალატოდ, მუხლჩაუხრელად კაცური კაცის სინდისით და ნამუსით, თავდადებით ემსახურეთ ქვეყნის ხვალინელი დღის – ახალგაზრდობის სულიერი ფორმირების საქმეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა ხიხაძირის საშუალო სკოლაში. ამ სასწავლო კერამ მთელ აჭარაში გაითქვა სახელი, რაშიც, ცნობილ დირექტორთან – დიმიტრი ხოზრევანიძესთან ერთად, თქვენც დიდი წვლილი მიგიძღვით.

ბატონო სკენდერ, ყველგან, სადაც კი იმოღვაწეთ – ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლაში, ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატში, მშობლიური ხუცუბნის საშუალო სკოლაში თუ სხვაგან, ყველგან თქვენი სიტყვა თქვით და კეთილი კვალი დატოვეთ.

გილოცავთ დაბადების 75-ე წლისთავს. მზეგრძელობა და დღეგრძელობა, სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ. იარეთ დიდხანს ამ ლამაზ ქვეყანაში თქვენ კეთილი ღიმილით, ჭკვიანი სიტყვით, მართალი საქმით.

ვლადიმერ მამულაძე
დავით მამულაძის სახელობის
საზოგადოება „მოამაგის“ პრეზიდენტი

აჭარის დამსახურებულ პედაგოგს, ომისა და შრომის ვეტერანს, ღრმად პატივცემულ სკენდერ ბაჯელიძეს (მისალმება-ადრესი)

ბატონო სკენდერ!

ბედნიერია ის, ვინც თავისი გავლილი გზით ამაყობს. თქვენ ასეთ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით, რადგანაც ისე იცხოვრეთ და იმოღვაწეთ, რომ თქვენს უპირველეს საზრუნავს ყოველთვის ქვეყნისა და ხალხის ინტერესები წარმოადგენდა. კარგად გვესმის, რომ ია-ვარდებით მოფენილ გზებზე არ გივლიათ. დიდი განსაცდელები და ტრაგედიები გამოიარეთ, ბათუმის პედსასწავლებლის დამთავრებისთანავე, თანატოლებთან ერთად, ომის ქარცეცხლში გაეხვიეთ.

თქვენ წარმოადგენთ იმ დიდებულ, ვალმოხდილ თაობას, რომლის ღირსეულმა წარმომადგენლებმა 50-იანი წლების დასაწყისში აჭარის მთიანეთს მიაშურეთ და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეთ ამ კუთხის ახალგაზრდობაში განათლების უქრობი ჩირაღდნის ანთებისთვის. თქვენი მოღვაწეობა ხიხაძირის საშუალო სკოლაში დაემთხვა იმ პერიოდს, როცა აჭარაში, ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის დავით მამულაძის თაოსნობით, საფუძველი ეყრებოდა ადგილობრივი ინტელიგენციის აღზრდა-ჩამოყალიბების საშვილიშვილო საქმეს, კუთხის ეკონომიკურ, სულიერ და კულტურულ აღორძინებას. სიამაყით უნდა ითქვას, რომ თქვენმა თაობამ ეს ძნელი და საპატიო მისია ბრწყინვალედ შეასრულა.

თქვენგან გულანთებულმა და დალოცვილმა ბევრმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა უმაღლესი განათლება მიიღო და გზა გაიკვალა მეცნიერებაშიც. ყოველ აღსაზრდელს უნერგავდით მშობლიური ხალხის, ქვეყნის სიყვარულს, პატივისცემას ღირსეული ადამიანებისადმი, თქვენ ჰუმანისტი პედაგოგის კვალი დატოვეთ ყველგან, სადაც კი გიმუშავიათ.

თქვენ მიერ გავლილი გზა არის პატიოსანი, სპეტაკი, თავისი საქმის ერთგული, სამშობლოსათვის თავდადებული, მრავალ ჭირგადატანილი ქედუხრელი კაცის მისაბაძი მაგალითი.

თქვენს ამაგს არასოდეს დაივიწყებს შთამომავლობა.

ბატონო სკენდერ! დავით მამულაძის საქველმოქმედო საზოგადოება „მოამაგის“ გამგეობა გულითადად გილოცავთ დაბადების 75 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას.

ბატონო სკენდერ!

ნახევარი საუკუნე ბურგალებს ჩვენს ურთიერთობაში. ჭაბუკობიდან ჩვენმა სამსახურებრივმა საქმიანობამ და პირადმა ბუნებამ გადაგვჯაჭვა, მკაცრად დაგვაახლოვა, დაგვამეგობრა და ამის გამოც არასოდეს დღემდე ერთმანეთისათვის ბატონობით არ მიგვიმართავს...

ალბათ, გაგიკვირდათ კიდეც, ასე რომ შეგეხმიანეთ, მაგრამ ეს ხომ დღეს მაინცდამაინც ჩემი თქვენდამი ოფიციალური მომართვაა და ჩავთვალე, ასე უფრო უპრიანი იქნებოდა... და ახლა თქვენი თანადგომით, უპირველესად, უღრმესი მადლიერებით მივმართავ ჩვენი დღევანდელი ამ თავყრილობის ორგანიზატორთ – ამ ჩვენთვის სიცოცხლისა და სიხარულის გამახანგრძლივებელი, მოგონებათა ამაფორიაქებელი შეხვედრისათვის!..

გამარჯვება დაბედებოდეთ მათ ყოველ გზასავალს!

. . .

ძვირფასო სკენდერ!

გრძელი და მძიმე ცხოვრება განვლეთ: ნახევარი საუკუნის წინ მასწავლებლობა, დღევანდელთან შედარებით, უფრო დიდი საზოგადოებრივად დატვირთული მოღვაწეობის ტოლფასი რამ იყო. ხომ ბევრჯერ გვივლია ფეხით თოვლსა და ყინვაში სხალთიდან, ზოგჯერ ბათუმიდანაც, „შორია ხიხაძირამდე“... ამზევებულნი არც ქობულეთის რაიონში ერთად მუშაობისას ვყოფილოვართ.

უტრანსპორტობა, მგზავრობა ურმით, ცხენით, ფეხით... გზა გრძელი ხშირად, საგზლით ზურგზე.

პარადოქსებიანი საუკუნის შვილები ვართ... რამდენი ტკივილიანი დრო გქონიათ... თქვენ, უპატიოსნესი, უსპეტაკესი, უკეთილშობილესი, პირთამდე მართალი კაცი, მისაყუჯ-

მისამალადაც კი გაგხადათ ცხოვრებამ. ჩემო სკენდერ! ომგადახდილსა და ღვაწლმოსილს შიში აგკიდებოდათ ავი ლანდივით...

რამდენჯერ თქვენ, ბრძენსა და ღირსეულ კაცს, გულში ჩაგიკლავს უღირსთა შემოტევა, როდესაც თქვენგან რაიმე პრაქტიკულსა და ჭკვიანურს ვერ აიტანდნენ...

მაგრამ გული?!

რამდენ რამ დაეტია ამ საცოდავს გულში?!

მაგონდება ერთ-ერთი საშუალო სკოლის ეზო... თუთის ხის ჩრდილში ასეთი შემოტევისას თქვენი მაღალზნეობრივი თავშეკავება...

ეს მხოლოდ ჩვენ – ორმა ვიცით... სხვა ამისი მოწმე დღეს უკვე აღარაა ცოცხალი, ძვირფასო სკენდერ!... მას შემდეგ სამყაროს დროის მიერ უკიდეგანობაში მარადისობისათვის მცირე, მაგრამ ჩვენთვის საკმო დიდი დროც გავიდა.

რას იზამ... ცხოვრება ხომ ხშირად ულმობელია?!

თქვენ სამშობლოზე – დაუჯერებელი წინააღმდეგობებით აღსავსე საქართველოზე – განუზომლად შეყვარებული პიროვნება ბრძანდებით... ხშირად ცრემლებამდე მისულა ამ მხრივ მოძალებული განცდა...

თქვენ სოლიდურ ასაკს მიაღწიეთ... კარგა ხანია დაგეთოვლათ თმა... მაგრამ, ერთი სწავლულის თქმისა არ იყოს, „ეს სისპეტაკე გასხივოსნებულია პატიოსანი და ღირსეული შრომით... იკითხონ მხოლოდ მათ, ვისაც ეს სითეთრე ავკაცობითა და კაცთმოძულეობით დაუტვირთავთ!..

თქვენ მძიმე და ძნელი პროფესიის შესაბამის დამაშვრალი წლები განვლეთ, მაგრამ მაინც არ დაკარგეთ მაღალი სული...

შემიძლია ვთქვა, რომ ეპოქასთან მიმართებაში, შენი სამშობლოს გავლილი დღეების განცდით, ტრაგიკული პიროვნება ხართ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რა უბედურებაა, რომ ჯერჯერობით – დღესაც ვერ ვხედავთ ნანატრის ღირსეულად აღსრულებას...

თქვენი ჰობია სიკეთის თესვა – სხვისთვის ბედნიერების მინიჭება; ხართ დიდი ინტერანციონალისტი, მტერშიც კი ღირსეულს ეძებთ და ყოველ ამ ადამიანობის გამოვლენას უაღრესად აფასებთ...

ადამიანში ღირსებას პოულობთ და მისგან ყოველ სიკეთეს სიღრმისეულად შეჰხარით, აფასებთ და არ ივიწყებთ; უსიტყვოდ – პრაქტიკულად უნდა გადაუხადოთ იგი მას.

ერთგულება გახარებთ სხვისი...

ცხოვრების ყველაზე ჭირვეულ დროს დაკარგეთ სამი კარგი შვილის გამზრდელი, ერთგული, თბილი, მოყვარული და ნაწვალები პატიოსანი მეუღლე...

იყავით და ხართ კარგი მეგობარი, მამა და... უღლისცალი.

თქვენ საუკეთესო გვარის ჩამომავალი ბრძანდებით. მიმაჩნია, რომ თვით ეს გვარი იმსახურებს აპოლოგიას – ქებათაქებას.

დიდი კონსტანტინე, თავის „დიონისოს ღიმილში“ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე შენიშნავდა, რომ დასავლეთში დიდი ხანია, რაც დაიწყო მამაკაცების გადაგვარებაო... დღეს იქ და საერთოდ ქვეყნად საყურიანი, თავსაფრიანი, კულულ-კიკინებიანი გარდაკაცებულნი მომძლავრდნენ. თქვენ კი, ბატონო სკენდერ, XXI საუკუნის კვირაძალზეც შეინარჩუნეთ მამაკაცური ხიბლი, რიხი, ნიჭი, კაცურკაცობა, რაც ყველა თქვენს ახლობელს, მეგობარს, ნათესავს კანონიერი სიამაყის გრძნობას გვანიჭებს და გვახარებს.

ესაა, რომ გავლილი ცხოვრების სიმძიმილმა ერთგვარად ღიმილი გაგიქროთ სახეზე...

დიდ ფრანგ მწერალს – ვიქტორ ჰიუგოს გაუსაძლისმა ყოველდღიურმა საწუხარმა თურმე ღიმილი წარტაცა სახიდან... რამდენი ეცადნენ, რომ იგი აღეძრათ და აღებეჭდათ ფოტოფირზე... ბოლოს ჭკვიანმა ფოტოგრაფმა აპარატის წინ,

სურათის გადაღებისას, პატარა ბალღი აუელვარა – აუთამაშა – აუცქრიალა და აი, მაშინ მოსტაცეს მის სახეს ღიმილი...

ეს ღიმილი ქვეყნის მომავლისა – ახალი თაობისა გახლავთ, ჩემო სკენდერ...

თქვენ დღეს დგახართ თავისებურ ფოტოაპარატთან, რომლის გარშემო თქვენთვის ღიმილის მოსაგვრელად შემოკრებილან თქვენი კარგი შვილები, ლამაზი შვილიშვილები და ნაამაგარ კაცს თავს გახვევია – გამშვენებენ... აქვეა უამრავი მოსწავლე, ამჯერად თქვენი მეგობრები – თქვენი ამაგის ღირსეულად შემცნობნი... რომლებიც თვალებში შემოგციცინებენ. თქვენც ნუ მოგიშალოთ მათი სიყვარული ძმაო, სკენდერ!

მაინც მინდა დავძინო: რამდენი სითბო და დიდი გულია ჩაღვენთილი თქვენს ნაღვლიან მზერაში... თქვენს პიროვნებას რაინდობისა და წმინდანობის შარავანდედი ადგას, მოსავს და აშუქებს...

თქვენ ამაღლებულის სახელი გრჩებათ ამ ქვეყანაზე...

. . .

ბატონო სკენდერ! ამდენი გესაუბრეთ და შეგაწუხეთ ჩემი ნაუბრით, მაგრამ მაინც, უკმაყოფილების გრძნობა მეუფლება...

რომ შეიძლებოდეს, მე თავიდან დავწერდი თქვენს შესაქებარ სიტყვას, მაგრამ ვეჭვობ, ისეთი გამომივიდეს, რაც თქვენ შეგეფერებათ და თქვენთვის მემეტება!

ძველ შუმერებს უთქვამთ: „ნამდვილი დამწერი ის არის, ვისი ხელიც აზრს მისდევსო“...

ნეტავ ცოტათი მაინც თუ შევძელი მე ეს – აზრისა და ხელის მიდევნება?

დიდხანს ეყოლეთ ამ თქვენს პატივისმცემელ საზოგადოებას, თქვენს საპატიო წრეს, ჯანმრთელად, საღად, ჩვენო ამაგდარო პიროვნებავ!

რამაზ სურმანიძე
მწერალი, პროფესორი

სკენდერ ბაჯელიძე

მარტო ამ გვარის გაგონება უახლოეს წარსულს გაგახსენებს და მოგაგონებს იმ ღირსეულ მამულიშვილებს, რომლებმაც თავიანთი სიკეთით, ქველმოქმედებით, სისპეტაკითა და ღვაწლით ღირსეული კვალი დატოვეს ჩვენი საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რომელი ერთი ჩამოვთვალო, სახელოვანი მხედართმთავარი ასლან ბაჯელიძე, თუ შრომის გმირი ვლადიმერ ბაჯელიძე, იურისტი ჯემალ ბაჯელიძე თუ პროფესორი – ეკონომისტი ალი ბაჯელიძე.

ყველა მათგანის ბიოგრაფია იმდენად მდიდარია, რომ ისინი ცალკე მონოგრაფიებს იმსახურებენ. ალბათ, ჩვენი თაობა ამასაც გააკეთებს და ღირსეულად დააფასებს ხუცუბნელი დიდკაცების ამაგს და სიკეთით გავლილ გზას.

სკენდერის თავზე, როგორც იტყვიან, კევრს არ გადაუვლია, დანარჩენი, ყველა სიავე იწვნია, მაგრამ სულით და სხეულით ძალმოსილებამ თავისი გაიტანა და იგი, შეიძლება ითქვას, მშვიდი ხანდაზმულობით წავიდა ამ წუთისოფლიდან.

ამ გოლიათი კაცისათვის ყველაზე დიდი გამოცდა იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც მრავალი მისი თანამებრძოლი და მეგობარი იმსხვერპლა მტრის ალყაში მოქცეული და სასწაულებრივად გადარჩენილი სკენდერის ცხოვრება უმძიმეს პირობებში გაგრძელდა, ფაშისტთაგან ოკუპირებულ ქვეყნებში, საიდანაც გაქცევის თითქმის ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

სამშობლოში დაბრუნებული სკენდერ ბაჯელიძისათვის ახალი ცხოვრება იწყება. კაცთმოყვარე ადამიანმა ასევე ჰუმანური დარგი – მასწავლებლობა აირჩია და იგი უძველესი

ისტორიითა და ტრადიციებით მდიდარი მაღალმთიანი ხიხანის ხეობის მოზარდთა აღზრდის მსახური გახდა.

პირველად მისი აღზრდილების, მადლიერი მოსწავლეების წრეში შევხვდი ამ ღვაწლით დამძიმებულ კაცს და პირველივე საუბრებით დავრწმუნდი, რომ მისი სახით ჩვენს ინტელექტუალურ საზოგადოებას ჰყავს ჭეშმარიტი პატრიოტი, მამულიშვილი და აღმზრდელი, რომელიც მზადაა, უარი თქვას პირად ფუფუნებაზე და საკუთარი გონებრივი და მატერიალური შესაძლებლობები ადამიანების კეთილდღეობას მოახმაროს. მაგრამ მთავარი მარტო ეს როდია. მთავარი და არსებითი ისაა, რომ მამულიშვილობას, კაცთმოყვარეობას, პატიოსნებასა და სიმამაცეს იგი უნერგავდა ყველას, თავის მრავალრიცხოვან შეგირდებს, ოჯახის წევრებსა და გვარიშვილთა დიდ წრეს. ამით ღვაწლმოსილმა პედაგოგმა ხიხაძირსა და მშობლიურ რაიონში ერთგვარად განაგრძო ადგილობრივ დიდაქტიკოსთა ღირსეული საქმიანობა და ამით ჩვენს თაობებს თავიც მარადიულად დაამახსოვრა.

ვერც დაივიწყებენ, რადგან პედაგოგობიდან ათეული წლების გავლის შემდეგაც სკენდერ ბაჯელიძე მოიკითხავდა ხოლმე თავის აღზრდილებს, გაიგებდა მათ წინსვლას და სიხარულით ივსებოდა, უყურადღებოდ არ ტოვებდა ჭირ-ვარამსაც და შეძლებისდაგვარად მამაშვილურ ხელსაც უწვდიდა.

სკენდერ ბაჯელიძის სიბრძნე, სისპეტაკე და სიკეთე ჩემთვის კიდევ უფრო ცხადი გახდა, როცა ჩვენს ოჯახებს შორის მოყვრული ურთიერთობა დამყარდა, მისი შვილიშვილი ჩემი რძალი გახდა და ამ ქორწინებამ ჩვენს გვარში ახალი სითბო და სიყვარული შემოიტანა.

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია სკენდერ ბაჯელიძის დინჯი, ღრმად შინარსიანი ბაასი, ალბათ, არასოდეს დააავიწყდება გონებანათელი, უბრალო და უპრეტენზიო კაცი, რომელმაც გაიარა წარსულის სიკეთე-სიავით დამძიმებული ცხოვრება და ხალხის წინაშე ვალმოხდილი წავიდა მარადიულ სასუფეველში.

ვანო გაბაიძე
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, ყოფილი მოსწავლე

მოკლე სიტყვის შემდეგ მიესალმა ლექსით:

ბატონ სკენდერ ბაჯელიძეს – 75

სამოცდათხუთმეტი გაზაფხული კაცურად განვლეთ,
ომი და ბრძოლა, ოჯახი, სკოლა,
ყველა ეს ტვირთი მედგრად ატარეთ,
გვეამაყება თქვენს გვერდით დგომა.
ბევრი დათესეთ, ბევრი მოიმკეთ
სიყვარული და პატივისცემა,
თქვენგან ვისწავლეთ და შთავინერგეთ,
კაცურკაცობა, სინდისი, შრომა.
ორნახევარი ათეული წლით,
კიდევ გვჭირდება თქვენი თანდგომა,
ღმერთმა გაცოცხლოთ, ბატონო სკენდერ,
ბარემ შეგვარგეთ გამთბარი გრძნობა.

მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი

მოგონება – ხელახლა განცდაა.

როსტომ გუნთაიშვილი
იურისტი

ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მასწავლებელი

ჩემს ცხოვრებაში, რაც დრო გადის, საკუთარ თავს ვუსვამ შეკითხვას, ვინ არის ის პიროვნება, რომელსაც ჩემს მასწავლებლად მივიჩნევ იმ მასწავლებელთა და პედაგოგთა დიდი ჯგუფიდან, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემი პიროვნების ფორმირებაში. ასეთი ადამიანები ბევრია, მაგრამ მათგან გამორჩეულად დიდი მადლიერებით ვიგონებ ჩემთვის დაუვიწყარ ბატონ სკენდერ ბაჯელიძეს, რომელიც ქობულეთის რაიონის ულამაზეს სოფელ ხუცუბნის საშუალო სკოლაში მასწავლიდა. ჩემი აზრით, ბედნიერი არიან ის ადამიანები, ვისაც რაიმე შეხება ჰქონია ამ დიდებულ პიროვნებასთან. უწინარეს ყოვლისა, იგი გამოირჩეოდა თავისი ვაჟკაცური და ახოვანი იერით, უაღრესად დიდი განსწავლულობითა და პიროვნული სითბოთი, რომელსაც იგი ავლენდა ნებისმიერი ჩვენი შეხვედრის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი განსხვავება იყო, ჩვენს ურთიერთობაში ასეთი არ იგრძნობოდა. მე ყოველთვის სითბოთი მომმართავდა და მოიკითხავდა ჩემს მშობლებს, ბაბუას და ბებიას. ვიცოდი, რომ ჩვენ სისხლით ნათესავებიც ვიყავით, დედაჩემის ბებია ბატონი სკენდერის დიდი მამიდა იყო. ბატონი სკენდერი ერთი წელიწადი მასწავლიდა, ეს იყო 1966

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ არასდროს მავიწყდება ეს პიროვნება.

გასული საუკუნის ბოლოს ბატონი ნიკოლოზ და სერგო დუმბაძეებისგან შევიტყვე, რომ ჩვენ ერთი მასწავლებელი გვყოლია და მათ მიმართ უფრო დიდი სიმპათია და მეგობრული ურთიერთობა გამიჩნდა, რადგან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას, ერთი და იგივე პიროვნება იყო ჩვენი მასწავლებელი. ჩვენთვის ეს პიროვნება იყო გამორჩეული და მადლიერებით მოსაგონარი პედაგოგი.

ჩემს ამ მოგონებას სხვადასხვა ადამიანები წაიკითხავენ, მათ შორის ალბათ, ახალგაზრდებიც იქნებიან. მე მათ ვუსურვებ, რომ ისეთი მასწავლებელი ჰყოლოდეთ, ოდნავ მაინც რომ ჰგავდეს ჩემს დიდ მასწავლებელს – ბატონ სკენდერ ბაჯელიძეს.

ამქვეყნიურიდან იმქვეყნიურში გადასვლის შემდეგ, იმედს არ ვკარგავ, რომ ბატონ სკენდერს შევხვდები და კიდევ ერთხელ და მრავალჯერ დიდ მადლობას მოვახსენებ დიდი ქართველობისთვის და კარგი კაცობისთვის.

ამირან მამულაძე
ყოფილი მოსწავლე

უკვდავია მასწავლებელი

ვინც მოიხადა ამ სოფლად ვალი,
ის მკვდარიც ცოცხლობს, არ არის მკვდარი.
აკაკი წერეთელი

ჩემმა თანასკოლელმა, ხიხაძირის საშუალო სკოლადამთავრებულმა, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა სერგო დუმბაძემ საუბარში გამიმხილა, რომ სკენდერ მასწავლებელზე (ორივე მისი ყოფილი მოსწავლე ვართ) პატარა წიგნს ვამზადებთ და ხომ არ მოიგონებთ რაიმეს მის შესახებო. მისი აზრი მომეწონა და შევასრულე ეს თხოვნა.

ხიხაძირის საშუალო სკოლაში სწავლის გაგრძელების პირველსავე დღეებში ბევრი კარგი აღმზრდელ-მასწავლებელი გავიცანი, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს ჩემში, მათ შორის იყო ხიხაძირის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, გეოგრაფიის მასწავლებელი სკენდერ ბაჯელიძე – სულიერი სიწმინდის და მორალური სისპეტაკის, ყურადღებიანობის და გულისხმიერების, სამართლიანობისა და მომთხოვნელობის, უანგარობისა და კეთილშობილების ეტალონი. მაღალი, თეთრი სახე, შავი თმა და ულვაშები ქმნიდა მის მიმზიდველ ჰაბიტუსს, ოდნავ მხრებში მოხრილი (ომში მიყენებული ჭრილობებით გამოწვეული), ბრგე ვაჟკაცი, საოცრად კეთილი, რომელსაც ახასიათებდა იშვიათი, მაგრამ თავისებური ღიმილი. მისი ერთ-ერთი საუკეთესო თვისება იყო ადამიანისათვის ბოლომდე მოსმენა, უსმენდა ყველას: მოსწავლე იყო, სკოლის მასწავლებელი თუ რიგითი მოქალაქე, უსმენდა იმდენ ხანს, სანამ მოსაუბრე საუბარს განაგრძობდა, არასოდეს ჩაგერეოდა საუბარში, გისმენდა ინტერესით, არა როგორც მოსწავლეს, არამედ როგორც თანასწორს, აზრის თანამოზიარეს. გრძნობდი, რომ საქმე გქონდა უღირსეულეს პიროვნებასთან, გამორჩეულ პედაგოგთან, აღმზრდელთან. დაუვიწყარია მისი გაკვეთილები. საინტერესოდ საუბრობდა ახალი მასალის ახსნის დროს. ის არასდროს არ ქადაგებდა, საუბრობდა, გიხსნიდა, გასწავლიდა, აზრს გიზიარებდა. თავისუფალ დროს ხშირად ინტერნატში მცხოვრებ მოსწავლეებთან ატარებდა, ცხოვრებისათვის გვამზადებდა, შთაგვაგონებდა მოსწავლეებს, რომ მომავალი ახალგაზრდობას ეკუთვნის და ქვეყნის მართვასა და მის აყვავებას შეძლებენ მხოლოდ მცოდნე, განათლებული ადამიანები. ამიტომაც გვინერგავდა სიყვარულს და გვაჩვევდა შრომას, სისტემტურ მეცადინეობას. მისი ღვაწლი ჩვენდამი მასწავლებლობით არ შემოიფარგლებოდა. იგი იყო მზრუნველი აღმზრდელი, ცხოვრობდა ერთი ფიქრით და ერთი მიზნით, რაც შეიძლება განათლებული და წესიერი ახალგაზრდები აღეზარდა. ყოველთვის ინტერესდებოდა მოსწავლეთა სწავლის, ცხოვრების და შრომის პირობებით, ეხმარებოდა მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მოხუცებს, ავადმყოფებსა და უმწეოებს. სკენდერ მასწავლებლის ჩვენდამი მზრუნველობის ნათელსაყოფად გავიხსენებთ ერთ საინტერესო მომენტს.

1959 წელს მთაში დიდი თოვლი მოვიდა. ხიხაძირის ცენტრში თოვლის საფარი სამ მეტრს აღწევდა, მაღალთმიან მეზობელ სოფლებში კი უფრო მეტი იყო. რამდენიმე დღეღამე შეუჩერებლივ თოვდა, შეწყდა მოძრაობა. სკოლისა და ინტერნატის ერთსართულიანი შენობები თოვლით ჩაიხერგა. პურის გამოცხობასა და სასადილოს მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ინტერნატის მოსწავლეები სახლიდან მოტანილი პროდუქტების ამარა დავრჩით. თოვლის საფარის სიმაღლის გამო, ფანჯრებიდან დღის სინათლე ვერ აღწევდა,

სკოლისა და ინტერნატის შენობებს საფრთხე შეექმნა. მოსალოდნელი ავარიის თავიდან ასაცილებლად, ინტერნატელები შევუდექით სახურავის გადმოთოვლას. მოსწავლეთა ერთი ნაწილი შენობებს ვაცილებდით თოვლს, ფანჯრებიდან რომ ოთახებში სინათლე შემოსულიყო. გაუსაძლის პირობებში ვიმძლავრეთ თითქმის ორი დღე. ბოლოს და ბოლოს დავიღალეთ, მოგვშივდა და არაქათი გამოგვეცალა. ჩვენდა საბედნიეროდ, მესამე დღეს, შუადღის შემდეგ გამოიდარა, შეწყდა თოვა, საღამოს ინტერნატის ფანჯრიდან შევნიშნეთ სუსტი, მბჟუტავი წერტილი გზაში, რომელიც წინ მოიწევდა. მგზავრს უჭირდა გზის გაკვლევა, შეგვეცოდა. ბიჭებმა გადავწყვიტეთ დახმარების გაწევა, სკოლიდან მასწავლებელთა საცხოვრებლამდე დაახლოებით სამასი მეტრი გზა გავკვალეთ, რომ მგზავრი მოგვეყვანა ჩვენთან, ინტერანტში.

უკვე ბინდდებოდა. არ ვიცოდით, ვინ იყო მომავალი მგზავრი. როცა კვალი გავიტანეთ და მომავალ მგზავრს მივუახლოვდით, ვნახეთ, რომ ერთი კი არა, ორი პიროვნება იყო. მომავალნი სკოლის დირექტორი დიმიტრი ხოზრევანიძე და სასწავლო ნაწილის გამგე სკენდერ ბაჯელიძე აღმოჩნდნენ. მათ სკენდერ მასწავლებლის ოჯახში კერძები მოემზადებინათ და მოჰქონდათ მოსწავლეებისათვის. ის დამე და მომდევნო სამი დღე სკენდერ მასწავლებლის ოჯახში მომზადებული კერძებით გავიტანეთ ინტერნატელმა მოსწავლეებმა. გაგვიმართლა იმით, რომ იმ წელიწადს სკენდერ მასწავლებლის მეუღლე, ქალბატონი დურიკო ხიხაძირში დარჩა. ვიდრე სოფლის პურის საცხობი ამუშავდებოდა, მესაზღვრეები გვამარაგებდნენ პურით.

ხიხაძირში მძიმე ვითარება შეიქმნა, დიდთოვლობას დაემატა ისიც, რომ სოფელში მშობიარე ქალის სამშობიარო სახლში სასწრაფოდ გადაყვანა დარჩა საჭირო, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. სიკეთემ გაიმარჯვა ბორო-

ტებაზე. სკოლის დირექტორი, სულმნათი დიმიტრი ხოზრევანიძე მესაზღვრეთა ხაზით დაუკავშირდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, ბატონ დავით მამულაძეს. მოახსენა არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ და დახმარება სთხოვა. ორი საათის შემდეგ ხიხაძირში დაეშვა ვერტმფრენი კვების პროდუქტებით, უკან კი მძიმე ავადმყოფი ქალი გადაიყვანა ბათუმში. ასე გადავურჩით ინტერნატის მოსწავლეები შიმშილს, ხოლო მშობიარე დედა-შვილი – დაღუპვას. ასე ზრუნავდნენ სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე არა მარტო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივზე, არამედ მთლიანად რეგიონზე, მის მოსახლეობაზეც. ისინი კავშირს არ წყვეტდნენ სკოლის კურსდამთავრებულებთან, ხშირად აკითხავდნენ იმ სასწავლებელში, სადაც ისინი სწავლას აგძელებდნენ. ასეთი ურთიერთობა შემდგომ მეგობრობაში გადაიზარდა, რომელთა შორის მეც ვიყავი. ჩემი ბათუმში მუშაობისა და სკენდერ მასწავლებ-ლის ქობულეთში გადასვლის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ვერავინ მოასწრებდა მას „ფინჯან ყავაზე“ დაპატიჟებას. როცა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მომიწია მუშაობა, სკენდერ მასწავლებელი გამოივლიდა დახმარების სათხოვნელად გაჭირვებული მეზობლების, ქვრივ-ობლებისათვის. გულიანი და გულისხმიერი ადამიანი იყო, მასწავლებლის თხოვნა კი ჩვენთვის ბრძანების ტოლფასი იყო, შესაძლებლობის ფარგლებში უკმაყოფილოდ არ გამიშვია არასოდეს. ის პირად გასაჭირზე, ან ოჯახის საჭირობაზე არავის შეაწუხებდა. ძალიან სიამოვნებდა, თუ სხვა ადამიანს ხელს გაუმართავდა.

ზემოთ ჩამოთვლილ მოქალაქეობრივ თვისებებთან ერთად, სკენედერ მასწავლებელი იყო უბრალო და მორიდებული. ამიტომ იგი დამსახურებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა სკოლაში, როგორც მოსწავლე ახალ-

გაზრდობასა და პედაგოგიურ კოლექტივში, ასევე მოსახლეობაში.

ბედნიერი ვარ, რომ სკენდერ ბაჯელიძის მოსწავლე და შემდგომ მისი მეგობარი ვიყავი. არასდროს დამავიწყდება ჩემდამი მისი მზრუნველობა, ყურადღება, გულითადი დამოკიდებლება. მასთან გატარებული წლები ჩემს მეხსიერებაში დაუვიწყარ და განუმეორებელ პერიოდად დარჩება. გულწრფელად ვაღიარებ, რომ ბატონი სკენდერი მშობლივით თბილი და მზრუნველი პედაგოგი იყო. დიდი მადლობა ყოველივე ამისათვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული, პატივცემულო სკენდერ მასწავლებელო.

ჯემალ ბერიძე
ყოფილი მოსწავლე,
ღირსების ორდენოსანი

სიტყვა ღირსეულ მასწავლებელზე

მშობლიური სოფლის – რაქვთის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, 1955 წელს სწავლა განვაგრძე ხიხაძირის საშუალო სკოლაში, რომელსაც აღიარებული პედაგოგი და აღმზრდელი, კარგი სკოლათმცოდნე, დიმიტრი ხოზრევანიძე ხელმძღვანელობდა. იმხანად მთელ სხალთა-ხიხანის ხეობაში ორი საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა, ხიხაძირისა და ყინჩაურის სკოლები. ჩვენს სოფელთან გეოგრაფიულად უფრო ახლო ხიხაძირის საშუალო სკოლა მდებარეობდა და, როგორც მიმდებარე სოფლების რვაწლიანი სკოლების კურსდამთავრებულები, მეც ამ სკოლაში განვაგრძე სწავლა.

სწავლის დაწყების პირველსავე დღეს, სასწავლო წლის საზეიმო გახსნისათვის მზადების პერიოდში პედაგოგთა შორის დავლანდე ახოვანი, დინჯი, ვაჟკაცური შესახედაობის პიროვნება, რომელიც ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე სკენდერ ბაჯელიძე აღმოჩნდა. სკოლაში და სკოლის დამთავრების შემდეგაც მასთან მეგობრული ურთიერთობა არასდროს გამიწყვეტია, ხშირად ვხდებდით ერთმანეთს. იგი ინტერესდებოდა ჩემი ცხოვრების გზით, ყოველთვის კეთილ რჩევას მაძლევდა და ცხოვრების სიბრძნით მმოძღვრავდა.

სკენდერ ბაჯელიძე მარტო მასწავლებელი როდი იყო. იგი ბრწყინვალე მოქალაქე და განსწავლული პიროვნება გახლდათ, პატრიოტი და საზოგადოებივად აქტიური, ცხოვრების გზაგამოვლილი (იგი დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო). ამ გზას მისთვის დაღიც დაესვა. ყოველთვის ნაღვლიანი ჩანდა, თუმცა ამას არ იმჩნევდა. დღენიაგად ჩვენზე

ზრუნავდა, ძერწავდა ჩვენს სულსა და გონებას, გვინერგავდა ადამიანის, მშობლიური ხალხისა და კუთხის სიყვარულს, პატივისცემას ყოველივე იმისა, რაც ისტორიის ბედუკუღმართობის მიუხედავად, ჩვენი კუთხის ქართველობამ სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა: მოყვასის გატანა, უფროსუმცროსობის დაფასება, მამულის და ადამიანების უანგარო სიყვარული. ხიხაძირის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა ბევრი რამ გვასწავლა და გვარიანად დაგვაკვალიანა. სასკოლო ინტერნატში ვცხოვრობდი, გვაკლდა მშობლების ზრუნვა და ყურადღება. ამას ავსებდა ბატონი სკენდერი, როგორც სკოლის ხელმძღვანელი. იგი ხშირად სტუმრობდა სასკოლო ინტერნატს, გვესაუბრებოდა, გვარიგებდა და ზრუნავდა, დრო არ დაგვეკარგა უქმად, კარგად გვესწავლა. ყოველთვის იყო ჩვენი ქომაგი და გამკითხავი, ზოგჯერ ჩადენილი დანაშაულის გამო „მკაცრად დასჯილები“ (ჩვენც ხომ ჩვენი ბავშვობიდან მოვდიოდით), მისგან ველოდით და ვღებულობდით კიდეც შემწეობას და მფარველობას.

შეყვარებული იყო ხიხაძირსა და ხიხაძირელებზე. კეთილად და სიყვარულით იგონებდა იქ გატარებულ წლებს.

ცხოვრებამ თავისი გააკეთა. ყველა ჩვენგანმა საკუთარი ცხოვრების გზა ავირჩიეთ. მეც დავამთავრე პედაგოგიური ინსტიტუტი, ერთხანს პედაგოგად ვიმუშავე, შემდგომ პარტიულ სამუშაოზე, ბოლოს კი ქალაქ ბათუმის საკრებულოს აპარატის უფროსი ვიყავი.

საკრებულო, სადაც ვმუშაობდი, ზურაბ გორგილაძის ქუჩაზეა განთავსებული. ბატონ სკენდერს იქვე, ჩეროში, წყალთან ძელსკამზე უყვარდა ჯდომა. ხშირად შევუერთდებოდით და იწყებოდა მთისა და ბარის ამბების მოკითხვა, ყველას მოიკითხავდა, ინტერესდებოდა, როგორ ცხოვრობდნენ და რას საქმიანობდნენ მისი აღზრდილები. ამის თაობაზე შესაძლებლობის ფარგლებში ჩემგან იღებდა ინფორმაციას. ჩემ ღრმა პატივისცემას მისდამი მოკრძალებულად ფინჯან ყავაზე მიპატიჟებით გამოვხატავდი. მერიის სასადილოს გამგემ ნოდარ ტარიელაძემ (ახლახან წავიდა ჟგი ამქვეყნიდან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული), იცოდა რა ჩვენი დამოკიდებულება, ჩემდა დაუკითხავად პატარა „პურმარილს“ გაგვიწყობდა ხოლმე. როგორ გაიხარებდა სკენდერ მასწავლებელი ყოველივე ამით და უდიდეს კმაყოფილებას გამოხატავდა მისი გაბრწყინებული სახე. ეს დღესაც მახსოვს და არსდროს დამავიწყდება.

მთელი ცხოვრება მართალი კაცის სახელით, შუბლნათელმა, ვალმოხდილმა იარა. ყოველთვის სწამდა საქართველოს ხვალინდელი დღის, ერის სიწმინდისა და სიმტკიცის, მამულის აღორძინების.

მეამაყება, რომ ვიყავი სკენდერ მასწავლებლის მოსწავლე და უმცროსი მეგობარი.

გაგვიჭირდა მისგან განშორება. დაგვრჩა მისი სახელის მარადიული ხსოვნა და სურვილი იმისა, რომ სკენდერ მასწავლებელი დიდხანს დარჩება სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდობის გონიერი გზამკვლევის უბადლო მაგალითად.

ამირან ჯაიანი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
ექიმი-კარდიოლოგი, ყოფილი მოსწავლე

მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის ეტალონი იყო

ბატონ სკენდერ მასწავლებელს ვიცნობდი ხიხაძირის საშუალო სკოლაში მისი მუშაობის დაწყებიდან. მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი. იგი მეგობრობდა ჩვენს ოჯახთან. ჩემს აღზრდაში, დავაჟკაცებაში, ინტელექტუალურ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მშობლების შემდეგ, განსაკუთრებული როლი მიუძღვის სკოლას, მასწავლებელს, მათ შორის გამოვყოფდი დიმიტრი ხოზრევანიძესა და სკენდერ ბაჯელიძეს.

როცა მითხრეს, რომ სკენდერ მასწავლებელზე წიგნი იწერება და თუ შეგიძლია მისი ცხოვრებიდან რაიმე გაიხსენეო, დიდად მესიამოვნა და ამ თხოვნას სიამოვნებით ვასრულებ.

1. სკენდერ მასწავლებელი პირველი შეხვედრიდან წარმომიდგა, როგორც დარბაისელი გარეგნობის, დინჯი პიროვნება, მაღალზნეობრივი თვისებებით შემკული ადამიანი, რომლისგანაც ყველას შეეძლო აეღო მაგალითი.

2. სკენდერ მასწავლებლის მაღალი პიროვნულ-მოქალაქეობრივი თვისებების გამო, მოსწავლეები მეტად მორიდებული ვიყავით მასთან. როცა გზაში მომავალს შევამჩნევდით შორიდან, პირველი დანახვისთანავე, არ ჰქონდა მნიშვნელობა მანძილს, ქუდს ვიხდიდით მის საპატივცემულოდ. ახლოს მოსული მეტყოდა: „კარგი ბიჭი ხარ, მადლობა ამისათვის“ და თან დააყოლებდა, ქუდი მოიხადე, როცა ახლოს მოხვალო. მისგან წამოსული ეს მაღალი ჟესტი ჩვენ, მოსწავლეებს უფრო მეტს გვავალებდა, უფრო მორიდებული ვყოფილიყავით არა მარტო მასთან, არამედ საერთოდ მასწავლებლებთან. მასწავლებელი ხომ ჩვენთვის უზენაესი ფიგურა იყო, გონების გამხსნელი, აღმზრდელი და განმანათლებელი. ჩვენც ვცდილობდით კარგად მოგვემზადებინა ყოველდღიური გაკვეთილები, რომ სირცხვილი არ გვეჭამა საყვარელ მასწავლებელთან.

3. სამუშაოდ ქობულეთში ჩამოსვლის შემდეგ, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენი მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობას დაემატა ექიმი–პაციენტის ურთიერთობა და ბოლოს გადაიზარდა მეგობრობაშიც. გამოუვლიდა ყოფილ მოსწავლეებს, მოიკითხავდა თითოეულს, გაიგებდა ყველას მდგომარეობას, კმაყოფილებას გამოთქვამდა. მე, როგორც ექიმი, დავინტერესდებოდი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, მით უმეტეს, ის მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მძიმე წლებგამოვლილი ვეტერანი ბრძანდებოდა და მისი ჯანმრთელობის კონტროლი აუცილებელი იყო. თვითონ იმდენად მორიდებული იყო, რომ გასინჯვაზე თავს შეიკავებდა. მე არ მოვეშვებოდი, მოვუნახავდი ისეთ მოტივს, რომ დავითანხმებდი. ეს მისთვის სასარგებლო იყო, ჩემთვის კი – სასიამოვნო. ის თავის მოსწავლეებთან ძალიან ახლოს იყო, როგორც მასწავლებელი და როგორც მშობელი. იგი მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის ეტალონი იყო. ერთნაირად იზიარებდა ჩვენს სიხარულსაც და მწუხარებასაც.

4. იყო ერთი საინტერესო შემთხვევაც. თბილისში სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის დროს დედაქალაქში ჩამოსულმა სკენდერ მასწავლებლმა მედქალაქში მოგვაკითხა ხიხაძირის სკოლადამთავრებულ მედიკოს სტუდენტებს ოთარ იშხნელიძეს, მამია ხალვაშს, მედიკო ჯაიანს, ლილი ხოზრევნიძესა და ამ სტრიქონებს ავტორს. მასწავლებელი ჩვენ გავაცანით მეგობრებს. მათ იფიქრეს, რომ რაღაცა გაუჭირდა, ალბათ, თბილისში და სტუდენტებს მოაკითხა დახმარების სათხოვნელადო, მაგრამ, როცა გაიგეს, რომ მასწავლებელს არაფერი გაჭირვება არ ჰქონდა, გამოიარა და

მოიკითხა თავისი მოსწავლეების მდგომარეობა, დაინტერესდა მათი სწავლით, ჩვენი მეგობრები გაოცებულნი დარჩნენ, ასეთი ყურადღებიანი აღმზრდელ-მასწავლებელი იშვიათობაა. ჩანდა, ისინი ასე განებივრებული არ ყოფილან თავიანთი მასწავლებლებისგან. სკოლა დავამთავრეთ, დავემშვიდობეთ და მერე არც კი შევხვედრივართო. ამ შეხვედრის დროს სკენდერ მასწავლებელმა ასეთი ფაქტი გაიხსენა. ხიხაძირში მუშაობის დროს ცხოვრობდა ილიას გაბაიძის სახლში. მას ჰყავდა პატარა ქალიშვილი, რომელიც გაიზარდა, დაოჯახდა, საცხოვრებლად გადავიდა ქობულეთის რაიონის სოფელ გვარაში. ამ გოგონას პლანტაციებში დაუნახავს სკენდერ ბაჯელიძის ძმა, კოლმეურნეობის მაშინ-დელი თავკაცი ვლადიმერ ბაჯელიძე და წამოუძახია: „დედა, სკენდერ მასწავლებელი, ნეტა, აქ რამ შეაწუხა.“ ვლადიმერმა გოგონა მასთან იხმო, გამოკითხა ყველაფერი და მიხვდა, რომ ძმები ერთმანეთში ვერ გაარჩია. ეს ამბავი დიდი აღტაცებით მომიყვა ძმამო, – თქვა სკენდერ მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მასწავლებლისადმი მოსწავლეთა პატივისცემას.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ბრიგადაში ავადმყოფთა მდგომარეობის შესამოწმებლად ვიყავით ქედის რაიონში. ღონისძიების დასრულების შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობამ მოაწყო ბანკეტი. დაილია არაერთი სადღეგრძელო. პერსონალური სადღეგრძელოების დროს, როცა ჯერი ჩემზე დადგა, ჯანდაცვის მინისტრმა, ბატონმა ლევან ანთაძემ თქვა: ამირან ჯაიანი ცნობილია, როგორც პროფესიონალი კარდიოლოგი, მკურნალი ექიმი და ამ დარგის ხელმძღვანელი აჭარაში. ეს ყველამ ვიცით და კმაყოფილი ვართ მისი მუშაობით. მე მინდა სხვა კუთხით დავახასიათო მისი მაღალმოქალაქეობრივი თვისებები, რაც დამახასიათებელია, არა მარტო მისთვის, არამედ ამ ხეობის (სხალთა-ხიხანის), კერძოდ, ხიხაძირის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, რომლებმაც ქ. ბათუმში, აჭარის განათლებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტუ-რის მუზეუმში მაღალორგანიზებულ დონეზე აღნიშნეს ხიხაძირის საშუალო სკოლის ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგის, აჭარის დამსახურებული მასწავლებლის, ომისა და შრომის ვეტერანის, ბატონ სკენდერ ბაჯელიძის დაბადებიდან 75-ე წლისთავი. მასწავლებელს, რომელმაც სხვებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში, ხეობის კულტურულ დაწინაურებაში, ყოფილმა მოსწავლეებმა, კოლეგებმა ძლიერ დაუფასეს გაწეული ამაგი და ისიც ისეთ დროს (1996 წ. 6 დეკემბერი), როცა ქვეყანა გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა. ეს იყო მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში დიდი საამაყო საქმე, რამაც ქალაქის ინტელიგენციასა და ხელმძღვანელობაში დიდი მოწონება დაიმსახურა.

სკენდერ მასწავლებელი ჩემთვის უკვდავია. დღეს ჩვენს შორის იგი არ არის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული), მაგრამ ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ მას, სანამ ცოცხლები ვართ.

შოთა გაბაიძე
ეკონომისტი, ყოფილი მოსწავლე

ამაგდარი მასწავლებელი

მასწავლებლის პროფესია ურთულესია ყველა სხვა პროფესიათა შორის, რადგანაც იგი ახალგაზრდობის სულის მაფორმირებელია. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ მასწავლებელი, უპირველესად, კეთილი, განათლებული და ნებისყოფიანი უნდა იყოს. მე ყველა მასწავლებელში ვხედავდი სასიკეთო მუხტს, ამიტომაც ყველა კეთილად მახსენდება, ზოგი მათგანი გამორჩეულადაც კი.

სწორედ ასეთი გამორჩეულთაგანი იყო აწგანსვენებული ბატონი სკენდერ ბაჯელიძე, რომელიც 50-იან წლებში განაწილებით მოვლინებული იყო ხიხაძირის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. იგი ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნიდან იყო.

კაცი ომგადანახადი,
ახოვანი და მხარგრძელი;
თავს ისე ვგრძნობდით იმასთან,
როგორც უშბასთან მთამსვლელი!
თხრობა ჰქონდა საოცნებოდ
დახვეწილი ქართულითა;
მიტომ იგი შევიყვარეთ
ყველამ სულით და გულითა.
ბერჯერ კარგი მაგალითით
დაგვამახსოვრა მან თავი;
ბევრჯერ კარგით, მხოლოდ კარგით
მხოლოდ კარგით და არ ავით!

სკენდერ მასწავლებელი რუკაზე ისე შემოხაზავდა ქალაქს თუ ქვეყანას და ისე გვესაუბრებოდა, თითქოს იქაურობა ფეხით ჰქონდა შემოვლილი. მის გაკვეთილზე იდეალური სიჩუმე სუფევდა, რომ იტყვიან, „ბუზის გაფრენის ხმასაც“ გაიგონებდით. ჩვენს ყურადღებას იგი მისდამი რიდის ძალით იპყრობდა და არა შიშით, როგორც ეს, სამწუხაროდ, ზოგიერთ მასწავლებელს სჩვეოდა. მეც გამოვცადე მასწავლებლის ხვედრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი იყო მაშინ ხიხაძირის საშუალო სკოლა, ჰქონდა ინტერნატიც, მასწავლებლები იყვნენ: გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან. ძირითადად კი ბათუმის პედინსტიტუტის კურსდამთავრებულები.

ჩვენი ოჯახი მაშინ 10 სულისაგან შედგებოდა. იმხანად 6 და-ძმა მოსწავლე ვიყავით და ნადაბურის უბნიდან სკოლამდე იქეთ და აქეთ 4 კმ-ს გავდიოდით. ჭირდა ცხოვრება, რადგან ომი ახალდამთავრებული იყო.

მე სკენდერ მასწავლებლისა და მისთანების წყალობით ინტერნატშიც ჩავირიცხე. იქ სინათლეც მთელი ღამე გვქონდა. ხშირად გვამოწმებდნენ, როგორ ვიყენებდით ამ სიკეთეს და ჩვენც ენერგიას არ ვზოგავდით, ვეწაფებოდით წიგნებს და საუკეთესო შედეგებსაც ვაღწევდით.

დღეს ბევრი ჩვენი მასწავლებელი ცოცხალი არაა. ნათელი ჰქონოდეთ იმ ქვეყნად ყველა მათგანს. მეამაყება რომ ვიყავი მათი მოსწავლე და ამხანაგი.

რევაზ სურმანიძე
ვერნების საჯარო სკოლის გეოგრაფიის
მასწავლებელი, სკენდერ მასწავლებლის მოსწავლე

გზის გამკვალავი მასწავლებელი

სკენდერ მასწავლებელი გავიცანი 1954 წლის სექტემბერში, როცა ვერნების 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე ხიხაძიის საშუალო სკოლის IX კლასში, სადაც ის გეოგრაფიას გვასწავლიდა. ის სექტემბერი განსაკუთრებული იყო, არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი ჩვენი კლასელისათვის, ვინაიდან ყველა სხვადასხვა სკოლდან (ვერნები, სკვანა, ბაკო, მთისუბანი, კალოთა, თხილვანა, რაქვთა, ხიხაძირი) ვიყავით მისული და მაშინ გავეცანით ერთმანეთს.

ამავე დღიდან იწყება ჩემი ნაცნობობა ხიხაძირის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან. აქ მოღვაწეობდნენ ისეთი გამორჩეული, სახელოვანი მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ: დიმიტრი ხოზრევანიძე (სკოლის დირექტორი), სკენდერ ბაჯელიძე (სასწავლო ნაწილის გამგე), ხასან (გიორგი) სირაბიძე, ასლან ხახუტაიშვილი, რევაზ ბერაძე, ჟენია კუზმინა, გივი თოდრია, ოთარ ოჩიგავა და სხვა. მათ წარუშლელი კვალი დატოვეს არა მარტო ჩემს ცხოვრებაში, პედაგოგიურ საქმიანობაში, არამედ სხალთა-ხიხანის ხეობის კულტურულ დაწინაურებაში.

ამ პერიოდში ხიხაძირის სკოლაში სწავლობდნენ ისეთი წარჩინებული მოსწავლეები, როგორებიც იყვნენ: გიორგი და ლევან აბაშიძეები, მიხეილ ჯაიანი, თამარ ცეცხლაძე, თამაზ მამულაძე, ნიკოლოზ, სერგო და ეგნატე დუმბაძეები, სოლომონ თურაძე, არჩილ ქამადაძე, აკაკი გაბაიძე, და სხვები, რომლებიც სკოლის დამთავრების წელსვე ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვამაყობდით ჩვენი მასწავლებლებით, განსაკუთრებით გამოვყოფდი სკენდერ ბაჯელიძეს, გეოგრაფიის მასწავლებელს, რომელიც ჩემი მომავალი სპეციალობის არჩევისას გახდა მთავარი ორიენტირი. იგი იყო ძალიან უპრეტენზიო პიროვნება, ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩვენ კარგად გვესწავლა. ნიშანს არ დაგიკარგავდა, გაკვეთილის მოუმზადებლობას არ გაპატიებდა. მოვიგონებ ასეთ კურიოზს. მეათე კლასში გეოგრაფიაში მიმდინარე შეფასებები მქონდა „ფრიადები“. დაიმედებული იმით, რომ მე ნიშნები მქონდა მიღებული და მასწავლებელი არ გამომიძახებდა, გაკვეთილის („ჩინეთის სოფლის მეურნეობა“) უსწავლელი მივედი სკოლაში. მოულოდნელად გამომიძახა და „ორიანი“ დამიწერა. შემდეგ გაკვეთილზეც გამომიძახა. საგაკვეთილო თემა მოვყევი კარგად. ეს მომიწონა, მაგრამ დამატებით მკითხა წინა მოუმზადებელი მასალა ჩინეთზე და ისევ „ორიანი“ დამიწერა. სანამ არ მოვამზადე, ისიც არ მომეშვა. იგი ვერ იტანდა მოსწავლის კამპანიურ მუშაობას, ითხოვდა სისტემატურ მეცადინეობას. როცა დარწმუნდა ჩემში, რომ ყველა გაკვეთილს ვსწავლობდი, მეოთხედის ბოლოს საგანში „ფრიადი“ დამიწერა.

სწორედ მან განსაზღვრა ჩემს სპეციალობად გეოგრაფიის მასწავლებლობის არჩევა.

მინდა გავიხსენო მისაღები გამოცდა გეოგრაფიაში. გამომცდელი იყო ქალბატონი ქეთევან ალასანია. პირველ და მეორე საკითხზე პასუხები მომიწონა, შეაფასა „ფრიადზე“ ცალ-ცალკე. გადადი მესამე საკითხზეო – მითხრა (გამოცდა ტარდებოდა გეოგრაფიის კაბინეტში – სადაც ბევრი რუკა იყო). ამოვიცანი ჩემი თემის („სსრ კავშირის ბუნებრივი ზონები“) რუკა, ავიღე საჩვენებელი ჯოხი და დავიწყე საკითხის გაშუქება რუკაზე ჩვენებით. საკმარისიაო, – შემაჩერა. ამ საკითხშიც „ფრიადი“ დამიწერა და მკითხა: – ვინ გასწავლიდა გეოგრაფიას? – სკენდერ ბაჯელიძე-მეთქი. ჩვე-

ნი სკენდერი? – დიახ-მეთქი, – სწრაფად დავუდასტურე. ამან გაახარა ქალბატონი ქეთევანი. შემდეგ გავიგე, რომ ჩემი საყვარელი მასწავლებელი, მისი გამორჩეული სტუდენტი ყოფილა.

ჩვენ, მოსწავლეები, სკოლაში ვხედავდით მის მართლაც მუხლჩაუხრელ მუშაობას. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიეცა მოსწავლეებისათვის. მისი დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ჩემი კლასის 18 მოსწავლიდან 13 მოსწავლე პირველ წელსვე გახდა სტუდენტი: ოთარ იშხნელიძე, მამია ხალვაში, ალექსანდრე ჯაიანი (ექიმები), გრიგოლ შარაშიძე (ჟურნალისტი), დანაჩენმა ცხრამ გავყევით ჩვენი საყვარელი მასწავლებლის გზას – პედაგოგობა ავირჩიეთ.

ვესწრებოდი სკენდერ მასწავლებლის დაბადებიდან 75-ე წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოს, რომელიც მოამზადეს და ჩაატარეს ხიხაძირის სკოლადმთავრებულმა, მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა და კოლეგებმა. მომეცა საშუალება და მისასალმებელი სიტყვით მოვეფერე და მივულოცე მისი დაბადების ღირსსახსოვარი თარიღი.

სკენდერ მასწავლებელი ჩვენს ოჯახთანაც მეგობრობდა. იცნობდა მამაჩემს, რომელიც მისი ხიხაძირის საშუალო სკოლაში მოღვაწეობის პერიოდში იყო ხიხაძირის სასოფლო საბჭოს მდივანი, ყოველთვის იზიარებდა ოჯახის სიხარულსაც და მწუხარებასაც. გვიყვარდა ის არა მხოლოდ როგორც აღმზრდელი, მასწავლებელი, არამედ აგრეთვე, როგორც მშობელი-მამა.

50 წელია გეოგრაფიას ვასწავლი სკოლაში. ყოველ გაკვეთილზე თვალწინ მიდგას სკენდერ მასწავლებლის სახე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული მუდმივ სასუფეველში.

ეთერ ყურშუბაძე
ქ. ბათუმის №2 საჯარო სკოლის
მასწავლებელი, ყოფილი მოსწავლე

ასეთი მახსოვს სკენდერ მასწავლებელი

სკენდერ მასწავლებელი გეოგრაფიას გვასწავლიდა ჩაისუბნის (ქობულეთის რაიონი) სკოლა-ინტერნატის VII კლასში. იგი ჩვენთან მოვიდა ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლაში წლების განმავლობაში მუშაობის შემდეგ. თავისი ადამიანური თვისებებით, თავმდაბლობით, უბრალოებით, გარეგნული იერ-სახით, სიდარბაისლით, სიდინჯით, თავაზიანობით, ნამდვილად საუკეთესო პედაგოგის ტიპი იყო და, როგორც სპეციალისტი – აღიარებული. მისი მოსვლა გაკვეთილზე მოსწავლეებს გვიხაროდა. გეოგრაფია ისე შეგვაყვარა, რომ არასდროს კლასში გაკვეთილის უსწავლელი არავინ მოდიოდა. გაკვეთილს ისე საინტერესოდ და მიმზიდველად გვიხსნიდა, რომ ძირითადად იქვე ვსწავლობდით. კლასში ამ საგანში „ოროსანი“ მოსწავლე არ გვყოლია.

დერეფანში რომ შემოვიდოდა, თავისი ლამაზი იუმორით შეგვხვდებოდა, გვფერებოდა. იგი მოსწავლეების უსაყვარლესი აღმზრდელი, მასწავლებელი და პედკოლექტივის აქტიური წევრი, გამოცდილების გამზიარებელი, საუკეთესო კოლეგა და მეგობარი იყო. სკენდერ მასწავლებელს, როგორც კარგ სპეციალისტს, უფროს კოლეგას, ომის მძიმე წლებგამოვლილს, ყველანი მოკრძალებული ვხვდებოდით.

აი, ასეთი შთაბეჭდილებები დამრჩა მე-7 კლასელ მოსწავლეს ცობილ პდაგოგ სკენდერ ბაჯელიძეზე.

იგი მამაჩემის კარგი მეგობარი იყო. სკოლა-ინტერნატის დირექტორად მამის მუშაობის დროსაც და ჩვენი სკოლიდან მშობლიურ ხუცუბნის სკოლაში სამუშაოდ გადასვლის შემდეგაც იგი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო.

მახსენდება მასთან ჩემი ბოლო შეხვედრა. მოკითხვის და მოფერების შემდეგ იუმორით მითხრა: თუ მათემატიკოსი უნდა გამოსულიყავი, გეოგრაფიის სწავლით რაღას იკლავდი თავსო, და კეთილი სურვილებით დამემშვიდობა. ამ შეხვედრის შემდეგ მალე გავიგეთ მისი გარდაცვალების შესახებ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

შოთა ბერიძე
ხიხაძირის საშუალო (ამჟამად საჯარო) სკოლის
კურსდამთავრებული, პედაგოგი

ზოგიერთი ეპიზოდის გახსენება ჩემი წარსულიდან

მარეთის ხეობაში 1950-იან წლებში საშუალო სკოლა, უჩამბის გარდა, არსად არ ფუნქციონირებდა. უჩამბა კი ჩემი სოფლიდან (დარჩიძეებიდან) დიდი მანძილით, 30 კმ-ითაა დაშორებული. ამიტომ საშუალო სკოლაში სწავლის გაგრძელება მომიხდა ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლაში, რომელიც შედარებით ახლოს იყო ჩვენთან. ვცხოვრობდი სასკოლო ინტერნატში.

იმ პერიოდისათვის ხიხაძირის საშუალო სკოლა თავისი ხელმძღვანელებით, კადრებით და მომთხოვნელობით განთქმული იყო მთელს აჭარაში. მოსწავლეებმა კარგად ვიცოდით, რომ სკოლის დირექტორი, აწგანსვენებული დიმიტრი ხოზრევანიძე, ყოველ გაზაფხულზე, როცა უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო გამოცდები დამთავრდებოდა, განათლების სამინისტროსთან შეთანხებით, არჩევდა ცალკეული საგნის ფრიადოსან კურსდამთავრებულებს და სამუშაოდ მასთან ხიხაძირში იწვევდა. ამიტომ ხიხაძირის სკოლა ყოველთვის წარმატებული იყო, შედეგი კი ნაყოფიერი. ამ სკოლის ყველა კურსდამთავრებული წარჩინებით ამთავრებდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელს.

ჩემი საშუალო სკოლაში სამი წლის სწავლის პერიოდში არ მახსოვს რომელიმე მასწავლებლისადმი მქონოდა სიძულვილის გრძნობა: პირიქით, თითოეული მასწავლებელისადმი ყოველი მოსწავლე პატივისცემითა და სიყვარულის გრძნობით ვიყავით გამსჭვალული, ხოლო თვით მასწავლებლები მოსწავლეებს არ გვაკლებდნენ მომთხოვნებლობასა და მშობლიურ ზრუნვას.

აი, ისინიც: დიმიტრი ხოზრევანიძე (სკოლის დირექტორი), ალექსანდრე მიქელაძე, ოთარ ოჩიგავა, ხასან სირაბიძე, სკენდერ ბაჯელიძე, დავით ღლონტი, დავით გოგოძე, რეზო ბერაძე, ასლან ხახუტაიშვილი და სხვები.

სისტემატურად მაგონდება ზოგიერთი ეპიზოდი ცალკეულ მასწავლებელზე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ჭკუასა და მუშაობაში გამოცდილებას მმატებდა.

განსაკუთრებით გამოვყოფდი მასწავლებელ სკენდერ ბაჯელიძის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს გეოგრაფიაში. როგორც წესი, გაკვეთლები გეოგრაფიის კაბინეტში გვიტარდებოდა. სკენდერ მასწავლებლის გაკვეთილზე მოსწავლეები სმენად ვიყავით გადაქცეულნი. მას ოსტატურად შეეძლო ახალი მასალის ახსნის პერიოდში რუკასთან მდგარიყო ზურგით, ჯოხით მოეხაზა და ეჩვენებინა ჩვენთვის ყველა ის წერტილი და კუთხე-კუნჭული, რაც რუკაზე იყო აღნიშნული და მოსახაზი. ცხადია, ჩვენ, მოსწავლეებსაც, ანალოგიურად შეგვასწავლა ეს ფორმა და შეგვეძლო თითოეულს რუკასთან დგომისა და ცალკეული დეტალის მოხაზვა-ჩვენებით ჩაგვებარებინა მისთვის ყოველი გაკვეთილი.

მოსწავლეთა გამოძახებას გაკვეთილზე იმ პერიოდისათვის თითოეული მასწავლებელი, საკლასო ჟურნალთან ერთად, უბის წიგნაკით ახდენდა.

მეორე მეოთხედი ახალი დაწყებული იყო (ნოემბერი), შაბათ დილას გაკვეთილების შემდეგ წავედი სოფელში, კვირა დღეს საღამოს დავბრუნდი ჩემი სოფლიდან ხიხაძირში. მანძილი ჩემი სოფლიდან ხიხაძირამდე დაახლოებით 30 კმ-ია. ამ გზის ფეხით გავლა, რა თქმა უნდა, დამღლელი იყო, ამიტომ გაკვეთილების მომზადება ვეღარ მოვასწარი. გეოგრაფიის გაკვეთილი არ მქონდა წაკითხული. მე კი თითქოს დარწმუნებული ვიყავი, რომ გამოძახება არ მიწევდა. თავის გამოჩენის მიზნით გაკვეთილზე ხელის აწევით შევაწუხე სკენდერ მასწავლებელი, რათა გამოვეძახებინე. თურმე მან შემამჩნია, რომ გაკვეთილი არ მქონდა ნასწავლი. გაკვეთილის ახსნისათვის ცოტა დრო იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც გამომიძახა და „ორიანი“ დამიწერა.

მეოთხედის დასრულებამდე გეოგრაფიაში ყოველ გაკვეთილს განსაკუთრებულად ვამზადებდი, ვცდილობდი, ორიანი გამომესწორებინა, მაგრამ არა და არ გამომიძახა. დადგა მეოთხედის დასასრული, ვეხვეწები გამომიძახე, გამომკითხე მთელი მეოთხედის მასალა-მეთქი, მაგრამ მაინც არ გამომიძახა. როცა მეოთხედური ნიშნები გამოგვიცხადეს, გეოგრაფიაში ნიშანი „ხუთიანი“ მეწერა, მან კი დასძინა – „ხომ გასწავლე ყველა გაკვეთილი ფრიადზეო.“ ასეთი პრინციპული იყო პატივცემული სკენდერი.

საკმაოდ დიდი ხანი იყო გასული, სკენდერ მასწავლებელს რომ აღარ შევხვედრივარ. ერთ დღეს მივდივარ ინსტიტუტისაკენ. როცა პიონერთა პარკის შესასვლელს გავცდი, ჯიბიდან ამოვიღე სიგარეტი – უნდა მოვუკიდო და ამ დროს ინსტიტუტიდან ჩემკენ პირდაპირ მომავალი პატივცემული სკენდერ მასწავლებელი შევამჩნიე. მომერიდა მასთან სიგარეტის მოწევა, დავიწყე მოკიდებული სიგარეტის ჩაქრობა და მისი გადაგდება, მაგრამ იმდენად შემრცხვა, რომ დავიბენი და დროულად ვერ მოვახერხე, ვერ მოვასწარი მისი მალულად გადაგდება. ჩემი ფორიაქი შორიდან კარგად შეამჩნია სკენდერ მასწავლებელმა და დაიწყო ყვირილი – „არ გადააგდო, ბიჭო, არ გადააგდო შოთაო“, მაგრამ მე ჩემი მაინც შევასრულე. ჩემთან მოვიდა, გულთბილად ვისაუბრეთ. ერთხელ კიდევ გავიხსენეთ სკოლის ამბები, ბევრი ვიცინეთ იმ ორიანის შესახებ, რომელზედაც ზემოთ მქონდა საუბარი. გავიხსენეთ პედაგოგიურ სარბიელზე გაწეული მოღვაწეობის ზოგიერთი დეტალი.

დღესაც კარგი აღმზრდელისა და ამაგდარი პედაგოგის, პატივცემული სკენდერ ბაჯელიძის მიერ გადმოცემული ცოდნა და კაცურ-კაცობის თვისებები თან დამყვება ჩემი ცხოვრების გზაზე.

ლევან სურმანიძე
ექიმი-სტომატოლოგი,
ყოფილი მოსწავლე

ჭირის გამზიარებელიც იყო

1956 წელს დავამთავრე ვერნების 7-წლიანი (შემდგომში საშუალო, და ამჟამად საჯარო) სკოლა და სწავლა განვაგრძე ხიხაძირის საშუალო სკოლაში, სადაც სკოლის დირექტორად ბრძანდებოდა ცნობილი პედაგოგი, კარგი სკოლათმცოდნე, დისციპლინის მოყვარული და მომთხოვნი პიროვნება, სულმნათი დიმიტრი ხოზრევანიძე, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ სკენდერ ბაჯელიძე. აქედან დაიწყო ჩემი და ჩემი დღევანდელი ოჯახის ნაცნობობა აწგანსვენებულ სკენდერ მასწავლებელთან.

მოსაგონარი ბევრი კარგი მაქვს, მაგრამ შევჩერდები ორ მომენტზე. ხიხაძირის კლუბში მოიტანეს კინოფილმი „ბატონი 420“. ორგანიზებული წესით ეს კინო ვნახეთ სკოლის მოსწავლეებმაც და მასწავლებლებმაც. ფილმი, განსაკუთრებით მუსიკა, ძალიან მოგვეწონა. ეს ფილმი შემდეგ წაიღეს სოფელ კალოთაში (თანაკლასელ ამირან მამულაძის სოფელში). მე და ამირანმა მოვილაპარაკეთ და უნებართვოდ წავედით კალოთაში ამ ფილმის განმეორებით სანახავად იმ ანგარიშით, რომ საღამოს ამირანთან დავრჩებოდით, დილით ადრე კი, საუზმის დაწყებამდე ჩამოვიდოდით ინტერნატში. გვიან საღამოს და ადრე დილით შემოწმება ხდებოდა აღმზრდელის მიერ, ან დირექტორი მოვიდოდა სისტემატურად და თანაც ისე, რომ ვერ გავიგებდით მის ინტერნატში შემოსვლას. სწორედ იმ დილას დირექტორის მოსვლას დაემთხვა ჩვენი კალოთიდან ჩამოსვლა. შეგვამჩია, „გა-მოგვიჭირა“ და ინტერნატიდან გაგვრიცხა. მე და ამირანი დავდიოდით ვერნებიდან, ამიტომ ძალიან გაგვიჭირდა. ვსწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდით კარგად, მაგრამ სოფლიდან სიარულმა უარყოფითად იმოქმედა ჩვენს ნიშნებზეც.

როგორც მეგობარმა, მამაჩემმა სთხოვა სკენდერ მასწავლებელს შუამდგომლობა დირექტორთან ჩვენი ინტერნატში დაბრუნების თაობაზე. მართლაც, სკენდერ მასწავლებლის შუამდგომლობით დაგვაბრუნეს ინტერნატში, დირექტორმა დანაშაული გვაპატია სკენდერ მასწავლებლის თანდასწრებით, იქვე გვითხრა, პატარა შეცდომას ან დანაშაულს თუ მიჩქმალავ, აპატიებ მოსწავლეს, მაშინ ის დიდ დანაშაულს ჩაიდენსო. ჩვენ პირობა მივეცით, რომ ასეთ რამეს არ გავიმეორებდით და მართლაც, ანალოგიურ საქციელს ადგილი აღარასდროს ჰქონია.

დირექტორი ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო. ახლა ვამბობთ, რომ ის მართალი იყო, როგორც ჩვენი „დამსჯელი“, სკენდერ მასწავლებელი კი ჩვენი მშველელი და გადამრჩენელი. ორივე დიდი პედაგოგი ბრძანდებოდა. ღმერთმა აცხონოს ისინი.

გავიხსენებ კიდევ ერთ მომენტს.

1978 წელს გარდამეცვალა მეუღლე - ნათელა ვარდოსანიძე, რომელიც ჩემი თანაკლასელი იყო (მაშინ დაბა ჩაქვში ვიყავით საცხოვრებლად გადასული). ამ ტრაგიკულ დღეს, საიდან გაიგო, ვერ გეტყვით, მოვიდა ჩვენს ოჯახში სკენდერ მასწავლებელი და თანადგომა გამოგვიცხადა, ჩემი მწუხარება გაიზიარა. განა მარტო მან? და მხოლოდ მაშინ? ის შემდეგ დღეებშიც ხშირად გამოივლიდა ოჯახში, ან სამსახურში, მომიკითხავდა, დამამშვიდებდა, დამარიგებდა და წავიდოდა. რა თქმა უნდა, ძალიან ყურადღებიანი, თბილი და გულისხმიერი მასწავლებ-ლის საუბარი, რჩევა-დარიგება და თანადგომა მალამოსავით მამშვიდებდა, თუ ამ დროს შეიძლება დამშვიდებაზე საუბარი. ეს იყო მისი მორალური თანადგომა. ტირილი ხალხ-მრავლობით ფასდება, თორემ სიკვდილი ყველას ხვედრია, „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეხუთე განყოფილება

ვასრულებთ სკენდერ მასწავლებლის „ანდერძს“

ანდერძი ისეთი თხოვნაა, უნდა შესრულდეს.

მცირე განმარტებისთვის

ანდერძი იურიდიული ტერმინია. ის აღიარებულია როგორც სახელმწიფო სამართალში, ისე რელიგიურ კანონმდებლობაში.

სიტყვა „ანდერძი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილია რამდენიმე ასპექტით. ერთ-ერთი ასეთია: „დარიგება, მითითება, რომელსაც უტოვებენ თანამოაზრეებს“. ანდერძი, როგორც წესი, უნდა შესრულდეს მეანდერძის სიკვდილს შემდეგ.

ანდერძის შეუსრულებლობა არ შეიძლება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. ანდერძის შესრულებაზე უარის თქმა, ან მისი შეცვლა (თუ ქონებრივ საკუთრებას არ ეხება) დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როცა მისი შესრულებით ზიანდება მეანდერძე, ფუჭდება მისი ავტორიტეტი, იკარგება მისი ღვაწლი, ამაგი და კვალი ნათელი.

რატომ დაგვჭირდა ეს ტერმინი? საიდან გაჩნდა ანდერძი?

რა თქმა უნდა, სკენდერ მასწავლებელს ჩვენთვის, ყოფილ მოსწავლეებისთვის, ოფიციალური ანდერძი არ დაუტოვებია, ან რა ჰქონდა ჩვენთვის საანდერძო?

ერთ-ერთი შეხვედრის დროს სკენდერ მასწავლებელმა იკითხა: თქვენ წიგნებს წერთ (მან ეს იცოდა, ყოველ გამოშვებულ წიგნს ვჩუქნიდით). რა ჰქენით, დაამთავრეთ წერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ აგრძელებთ კიდევ? პასუხის მოსმენის შემდეგ მოგვცა რამდენიმეგვერდიანი დაბეჭდილი მასალა სათაურით „ბრძნული შეგონებანი, კეთილი რჩევები“ და გვითხრა, წაიკითხეთ, თქვენც მოგეწონებათ, თუ ახალ წიგნს წერთ, თემატურად თუ უკავშირდება, ეს მასალაც რომ შეიტანოთ წიგნში, კარგი იქნებაო.

რა იყო ეს მასალა?

ბატონი სკენდერი ბევრს კითხულობდა, პენსიაში გასვლის შემდეგ უფრო მეტი დრო ჰქონდა ამისათვის. მას განსაკუთრებით მოსწონდა აღზრდის თემაზე დაწერილი წიგნები. ერთ-ერთი ასეთი იყო სპარსული კლასიკური მწერლობის თვალსაჩინო ძეგლი, ამირ ანსარ ქეი-ქაუსის დიდაქტიკური თხზულება, „ყაბუს-ნამე“ (დარიგებათა წიგნი) – მე-11 საუკუნის სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოები, რომელშიც ავტორი იძლევა ცნობებს ისტორიული საზოგადოებრივი ყოფის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სტუმარმასპინძლობა, ცოლის შერთვა, შვილების აღზრდა, ღვინის სმა, ცხოვრების წესები, შრომისა და ვაჭრობის ეთიკა და სხვა.

„ყაბუს-ნამე“ შედგება 44 კარისგან. XVII საუკუნეში მეფე-მწიგნობარმა ვახტანგ VI-მ თარგმნა აღნიშნული წიგნის 11 კარი და გამოსცა სათაურით „ამირნასარიანი,“ ჯერ პროზად, შემდეგ კი ლექსად, ჩვენ დროში კი (1978 წ.) გამოქვეყნდა მისი სრული თარგმანი.

წიგნის ზნეობრივ-დიდაქტიკური მხარე – ძირითადი შინაარსი კეთილი რჩევა-დარიგებანი იმდენად მნიშვნელოვანია და სასარგებლო ყველა თაობისათვის, რომ მეფე-მწიგნობარმა ამისათვის დრო მონახა და იგი თარგმნა მშობლიურ ენაზე. ეს წიგნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით 1978 წელს კვლავ გამოიცა 20 000 ტირაჟით.

მიუხედავად აღნიშნულისა, წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. აჭარაში იგი არც ერთ ბიბლიოთეკაში არ არის. ჩვენს მასწავლებელს, პროფესიონალ დიდაქტიკოსს, მოეწონა ავტორის დარიგებანი აღზრდის თემაზე, ამოწერა საკმაოდ ბევრი ადგილი სათაურით „ბრძნული შეგონებანი. კეთილი რჩევები.“ – რაკი „ყაბუს-ნამე“ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მინდა მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდეს სკენდერ მასწავლებლის მიერ გამორჩეული ეს ბრძნული შეგონებანი. „ის დაეხმარება მშობლებს, პედაგოგებს - შვილების, მომავალი თაობის აღზრდაში“, – წერდა სკენდერ მასწავლებელი თანდართულ წერილში.

სკენდერ მასწავლებელი იმეორებს „ყაბუს-ნამეს“ ავტორის სიტყვებს: „იმედი მაქვს, რომ ეს სასარგებლო იქნება და კმაყოფილებას აგრძნობინებს შემქმნელსაც და წამკითხველსაც, გადამწერსაც და მსმენელსაც“ ... „მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ელიან ხელსაყრელ შემთხვევას, ეს დარიგებანი მოისმინონ და საქმეში გამოიყენონ“.

ნათქვამია, უფროსის თხოვნა ბრძანებაზე უფრო ძლიერიაო. მასწავლებლის თხოვნა ჩვენთვის დავალებაზე მეტი იყო. სამწუხაროდ, ეს თხოვნა მის სიცოცხლეში ვერ შევასრულეთ. ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგ, მასზე დაწერილი წიგნის ბოლოში წარმოვადგინეთ ეს მასალა „მასწავლებლის „ანდერძის“ სახელწოდებით.

ბრძნული შეგონებანი, კეთილი რჩევები

მამა შვილს მიმართავს:

ამ წუთისოფლიდან ჩემი ხვედრი ეს სიტყვებია, ხოლო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი შენ ხარ. მე განვემზადე იმქვეყნად გასამგზავრებლად, შენ კი გამოგიგზავნე ის, რაც წილად მხვდა (დაწერილი წიგნი „ყაბუს-ნამე“).

მამას დიდი სიმდიდრე არ ჰქონდა. მხოლოდ ეს წიგნი, რომელშიც მრავალი დარიგებაა, დაუტოვა შვილს ქონებად, ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ. ეს დარიგებანი ყველა შვილისათვის სასარგებლო რამ არის, მით უფრო თანამედროვე გლობალურ ეპოქაში.

– ჩვენმა შემოქმედმა ისურვა, ქვეყანა რომ აყვავებული ყოფილიყო, შთამომავლობითი უნარი დააწესა და მშობელთა ცხოველური ვნება გახადა საბაბი მემკვიდრის გაჩენისა, – მოძღვრავს მამა შვილს.

– რაკი გაგაჩინა, მშობელს პატივი უნდა სცე.

– მშობელი შუამავალია შენსა და შემოქმედს შორის.

– დედები და მამები წინამძღოლები არიან.

– მშობლის გულის ბრუნვას აბუჩად ნუ აიგდებ, რადგან შემოქმედი მშობლის მხარეს დაიჭერს. მშობლებს რომ წინასწარმეტყველის ხნობამდე ეცხოვრათ, წინასწარმეტყველი ვალდებული იქნებოდა ისინი თავის თავზე მაღლა დაეყენებინა, მათ წინაშე ქედი მოეხარა და შვილის შესაფერისად მოქცეულიყო, მაშინ ეს სიტყვები უმწეო იქნებოდა: „მე ვარ მეუფე ადამის შვილებისა“. ამიტომ შემოქმედმა წინასწარმეტყველის მშობლების სიკვდილი დააწესა. აქედან გამომდინარე, საერთოდ მშობლის სიკვდილი კანონად იქცა.

– თუ შენ მშობლებს სარწმუნოებრივი თვალსაზრისით არ მიუდგები, შენი ადამიანობით მიუდექი.

– გამორჩენას ნუ ეძებ და მშობლებს ისე მოეპყარი, როგორც ამას შენ შვილებისაგან მოელი.

– ადამიანი ნაყოფის მსგავსია, მშობლები ხისა. ხეს რაც უფრო კარგად მოუვლი, ნაყოფსაც კარგად გამოიღებს. თუ მშობლებს მეტი რიდით და კრძალვით მოეპყრობი, მათი ლოცვა-კურთხევა მალე სასურველ შედეგს გამოიღებს და უზენაესი და უწმინდესი ღვთის წყალობას დაუახლოვდები.

– მემკვიდრეობის გულისათვის მამის სიკვდილი არ ისურვო, მშობლების სიკვდილის გარეშეც მიიღებ შენს წილხვედრს. ყველა იმას მიიღებს, რაც ბედისწერით გეკუთვნის, საკუთარი წილისათვის თავს ძალიან ნუ შეიწუხებ, რადგან ამით წილი არ გაიზრდება. ნათქვამია: „იცხოვრე მოკრძალებით და არა გამ-ოძალვით.“

– თუ გსურს შენი წილხვედრით ღვთის მადლიერი იყო, დარწმუნებისთვის შეხედე მას, ვისი მდგომარეობაც შენს ყოფაზე უარესია, რათა მუდამ ღვთის მადლიერი იყო.

– თუ ქონებით ღარიბი იქნები, ეცადე გონებით მდიდარი იყო. გონება ქონებაზე უკეთესია. ჭკუით შეიძლება სიმდიდრე დააგროვო, სიმდიდრით კი ჭკუას ვერ შეიძენ. უჭკუო კაცი მალე დაღარიბდება. ჭკვიანის ქონებას კი ვერც ქურდი მოიტაცებს და ვერც წყალი და ცეცხლი გაანადგურებს. თუ ჭკუა მოგეძევება, განათლდი, რადგან გონება განათლების გარეშე იგივეა, რაც კაცი სამოსის გარეშე, ადამიანი სახის გარეშე და სხეული სულის გარეშე. ნათქვამია: „განათლება გონების სახეაო.“

ცოდნის ფასი

– უსწავლელი კაცი მუდამ უსარგებლოა ხესავით, რომელ-საც ტოტები აქვს, მაგრამ ჩრდილი არ გააჩნია.

– კაცი ცოდნით ფასდება და არა გვარიშვილობით.

– ეცადე პირადი ღირსებაც გაგაჩნდეს, რადგან პირადი ღირსება შთამომავლობით ღირსებაზე უმჯობესია.

– სიტყვას თუ სიბრძნის სურნელი არ ასდის, ჯობს უთქმელი დარჩეს.

– სიტყვა ღვინოს ჰგავს: მან შეიძლება თავი გატკინოს და თავის ტკივილის წამლადაც გამოდგეს.

– თუ არ გეკითხებიან, ნუ ილაპარაკებ.

– უხამს საუბარს ერიდე და თუ რამეს გეკითხებიან, სწო-რად უპასუხე.

– ვიდრე არ გთხოვენ, რჩევა-დარიგებას ნურავის მისცემ, მით უმეტეს თემაზე, რომლებზედაც დარიგება არ ჭრის.

– სხვების თანდასწრებით ნურავის დაარიგებ. ნათქვამია, ხალხის თანდასწრებით ვინმესთვის ჭკუის სწავლება ლანძღვას უდრის.

– როგორც კეთილ სიტყვას არ დაიშურებ, ასევე ნუ დაი-შურებ შეძლებისდაგვარად საჩუქრის გაკეთებას. ხალხი საჩუქრით უფრო იხიბლება, ვიდრე სიტყვით.

– საეჭვო ადგილებს ერიდე. ავისმზრახველი და უზნეო მეგობრისაგან თავი შორს დაიჭირე და საკუთარი თავის მტერი ნუ იქნები.

– ისეთ ადგილებში იარე, რომ, თუ ძებნას დაგიწყებენ და მოგაგნებენ, არ შეგრცხვეს.

– ხალხის უბედურება ნუ გაგახარებს, რათა ხალხს შენი უბედურება არ გაუხარდეს.

– სამართლიანად მოიქეცი და სამართლიანად მოგექცევიან.

– კარგი თქვი, რათა კარგი მოისმინო.

– მწირ მიწაზე ნურაფერს დასთეს, რადგან ვერაფერს მოიმ-კი.

– კარგს კარგით მიუზღე და კეთილის მასწავლებელი იყავი.

– როცა ადამიანს სიკეთეს მოუტან, ის სიკეთე შენც იმავე ზომით გარგებს, რაზედაც იმ კაცს არგო. თუ ვინმეს მიმართ ბო-როტებას ჩაიდენ, შენც ისევე შეწუხდები, როგორც ისინი.

– თუ ვინმეს დატანჯავ, შენც დაიტანჯები.

– თუ შენ რაიმე არ გსიამოვნებს, იმით სხვას ვერ ასიამოვნებ.

– სიკეთისა და ბოროტების საზღაურს ამქვეყნად მიიღებ, ვიდრე იმქვეყნად წახვიდოდე.

– ვიდრე შეგიძლია, ადამიანისათვის სიკეთეს ნუ დაიშურებ, რადგან სიკეთე ბოლოს ნაყოფს გამოიღებს.

– ენით ერთს ნუ იტყვი და გულით მეორეს ნუ იქმ. ნუ დაემგვანები ისეთ გამყიდველს, რომელიც ხორბლის ნაცვლად ჭვავს შემოგაჩეჩებს.

– ყოველ საქმეში შენ იყავი შენი თქმის მსაჯული, რადგან ვინც საკუთარ თავს განსჯის, მას მსაჯული არ დასჭირდება.

– შენი ავ-კარგი ისეთ კაცს უთხარ, რომელიც შენს ბედსა და უბედობას გაიზიარებს.

– მწუხარებას და ბედნიერებას ყველას ნუ გაუმხელ.

– ყოველგვარი კარგი თუ ცუდი ამბავი მაშინვე ნუ გაგამხიარულებს და ნუ შეგაწუხებს, რადგან ეს ბავშვური საქციელია.

– მოთმინებიდან ნურასდროს გამოხვალ – ბრძენთ არც სიმართლე აღელვებთ და არც სიცრუე.

– თუ ბედნიერებას მწუხარება მოსდევს, ბედნიერებად ნუ ჩათვლი, ასევე, გაჭირვებას თუ დალხინება მოსდევს, გაჭირვებად ნუ მიიჩნევ.

– უბედობის დროს უფრო მეტი სიმტკიცე გმართებს.

– ვიდრე პირში სული გიდგას, სიმართლის გზას ნუ დააგდებ.

– თუ ვინმე შეგეკამათება, ღუმილით შეაწყვეტინე ლაყბობა.

– იცოდე, ყბედს მხოლოდ მუნჯი დაღლის.

– ყველას უფლებას პატივი ეცი, განსაკურთებით კი ახლობლებისას.

– მოხუცი ოჯახში იგივეა, რაც წინასწარმეტყველი საკრებულოში.

– ძლიერ სასარგებლოა ცოდნის შეთვისება და სიზარმაცის გამო სხეულს დასჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სიზარმაცე ტანის ჭიაკაო.

– საკუთარი სხეული იძულებით უნდა მოთოკო და სურვილისამებრ დაიმორჩილო, რადგან ვინც საკუთარ სხეულს ვერ დაიმორჩილებს, იგი ვერც ცოდნას შეიძენს.

– თუ სხეულს დაიმორჩილებ, სააქაო და საიქიო სასუფველს დაიმკვიდრებ.

– ყოველგვარი სიკეთის საფუძველი ცოდნა, მორჩილება, ღვთისმოსაობა, თავმდაბლობა, სამართლიანობა და მოკრძალებაა.

– მოკრძალება სარწმუნოების ნაწილია, მაგრამ მოკრძალებას ხშირად ადამიანისთვის ზიანიც მოაქვს.

– ისეთი მოკრძალებული ნუ იქნები, რომ ამით შენს საქმეს ავნო და უკეღმა წაიყვანო.

– ზოგჯერ მოურიდებლადაც უნდა მოიქცე, თუ გსურს, რომ მიზანს მიაღწიო.

– ერიდე მხოლოდ ბილწსიტყვაობას, სულმოკლეობას, სიცრუეს, ურწმუნოებას.

– ქველმოქმედებას მოკლებულ განათლებულ ადამიანს განათლებულად ნუ მიიჩნევ.

– ნუ ისაუბრებ უვიცთან, განსაკურებით მკვეხარასთან.

– მხოლოდ სახელოვან ხალხთან ისაუბრე, მასთან იქონიე ურთიერთობა. ამით კარგ სახელს მოიხვეჭ.

– თუ ვინმე დახმარებას გთხოვს, ხელს ნუ ჰკრავ, რადგან მას თავისი გაჭირვებაც ეყოფა.

– ქველმოქმედება და კაცთმოყვარეობა საქველმოქმედო მიზნად გაიხადე და ცუდ ჩვევებს მოერიდე.

– ზედმეტად ხელგაშლილი ნუ იქნები, რადგან ამის შედეგად საზრუნავი მოგემატება – ეს კი დამცირებამდე მიგიყვანს.

– ეცადე მხოლოდ განსწავლული ხალხის ქება დაიმსახურო, რადგან უვიცთა და მდაბიოთა შექება სათაკილოა.

– როცა სულელი ან უვიცი გაქებს, მაშინ მისი ჭკუის მოსაწონი სისულელე გაქვს ჩადენილი.

– ფიცხი და მკვახე ნუ იქნები, მომთმენი იყავ, მაგრამ ისეთი ლბილიც ნუ იქნები, სილბოს გამო გადაგყლაპონ. ისეთი უხეშიც ნუ იქნები, ვერასდროს თითი ვერ დაგაკარონ.

– ყველა რჯულის ხალხთან კარგი დამოკიდებულება იქონიე, რადგან კეთილი განწყობით შეგიძლია მიაღწიო საწადელს მტრებთანაც და მოყვრებთანაც.

– ბოროტებას ნურავის ნუ შთააგონებ, რადგან ვინმესთვის ბოროტების შთაგონება იგივეა, რაც ბოროტების ჩადენა.

– თუ ვინმე დაუმსახურებლად შეურაცხყოფას მოგაყენებს, ეცადე, სამაგიერო არ გადაუხადო.

– ადამიანობის საფუძველი მხოლოდ სათნოობაა და თუ კაცი ხარ, სათნო იყავი.

– ადამიანმა სარკეში უნდა ჩაიხედოს: თუ მისი სახე მომხიბლავია, მაშინ მისი საქმეც სახესავით ლამაზი უნდა იყოს. თუ სარკეში ჩაიხედავს და დაინახავს, რომ მახინჯია, კეთილი საქმე უნდა გააორკეცოს, რადგან თუ სიავეს ჩაიდენს, ავს ავი მოემატება და ორივე ერთად უბედურება იქნება.

– რჩევა-დარიგება მხოლოდ გულწრფელი მეგობრებისგან უნდა მიიღო და მრჩევლებს ყოველთვის განმარტოებით ეთათბირე.

– როცა ვინმეს სიტყვებს წაიკითხავ და შეისწავლი, ცოდნა ნუ გაგაამპარტავნებს და ნუ იფიქრებ ყველაფერი შევისწავლეო, თავი მაინც უსწავლელად ჩათვალე. ნასწავლი მხოლოდ მაშინ იქნები, როცა საკუთარი ცოდნის სიმცირეს შეიგნებ.

– რჩევის მიღებას ნუ ითაკილებ, რჩევის მისაღებად გამოცდილ მოხუცებსა და ერთგულ მეგობრებთან ითათბირე.

– იცოდე, ერთი კაცის აზრი ორისას ვერ გაუტოლდება.

– ცალი თვალით შეუძლებელია დაინახო ის, რასაც ორივე თვალით დაინახავ.

– თუ შენს ახლობელს რაიმე შეემთხვევა, მის დასახმარებლად ნურც თავს დაზოგავ და ნურც ფულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მტერსაც რომ დაეხმარო და გაჭირვებისგან იხსნა, მოსალოდნელია, რომ მტერი მეგობრად გექცეს.

– განათლებული და მჭევრმეტყველი ადამიანის სალამი დააფასე და მათ პატივისცემით მოეპყარი, რათა ისინი შენს სალამს უფრო ეშურებოდნენ.

– ყველაზე საწყალი ისაა, ვისაც არავინ ესალმება.

– მჭევრმეტყველ ხალხთან მოლაყბე ნუ იქნები, რადგან ნასწავლ კაცს ლაყბობა არ უხდება.

– საუბრის წესები და მისი ავ-კარგი უნდა შეისწავლო.

საუბრის ავ-კარგისათვის

– სათქმელი ოთხი სახისაა: ერთია სიტყვა, რომელიც არც უნდა იცოდე, არც უნდა თქვა; მეორე – რომელიც უნდა იცოდე და კიდეც უნდა თქვა; მესამე – რომელიც უნდა თქვა და არ უნდა იცოდე; მეოთხე – რომელიც უნდა იცოდე და არ უნდა თქვა.

პირველი – ის არის, რომელიც სარწმუნოებას მოუტანს ზიანს.

მეორე – ისაა, რომელთანაც დაკავშირებულია ქვეყნისა და სარწმუნოების სიკეთე და რომელიც ამ ქვეყნადაც გამოგადგება და იმ ქვეყნადაც, მისი თქმა და მოსმენა მთქმელსაც არგებს და გამგონესაც.

მესამე – ისაა, რომელიც შენი ბატონის (უფროსის) ან მეგობრის ნაკლს გამოხატავს, ან შარიათითაც არ შეიძლება. ასეთი სიტყვა ბატონის (უფროსის) რისხვას იწვევს, ან მეგობრის სიძულვილის, ან აყალ-მაყალის შიში გექნება.

მეოთხე – ისაა, რომელიც საღვთო წიგნებისა და მოციქულთა ამბებს შეეხება.

ამ ოთხი სიტყვიდან უმჯობესია ის, რომელიც საცოდნელიცაა და სათქმელიც.

– სიტყვა, რომლითაც ხალხს მიმართავ, რაც შეიძლება კარგად გამოთქვი, რათა დამაჯერებელი იყოს და ხალხმა შენი ღირსება შეიცნოს.

– ბრძენთ უთქვამთ: ყოველ სიტყვაში კაცი იმალებაო.

– ზოგიერთი სთქმელს ისე იტყვის, სულს გაგიმწარებს, მაშინ, როცა იგივე შეიძლება ისეთნაირად ითქვას, რომ სული გაგინათდეს.

– სიტყვა ყოვლისშემძლეა. იგი ზეცისგან მოვლენილი ძალაა. სიტყვა ყოველთვის ზუსტი მნიშვნელობით იხმარე და ნუ დაამახინჯებ, რათა მეხსიერებას ზიანი არ მიაყენო.

– რასაც ამბობ, ნათლად გამოთქვი და უაზროდ ნუ იკამათებ. ყველა კამათში საბუთი გააზვიადე, ხოლო საკამათო დაამცირე.

– რაც არ იცი, იმაზე თავს ნუ გამოიდებ და ასეთი ცოდნით ლუკმა-პურის შოვნას ნუ აპირებ.

– რაც არ იცი, მით ვერაფერს მოიპოვებ.

– თუ შენ სიტყვას გასავალი არ ექნება, მსმენელს სურვილისამებრ ელაპარაკე, რათა ხათაბალას უვნებლად დააღწიო თავი.

– მჭევრმეტყველიც რომ იყო, შესაძლებლობაზე ნაკლებად გამოავლინე, რათა შუა საუბარში მშრალზე არ დარჩე.

– მრავლისმცოდნე და მცირედის მოუბარი იყავი და არა მცირედის მცოდნე და მრავლის მოუბარი.

– ნათქვამია, დუმილი სიბრძნეა, ლაყბობა სისულელე.

– ლაზღანდარას, გინდა ჭკუით სავსე იყოს, ხალხი უჭკუოდ ჩათვლის, ხოლო როცა უჭკუო კაცი ჩუმად არის, მის სიჩუმეს დიდი ჭკუის სიმბოლოდ მიიჩნევენ.

– რაც უნდა წმინდა და უმანკო იყო, თავის ქებას ნუ მოყვები, რაც უნდა ბევრი იცოდე, მხოლოდ ის თქვი, რაც საჭიროა, რათა შენმა სიტყვამ განსაცდელში არ ჩაგაგდოს.

– იცხოვრე ისე, როგორც შენს წმინდა გვარს შეეფერება, შენი მოდგმა დიდია და სახელოვანი, მსოფლიოს მპყრობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეების მონათესავე ხარ და რაიმე ხელობით ლუკმაპური იშოვე.

ავტორი იყენებს ორ ხერხს, ერთი რომ უშუალოდ შვილს მიმართავს დარიგებით და მეორე – მიმართავს საერთოდ ახალგაზრდობას, ყველას.

მეფე თუ არ იქნები, მაშინ ვაჭრობა აირჩიე, ან მუსიკოსი იყავი, ან მკურნალობას მოჰკიდე ხელი, ან სოფლის მეურნეობა შეისწავლე და სხვა.

ხელობის შესწავლას შვილს ნურავინ დაუშლის. ეს ნურავის ეთაკილება, რადგან ვაჟკაცობა და დიდგვაროვნება ხშირად ფუჭია.

მამა შვილს ასაკის თავისებურებებს აცნობს:

– კაცს ოცდათხუთმეტ წლამდე ყოველ დღეს ემატება ძალღონე, 35-40 წლამდე, როგორც არის, ისე რჩება. არც იკლებს, არც იმატებს.

– მზეც ხომ ასეა, ცის შუაგულს მიუახლოვდება თუ არა, სვლას შეანელებს, ვიდრე ჩასვლას არ დაიწყებს.

– 40-დან 50 წლამდე ადამიანი ყოველ წელს სხეულში ისეთ ნაკლს შეამჩნევს, როგორიც წინა წელს არ შეუმჩნევია.

– 50-დან 60 წლამდე ყოველთვიურად ისეთ ნაოჭს აღმოაჩენს, რომლის მსგავსი წინა თვეში არ უნახავს.

– 60-დან 70 წლამდე ყოველ კვირას ისეთ ტკივილს იგრძნობს, როგორც წინა კვირაში არ უგემნია.

– 70-დან 80 წლამდე ყოველდღიურად ისეთი სენი დაეუფლება, როგორიც წინა დღით არ განუცდია.

... და თუ 80-ს გადააბიჯა, ყოველ საათში ისეთი ტკივილი და ურვა შეიპყრობს, როგორც ერთი საათის წინ არ ჰქონია.

– განა კმაყოფილი იქნება ის ადამიანი, რომელსაც ყოველ საათში ახალი სატკივარი და ურვა მიემძლავრება? ცხოვრების

ლაზათის ზღვარი 40 წელია. თუმც კიბე ორმოცსაფეხურიანია, რაკი თავში ახვალ, სხვაგან წასასვლელ გზას ვეღარ იპოვი. რა გზითაც ახველი, იგივე გზით უნდა ჩამოხვიდე.

– შვილო ჩემო, სიბერეზე წუწუნი გავიგრძელე, რადგან ის ძლიერ მაწუხებს. სიბერე ჩემი მტერია და მტერზე თუ სამდურავს ვამბობ, რა გასაკვირია.

– ბეითი (ორსტრიქონიანი ლექსი)

რატომ გიკვირს, თუ სიბერის გამო მოვთქვამ,
დარდად მაწევს, დარდს კი კვნესა მოუხდება.

– სიბერის სიმწარე მოხუცზე უკეთ არავინ იცის.

შვილო ჩემო!

– ეცადე, სიბერის ჟამს ერთ ადგილას დასახლდე, რადგან სიბერეში ხეტიალი ვერაფერი სიბრძნეა, განსაკუთრებით, ღარიბისათვის.

– სიბერე და გაჭირვება – ორივე მტერია და ორი მტრის თანხლებით მოგზაურობას კი ჭკუათმყოფელი კაცი ვერ გაბედავს. თუ მოგზაურობა აუცილებელია და სახლიდან შორს წახვალ, თანაც თუ ამ მოგზაურობაში რაიმე სიკეთეს ნახავ, ეს უმჯობესია, ვიდრე კერასთან ჯდომა. მაშინ სახლისკენ ნუ გამოსწევ და სადაც შესაფერ საქმეს ნახავ, იქ დასახლდი და სამშობლოდაც ის ჩათვალე, სადაც გაგეძლებინება.

– ნათქვამია, სამშობლო მეორე დედაო. მაგრამ ეს შენ ნუ გაფიქრებინებს, იფიქრე მხოლოდ შენი საქმეების აყვავებაზე, ბედნიერებს თვით ბედნიერება ეძებს, უბედურებს – სამშობლო.

– როცა დაინახავ, რომ შენი საქმეები კარგად მიდის და ხელთ სარფიანი საქმე ჩაიგდე, ეცადე, ეს საქმიანობა კარგად აითვისო. როცა საქმეებში წარმატებას მიაღწევ, ზედმეტის ძებნას ნუ დაიწყებ, რადგან მეტის გამოდევნებაში შეიძლება სულ ცარიელი დარჩე. კარგად შენახული ნივთის უფრო კარგად შენახვას ნუ ეცდები, რათა უკეთესი ადგილის ძებნაში ისიც არ დაკარგო. ცხოვრებას ამაოდ ნუ გაატარებ, თავი რიგიანად დაიჭირე!

– სხეული სადგომია, სული კი მდგმური.

– სულს სამი თვისება ახასიათებს: ცხოველმყოფელობა, მოძრაობა და სიმსუბუქე.

– სხეულსაც სამი თვისება აქვს, სიკვდილი, სიმშვიდე და სიმძიმე.

– ქონებას ძუნწის გარდა ნურავის მიაბარებ და ყომარბაზებს და ლოთებს ნუ ენდობი.

– ყველა კაცი ქურდად იგულე, რათა შენი ქონება ქურდისგან დაცული იყოს.

– თუ უფრო მეტი ფული გექნება, მიწა იყიდე, რადგან რასაც მიწას დაახარჯავ, უკანვე მიიღებ და ქონებაც მუდამ ერთ ადგილზე გექნება.

– ყოველგვარი გაჭირვების დროს ვალს ნუ დაიდებ, შენს ნივთებს ნუ დააგირავებ და, რა თქმა უნდა, საგვარეულოში ოქროს ნუ გასცემ.

– ვიდრე შეძლებ, ნურც სიმართლეზე დაიფიცებ და ნურც სიცრუეზე.

– ზოგჯერ ერთი ნაკლი ათას ღირსებას ჩრდილავს და ერთი ღირსება ათას ნაკლს ფარავს.

– ადამიანის ცნობა მხოლოდ გამჭრიახობით და დაკვირვებით შეიძლება.

– გამჭრიახობის უნარი მთლიანად წინასწარმეტყველურ უნარს განეკუთნება. მის არსს ვერავინ ჩაწვდება, გარდა მოციქულისა.

– თუ ადამიანს სინჯავ, პირველად სახეს უნდა მიაქციო ყურადღება, რადგან სახე ყოველთვის დაუფარავია, ტანი კი ხანდახან. შემდეგ თვალ-წარბში შეხედე, მერე ცხვირსა და ტუჩკბილებს დააკვირდი, ბოლოს თმა შეუთვალიერე. ბუნებამ ადამიანის სათნოება თვალ-წარბში მოაქცია, სიკოხტავე – ცხვირში,

სიტკბოება – ტუჩ-კბილში, სინაზე – კანში. თმა კი ყოველივე ამის შესამკობად დააწესა, ვითარცა სამკაული. თუ თვალწარბში სათნოება აქვს, ტუჩ-კბილში სიტკბოება, ცხვირი კოხტა აქვს, კანი კი ქორფა, ასეთი ადამიანი კაცია. დანარჩენი იდეალები ნუ გაგიტაცებს, თუ მთლიანი ისე არ იქნება, კოხტა მაინც უნდა იყოს.

– ულამაზო მიმზიდველი სჯობს, სიკოხტავეს მოკლებულ ლამაზს.

– სამი რამ არის უდიდესი უბედურება: 1. ცუდი მეზობელი; 2. შეუფრებელი ცოლი; 3. ხელმოკლეობა.

* * *

– თუ ოდესმე ხელმძღვანელი იქნები, ღვთისნიერი იყავი.... თვალი და ხელი სხვისი ჰარამხანისკენ ნუ გაგექცევა, უზნეო ნუ იქნები.

– ზნეობრივი სისპეტაკე სარწმუნეობის სიწმინდეა.

– ყოველ საქმეში შენი გულისთქმა გულისხმას დაუმორჩილე.

– ვიდრე დაყოვნების საშუალება გაქვს, ნუ აჩქარდები.

– ვიდრე საქმეს შეუდგები, დასაწყისში გაარკვიე, როგორ დაასრულო ეს საქმე.

– თუ საქმეს ბოლოს ვერ უნახავ, ნუღარ დაიწყებ.

– ყოველ საქმეში ლმობიერი იყავი და თუ საქმე ლმობიერებით კეთდება, სხვაგვარად ნუ მოიქცევი.

– უსამართლობას ნუ მოითმენ, ყოველი სიტყვა და საქმე სიმართლის თვალით განჭვრიტე, რათა შეგეძლოს სიმართლის გარჩევა სიცრუისგან.

– მუდამ სიმართლეს ღაღადებდე; ცოტა ილაპარაკე და ცოტა იცინე, რათა ხელქვეითები არ გაგითამამდნენ.

– ნათქვამია, ხელმძღვანელისათვის ყველაზე უარესი ქვეშევრდომთა თავხედობა და ახლობელთა ურჩობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ყოველთვის დიდებული გამომეტყველება შეინარჩუნე, რათა ქვეშევრდომთა თვალში ფასი არ დაკარგო.

– შენიანების სიცოცხლეს გაუფრთხილდი და სხვის მიმართ მოწყალე იყავი.

– ულმობელთა მიმართ ლმობიერებას ნუ გამოიჩენ და მათ მიმართ სასტიკი იყავი.

– ნუ გაშინაურდები და ყოველ წამს საჩივრისთვის ნუ მიმართავ.

– თუ შენი მოადგილე თუ თანაშემწე ვინმეს შესახებ რაიმეს ჩაგაწვეთებს ყურში, ან რაიმეს გირჩევს, მოუსმინე, მაგრამ პასუხს მაშინვე ნუ გასცემ, უთხარი: ჯერ დავაკვირდეთ და შემდეგ როგორც საჭირო იქნება, ისე გადავწყვიტავ-თქო. ვინმეს ამ საქმის გამოძიება უბრძანე, გაიგე, შენთვის ეძებს სიკეთეს, თუ თავისთვის და, როცა ყველაფერს გარკვევ, სათანადო პასუხი გაეცი, რათა მან უსუსურად არ ჩაგთვალოს.

– ახალგაზრდა იქნები თუ მოხუცი, ყოველთვის მოხუცი ვაზირი გყავდეს... ამ თანამდებობას ახალგაზრდას ნუ უბოძებ, რადგან ნათქვამია: მოხუცმა უნდა გაუწიოს ლაშქარს სარდლობა. ჭაბუკი, რაგინდ დაოსტატდეს, ჭაბუკად დარჩება.

– თუ მოხუცი იქნები, უხერხულია, მოხუცს ახალგაზრდამ მისცეს რჩევა, ხოლო თუ შენც ახალგაზრდა იქნები და შენი ვაზირიც, ორივეს ახალგაზრდული ცეცხლი ერთად აიგზნება და ამ შეერთებული ცეცხლით ქვეყანა გადაიწვება.

– ვაზირი უნდა იყოს სახიერი, დარბაისელი, ახოვანი, წარმოსადეგი და გრძელწვერა.

– თუ გსურს რომ არხეინად იყო, საქმე უნარიან კაცს დაავალე.

ღმერთსა ვთხოვ შენთვის ყველა სიკეთეს, შვილო:

– საქმე მას ანდე, ვინც შეგისრულებს, მამა შვილს, მომავალ მეფეს, მიმართავს დარიგებით:

– თუ ვინმეს მიმართ კეთილად ხარ განწყობილი და მისი პატივისცემა გინდა, თანადგომის გაცემის გარეშეც შეგიძლია ყოველგვარი სიკეთე უწყალობო, თუ შენი უმეცრების დამტკიცება არ გსურს, ნუ მისცემ მას შეუფერებელ თანამდებობას.

– შენი ხელმძღვანელობის დროს ბრძანების ათვალწუნების ნებას ნურავის მისცემ, თორემ შენც აგითვალწუნებენ.

– ხელმძღვანელობის მთელი სიამოვნება მბრძანებლობაა. ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხელმძღვანელი და ქვეშევრდომი ერთი იქნებოდა. ხელმძღვანელი მბრძანებელია, ქვეშევრდომი – აღმასრულებელი.

– ვილაიეთი ისე მართე, რომ შენი ბრძანებები სრულდებოდეს, ანდა მასზე ხელი აიღე, რათა ისეთმა კაცმა მართოს, ვის ბრძანებებსაც შეასრულებენ.

– ქვეყნის წესრიგი დამოკიდებულია ბრძანების შესრულებაზე და თუ ბრძანება არ სრულდება, ქვეყანაში უწესრიგობა იჩენს თავს.

– ბრძანების შესრულება კი მართლმსაჯულების გარეშე შეუძლებელია.

– თუ გსურს, რომ საქმეები წინ წავიდეს, მართლმსაჯულებას ნუ მოადუნებ.

– სარდალმა ლაშქარს ხელქვეითებზე მბრძანებლობის უფლება არ უნდა მისცეს, რადგან ეს ქვეყანას დააქცევს.

– ლაშქარზე რომ ზრუნავ, ხალხზეც ისევე იზრუნე. მეფე ხელმძღვანელი მზის დარია. არ ეგების, რომ მან ზოგიერთს მოჰფინოს სხივები, ზოგს კი არა.

– ქვეყნის ამშენებელი ხალხია, რადგან იგია შემოსავლის წყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– უკანონობას გულში ნუ გაივლებ.

– მართლმსაჯული მეფის სასახლე დიდხანს იქნება აღმართული, ბოროტი მეფის სიმაღლე კი მალე დაემხობა.

– მართლმსაჯულება აყვავებაა, უსამართლობა – გავერანება.

– ისე არ გაიცინო, რომ ყველა კბილი გამოგიჩნდეს.

– მრისხანების დროს უშვერი სიტყვით არავის მიმართო.

– ეცადე, მეფობამ, თანამდებობამ, თავბრუ არ დაგახვიოს.

– ექვს თვისებას ნუ უგულებელჰყოფ: სიმტკიცეს (მომთმენელობა, ავტ.), მართლმსაჯულებას, გულუხვობას, გამოსარჩლებას, სიდარბაისლეს, სიმართლის თქმას. ამ ექვსიდან რომელიმეს თუ დაივიწყებ, მეფობა, თანამდებობა მალე თავბრუს დაგახვევს. თავბრუდახვეული მეფე თუ თანამდებობის პირი, მაშინ გამოფხიზლდება, როცა ხელისუფლებას დაკარგავს.

– მეფობის დროს დაინტერესდი ქვეყნის საქმეებით.

– მეფემ თუ თანამდებობის პირმა არ უნდა დალიოს იმდენი ღვინო, რომ ბანიდან ჩამოსვლა ვერ შეძლოს.

– შენ შენი ქვეყნის შესახებ ყველაფერი უნდა იცოდე. ესეც არ კმარა, სხვა ქვეყნების შესახებაც უნდა იცოდე, რომ ისიც იცოდე, ემეგობრო თუ ემტერო.

– ვინც გამარჯვებას იპარავს, ის მეფე არ არის (ალექსანდრე მაკედონელი).

– გამარჯვება გონებით, ან ბრძოლით უნდა მოიგო საბრძოლო მოედანზე.

– მეფობის ჟამს მიეჩვიე დიდი საქმეების კეთებას.

– სულმდაბალ მეფეს თუ თანამდებობის პირს დიდება არ ერგება.

– მეფე ყველაზე დიდია და ამიტომ მისი სიტყვა და საქმე ყველაზე დიდებული უნდა იყოს, რათა დიდი სახელი მოიხვეჭოს.

– დიდებას და სახელს დიდი საქმითა და სიტყვით აღწევენ.

მიწის მუშაკისათვის

– თუ მიწა გექნება, სასოფლო საქმეების დრო დაისწავლე და იცოდე, საქმეში არ გამოიყენო, დროს ნუ გადააცილებ.

– უმჯობესია ხვნა 10 დღით ადრე დაიწყო, ვიდრე 2 დღით დააგვიანო.

– ერთი უღელი ხარ-კამეჩი ცალკე იყიდე, რადგან თუ ხარებს რამე დაემართება, თესვა შენ არ დაგელოდება და საქმეში ჩამორჩები.

– თუ მიწა თვით არ არის მაძღარი, ვერც შენ გაგაძღებს.

– მუდამ მიწის კეთილსინისიერად დამუშავებაზე იფიქრე, რათა ამით კეთილდღეობას მიაღწიო.

– თუ ბაზრის ხელოსანთაგანი იქნები, ხელხვავრიელი და ხელგამომავლი იყავი, რათა ბევრი დამლოცველი გყავდეს.

– ყველა საქმე თანამოსაქმეებზე უკეთესად გააკეთე და მცირედ მოგებას დასჯერდი, ერთბაშად 10 წილის მიღებას 2 გზის ხუთი წილი გერჩიოს.

– თანამოსაქმეებს ნუ ეჩხუბები და ნუ გაჯიუტდები, რათა ხელოსნობაში წარმატებას მიაღწიო, ხალხმა შეგაქოს და შენთან ივაჭროს.

– თუ რაიმეს ყიდი, „ძმაო“, „მეგობარო“ პირზე გეკეროს და თავაზიანობა გამოიჩინე, ვიდრე შეგიძლია, უხეშად და უდიერად ნუ მოიქცევი. შენი თავაზიანობის გამო, მყიდველს წუნიანობა მოერიდება და ამით შენი სურვილი ასრულდება. თუ ასე მოიქცევი, ბევრი მეგობარი გეყოლება, სხვა ხელოსნებს თვალი შენზე დარჩებათ და შენ ცნობილი და თვალსაჩინო კაცი გახდები.

– ყიდვა-გაყიდვისას სიმართლის თქმა წესად გაიხადე.

– ძუნწი ნუ იქნები და პურ-მარილი გიყვარდეს.

– შენზე ღარიბი დაასაჩუქრე, ხოლო ვინც შენზე მდიდარია, მას ნურაფერს თხოვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ვაჭრობაში ბავშვების, ქალებისა და ნაცნობ-მეგობრებისაგან გამორჩენას ნუ ეძებ.

– ღირსეულთან ღირსეული იყავი და ვაჭართან ვაჭარი.

– სასწორი წესრიგში გქონდეს.

– შენი ოჯახის ორგული ნუ იქნები და შემოსავალს სხვაგან ნუ დახარჯავ.

– თანამოსაქმეებს ნუ შეავიწროებ და ყალბ ნაწარმს ნუ გააკეთებ.

– მცოდნისა და არმცოდნისათვის ერთნაირად გაისარჯე. ყველაფერში ზომიერი იყავი.

– თავზეხელაღებული ნუ იქნები.

– თუ მეგობრისათვის სესხი გაქვს მიცემული და იცი, რომ ხელმოკლეა, წამდაუწუმ ნუ მოსთხოვ.

– გულკეთილი იყავი და ხალხი კარგ კაცად გიცნობს.

რაინდობისა და ვაჭკაცობის ყოფაქცევისათვის

– ადამიანს 3 თვისება გააჩნია: 1. გონიერება, 2. სამართლიანობა, 3. კაცობა. ვისაც სამივე გააჩნია, ღვთის რჩეულია. გონებაჩლუნგობა, ვნებათა ღელვა და სიავე ადამიანთა უმრავლესობას ჭეშმარიტების ამ გზას უხშობს.

– ამ ქვეყანაში არსებობს კავშირი მიწიერ და ზეციურ ძალებს შორის, თუმცა თავისი თვისებებით ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ თავისი ხასიათით ერთმანეთზეა დამოკიდებული.

– წყალი და ცეცხლი ერთმანეთისაგან თავისი თვისებებით განსხვავებულია. ასევე მიწა და ჰაერი.

– როცა მიწა გახდება შუამავალი წყალსა და ცეცხლს შორის, კავშირიც დამყარდება. მიწა თავისი სიმშრალით წააგავს ცეცხლს, სიცივით – წყალს; წყალი სიცხით წააგავს მიწას,

სიმსუბუქით – ჰაერს. ჰაერი სიმსუბუქით წააგავს წყალს და სიმხურავალით – ცეცხლს. ცეცხლი სიმხურვალით წააგავს ეთერს, ეთერი კი ელვარებით მზეს, რომელიც მეუფეა. მზე თავისი თვისებებით ნივთიერთან დაკავშირებულია, ნივთიერის გარეშე კი ნათება არ ხდება. მზე მეხუთე სტიქიას განეკუთვნება. ნივთიერი განგების სულთან არის დაკავშირებული, სული კი გონებასთან.

ბუნების ქმედით და ვნებით ძალებს შორის კავშირია დამყარებული. თუ ქმედითი მოვლენები ვნებით მოვლენებს არ ასაზრდოებს, მათ შორის კავშირი ირღვევა. ბუნებრივი ძალები ცის თაღთან, ცის თაღი – ნივთიერთან, ნივთიერი – სულთან, სული – გონებასთან, ამგვარ კავშირში მიიჩნიე.

– ჩვენი სხეული ცხოველმყოფელობით არსებობს, ცხოველმყოფელობა – სულით, გონებით.

– რაინდობასა და ვაჟკაცობისათვის დამახასიათებელია:

1. რასაც იტყვი, შეასრულე;
2. სიტყვასა და საქმეში სიმართლეს მიენდე;
3. საქმეში იყავი მომთხოვნი, გულღია, მამაცი, მომთმენი, გულწრფელი, ზნეობრივად სპეტაკი, მორალურად მტკიცე;
4. საკუთარი კეთილდღეობისთვის სხვას ზიანი არ მიაყენო;
5. მეგობრის კეთილდღეობისათვის თავი არ დაზოგო;
6. ხელქვეითზე ხელი არ აღმართო;
7. ჩაგრულის ქომაგი იყავი, განუკითხავისთვის – გამკითხავი;
8. გქონდეს რწმენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას სკენდერ მასწავლებელზე, როგორც პედაგოგსა და პიროვნებაზე.

ჩვენ დავახასიათეთ ბატონ სკენდერ ბაჯელიძის მრავალფეროვანი ცხოვრება და და სამაგალითო პედაგოგიური მოღვაწეობა. შევასრულეთ მისი „ანდერძი“. ამით მის მიმართ მოვიხადეთ ზნეობრივი მოვალეობა. რა შეიძლება ითქვას მის პიროვნებაზე აკუმულირებულად, ანოტაციის სახით?

ამაგდარი მასწავლებლის შესახებ ბოლო სიტყვის სათქმელად, მისი პიროვნების შესაფასებლად, გვინდა მოვიტანოთ დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის, ნოდარ დუმბაძის მოსაზრებანი მასწავლებლის შესახებ. იგი წერს:

„მასწავლებლობა უდიდესი საიდუმლოს გამხელას უნდა ჰგავდეს. მოძღვარი შეგირდისათვის მისანი უნდა იყოს, მისანი, რომლიც მას ბუნების საიდუმლოებას ანდობს.“ ... „ჭეშმარიტ მასწავლებლად ითვლება ის პედაგოგი, ვისაც შესწევს უნარი, სხვას გადასცეს ცოდნა და ისე შეაყვაროს საგანი, რომ განცვიფრებულმა იფიქროს, ეს რომ არ მცოდნოდა, რა მეშველებოდა, ჩემს ცხოვრებას რა ფასი ექნებოდაო“[1].

ამ ზოგადი ნათქვამიდან გამომდინარე, ჰუმანისტი მწერალი და ერისკაცი იმასაც ამბობს, რომ მასწავლებელი, მრავალ თვისებათა შორის, ოთხ საიდუმლოებას უნდა ფლობდეს.

1. უსაზღვროდ უყვარდეს ბავშვები;
2. უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომლსაც ასწავლის;
3. ჰქონდეს უნარი – ეს სიყვარული სხვასაც შეჰყაროს, როგორც სენი უკურნებელი;

[1] ნ. დუმბაძე, შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები, თბ., 1984, გვ. 173.

4. იყოს უაღრესად თანამედროვე, ჰქონდეს ცოდვა-მადლის, ანუ სიმართლის გარჩევისა და მოთმინების უნარი.

შხვანაირად ყველა მცდელობა იმისა, რომ იყო მოძღვარი ფუჭია, ყალბი და უშედეგო.[1]

ბატონი სკენდერ ბაჯელიძე, როგორც პედაგოგი, ზემოთ დასახელებულ ყველა საიდუმლოს ფლობდა.

– მას უსაზღვროდ უყვარდა ბავშვები, მოსწავლეები; სკოლის დამთავრების შემდეგაც კურსდამთავრებულებთან არ წყვეტდა კავშირს, მათთან მეგობრობდა.

– მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი საგანი – გეოგრაფია, რომელსაც ასწავლიდა ახალგაზრდობას. კარგად ერკვეოდა სხვა მონათესავე დისციპლინებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩახედული პედაგოგი ბრძანდებოდა. ეს იყო ქარიზმა, რითაც იზიდავდა მოსწავლეს, მსმენელს.

– მას ჰქონდა უნარი – თავისი სიყვარული ბავშვებისა და საგნისადმი სხვებისთვისაც შეეყვარებინა, გადაედო, როგორც უკურნებელი სენი. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ ბევრი მისი მოწაფე გაჰყვა საყვარელი მასწავლებლის პროფესიას, აირჩია პედაგოგობა, და რაც მთავარია, გეოგრაფიის სპეციალობა. ისინი გახდნენ სახელოვანი პედაგოგები, სკოლის დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები თუ განათლების სხვა დარგის მოწინავე სპეციალისტები.

– დაბოლოს, ის იყო უაღრესად თანამედროვე, ნოვატორული აზროვნების მქონე, მხარს უჭერდა სიახლეს, ვერ ეგუებოდა ფორმალიზმს, მოჩვენებითობას, იყო საქმიანი მასწავლებელი, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი, უყვარდა სიმართლე, იყო ტაქტიანი, მომთმენი, ნებისყოფიანი პედაგოგი.

[1] ნ. დუმბაძე, შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები, თბ., 1984, გვ. 173-174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკენდერ მასწავლებელი თავისი მისნური უნარით იყო ახალგაზრდობის, მომავალი თაობის გზის გამკვალავი, ჩირაღდანი, ხელში ანთებული ლამპრით, გზას რომ უნათებდა შეგირდებს. თავისი ზნეობრივი სიფაქიზით, სულიერი სიწმინდით, პედაგოგიური მოღვაწეობით და საზოგადოებრივი საქმიანობით გახლდათ მისაბაძი მაგალითი, ნიმუში თუ ორიენტირი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო, როგორ უნდა იღვაწო, რა და როგორ უნდა აკეთო მთელი სიცოცხლის მანძილზე საკუთარი კვალის გასავლები საქმე, რომ დაიმკვიდრო შენი ადგილი ამქვეყნად ისე, რომ შენს საფლავთან გამვლელმა ნაცნობებმა ჩაგძახონ: „აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესო“.

ასეთი იყო ჩვენი საყვარელი და დაუვიწყარი მასწავლებელი, ბატონი სკენდერ ბაჯელიძე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული... მისი საამაყო სახელი, მადლიანი საქმე იქნება ნიმუში, უწინარეს ყოვლისა, პედაგოგებისთვის და, საერთოდ, დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის.

წინამდებარე წიგნი აღიარებული მასწავლებლის, მოქალაქეობრივი თვისებებით შემკული პიროვნების ძეგლია, რომელსაც თაობები, საგვარეულო და სანათესაო წრე, კოლეგა-მეგობრები, მისი აღზრდილები შემოუნახავენ და გადასცემენ მომავალ თაობებს.

„კარგი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება“, – ესაა ცხოვრების სიბრძნე, რაც ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს თავის გზასავალზე.

გამოყენებული ლიტერატურე და მასალები

1. ართმელაძე რ., სამშობლოს სახელოვანი შვილები, ბათუმი, 1972 (რუსულ ენაზე);
2. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, ხუთტომეული, ტომი IV, თბ., 2001;
3. ბაგრატიონი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1997;
4. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1997;
5. გიგინეიშვილი კ., ბერძნულ-რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1985;
6. გოგიტიძე ს., ქაშქა-აბეშლა აფხაზურ (აფსუა) ადიღეური თუ ქართველური მოდგმა, ბათ., 2010;
7. დუმბაძე ს., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ), ბათ., 2005; მისსივე სახელოვანი ხიხანელი, თბ., 2008;
8. დუმბაძე ნ., შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები, თბ., 1984;
9. დუმბაძე ნ., დუმბაძე ს., ხიხანელი ხევისბერი, თბ., 2000;
10. თოფჩიშვილი რ., XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერა საქართველოში, თბ., 1997;
11. იოსელიანი ავ., ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1979;
12. კახიძე ა., მაილსი რ., ფიჭვნარი (კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ სავიზღვისპირეთში), ბათ.-ოქსფორდი, 2004;
13. მაისურაძე ი., ქართული გვარ-სახელები (სალექსიკონო-ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981;
14. ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა, თბ., 1941;
15. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ოთხტომეული, ტ. I-IV. ბათ., 2007-2012;
16. სილაგაძე ა., თოთაძე ა., გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997;
17. სურმანიძე რ., თეთროსანი, ბათ., 2007;
18. სურგულაძე აბ., პირველი ქართული სკოლა ხუცუბანში, ბათ., 1969;

19. ტბეთის სულთა მატეანე (გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ენუქიძებ), თბ., 1977;
20. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბ., 1989;
21. ფშაველა ვაჟა, თხზ. თ. V, თბ., 1961;
22. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1983;
23. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1977;
24. ქამადაძე მ., ტოპონიმია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, ბათ., 2007;
25. ქეი-ქაუსი (დარიგებების წიგნი) თბ., 1978;
26. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკონი (ქართული გვარ-სახელები), თბ., 1964;
27. ჩუბინაშვილი ნ., ქართული გვარ-სახელები (ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევებით), თბ., 1964;
28. ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ, თბ., 1982;
29. ხალვაში ი., სკოლა ხიხანის ძირში, თბ., 2006;
30. ხოზრევანიძე დ., სკოლა მთაში, ბათ., 1958;
31. ჯაფარიძე შ., ორდენისანი ხუცუბანი, ბათ., 1969;
32. ჯაფარიძე შ., ხალხის სამსახურში (ალ. თხილაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), ბათ., 2003;
33. ჯორბენაძე ბ., კობახიძე ნ., მესხიძე ნ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988;

მასალები

1. საქართველოს პრეზიდენტის არქივი (სპა), ფონდი 14, აღ. 1, 1 A. 1676, ფ. 42;
2. საქართველოს სამოქალაქო რეესტრი, 2011;

პრესა

1. გაზ. „აჭარა“, 3 მაისი, 1989;
2. გაზ. „აჭარა“, 14 იანვარი, 19978;
3. გაზ. „აჭარა“, 1 ივლისი, 2005;
4. გაზ. „აჭარა“, 9 მაისი, 2006;
5. გაზ. „ბათუმელები“, 6-13 ივლისი, 2005;
6. გაზ. „ლენინელი“ (ქობულეთი), 19 სექტემბერი, 1970;
7. გაზ, „ხულო“, (ხულო), 26-27 აგვისტო, 2005.

წიგნის ავტორები

სერგო დუმბაძე

დაიბადა 1937 წელს, ხულოს რაიონის სოფ. ბაკოში. 1953-1956 წლებში სწავლა განაგრძო ხიხაძირის საშუალო სკოლაში.

1956-1961 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტი). იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიატი. წარჩინების დიპლომით 1961 წლის 20 აგვისტოს შრომითი საქმიანობა დაიწყო მშობლიურ რაიონში. იყო სკოლის დირექტორი. 1961 წლის იანვრიდან მშობლიურ ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) მოღვაწეობს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო (1980 წ.) და სადოქტორო (2002 წ.) დისერტაციები. იყო ლაბორანტი, უფროსი მასწავლებელი. 1984 წლიდან დოცენტი, 2004 წლიდან საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი, შემდეგ კი სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, ამჟამად კი ემერიტუს-პროფესორია.

სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, ეწევა სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. იკვლევს საქართველოს ისტორიის ცალკულ პრობლემებს. 500-მდე წერილის, რეცენზიის, წიგნის ავტორია, მათ შორის, 60 მეცნიერული ნაშრომისა, მათგან 14 მონოგრაფიის. არის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები – აჭარა“, მეოთხე ტომის ერთ-ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი. მისი არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ღვაწლმოსილ ადამიანებს, მათ შორის, სახელოვან პედაგოგებს. წინამდებარე ნაშრომი, ნიკოლოზ დუმბაძის თანაავტორობით, ასახავს მათი ერთ-ერთი საყვარელი პედაგოგის, აჭარის დამსახურებული მასწავლებლის, ომისა და შრომის ვეტერანის - სკენდერ ბაჯელიძის ცხოვრებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. არის „აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოების“ თავმჯდომარე, დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მოამაგის“ ვიცეპრეზიდენტი, რომელთა მეშვეობით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციასთან ერთად, ატარებს სასარგებლო და საჭირო ღონისძიებებს, აღნიშნავენ ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დამსახურებებს; მისი ინიციატივითა და რეკომენდაციით მიენიჭა დავით მამულაძის სახელი – ქვედა თხილვანის საჯარო სკოლას, სელიმ ხიმშიაშვილის სახელი – ბაკოს საჯარო სკოლას და შერიფ ხიმშიაშვილის სახელი – მთისუბნის საჯარო სკოლას, სერგო ჯაიანის სახელი – ხიხაძირის საჯარო სკოლას.

ბათუმის უნივერსიტეტმა (რექტორი პროფ. ალ. ბაკურიძე), თხილვანის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა (დირექტორი შ. ბოლქვაძე), და მშობლიურმა თხილვანის საშუალო სკოლამ (დირექტორი ე. ბოლქვაძე), აღნიშნეს სერგო დუმბაძის დაბადებიდან 75, სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.

სერგო დუმბაძე დღესაც ახალგაზრული შემართებით განაგრძობს სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ნიკოლოზ დუმბაძე

ნიკოლოზ დუმბაძე დაიბადა 1937 წლის 20 ნოემბერს, ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში. დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიური სოფლის სკოლაში, შემდეგ თხილვანის რვაწლიან სკოლაში განაგრძო სწავლა. 1956 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგო-

გიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1961 წელს რუსული ენა-ლიტერატურისა და გერმანული ენის მასწავლებლის სპეციალობით.

ინსტიუტის დამთავრების შემდეგ, ნიკოლოზ დუმბაძე თხილვანის საშუალო სკოლის მასწავლებელია, საიდანაც დაწინაურდა და 1962-1973 წლებში ჯერ კომკავშირულ, შემდეგ პარტიულ სამუშაოებზე მოღვაწეობს.

ნიკოლოზ დუმბაძემ თითქმის თხუთმეტი წელი იმუშავა აჭარის მინისტრთა საბჭოს მეცნიერების, კულტურისა და განათლების, აჭარის უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებების გამგედ. მუშაობდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოში, აჭარის მრეწველობის სამინისტროში, ბათუმის მერიაში, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების აჭარის განყოფილების რეფერენტ-თარჯიმნად.

ნიკოლოზ დუმბაძე იყო ხულოს რაიონული და ბათუმის საქალაქო საბჭოების რამდენიმე მოწვევის დეპუტატი. წლების განმავლობაში ეწევა ჟურნალისტურ და სამწერლო მოღვაწეობას. იყო ხულოს რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის“ რედაქტორის მოადგილე, რესპუბლიკური გაზეთის „სოვეტსკაია ადჟარიას“ საკუთარი კორესპონდენტი, აქვეყნებდა სტატიებს და ნარკვევებს ადგილობრივ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

არის ხუთი წიგნის ავტორი, ორი წიგნის თანაავტორი, ოთხი წიგნის რეცენზენტი, ორი წიგნის რედაქტორი

ნიკოლოზ დუმბაძე დაჯილდოებულია მედლებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

ნიკოლოზ დუმბაძე დღესაც აქტიურად მონაწილეობს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა	4
პირველი განყოფილება - გეოგრაფიულ-სოციალური გარემო, გვარის გენეალოგია და ეტიმოლოგია	9
§1. მისი სავანე	9
§2. სოფლის ინტელიგენცია	25
§3. ბაჯელიძეთა გვარის წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის შესახებ	52
მეორე განყოფილება – სკენდერ ბაჯელიძის ცხოვრება და მოღვაწეობა	67
§1. მშობლები	67
§2. ბავშვობა	76
§3. სწავლის წლები	79
§4. ცხოვრების მძიმე წლები	82
§5. ცხოვრების კარნახით გზა უმაღლესისკენ	87
§6. მუშაობა აჭარის „უცნობ“ მთიანეთში	90
§7. პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელება მშობლიურ რაიონში	110
§8. დამსახურებულ პენსიაზე	118
§9. ღვაწლი დაუფასდა	134
§10. უკანასკნელი შეხვედრა ვეტერან მასწავლებელთან	144
§11. ვეტერანი მასწავლებელი ემზადებოდა 85 წლისთავის აღსანიშნავად, მაგრამ...	150
§12. ყველამ გულით დაიტირა იგი	152
სკენდერ ბაჯელიძე	155
მესამე განყოფილება – ხიხაძირს რა დამავიწყებს	159
მეოთხე განყოფილება – კრისტალური სიწმინდის და მაღალი ზნეობის განსახიერება იყო... სკენდერ ბაჯელიძის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოზე (1996 წლის 16 დეკემბერი) წარმოთქმული მისალმებები და მოგონებები	170

მისალმებები 170
მოგონებები 181

მეხუთე განყოფილება – ვასრულებთ სკენდერ მასწავლებლის „ანდერძს“ 207
მცირე განმარტებისთვის 207
ბრძნული შეგონებანი, კეთილი რჩევები 210
ცოდნის ფასი 211
საუბრის ავ-კარგისათვის 216
მამა შვილს ასაკის თავისებურებებს აცნობს: 218
შვილო ჩემო! 219
ღმერთსა ვთხოვ შენთვის ყველა სიკეთეს, შვილო: 223
მიწის მუშაკისათვის 225
რაინდობისა და ვაჟკაცობის ყოფაქცევისათვის 226

ბოლოსიტყვაობა 228

გამოყენებული ლიტერატურე და მასალები 231

წიგნის ავტორები 233

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.01.2016
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 14.8
ტირაჟი 100

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35